სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

# სამი საუნჯე









2

SUMMARY
РЕЗЮМЕ

ივნისი. 2013

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა

# სამი საუნჯე

№2(8), 2013

თბილისი
ივნისი, 2013

უაკ: 070 (479.22)
ს-21

**სარედაქციო საბჭო**

**ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე** (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია **„სინერგიის“** ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“.**

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2013.

## სარჩევი

**ქართველთა კეთილმორწმუნე მეფე თამარის მიცვალების 800 წლისთავი** .......... 4
*ანა კალანდაძე,* შორია თამარ .......... 5

**განათლება**
*გიორგი გოგოლაშვილი,* უნდა გადარჩეს უნივერსიტეტი! .......... 8
*ზურაბ ცუცქირიძე,* საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის სტრატეგიული ამოცანები .......... 13

**ქართლის ცხოვრება**
*გულბად ამირანაშვილი,* ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური .......... 24
*თინა იველაშვილი,* მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია .......... 35
*გრანი ქავთარია,* „შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი სიცოცხლე“ .......... 43
*ნოდარ ლომოური,* ნუ დავკარგავთ ეროვნულ ღირსებასა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს .......... 51

**ხუროთმოძღვრება**
*მამუკა ცუხიშვილი,* საჩხერის ღმრთისმშობლის და მაცხოვრის სახელობის ტაძრები .......... 55

**სახელმწიფო პოლიტიკა**
გეორგიევსკის ტრაქტატი — დოკუმენტები .......... 63
*შოთა აფხაიძე,* ბომბები წარწერით „აღდგომას გილოცავთ“ .......... 103

**ეთნოგრაფიული ექსპედიცია**
*გრიგოლ რუხაძე, გვანცა კოპლატაძე,* ჯავახეთი — ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები .......... 118

**ლიტერატურათმცოდნეობა**
*ბორის დარჩია,* „ვეფხისტყაოსანი“ და ინტერტექსტობრივი მეთოდი .......... 158

**თეზისები. რეცენზიები**
*ბონდო არველაძე,* მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი .......... 190
*გიორგი პაიჭაძე,* რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის .......... 197
*თინა იველაშვილი,* კათოლიკობა საქართველოში .......... 223

**მამულიშვილთა მოსახსენებელი** .......... 235
**წუთისოფელზე ამაღლებულნი** .......... 245
**ჩვენი ავტორები** .......... 249

РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) .......... 253
SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) .......... 260

## სელჩუქიანი სულტნის, რუქნადინის წიგნი მეფისა თამარისადმი

«ღმრთისა ოდენ უქუენესისა და ყოველთა კიდეთა მპყრობელისა! ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათჳს აღებად ჴრმალი მუსლუმანთა ჴოცად. ესე არცა რომელ ჴრმალი დიდისა მოციქულისა მოჰმედისა, მისისა ერის თავისა, ბოძებულთა. აწ წარმომივლენია ყოველი მჴედრობა ჩემი, რათა აღვჴოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თაყუანის-ცეს ჩატრსა ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს».

## ნაცვალი სიტყუა მეფისა თამარისა ნუქრადინისადმი

«ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან სიცრუვენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მჴედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!».

«მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთისმშობელისა წინაშე. და ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი; და დროშა მისი სჳანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით. ლაშქარნი წარემართნეს... იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებელად, და ყოველთა ღამე და დღე ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა. და ყოველგან საყდართა, მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა...

მოხედა წყალობა-აურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯუარისათა, და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან».

«ქართლის ცხოვრება».



ანა კალანდაძე

## შორია თამარ

მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი:
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...
დედოფალო, საით მიიჩქარი?
ძოწისფერად ირიჟრაჟა ცამან
და პეპელას აღვიძებდა ქარი...
მდუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო...
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...
და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს
მარგალიტით მოჭედილი ქოში...
მდუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო...
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...

რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე...
მიდიოდნენ, მიდიოდნენ ასე...
ბოლო მაინც არ უჩანდა მანძილს...
რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე...
ჩუმი ნამი ირეკლავდა არილს...
დედოფალსაც როგორ გაეცინა,
როს პეპელა აუფრინდა წინა
ჭრელი, პაწაწინა...
არწივი ხმობს, „ნიშანია დარის“...
ჩუმი ნამი ირეკლავდა არილს...
დედოფალი ლაღადმყოფი ნახეს,
დრო მიეცა მისსა ჩუხჩერახებს,
სწამდათ, მაგრამ მაინც ანუგეშეს:
ნუქარდინი შენთა ფეხთა ქვეშე
დააფენსო თავის ბაირაღებს...
ერთგან შედგა, თვალი უსწრო ფრთამალს, —
გამარჯვებას უყიოდა თამარს,
ბებერ კლდეზე არწივი რომ იჯდა:
ფრთას გაშლისო საქმე შენთა ნიჭთა...
ფეხები ხომ არ სტკენია თამარს?
არა, კლდეზე თვალი უსწრო ფრთამალს...

მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,
დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად:
— გადმოგვხედე, ღვთისმშობელო დედაო,
გაგვიმარჯვე ქართველთ მტერთა ზედაო:
საქართველო შენი წილმიმხვდარიაა...
გაგვიმარჯვე, ღვთისმშობელო მარიამ...
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,
თამარ მეფე ლოცვად იდგა ტაძრად...

მაღალ მთებსა ისევ ნისლი ფარავდა...
არ ფხიზლობდნენ ნუქარდინის კარავთან.
რის სიფხიზლე? ისეც ბევრნი არიან!
რისი შიში? უთვალავნი არიან!
რა ხმა ისმის ნეტავ? საოცარია...
ქრისტიანთა ეკლესიის ზარია?
გაიღვიძეთ, ეს ხუმრობა როდია?!
როგორ, ვითომ, ქართველები მოდიან?
გონს მოვიდნენ, ზე შემოსხდნენ სპილოთა,
აქლემების სპათა უნაპიროთა
ჩვენკენ სძრავდნენ, ჩვენ გვისევდნენ რისხვითა
გვერდშეჯარულთ სამის წყრთისა ისრითა...
როცა ძალა ძალას ვერა მორევსა,
ნათქვამია, ხერხი სჯობსო ღონესა:
ქართველებმაც „ზე კი არ ჰკრეს სპილოსა“,
უცაბედად „ქვეშ შემოჰკრეს რბილოსა“:
სარდლის რჩევით მაშხალები აანთეს,
აქლემ-სპილო ცეცხლის ალით დააფრთხეს,
ერთურთს ხოცდნენ, თავი ვეღარ გაართვეს...
დამფრთხალ მხედართ ცხენთაც თავი წაართვეს.

. . . . . . . . . . . . . . . .
მოვიდა მცხოვრებთა მოსვრად და თრევად,
მოვიდა თვისივე სისხლისა თხევად;
გაბრუნდა უკანვე ცუდდანაშვერი...
ეჰა, ნუქარდინ, საქმენი შენნი...
გეზღო ესოდენ ბოროტს და თამამს,
გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო,
შორია თამარ...



გზა ფეხშიშველმა გამოვლო თამარ
თავის ხალხის და სამშობლოს გამო...
შენ მოდიოდი ხატების ლეწვად,
ჩვენს აღსაგველად პირისგან მიწის...
ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,
მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...
გეზღო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს,
ქართველი ხალხი უნდოა მტერთან...
სუსტია თამარ, მძლავრია თამარ
და არც ღირს ხარ მის ფეხთა მტვერთა
მოწმენდად ძვირფას ხამლისგან მისა!
შენ მისთვის ბრძანე დაცხრობა მზისა,
მზე დაცხრა შენდა!
მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა,
როს უამბობენ საქმეთა შენთა!
აუ, ნუქარდინ, ახლახან მხოლოდ
იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს
და ანანავებს ვარძიის ქარი
საქართველოის უძლეველ დროშებს...
ეჰა, ნუქარდინ, ბედია მწყრალი,
გესმის, სულთანო, მღერა ბარბითთა,
ხმა მოლხენისა გაჭრილი ველად?
ეს — „თამარ წყნარი და შესაწყნარი“
შენს ალამს გზავნის დიდის ამბითა
შეწირვად გელათს!

1946.

გიორგი გოგოლაშვილი

## უნდა გადარჩეს უნივერსიტეტი!

საქართველოში არის რამდენიმე ძეგლი, რომელიც ეპოქასთან გაიგივდება: **სვეტიცხოველი** და **XI საუკუნე**; **გელათი** და **XII საუკუნე**; ასეთივეა: **ქრთული უნივერსიტეტი** და **XX საუკუნე**!

ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს ისტორიამ არაერთი რისხვა დაატეხა თავს... ანგრევდნენ და ვაშენებდით, აღვადგენდით... თუმცა ყველაფრის აღდგენას ვერღარ ვახერხებდით... არც ქართულ უნივერსიტეტს დაჰკლებია რისხვა... ორიოდე ფრაგმენტს მოვიხმობ წიგნიდან „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ (2004 წ.):

„1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი (ივანე ჯავახიშვილი — გ. გ.) შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. 1926 წელს ი. ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაშორეს უნივერსიტეტს“...

„უნივერსიტეტის რექტორად 1926 წლის სექტემბერში აირჩიეს თედო ღლონტი“...

**შენიშვნა**: მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „1921 წელს თედო ღლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა. დღეს კი 22/VI რექტორად აირჩიეს“...

„უნივერსიტეტი იმხანად მთელ საბჭოთა კავშირში განიხილებოდა ოპოზიციური აზრის ბუდედ...“

„საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. ამ პროცესს რეორგანიზაცია პოლიტიკური მოსაზრებით უწოდეს, სინამდვილეში ეს იყო უნივერსიტეტის დაშლა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით“...

„1833 წლის 8 იანვარს (...) პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აღდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“... და ასე შემდეგ...

ისტორია მეორდება... ყოველ შემთხვევაში ნგრევის ისტორია განმეორ-



და: თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტი „ნაციონალური მოძრაობის“ ძალმომრეობისა და უკანონობის ერთ-ერთი მსხვერპლია**. უნივერსიტეტი შველას ითხოვს... ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს?

— რა სჭირს გადასარჩენი? — შევეცდებით თეზისურად აღვადგინოთ წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებათა მოკლე ისტორია:

**„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იმთავითვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა**. მიზეზი: უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა; ამიტომ დაისახეს მიზნად ამ ძალის განეიტრალება, რომ ხელში აეღოთ საზოგადოების მართვის სადავეები. „ვარდების რევოლუციამდე“ (2002 წლიდან) დაიწყო გეგმაზომიერი ბრძოლა უნივერსიტეტის წინააღმდეგ... ბრძოლას სათავეში ედგნენ გიგი თევზაძე, გივი თარგამაძე და სხვები.

ხელისუფლება განსაკუთრებით აღაშფოთა უნივერსიტეტის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ განსახილველად შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ: 2004 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (დამტკიცდა წლის ბოლოს). 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ დაიწუნა კანონპროექტი. ამის გამო პირველი შეტევა მ. სააკაშვილმა „წითელ პროფესურაზე“, „კორუმპირებულებზე“, „უსინდისოებზე“, „ჩარეცხილებზე“ განახორციელა 2004 წლის 28 სექტემბერს ცხრუკვეთიდან (დედულეთიდან). ამას მოჰყვა კ. ლომაიასა და მისი გუნდის მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე. მინისტრმა **კ. ლომაიამ** საჯაროდ დაიქადნა: **„ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო“**.

2004 წლის 31 ოქტომბერს აიძულეს რ. მეტრეველი, გადამდგარიყო რექტორობიდან... და დანიშნეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად უნივერსიტეტისათვის უცხო პირი — რ. ლორთქიფანიძე; იგი 13 დეკემბერს ხელისუფლების აქტიური ჩარევით აირჩიეს რექტორადაც (აქვე ვიტყვით: მან „ვერ გაამართლა“ ხელისუფლების იმედები და მალე შეცვალეს კიდეც).

2005 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი კანონი და დაიწყო ხანგრძლივი უკანონობის პერიოდი: **უკანონოდ შეაჩერეს უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ფუნქციონირება**. გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად; გაუქმდა ყველა კათედრა...

ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა საბაბით შეაერთეს ფაკულტეტები; ეს მოხდა გაუაზრებლად, სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლად. ამ შეერთების უარყოფით შედეგებზე ბევრი ითქვა; ისიც ითქვა, ბოლონია არაფერ შუაშიაო...

2005 წელს საბიუჯეტო **დაფინანსება მოეხსნა** უნივერსიტეტის **სა-**

**მეცნიერო სექტორს**. უმუშევარი დარჩა 1500-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი. **დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი; ვანდალურად განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ბიბლიოთეკები...** ამით **განუზომელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებასა და განათლებას**.

არნახული ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი შეიქმნა **აკადემიური სექტორი.** იმჟამად აკადემიური კონკურსების გამოცხადება და ჩატარება იყო ახლადმიღებული კანონის რამდენიმე პუნქტის უგულებელყოფა (**დაირღვა** უმაღლესი განათლების **კანონის 89-ე მუხლის I და მე-11 პუნქტები; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 34-ე მუხლის I და მე-3 პუნქტები**...).

**კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი**: „რეფორმამდე" უნივერსიტეტში აკადემიურ სექტორში იყო 4000-ზე მეტი თანამშრომელი; განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე; აკადემიური სექტორი შემცირდა თითქმის 5-ჯერ; სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შემცირება შეეხო მხოლოდ 3-4%-ით!.. (ეს იყო მინისტრის, კ. ლომაიას, „შურისძიება" უნივერსიტეტისადმი: პირველად, 2005 წელს, უნივერსიტეტში კონკურსი გამოცხადდა საშტატო ერთეულების თითქმის იმავე რაოდენობაზე, რაც იყო კონკურსამდე; უნივერსიტეტმა პროტესტი გამოთქვა ამ უკანონო კონკურსის გამო; ამ პროტესტით გაღიზიანებულმა მინისტრმა გააუქმა გამოცხადებული კონკურსი და დაევალა რექტორს, რ. ლორთქიფანიძეს, 700 ერთეულზე გამოეცხადებინა ახალი კონკურსი. რ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგობა გახდა მისი რექტორის თანამდებობიდან გაშვებისა და გ. ხუბუას დანიშვნის მიზეზი.)

ამ კონკურსების შედეგად გაუქმდა ტრადიციული დარგები, გაქრა სპეციალობები. ორიოდე კონკრეტული მაგალითი: 2006 წლამდე ფიზიკის ფაკულტეტზე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო; კონკურსი გამოცხადდა 23 ადგილზე (ეს რომ გაუთვლელი შემცირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა დამატებით 100 მასწავლებლის მოწვევა)! სხვა მაგალითი: 2005 წელს ძველი ქართული ენის კათედრაზე 23 თანამშრომელი იყო, ამჟამად მხოლოდ 3 თანამშრომელია (მათ შორის მხოლოდ ერთია ქართული ენის გრამატიკის სპეციალისტი!) და სხვ. ესეც არის **უდიდესი დანაშაული ქართული განათლებისა და მეცნიერების წინაშე**...

სწორედ ამის გამო თქვა იმჟამად პარლამენტარმა და დღეს განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ **დ. ზურაბიშვილმა: „ის, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, კანონთან არანაირ კავშირშია. ეს არის თვითნებობა"**. ასე ფიქრობდა მაშინ... ახლა? — ახლა ამ თემას შეძლებისდაგვარად გვერდს უვლის.

საგანგებო მსჯელობის საგანია უნივერსიტეტის **ყოფილი რექტორის,**



**გ. ხუბუას**, მიერ ჩადენილი უამრავი უკანონობა და უსამართლობა; ფაქტობრივ, მთელი მისი საქმიანობა იყო უნივერსიტეტზე განხორციელებული ძალადობისა და შეურაცხყოფის არნახული მაგალითები.

პროფესორ-მასწავლებლების მთავარი მოთხოვნა იყო — **„რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში"**. ამ მოთხოვნას გ. ხუბუამ პოლიცია დაუპირისპირა: 2006 წლის 19 და 20 ივნისს მან პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში და პროტესტის გამომხატველი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 2006 წლის 3 ივლისს გ. ხუბუას მოქმედებამ: უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, გ. ხუბუას და მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. ისევ **პოლიცია შემოიყვანეს უნივერსიტეტში** და რექტორის კაბინეტში სასაუბროდ შესული პროფესურა იძულებით გამორეკეს გარეთ; პროფესურამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოხდა **ადამიანის უფლებების არნახული დარღვევა**: პოლიციის მეშვეობით ჩაკეტეს ყველა კარი (გასასვლელი წყლისაკენ, ტუალეტებისაკენ; ამოქოლეს კარ-ფანჯრები; არავის აძლევდნენ საშუალებას, გარედან მიეწოდებინათ წყალი, საჭმელი. სააქტო დარბაზში შეკრებილებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ამის შესახებ უამრავი მასალაა იმჟამინდელ პრესაში, ტელეარქივებში). 3 ივლისს შემოყვანილი პოლიცია უნივერსიტეტში დატოვეს თითქმის ორი თვე და ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმი შექმნეს; პოლიციას სიები გადაეცა „რეფორმასთან" დაპირისპირებული პროფესორებისა და მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: მსგავსი რამ მხოლოდ **1939 წელს მოხდა**, როცა **ფაშისტებმა კრაკოვის ნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები**. ისიც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა არ იკადრა! და რაც მთავარია, **უნივერსიტეტის ეზოში შესვლა ვერ გაბედეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა!**

სიტყვიერი დაპირისპირებისათვის **გ. ხუბუამ** რექტორად მოსვლის პირველივე დღეებში **დააპატიმრებინა** განსხვავებული აზრის მქონე **პროფ. გ. შარაძე. გ. ხუბუას მოთხოვნით** საუნივერსიტეტო მოძრაობის ინიციატორები გვატარეს პროკურატურაში, როგორც დამნაშავეები; შემდეგ **9 პროფესორი გაგვასამართლეს „წვრილმანი ხულიგნობის" მუხლით** (სარჩელი ამჟამად სტრასბურგის სასამართლოშია; განიხილვის ეტაპი დამთავრდა. ველოდებით გადაწყვეტილებას).

არაერთგზის დაიწერა იმ **ფინანსურ კანონდარღვევებზე**, რაც უნივერსი-

ტეტში ხდებოდა ამ პერიოდში (იხ. მაგალითად, გაზეთი „ქრონიკა“ № 39, 2006 წ. და სხვ.); **სახელმწიფო ქონების მართვის არაეფექტიანობაზე**; სამართლებრივი შეფასება არ მისცემია თუნდაც იმ ბრალდებებს, რის გამოც გაუშვეს უნივერსიტეტიდან გ. ხუბუა; ცალკე თემაა ამ პერიოდში გამოვლენილი **ნეპოტიზმის შემთხვევები**; **არასწორი დანიშვნები**; კანონდარღვევით ჩატარებული და **გაყალბებული კონკურსები** (2006, 2009, 2012 წლებში; არსებობს სასამართლოზე აღიარებული ფაქტები); გახმაურებული ამბავი **უკანონოდ გაცემული დიპლომებისა...**

ყოველივეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. გავხაზავთ: თითქმის **ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება ახდენდა სამართლებრივ რეაქციას**: მომზადდა არაერთი **სარჩელი**, რომლებიც განიხილეს **საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებმა;** სარჩელების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, იმჟამინდელმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სამ საქმეს ამჟამად **სტრასბურგის სასამართლო** განიხილავს.

გ. ხუბუას და მისი „პატრონების“ დანაშაულობათა ჩამოთვლა ერთ საჟურნალე წერილში არ მოხერხდება; ამასთვის სამართალდამცველთა სერიოზული მუშაობაა საჭირო. ახალი ხელისუფლების მოსვლა ამისთვისაც გვეიმედებოდა; მაგრამ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა: უნივერსიტეტს აქებენ წარმატებული რეფორმისათვის; **უნივერსიტეტში დააბრუნეს** 2010 წელს გაძევებული **გ. ხუბუა;** მეტიც, მას გაუხსნეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ხუბუასთან ერთად დამფუძნებლები არიან მინისტრები ნ. ხადური და დ. ნარმანია). მეტიც, 21 აპრილს ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ ხუბუა ნაციონალებისაგან დაჩაგრულ ეროვნულ გმირადაც წარმოაჩინა. ეს კი გარკვეულ ეჭვს აჩენს უნივერსიტეტის სასიკეთო პერსპექტივისა...

ერთი საინტერესო დეტალიც: 2012 წლის აგვისტოში კონკურსში ვერ გავიდნენ ნ. ხადური და დ. ნარმანია — იმჟამად ოპოზიციონერები. ნ. ხადურმა ხმაურიც ატეხა — უსამართლოდ მომექცნენო. „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენას გვპირდებოდა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მინისტრებმა ნ. ხადურმა და დ. ნარმანიამ სამართლიანობა იმით აღადგინეს, რომ თავად გაიკეთეს შტატები უნივერსიტეტში!

უნივერსიტეტში სამართლიანობის აღდგენისათვის ისევ იბრძვიან უნივერსიტეტის გულშემატკივრები. არაერთგზის მივმართეთ **ხელისუფლებას**; კონკრეტულ **პასუხს ვერ ვეღირსეთ**, სამწუხაროდ, **მინისტრმა** ჩვენთან შესახვედრადაც **ვერ მოიცალა**...

არადა, ასრულდა კ. ლომაიას დანაქადნები: ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავო...

ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს? თუ საბოლოოდ გაიწირა?...

ისტორია მეორდება... ყოველ შემთხვევაში ნგრევის ისტორია განმეორდა... და განმეორდება აღდგენის ისტორიაც!.. ღმერთმა არ ინებოს სხვაგვარად...

ზურაბ ცუცქირიძე

# საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის სტრატეგიული ამოცანები

განათლების საქმე საქართველოში ცუდად არის, ძალიან ცუდად! ამ საქმის გულშემატკივრები ერთხმად ეთანხმებიან ასეთ შეფასებას. ერთი კი არის, აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენში მიმდინარე განუწყვეტელი საგანმანათლებლო რეფორმების წარუმატებლობის მიზეზებზე ერთნაირი შეხედულება არ არსებობს („წარუმატებლობის მიზეზებზე“-მეთქი რომ ვთქვი, მოკრძალებულობით მომივიდა, თორემ, წარუმატებლობაზე კი არა, პირდაპირ დამანგრეველ შედეგებზე უნდა ვლაპარაკობდეთ!).

ერთნი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ დეკლარირებული სარეფორმო ღონისძიებანი სრულად და სრულყოფილად ვერ განხორციელდა, რამაც არა მარტო შეაფერხა რეფორმა, არამედ სრული ქაოსი გამოიწვია განათლების ამა თუ იმ უბანზე. მაგალითად, საკადრო ცვლილებები და ახალი კადრების მომზადების პროცესი ერთმანეთს ასცდა, რამაც განაპირობა სასწავლო დაწესებულებების არსებითი ხარვეზები.

მეორენი ფიქრობენ, რომ არასწორია ჩვენი განათლების სისტემის ამერიკანიზაციის მცდელობა და საჭიროა იგი ევროპიზაციით შეიცვალოს, რადგან ისტორიულად და მენტალურად ჩვენ უფრო ევროპელები ვართ (აკი ხატზე დავიფიცეთ, ევროპისაკენ გამალებულ სვლას არ შევაჩერებთო!). სწორედ ამ არასწორი ორიენტაციის გამოა, რომ საგანმანათლებლო რეფორმამ დადებითი შედეგები ვერ მოგვიტანა, უარყოფითი კი ბლომადო.

მესამენი ფიქრობენ, რომ სრულიად უმიზეზოდ დაანგრიეს ტრადიციულად არსებული სისტემა და იგი აუცილებლად უნდა აღდგეს, სხვაგვარად არაფერი გვეშველება. ამ პოზიციის მომხრე ზოგიერთი გულშემატკივარი იქამდე მივიდა, რომ განათლების მინისტრს თხოვნით მიმართეს – იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ დააბრუნეთო სკოლაში (ცნობისათვის: იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ 1925 წლიდან აღარ არის მოქმედი სახელმძღ-

ვანელო. მის ნაცვლად ქართულ სკოლებში ფუნქციონირებდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპებზე აგებული სახელმძღვანელოები. ეს პრინციპები ეჭვქვეშ დააყენეს გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც „დედაენის“ რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელო შეიქმნა და შესთავაზეს კიდეც სკოლებს. ამის მიუხედავად, ბევრ სკოლაში კვლავაც ი. გოგებაშვილის პრინციპებზე აგებული სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ და ასწავლიან).

არის მეოთხე მოსაზრებაც. მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ საგანმანათლებლო რეფორმები ჩვენში იმიტომ არ არის დადებითი შედეგის მომტანი, რომ მას არაპროფესიონალები ახორციელებენ.

თითოეულ ამ მოსაზრებასა და პოზიციაში არის სიმართლის მარცვლები, მაგრამ მათი მიმდევრები, ჩემი აზრით, პრობლემის არსს, მის ფუნდამენტურ მიზეზებს ვერ ხსნიან და, ამიტომაც, მათ მიერ გაკეთებული დასკვნები და შემოთავაზებული რეკომენდაციები არარაციონალურად მიმაჩნია. აქ სულაც არ იქნება ზედმეტი, გავიხსენოთ პედაგოგიკის დიდი კლასიკოსის კ. დ. უშინსკის შეგონება: „აღზრდის ხელოვნებას ის თავისებურება აქვს, რომ თითქმის ყველას ეჩვენება ნაცნობ და გასაგებ საქმედ, ზოგიერთს კი ადვილ საქმედაც, – და მით უფრო გასაგებად და ადვილად, რაც უფრო ნაკლებად იცნობს მას ადამიანი თეორიულად ან პრაქტიკულად“[1]

რაიმე არსებულის შეცვლა-გადაკეთება რომ მოინდომო, ჯერ კარგად უნდა გაიაზრო, რას უწუნებ მას, რა პრეტენზიები გაქვს მასთან.

რა პრეტენზია გვაქვს დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემასთან?

ეს პრეტენზიები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: პრეტენზიები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან და პრეტენზიები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან – უმაღლეს სკოლასთან, პროფესიულ კოლეჯებსა და ლიცეუმებთან.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან დაკავშირებით, ყველაზე ზოგადად თუ ვიტყვით, იგი ვერ ასრულებს მის უმთავრეს სოციალურ ფუნქციას: მოამზადოს მოზარდი თაობა დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის.

რისთვის არის მზად თორმეტწლიანი სკოლის თუდნაც წარჩინებული კურსდამთავრებული? არაფრისთვის! უკეთეს შემთხვევაში იგი მზად არის გახდეს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, ანუ მზად არის სწავლის განგრძობისათვის და არა დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის.

19 წლის ახალგაზრდამ 12 წლიანი სწავლებიდან მისთვის სასარგებლო ვერაფერი შეიძინა. წერა-კითხვაა ერთადერთი რამ, რასაც უდავოდ აქვს ღრმა სოციალური ფუნქცია, მაგრამ იმის გამო, რომ მოსწავლეებს სხვა ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმარისად არ გააჩნია, წერა-კითხვის ცოდნა

[1] **კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1974, გვ. 82.**



მისთვის აქტუალური არ არის. სხვათა შორის, წერა-კითხვას პირველ კლასში ეუფლებიან, უფროს კალსებში (ალბათ, VII-VIII კლასიდან) კი ბეჯითად ივიწყებენ მას!

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას (უმაღლეს სკოლას!), მისდამი პრეტენზია უფრო საგნობრივი და კონკრეტულია: ჩვენში სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები უსაქმური ახალგაზრდების თავშესაფარი გახდა, სადაც ფულს იხდიან არა ცოდნაში, არამედ უცოდინარობაში. თვით ყველაზე პრესტიჟულ და მაღალფასიან უმაღლეს სასწავლებლებშიც კი, სტუდენტთა ერთ ნაწილს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ აქვს თავის მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე.

რა თქმა უნდა, არის სხვა პრეტენზიებიც და არც თუ მცირერიცხოვანი, მაგრამ ახლა ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რაც, ჩემი აზრით, უნდა გაითვალისწინონ მომავალი (აუცილებელი!) რეფორმის ორგანიზატორებმა.

ამჯერად ვილაპარაკებ მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაზე, რადგან მიზანშეწონილად არ მიმაჩნია სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პრობლემებზე ერთ სიბრტყეზე მსჯელობა, როდესაც საქმე რეფორმის სტრატეგიულ ამოცანებს ეხება. საქმე ის არის, რომ, როგორც ცნობილია, განათლებას ორმაგი შინაარსი აქვს – სოციოლოგიური და კულტუროლოგიური. სოციოლოგიური შინაარსის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლა თუ ფაქტობრივად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კულტურულოგიური შინაარსით მათ შორის პრინციპული განსხვავებაა.

ჩვენში საგანმანათლებლო რეფორმის უპირველესი სტრატეგიული ამოცანაა განათლების შინაარსის დადგენა. აქ უკვე მესმის შეკითხვა: განათლების შინაარსი, განა, დადგენილი არ არის? დღევანდელი სკოლის განათლების შინაარსი, განა, განსაზღვრული არ არის? – არის, მაგრამ, საკითხავია, რა მოთხოვნებს შეესაბამება იგი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სწავლების შინაარსი ზოგადობის პრინციპით არ არის აგებული! ეს კატეგორიული განცხადებაა და მეცნიერულ მსჯელობაში კატეგორიულობა, მაინცადამაინც მოსაწონ საქმედ არ ითვლება, თუმცა, ჩემი აზრით, როცა კითხვა რაიმეს არსებობა-არარსებობას ეხება, მაშინ ეთიკური რევერანსები უადგილოა. რაიმე ობიექტი არის ან არ არის. მესამე ვარიანტი გამორიცხულია.

ახლა ვნახოთ, როგორ ესმით მეცნიერებს ზოგადი განათლების შინაარსი და რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს მას. სასკოლო განათლების შინაარსი არის ზუსტად განსაზღვრული ცოდნის მოცულობა და უნარ-ჩვევები, რაც საფუძვლად ედება მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას. ყოველმხრივ განვითარებაში კი მოიაზრება გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთე-

ტიკური და შრომითი განვითარების ისეთი დონე, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი სოციალური არსებობისათვის.

ზოგადი განათლების თვალსაზრისით, ცოდნა არის მეცნიერული ცნებების სისტემა ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების კანონების შესახებ, რაც კაცობრიობას მოუპოვებია დღემდე და რაც მიმართულია ობიექტური სამყაროს შემდგომი შემეცნებისაკენ. ყოველივე ამას თუ უფრო მარტივად ვიტყვით, განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მსოფლმხედველობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მსოფლმხედველობა კი, როგორც ცნობილია, ადამიანის მთელი შემოქმედითობის საფუძველია, ამიტომ მსოფლმხედველობრივი შინაარსი ამ ცოდნის გამოყენებითობასაც გულისხმობს. სასკოლო სწავლება კი, რომელიც, ახლანდელი მოდური გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, შედეგზეა ორიენტირებული (თითქოს, წინათ მიზეზზე იყო მიმართული!), უნდა ხორციელდებოდეს პრინციპით: „ვიცი – შემიძლია“. მერე და, ასეა ეს დღევანდელ სკოლაში? მოსწავლეს შეუძლია იმ საპროგრამო ცოდნის მოქმედებაში რეალიზება, რასაც სასკოლო განათლება ითვალისწინებს?

მოსწავლეს რომ პრაქტიკულ საქმიანობაში მათემატიკის სასკოლო პროგრამებში მოქცეული ცოდნის გამოყენება შეეძლოს, ადვილი წარმოსადგენია, როგორი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა გვეყოლებოდა. ეს, ცხადია, ფანტასტიკის სფეროა.

ისე, სასკოლო სასწავლო დისციპლინები, კერძოდ, მათემატიკა ზოგადი განათლების პრინციპით რომ არ არის აგებული, ამიტომაც არის იგი მასობრივად მიუწვდომელი და, ფაქტობრივად, ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენს მოსწავლეთა მსოფლმხედველობაზე.

ზოგადი განათლების პრინციპი ნებისმიერი დონის სიძნელის შინაარსის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, ანუ იმის მიხედვით, თუ რა სოციალური სტატუსი აქვს ამა თუ იმ სასწავლებელს. მაგალითად, 5-6 წლის ბავშვს სიმრავლის მათემატიკურ ცნებას მარტივ მაგალითზე ავუხსნით და გავუთავისებთ (მათს ცოდნად ვაქცევთ!): 3 უფრო ბევრია, ვიდრე 2; 4 უფრო ბევრია, ვიდრე 3. ბავშვი ამ გზით უპრობლემოდ ერკვევა ცნებებში „ბევრი“ და „ცოტა“ და სხვისი დახმარების გარეშე გადაწყვეტს ამ ცნებებთან დაკავშირებულ ამოცანებს. მაგრამ „ბევრისა“ და „ცოტას“ ცნებები სხვა განზომილებებში ასე მარტივად არ წყდება და იგი სხვა სოციალური სტატუსის ადამიანის მოქმედებებს ედება საფუძვლად. თუმცა, „ბევრისა“ და „ცოტას“ ცნებები არსებითად არ შეცვლილა.

მათემატიკის საგანი საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია და იმიტომ მოვიყვანე, თორემ ასეა სხვა საგნებთან დაკავშირებითაც, რომელთაც, ტრადიციულად, მეცნიერებათა საფუძვლებს ვუწოდებთ.

სასკოლო სასწავლო დისციპლინები თუ ზოგადი, ანუ მსოფლმხედვ-



ელობრივი ცოდნის პრინციპით იქნება შედგენილი, მაშინ შეიძლება რეალურად დავიცვათ მისაწვდომობის დიდაქტიკური პრინციპი, რომელიც დღეს აბსოლუტურად უგულებელყოფილია. კლასში, სადაც ოცდაათი მოსწავლეა და მასწავლებლის მიერ ახსნილ ამა თუ იმ აკადემიურ ამოცანას მოსწავლეთა 10 პროცენტზე მეტი (საუკეთესო შემთხვევაში) ვერ ითვისებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასწავლო სიძნელე მიუწვდომელია.

გული მიგრძნობს, ცნება "ათვისება" თუ არ განვმარტე, მკითხველთა ერთ ნაწილში უსათუოდ უნდობლობას გამოვიწვევ. მაშ, ასე: ათვისება არის გონებაში ახალი ინფორმაციის (ცოდნის!) შერწყმა უკვე არსებულ ინფორმაციასთან (ცოდნასთან!), რომლის შედეგადაც მივიღებთ თვისებრივად ახალ ცოდნას, რის საფუძველზეც სუბიექტი შეძლებს უფრო მაღალი დონის სიძნელის შემცველი ამოცანის გადაწყვეტას.

მოსწავლემ მთელი მათემტიკური ფორმულები და თეორემები ზეპირადაც რომ იცოდეს, თუ რაიმე ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტაში მას ვერ გამოიყენებს, მაშინ ასეთი ინფორმაციის ფლობა ცოდნად არ ითვლება.

ახლა, ვფიქრობ, გასაგებია, რატომ ვთქვი ზემოთ, საშუალოდ მოსწავლეთა 10 პროცენტზე მეტი ვერ ითვისებს სასკოლო პროგრამებით გათვალისწინებულ ცოდნას-მეთქი. ზოგიერთ საგანში (მაგალითად, მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში) ეს მონაცემი შეიძლება უფრო დაბალიც იყოს.

**ასე რომ, სასკოლო რეფორმის უპირველესი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს სასწავლო შინაარსის დადგენა, ზოგადობის პრინციპის საფუძველზე.**

სასკოლო რეფორმის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად მიმაჩნია ახალი ტიპის სასწავლო სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფა. არსებული სასწავლო სახელმძღვანელოები, ჩემი აზრით, არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც ზოგადი განათლების წინაშე დგას.

საზოგადოების წინაშე რომ დავსვათ კითხვა: ვისთვის იწერება სასკოლო სახელმძღვანელოებიო, თითქმის ყველა უპასუხებს – მოსწავლეებისთვისო. ეს აზრი დამკვიდრებულია ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეზე და ეს შემთხვევითი სულაც არ არის. სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა იწერებოდეს მოსწავლეთათვის! სამწუხაროდ, სასკოლო სახელმძღვანელოს მიმართ წაყენებული ეს ობიექტური მოთხოვნა კარგა ხანია გამრუდებულია: სახელმძღვანელოები მოსწავლეთათვის აღარ იწერება. დღევანდელ სახელმძღვანელოსა და მოსწავლეს შორის აუცილებელი შუამავალი დგას – მასწავლებელი. რატომ? განა სახელმძღვანელო „თარჯიმნის“ ანუ შუამავლის გარეშე ვერ დაამყარებს კონტაქტს მოსწავლესთან? ვერა, რადგან იგი „მოსწავლის ენაზე“ არ არის დაწერილი.

ის აკადემიური საქმიანობა, რაც მასწავლებელმა გასწია გაკვეთილზე,

სახელმძღვანელომ უნდა განაგრძოს საშინაო საქმიანობაში. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, თუ სასკოლო სახელმძღვანელოები იმ მოთხოვნების საფუძვლებზე აიგება, რაზეც ზემოდ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ამასთან, სულაც არ არის განათლების დემოკრატიზაციის მაჩვენებელი ის, რომ ერთსა და იმავე საგანში რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობდეს და სკოლას (ან მოსწავლეებს) უფლება ჰქონდეს, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო წიგნი. სასკოლო სახელმძღვანელოები უნიფიცირებული უნდა იყოს და უზრუნველყოფდეს ცოდნის ათვისებას ერთიანი სტანდარტის მიხედვით.

სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს მოსწავლეებისათვის. იგი უშუალოდ უნდა ელაპარაკებოდეს მათ. ტრადიციულად ეს ასე იყო წარსულში. მასწავლებლის ფუნქცია არ არის შუამავლობა სახელმძღვანელოსა და მოსწავლეს შორის. მასწავლებლის ფუნქციაა მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის რაციონალური ორგანიზაცია და მართვა, მათი წარმატებული ცვლის უზრუნველყოფა უცოდინარობიდან ცოდნისაკენ, სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის რეალიზაცია და პიროვნების სოციალიზაციის რთული პროცესის მეთოდური მართვა.

საგანმანათლებლო რეფორმა თვითმოქმედება არ არის; იგი არც ვინმეს, თუნდაც ერთობ ნიჭიერი პიროვნების შეხედულებებისა და განზრახვების მიხედვით შეიძლება ხორციელდებოდეს და მისი განხორციელების პროცესში ვოლუნტარისტური კორექტივები შედიოდეს. რეფორმირების პროცესის დაწყებამდე უნდა ჩამოყალიბდეს ყველასათვის გასაგები კონცეფციები განათლების შინაარსის, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა საკვანძო საკითხებზე, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდება ერთიანი სარეფორმო კონცეფცია.

ეს გადახვევა იმიტომ დამჭირდა, რომ დღემდე წამოწყებული რეფორმები ისე დაიწყო, რომ არავის მოსვლია აზრად ასეთი კონცეფციების შემუშავება. ამიტომ იყო, რომ ყველა ეს სარეფორმო კონცეფცია ასცდა რეალურ მიზნებს დროსა და სივრცეში, და რეფორმების ნაცვლად მივიღეთ ნგრევა და დეფორმაციები.

ახლა ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“.

სასკოლო განათლების მოსალოდნელი რეფორმის ერთ-ერთ კარდინალურ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ორგანული ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შინაარსში. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით: სკოლას უნდა დაუბრუნდეს აღმზრდელობითი ფუნქცია, რომელიც მას ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა! **სკოლა იყო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, ვიდრე დასავლეთში, მათი გავლენით კი ჩვენშიც, ფსევდოლიბერალური ძალები არ გაბატონდნენ და რომლებმაც აღზრდა პიროვნებაზე ძალადობად არ მიიჩნიეს.** უკანასკნელ ათწლეულში ტერმინი „აღზრდა“ საერთოდ გააქრეს



ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტში და მის მაგივრად დაამკვიდრეს „განვითარება“. ეს იყო და არის საერთაშორისო შეთქმულება ჰუმანიზმის სახელით ჰუმანიზმის წინააღმდეგ. ყველა წიგნიერმა ადამიანმა იცის, რომ აღზრდა სოციალური მოვლენაა, განვითარება კი სოციოგენური მოვლენა არ არის. ამიტომ აღზრდის უარყოფა ადამიანის განვითარებაში ადამიანურობის უარყოფაა.

აღზრდის კლასიკური განსაზღვრება ასეთია: აღზრდა არის აღსაზრდელზე მიზანმიმართული, სისტემატური ზემოქმედება მასში სოციალურად ღირებული თვისებების ჩამოყალიბების მიზნით. ამ განსაზღვრებაში ორგანიზებული აღზრდის პროცესი იგულისხმება, მაგრამ აღზრდა მხოლოდ ორგანიზებულ გარემოში როდი მიმდინარეობს. არსებობს აგრეთვე არაორგანიზებული, სტიქიური აღზრდის პროცესი, რომელიც მუდმივად მოქმედებს აღსაზრდელზე. იგი სტიქიურია იმიტომ, რომ მისი შედეგების პროგნოზირება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექცია შეუძლებელია. ამიტომაც არის აღზრდის ორგანიზებული პროცესი აუცილებელი, რომ საზოგადოებამ შეძლოს მოზარდ თაობას მიზანმიმართულად გადასცეს ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მას ამ საზოგადოების წევრად აქცევს. უამისოდ საზოგადოების სოციალურ-კულტურული ეროზია გარდაუვალია და მისი ჯოგად გადაქცევა შეუქცევადი. ამიტომ არის აუცილებელი აღზრდის სისტემის სასწრაფოდ აღდგენა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შინაარსით მისი დატვირთვა.

პირველ ყოვლისა, უნდა შემუშავდეს აღზრდის ეროვნული კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად დაედება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი და ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციები, რაც ჩვენს ეთნიკურ თავისებურებებსა და მყარად ფიქსირებულ განწყობებს განსაზღვრავს.

მოსწავლეთა აღზრდის შინაარსი და ამოცანები თითქმის სამი საუკუნის წინ შესანიშნავად ჩამოაყალიბა დიდმა ქართველმა პოეტმა და დიდაქტიკოსმა დავით გურამიშვილმა: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობრად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. ამ კლასიკური შეგონების დავიწყება ხეირს არ დაგვაყრის დღესაც, რადგან წარუვალ ჭეშმარიტებათა ხელყოფა ყოველთვის იწვევდა ზნეობრივ კატასტროფებს, რასაც შედეგად ფიზიკური კატასტროფები მოსდევდა მუდამ.

პირველი კითხვა, რასაც პასუხი უნდა გაეცეს აღზრდის კონცეფციაში, პრობლემის ზედაპირზე დევს: ვის ვზრდით?

დღევანდელი გლობალიზმისა და ფსევდოლიბერალიზმის ადეპტები ამ კითხვაზე დაუფიქრებლად უპასუხებენ: ჩვენ უნდა აღვზარდოთ მსოფლიო მოქალაქე, რადგან გლობალიზაციის პროცესი სწორედ ამ მოთხოვნას აყენებსო. აქედან გამომდინარე, მათთვის მიუღებელია ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა, რადგან პატრიოტიზმი თურმე კი არ აერთიანებს ადა-

მიანებს, არამედ თიშავს მათ. ისინი, სამწუხაროდ, ტოლობის ნიშანს სვამენ პატრიოტიზმსა და შოვინიზმს შორის. ეს არის არა მარტო უაღრესად მცდარი, არამედ ერთობ მავნე შეხედულება, რომელსაც არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია.

ადამიანური ცნობიერების ჩამოყალიბება, პიროვნების თვითშემეცნების განვითარება მიკუთვნებულობის შეგნების ფორმირებით იწყება. ადამიანი საკუთარი პიროვნების გაცნობიერებას იწყებს მაშინ, როდესაც თავს ვინმეს ან რაიმეს მიაკუთვნებს. თავდაპირველად ვის მიაკუთვნებს თავს პატარა ბავშვი? დედას, ან იმას ვინც მას ზრდის. შემდეგ იგი თანდათან მიაკუთვნებს (და ამავე დროს, მიიკუთვნებს) თავს მამას, ბებია-ბაბუებს, და-ძმებს, ოჯახს. ბავშვის ზრდასა და სოციალურ განვითარებასთან ერთდ მიკუთვნებულობის წრე ფართოვდება. ადამიანი თავს მიაკუთვნებს თავის გვარს, უბანს, სოფელს, კუთხეს, ერს. პიროვნული განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე შეიძლება ადამიანმა თავი მიაკუთვნოს კაცობრიობას. ასეთია მიკუთვნებულობის შეგნების განვითარების დინამიკა და არანაირი აღმზრდელობით მექანიზმი არ არსებობს საიმისოდ, რომ ადამიანმა თავი პირდაპირ კაცობრიობას მიაკუთვნოს. ლიბერალების აზრით, ორგანიზებული აღზრდის გარეშე, სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების ზეგავლენითა და პოლიკულტურულ გარემოში ცხოვრების გამოცდილებით ადამიანები თავისთავად გახდებიან მსოფლიოს მოქალაქეები. ვერ გახდებიან! ჯოგად გადაქცევა კი შესაძლებელია!

აღზრდის კონცეფციის დამუშავება სერიოზულ მეცნიერულ მიდგომას საჭიროებს. პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ის ეროვნულ-სოციალური დაკვეთა, რაც აქტუალურია დღეს და აქტუალური იქნება უახლოეს მომავალში.

ჩემი აზრით, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის აღზრდასა და სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებას, რასაც ყოველნაირად თრგუნავდა ავტორიტარული რეჟიმები, რაც ტრადიციულად გაბატონებული იყო ჩვენში. ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა იმდენად კონკურენტუნარიანი პიროვნების აღზრდაზე, რამდენადაც კონკურენტუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, აღზრდის სისტემა ჩვენში უნდა მიუბრუნდეს კოლექტივისტის აღზრდის უკვე დავიწყებულ მეთოდებსა და პრაქტიკას. კოლექტივიზმის, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტის გაუაზრებელმა გინებამ, საფუძვლიანად დაგვავიწყა ის, რომ საზოგადოება დიდი მასშტაბის კოლექტივია და სამოქალაქო შეგნების რეალიზაცია ამ კოლექტივის გარეშე არაეფექტური, უფრო კი, შეუძლებელია.

სასკოლო აღზრდის სისტემაში უსათუოდ უნდა მოიაზრებოდეს ბავშვთა



ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანდებიან სპორტული, კულტურულ-სახელოვნებო, სამეცნიერო-შემეცნებითი თუ სხვა სოციალურად მისაღები, ინტერესების შესაბამისად.

აღმზრდელობით საქმიანობას სკოლაში უნდა ჰქონდეს არა კამპანიური, არამედ სისტემური ხასიათი, ისევე როგორც სასწავლო მუშაობას, რადგან პიროვნების სოციალიზაციის ხარისხი დიდწილად სწორედ მასზეა დამოკიდებული.

სერიოზულ რეფორმირებას მოითხოვს პედაგოგიური კადრების მომზადების საქმე.

დიდი ხანია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები მასწავლებლებს აღარ ამზადებენ. უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში დარჩა მხოლოდ დაწყებითი განათლების პედაგოგთა მომზადების ჯგუფები. ჩვენს განათლების რეფორმატორებსა და სისტემის მესვეურებს მიაჩნდათ (იქნებ ახლაც მიაჩნიათ?), რომ მასწავლებლობა ისეთი სერიოზული პროფესია როდია, რომელსაც საგანგებო საუნივერსიტეტო მომზადება სჭირდება. მოვა მასწავლებლობის მოსურნე ვინმე მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ანდა სულაც ეკონომისტი, იურისტი ან აგრონომი, გაივლის ორკვირიან (მაქსიმუმ, ერთთვიან) ტრენინგს და მასწავლებელიც მზად არის! ასეთი იყო და ჯერაც არის ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა განათლებაში.

ეს არ არის რეალისტური მიდგომა. მასწავლებლობა ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა, რომელიც სულაც არ უთანაბრდება ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინის ცოდნას. ახლა იმის ახსნას არ დავიწყებ, რომ სწავლება მოსწავლეზე ზეგავლენის პროცესია და ამ ზეგავლენის ეფექტზეა დამოკიდებული სწავლებისა და სწავლის ხარისხი; პიროვნებაზე ზეგავლენა კი მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მასწავლებელმა კარგად იცის ამ ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები (ასეთი ბევრია!), ურთიერთობის ტექნოლოგია, მისი მიმართება მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან, კოლექტიური და ინდივიდუალური ათვისების პირობები და ა. შ. და ა. შ. ზოგადად თუ ვიტყვით, მასწავლებელმა უნდა იცოდეს განვითარების ის ლოგიკა, რაც საფუძვლად უდევს არცოდნიდან ცოდნისაკენ მიმავალ გზაზე მოსწავლის სოციალურ და ინტელექტუალურ ჩამოყალიბებას. ყველა ეს ცოდნა მოქცეულია ისეთ სასწავლო დისციპლინებში, როგორიც არის ზოგადი და სპეციალური პედაგოგიკა, ზოგადი და ასაკობრივი ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, სწავლებისა და აღზრდის მეთოდიკები; ამ საგნების შესწავლა პედაგოგიური პროფილის განმსაზღვრელ საგანთან (მათემატიკა, ლიტერატურა, ისტორია, ქიმია და ა. შ.) ერთად, ქმნის მასწავლებლის პროფესიული ცოდნის სისტემას. ამიტომ, ჩემი აზრით, მომავალი რეფორმის კონცეფციაში თავისი ადგილი უნდა დაიკავოს სამასწავლებლო-პედაგოგიურმა უმაღლესმა სასწავ-

ლებელმა, რაც შექმნის იმის პირობებს, რომ მასწავლებელთა კადრების მომზადებას სისტემური ხასიათი მიეცეს და იგი დამოკიდებული არ იყოს რაღაც მოკლევადიან და უსისტემო ტრენინგებზე.

სარეფორმო სტრატეგიაში ასევე საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს განათლების მართვისა და ორგანიზაციის პრობლემას.

ვფიქრობ, აუცილებელია დაბრუნდეს განათლების მესვეურთა ცნობიერებაში ის შეგნება, რომ საგანმანათლებლო საქმის მართვას ორმაგი შინაარსი აქვს – ადმინისტრაციული და მეთოდიკური. ბოლო ათწლეულში სკოლის მეთოდიკური მართვა არა მარტო უყურადღებოდ იყო მიტოვებული, არამედ იგი დაივიწყეს კიდეც. განათლების მესვეურები ბოლო ათწლეულში ბეჯითად ავიწყებდნენ პედაგოგიურ (და არაპედაგოგიურსაც!) საზოგადოებრიობას იმას, რომ სასკოლო განათლების სის-ტემა ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმია, რომელიც მხოლოდ უცხოეთიდან პერიოდულად გამოგზავნილი რეკომენდაციებით ვერ იარსებებს. ამ განვითარების სწორად და ეფექტიანად წარმართვა მეთოდიკური უზრუნველყოფით არის შესაძლებელი და ეს მეთოდიკური არსენალი სასკოლო განათლების განვითარების შინაგანი ლოგიკით არის ნასაზრდოები. ის მოწინავე უცხოური მეთოდიკური თეორიები თუ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომლის გაზიარებაც მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული, მხოლოდ ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისი ტრანსფორმაციის შემდეგ უნდა დაინერგოს. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მომავალმა რეფორმამ აუცილებლად უნდა აღადგინოს მეთოდიკური სამსახური განათლების სისტემაში და მიანიჭოს მას სასწავლო პროცესის მართვისა და მონიტორინგის ფუნქცია.

მიმაჩნია, რომ შესაცვლელია სკოლის ორგანიზაციისა და მართვის ახლანდელი პრინციპი. არა მგონია, სკოლის დირექტორის არჩევა პედაგოგთა საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით, ყველაზე კარგი ვარიანტი იყოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უმრავლესობა ყოველთვის როდი ღებულობს რაციონალურ გადაწყვეტილებას და, მეორე, ის, რომ ჩვენ სხვა ტრადიციებისა და მენტალიტეტის მატარებელი საზოგადოება ვართ და დიდი მოწადინების მიუხედავად, დღემდე ვერ ვახერხებდით ჩვენ მიერ არჩეული ხელმძღვანელის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ სკოლის დირექტორის კანდიდატურა ამ სკოლის პედაგოგთა წრიდან იქნება შერჩეული, მაგრამ იგი უნდა დანიშნოს ზემდგომმა მართვის ორგანომ. მისი ერთპიროვნული ძალაუფლება კი უნდა დაბალანსდეს პედაგოგიური საბჭოს მიერ, რომელსაც მართვის უმაღლესი ორგანოს ფუნქცია მიენიჭება. სამეურვეო საბჭოები კი იმ სახითა და შინაარსით, როგორც ეს დღეს არის, აბსოლუტურად არაეფექტიანია.



სკოლის მართვაში საზოგადოების ჩართულობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მშობელთა საბჭოების (ან მზრუნველთა საბჭოების) შექმნითა და ფუნქციონირებით.

სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ის ნორმატიული დებულება, რომ სკოლის დირექტორი აირჩევა 6 წლის ვადით და მას უფლება აქვს მხოლოდ ორჯერ იქნას არჩეული (ე. ი. 12 წლის ვადით). სკოლის დირექტორს, თუ ის ღირსეული დირექტორია, უნდა ჰქონდეს საშუალება, სრულიად გარკვეული ტრადიცია დაამკვიდროს სკოლაში, რაც განსაზღვრავს ამ სკოლის ორიგინალურ სახეს. აღზრდის სისტემაში კი ტრადიციებს (მათ შორის სკოლის ტრადიციასაც!) დიდი აღმზრდელობითი ზეგავლენა აქვს. ამიტომ, სასკოლო ტრადიციების შექმნასა და განვითარებას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი. განათლების მუშაკებმა კარგად იციან, რომ ამ ბოლო ათწლეულში მიზანმიმართულად და ინტენსიურად მიმდინარეობდა სასკოლო ტრადიციების ნგრევისა და წაშლის პროცესი.

ჯერ კიდევ არის შანსი იმისა, რომ გონივრული, დასაბუთებული რეფორმის შედეგად ჩვენი სასკოლო განათლების სისტემა გამოვიდეს იმ კრიზისიდან, რომელიც მას კატასტროფისაკენ მიაქანებს. სასკოლო განათლების კრახი კი ეროვნულ კრახად იქცევა, რადგან ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს.



გულბად ამირანაშვილი

## ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური

1945 წლის 11 აპრილს, ისტორიული ამბავი მოხდა თბილისის აეროპორტში. იმ დღეს, ერთი მეორის მომდევნოდ დაეშვა პარიზიდან მომავალი სამი თვითმფრინავი. ერთ-ერთის კარებში გამოჩნდა ქართველი მამულიშვილი, 82 წლის მოხუცი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 წ. 26 მაისიდან 1921 წ. 24 თებერვლის ჩათვლით) მთავრობის წევრი, ქართული ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი.

პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ექვთიმე თაყაიშვილი სხვისი დახმარების გარეშე გადმოვიდა თვითმფრინავიდან, ორივე ხელი აღაპყრო ზეცისკენ და გულიდან ამოხეთქილი სიტყვები წარმოთქვა: „მე მოვიხადე ვალი საქართველოს წინაშე“. შემდეგ, მისი უფროსი მეგობრის, აკაკი წერეთლის სიტყვები გაიხსენა: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო...“.

ექვთიმე თაყაიშვილის მომდევნოდ თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები: შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია. მათ პირნათლად აღასრულეს ქართველი ხალხის ოცნება: პარიზიდან თბილისში ჩამოიყვანეს ექვთიმე თაყაიშვილი და ჩამოიტანეს ქართველი ერის კუთვნილი საგანძური.

გადავხედოთ წარსულს: ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით 1921 წლის 10 მარტს სახელმწიფო მნიშვნელობის ფასეულობასა და დოკუმენტურ მასალებთან ერთად ბათუმიდან საფრანგეთში გატანილ იქნა სამუზეუმო განძეულობაც, რომლის მეთვალყურედ დანიშნული იყო პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი. იგი პირნათლად ემსახურა ქართველი ხალხის ისტორიული საუნჯის ხელშეუხებლობასა და მის 24-წლიან ევროპულ ემიგრაციას.

ქართული სამუზეუმო განძეულობის გატანა-შემოტანის შესახებ დაწერილია მრავალი სტატია; შექმნილია მეცნიერული და ლიტერატურული ნაშ-



რომები; გადაღებულია დოკუმენტური ფილმებიც; ექვთიმე თაყაიშვილს ხშირად ვიხსენებთ რადიო და სატელევიზიო გადაცემებით. ამ ინფორმაციებში მხოლოდ გაკვრით არის ნათქვამი: „ქართული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში გაგზავნეს შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია“.

ჩვენ საზოგადოებაში დღემდე გაურკვეველია: ქართული ეროვნული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში რატომ გაგზავნეს მაინცდამაინც შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია; რატომ და ვინ შეაჩერა არჩევანი ხელოვნებათმცოდნეზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღების გარემოებები უცნობია პოლიტიკური და სამეცნიერო საზოგადოებისათვის, და საერთოდ, ქართველი ხალხისთვის. ამიტომ დავისახეთ მიზნად წარმოვადგინოთ აქამდე უცნობი საისტორიო მასალა, თუ რატომ გაიგზავნენ სწორედ ისინი ქართველი ერის კუთვნილი საგანძურის საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში გატანილი ქართული განძის მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი წერილს წერილზე აგზავნიდა საქართველოში, რათა მთავრობას დროზე მიეღო სათანადო ზომები სამუზეუმო ისტორიული ნივთების სამშობლოში დასაბრუნებლად. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ არ უპასუხა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოგზავნილ არც ერთ წერილს, რადგანაც XX ს-ის 30-იან წლები არ ჩათვალა ხელსაყრელ პერიოდად განძის დაბრუნებისათვის.

1935 წლის 9 აპრილს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის, ბატონ ვუკოლ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი იტყობინება, რომ მარსელის ბანკში ქართული სამუზეუმო საგანძურის შენახვისათვის დაწესებული თანხის გადაუხდელობის გამო 1935 წლის აპრილში საფრანგეთის მთავრობამ ქართველი ერის კუთვნილი ისტორიული ნივთები გამოაცხადა უპატრონო ქონებად და მისი სრული კონფისკაცია მოახდინა.

ამავე 1935 წლის ბოლოს, მარსელის სახელმწიფო ბანკიდან ქართული განძეულობა გადატანილ იქნა პარიზში, ნაციონალურ სათაო ბანკში. საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე პარიზის ბანკის მოხელეებმა დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო და სამუზეუმო ბეჭდებით დალუქული ყუთები გახსნეს (რის ნებაც და უფლებაც მათ არ ჰქონდათ) და შეადგინეს უკანონოდ ხელში ჩაგდებული ქართული ეროვნული საგანძურის „ფრანგული“ აღწერილობა. საქართველოს კუთვნილი ეროვნული საგანძურის „ფრანგული“ სიის შედგენაში მონაწილეობა არ მიაღებინეს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის არც ერთ წევრს, მათ შორის არც ქართული განძის პასუხისმგებელ მეთვალყურეს ექვთიმე თაყაიშვილს, და ეს უკვე იმ მიზეზის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობა

1935 წლის აპრილიდან საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის საკუთრებად მიიჩნევდა ქართულ განძეულობას. კონფისკაციის საფუძველს წარმოადგენდა იმ ვალის გადაუხდელობა, რაც დაუგროვდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას მთელი ცამეტი წლის განმავლობაში. ეს იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ მარსელის ბანკში ქართული განძეულობის შენახვისათვის დაკანონებული პროცენტული განაკვეთი, ამ ცამეტწლიანი გადაუხდელობის გამო, თანხური რაოდენობით გაუთანაბრდა ბანკში ჩადებულ ნივთთა შეფასების თანხას. საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის კანონის საფუძველზე საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას 1935 წლის აპრილიდან ჩამოერთვა კანონიერი უფლება ქართული განძის საკუთრებაზე. ამ წლიდან კონფისკაციაქმნილი ქართული განძეულობის მდგომარეობის შესახებ ვერავითარ ცნობებს ვერ იღებდა მისი მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი.

1935 წლის აპრილიდან ექვთიმე თაყაიშვილი განიცდიდა დიდ წუხილსა და საშიშროებას, რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქართველი ერის ისტორიული საგანძური კომერციული გარიგების მსხვერპლი არ გამხდარიყო. საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ ქართული განძის კონფისკაციამდე, ე. ი. 1935 წლამდე, მსოფლიოს შეძლებული კოლექციონერები და ევროპის მდიდარი მუზეუმები ქართული განძის მაღალი ფასით შესყიდვის სურვილს გამოხატავდნენ და ამის განსახორციელებლად მზად იყვნენ ქართული ნივთების გამოსასყიდი თანხა სრულად დაეფარათ. 1935 წლამდე ქართული საგანძურის უიარაღო მცველი მტკიცე უარით ისტუმრებდა ყოველ მოვაჭრეს და პასუხობდა: „ქართული ისტორიული განძი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებას და ყოველი ყუთი დალუქულია საქართველოს სახელმწიფო და სამუზეუმო ბეჭდებით; მე კი, განუმარტავდა მათ ჩვენი პატრიოტი თანამემამულე, ამ ნივთებზე მცველმეთვალყურის მოვალეობას ვასრულებ და მესაკუთრის უფლებით არ ვარ აღჭურვილი“.

1935 წლის აპრილიდან 1943 წლის დეკემბრის ჩათვლით ქართული ნივთები ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბანკში. 1944 წლის იანვარში (მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ მძვინვარებდა ფაშიზმი და გერმანელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის: „ქართულ განძზე დაუფლების“ მცდელობის თავიდან აცილების მიზნით), საფრანგეთის მთავრობამ ქართული განძეულობა ბანკიდან ვერსალის სასახლის საცავში გადამალა.

საომარი მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა 1944 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება ფაშიზმისაგან. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1944 წლის ოქტომბერში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, „მეტეხის“ დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა



ამირანაშვილი იმყოფებოდა მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. აკადემიის ჯიხურში შეძენილი ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთიდან მან შეიტყო, რომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი ვიზიტად ეწვეოდა მოსკოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ ი.ბ.სტალინთან შეხვედრის მიზნით.

ამ ინფორმაციამ შალვა ამირანაშვილი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობის წინაშე დააყენა. მისი მართებული მოსაზრებით, ქართველი ხალხის კუთვნილი საგანძურის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი უნდა დასმულიყო და გადაწყვეტილიყო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერთა შეხვედრის დროს. მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ უმაღლეს დონეზე იყო შესაძლებელი ქართველებისათვის საჭირბოროტო საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტა. აუცილებლობამ მოითხოვა, საფრანგეთიდან საქართველოში ქართული ისტორიული განძეულობის გადმოტანის შესახებ ი. სტალინი მოლაპარაკებოდა გენერალ შარლ დე გოლს. ამასთან, ისიც იყო გასათვალისწინებელი, რამდენად მართებულად მიიჩნევდა ი. სტალინი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული პრობლემების მხარდამხარ აღეძრა საკითხი, 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მთავარი მაინც იყო ის, რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი აღარასოდეს დადგებოდა; და, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა მომავალში! შექმნილ სიტუაციას აუცილებლად გამოყენება სჭირდებოდა, თუნდაც, მყისეულად წარმოქმნილი წინაღობების შემთხვევაში.

საგაზეთო ინფორმაციის მიღების დღესვე, სასტუმრო „მოსკვა“-ს ერთ-ერთ ნომერში შალვა ამირანაშვილმა შეადგინა თხოვნა ი.სტალინის სახელზე:

Верховному Главнокомандующему Советского Союза
Маршалу Сталину Иосифу Виссарионовичу

Прошу Вас, во время встречи с Председателем правительства Франции генералом Шарлем Де Голем, затронуть вопрос о возвращении в Грузию, принадлежащих грузинскому народу музейных исторических ценностей, вывезенных во Францию в 1921 году.

С глубоким уважением
Амиранашвили Шалва Ясонович,
Член-корреспондент Академии Наук СССР,
Директор Музея искусств «Метехи» Грузинской ССР.
22 октября 1944 г.

თარგმანი:

**საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალს**
**მარშალ სტალინს იოსებ ბესარიონის-ძეს**

**გთხოვთ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან, გენერალ შარლ დე გოლთან შეხვედრის დროს აღძრათ საკითხი, საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრების, ისტორიული სამუზეუმო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ.**

**უღრმესი პატივისცემით**
**ამირანაშვილი შალვა იასონის-ძე,**
**საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის**
**წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ**
**ხელოვნების მუზეუმ „მეტეხი“-ს დირექტორი.**
**1944 წლის 22 ოქტომბერი.**

თხოვნა, შედგენილი ერთ ეგზემპლარად, მოთავსებული გახსნილ კონვერტში, ჩაიბარა კრემლის კომენდატურამ 1944 წლის 22 ოქტომბერს.

ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ იმ წერილებს, სადაც წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეებთან დაკავშირებული საკითხები, თავდაპირველად ეცნობოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი. შ. ამირანაშვილის თხოვნაში აღძრული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ი. სტალინის პრეროგატივას. ამიტომ მისი თხოვნა იმავე დღეს მოხვდა ი. სტალინისათვის შესაგზავნ ფოსტაში.

მართლაც, ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ 1944 წლის 16 ნოემბერს, იხსენებდა შ. ამირანაშვილი, ის გამოიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კ. ნ. ჩარკვიანთან, რომელმაც მას გააცნო მოსკოვიდან მიღებული ინფორმაცია. მან განუმარტა შ. ამირანაშვილს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო სათანადო დადგენილება საფრანგეთიდან ქართული განძეულობის დაბრუნების შესახებ. სავსებით ცხადი გახდა, რომ შ. ამირანაშვილის 1944 წლის 22 ოქტომბრის მიმართვის გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ დასახა ქართული ეროვნული განძის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნება. საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1944 წლის ნოემბრის დასაწყისში მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამიტომ იქნა გამოძახებული ამ საქმის წამომწყები შ. ამირანაშვილი 1944 წლის 16 ნოემბერს საქართველის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კ. ნ. ჩარკვიანთან, რომელიც კრემლის მიერ ინფორმირებული იყო ამ საქმის შესახებ.



„ქართული საგანძურის ჩამოსატანად საფრანგეთში უნდა გაემგზავროთ თქვენ, შალვა იასონის ძევ“, უთხრა მას კანდიდ ჩარკვიანმა და დაუმატა: „თქვენთან ერთად საფრანგეთში წამოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, ამხანაგი პეტრე შარია. ორივენი, კრემლის კანდიდატურები ხართ, და არ ექვემდებარებით შეცვლას“, დაასრულა სათქმელი კ.ნ. ჩარკვიანმა.

შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია შეუდგნენ მზადებას, ჯერ მოსკოვში, იქიდან კი საფრანგეთში გასამგზავრებლად. დასახული მისიის განსახორციელებლად შ. ამირანაშვილმა იხელმძღვანელა ე.თაყაიშვილის 1935 წლის 9 აპრილით დათარიღებული წერილით (ე.თაყაიშვილის ეს წერილი ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). წერილში მეცნიერი იტყობინებოდა, რომ მის დაუსწრებლად და საერთაშორისო კანონიერების გვერდის ავლით, პარიზის ნაციონალური ბანკის მოხელეების მიერ გახსნილ იქნა საქართველოს საგანძურით დატვირთული ყუთები და შეადგინეს შიგთავს ნივთთა „ფრანგული“ აღწერილობა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებლად იქნა მიჩნეული, რომელიმე ქართული ისტორიული ნივთის დაკარგვა. ამიტომ, პირველ ყოვლისა, შ. ამირანაშვილმა მიზნად დაისახა საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო ნივთების სიის აღდგენა. ახალი სიის შედგენაში, იხსენებდა ჩემთან საუბრებში შ. ამირანაშვილი, „გამომადგა სტუდენტობის დროს, საბჭოთა მთავრობის დავალებით 1921 წლის მეორე ნახევარში შესრულებული სამუშაო, რომელიც ეხებოდა საფრანგეთში გატანილი და საქართველოში დარჩენილი სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაციას, სრული და მთლიანი აღწერილობის თანდართვით. მე მაშინ ვასრულებდი ტექნიკური მდივნის მოვალეობას“. ამის საფუძველზე სპეციალურად მომზადებულ იქნა საფრანგეთში გატანილი ნივთების ხელახალი სია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. შ. ამირანაშვილის მიერ აღნუსხული ქართული საგანძური წარმოადგენდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სამხატვრო ეროვნული გალერეის, საქართველოს მუზეუმისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა კუთვნილ კოლექციებს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ 1944 წლის ნოემბრის დასაწყისში მიღებული დადგენილების გათვალისწინების საფუძველზე, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი 1944 წლის 23 ნოემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ა.ე. ბოგომოლოვს. ე. თაყაიშვილმა ა. ე. ბოგომოლოვს გადასცა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ შარლ დე გოლის სახელზე შედგენილი თხოვნა-წერილი, ქართველი ერის საგანძურის საფრანგეთის სათაო ბანკის მფლობელობისაგან დახსნისა და საქართველოში გასაგზავნად მომზადების ხელშეწყობის შესახებ.

ამრიგად, საფრანგეთიდან ქართული განძის დაბრუნების საკითხი გადაწყდა შალვა ამირანაშვილის მიერ 1944 წლის 22 ოქტომბერს ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ თხოვნა-წერილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1944 წლის 23 ნოემბერს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ შარლ დე გოლის სახელზე გაგზავნილი თხოვნა-წერილის საფუძველზე.

მასწავლებლისა და მისი მოწაფის, ექვთიმე თაყაიშვილისა და შალვა ამირანაშვილის ისტორიულ-პოლიტიკურმა ბრძოლამ ორ ფრონტზე ქართველი ხალხისათვის სასურველი შედეგი გამოიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში მოსკოვში ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი შარლ დე გოლი, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ იოსებ სტალინთან. სათანადო მოლაპარაკების შედეგად 1944 წლის 10 დეკემბერს დადებულ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა სახელმწიფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის „კავშირისა და ურთიერთდახმარების“ შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ამ საქმის წარმოების სრული უფლებით აღჭურვილებმა: საბჭოთა კავშირის მხრიდან მოლოტოვმა, ხოლო საფრანგეთის მხრიდან ბიდომ. ხელშეკრულების სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს, გაზეთ „იზვესტიის“ 293-ე ნომერში.

შ. ამირანაშვილის და პ. შარიას ფრანგული მისია 1944 წლის 27 დეკემბერს მოსკოვში ჩაფრენით დაიწყო. იქ ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს. მან მოკლედ ჩამოაყალიბა საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანი. აღნიშნა ისიც, რომ „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ჩემი თანდასწრებით მოელაპარაკა შარლ დე გოლს და მიიღო მისგან დაპირება ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების შესახებ“. **აი, რა იყო ქართული განძეულობის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების ძირითადი საფუძველი!**

„საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური განკარგულებით, საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ კონფისკაციაქმნილი ქართული საგანძური (უკლებლივ ყველა ნივთი) ყოველგვარი გამოსყიდვისა და გადასახადის გარეშე, 1944 წლის დეკემბრის თვის მეორე დეკადის დღეებში დაუბრუნდა მის ისტორიულ მესაკუთრეს. ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული განძი გადატანილია საბჭოთა კავშირის საელჩოში და ვიზირებულია საქართველოში წასაღებად“, განმარტა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა. „მინდა ისიც აღვნიშნო“, განაგრძო მან, „საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი, მისთვის დამახასიათებელი პატრიოტული სულისკვეთებით წარმოადგენს მსოფლიო ინტერნაციონალიზმის უმაღლეს გამოვლინებას“.



მცირეოდენი პაუზის შემდეგ სიტყვა ითხოვა შ. ამირანაშვილმა და მიმართა ვ. მ. მოლოტოვს:

— ვიაჩესლავ მიხეილის ძევ, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი თაოსნობდა საქართველოდან საფრანგეთში ქართული ისტორიული განძის გატანას 1921 წელს. იმ წლიდან მოყოლებული, ე. ს. თაყაიშვილი მეთვალყურეობდა ქართველი ერის საგანძურს, ხშირად, მისი სიცოცხლის ფასადაც. ახლა, 82 წლის მოხუცის საზღვარგარეთ დატოვება, მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება. ნება მიბოძეთ გთხოვოთ, შესაძლებლად ჩათვალოთ ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნება საქართველოში. ოღონდ ერთი პირობით: ე. ს. თაყაიშვილი სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურად გარანტირებული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს; ხელშეუხებელი უნდა იყოს მისი სიცოცხლე და თავისუფალი სამეცნიერო მოღვაწეობა.

— ირწმუნეთ ორივემ, შალვა იასონის ძევ და პეტრე ათანასის ძევ, რომ ასეთი გარანტია ამ წუთიდანვე უკვე აქვს ექვთიმე სიმონის ძეს. ჰმ, მიფრინავთ ორნი და ჩამოფრინდებით სამნი, ან თუნდაც მეტნი, რასაკვირველია, ქართულ განძთან ერთად! — ღიმილით დაადასტურა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა.

1945 წლის იანვარში შ. ამირანაშვილი და პ. შარია ჩაფრინდნენ პარიზში. აეროპორტში მათ დახვდნენ რუსი მასპინძლები და მიიყვანეს საბჭოთა კავშირის საელჩოში. ქართველ ემისრებს გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ა.ე. ბოგომოლოვი, რომელმაც თავის მხრივ სავსებით ნათლად განუმარტა მათ, რომ „საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური ბრძანების საფუძველზე პარიზის ნაციონალური ბანკის მიერ 1935 წელს კონფისკაციაქმნილი ქართული საგანძური უსასყიდლოდ გადაეცა მის კანონიერ მფლობელს, ქართველ ხალხს. საფრანგეთის მთავრობისაგან სათანადო წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული საგანძური გადმოტანილ იქნა საბჭოთა კავშირის საელჩოში“.

„იმ საღამოსვე, მე და პეტრე, შევხვდით ჩვენს უძვირფასეს მამულიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს“, ღიმილით გაიხსენა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილმა. „შეხვედრისთანავე, აღფრთოვანებულმა ჩემმა მასწავლებელმა შემომძახა: „როგორ დაბერებულხარ, შალვა, ძლივს გიცანი!“. გულაჩუყებულმა სამმა ქართველმა ერთმანეთს ღიმილი შეაგებეს.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, იგონებდა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით შევუდექით საფრანგეთის ბანკის მიერ დალუქული ყუთების გახსნას და მათში მოთავსებული ქართული განძეულობის ხელახალ რეგისტრაციას. რაც მნიშვნელოვანი და მთავარია, ყუთები და ერთი ფუთა-შეკვრა სრულად იყო წარმოდგენილი და

მათში არსებული საგანძური უკლებლივ იყო დაცული. ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის მთლიანობა და ხელშეუხებლობა თვალნათლივ მოწმობდა მისი მეთვალყურის ე. თაყაიშვილის ჭეშმარიტ მამულიშვილობასა და სიცოცხლის ფასთან გაიგივებულ თავდადებას, მიუხედავად აუტანელი სიდუხჭირისა და უკიდურესი ხელმოკლეობისა, რასაც მეცნიერი განიცდიდა თითქმის ყოველთვის, და მეტწილად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ოცდაოთხი წლის (1921 წ. თებერვლიდან 1945 წ. იანვრის პირველი ნახევრის ჩათვლით) შემდეგ ქართული ეროვნული საგანძურის ხელახალი ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, და ასევე, გულის სიღრმიდან ამოდუღებულ სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა ჯანსაღი სულით ღვთისაგან დაჯილდოებული 82 წლის მხნე მოხუცი, საგანძურის უცვლელი გუშაგი და მუდმივი მეთვალყურე ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი.

თითქმის თვენახევრის განმავლობაში, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით შალვა ამირანაშვილმა და პეტრე შარიამ დაადასტურეს ქართული განძეულობის სრულყოფილი შედგენილობა. ჩატარდა ნივთების ახალი აღწერა, ძველი და ახალი სიების თანხვედრილობამ, სიზუსტის თვალსაზრისით, ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. თვალებგაბრწყინებული ბატონი ექვთიმე ახალი სიცოცხლით ივსებოდა, შეუმჩნევლად განიცდიდა მომეტებულ სიხარულსა და აღფრთოვანებას. შალვა და პეტრე თვალანთებულნი შესცქეროდნენ სასიამოვნო მოხუცის თავდადებული ღვაწლის ნაყოფს. 1945 წლის მარტის დასაწყისისთვის ქართული საგანძური მთლიანად აღწერილი, მაღალხარისხოვნად შეფუთული და სრულად გამზადებული იყო საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის ა. ე. ბოგომოლოვის თხოვნის საფუძველზე, მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა გამოყო „დუგლასის“ ფირმის თვითმფრინავები ქართული განძის თბილისში ჩასატანად. ამ ინიციატივის წინააღმდეგ ერთსულოვნად წავიდნენ შ. ამირანაშვილი და პ. შარია. მათ მოითხოვეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა თვითმფრინავები. ელჩი დაეთანხმა ქართველთა წინადადებას და ეს მოთხოვნა დაუყონებლივ აცნობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს.

ომის ცეცხლგადატანილი ქვეყნიდან წამოსული „ილ—14“ ტიპის თვითმფრინავები მხოლოდ 4 აპრილს დაეშვნენ პარიზთან ახლომდებარე ორლის აეროპორტში. საქართველოში გასაგზავნი საგანძური საელჩოს სპეციალური მანქანებით ღამის განმავლობაში გადატანილ იქნა აეროპორტში. ქართული საგანძურით დაიტვირთა ორი თვითმფრინავი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში გასაგზავნი ტვირთი მოთავსდა მესამე თვითმფრინავში, რომელიც თბილისში დაფრენის შემდეგ გზას მოსკოვისკენ გააგრძელებდა.

1945 წლის 5 აპრილს, პარიზში ყოფნის რამდენიმე საათიღა ჰქონ-



დათ დარჩენილი ბატონებს — ექვთიმეს, შალვასა და პეტრეს. გაზაფხულის დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა ევროპის გულში და ქალაქს დღის სიცოცხლის მონოტონური რიტმი მომატებული ძალღონით ედებოდა. საელჩოს მიერ მორთმეული მანქანიდან მათ უკანასკნელად შეავლეს თვალი დიდებულ პარიზს, არქიტექტურული ხელოვნების უნიკალურ ქმნილებას, ნოტრ-დამსა და შედევრად აღიარებულ რკინის ჩონჩხს, ეიფელს... მათ თვალწინ უჩვეულო სისწრაფით გარბოდნენ მხოლოდ პარიზის სილამაზისათვს დამახასიათებელი დიდფანჯრებიანი ფასადები, აუარებელი სკვერები და ბაღები, კაფეები და ბისტროები, გაზეთებით შეფენილი ჯიხურები და ქუჩის მხატვართა მიერ აფერადებული ტილოები; მარადიულ სიყვარულს აღვივებდნენ დილის ქალაქის ქუჩებში მოსეირნე პარიზელთა ღამენათევი წყვილები...

მომეტებული გულისძგერითა და ცრემლით სავსე თვალებით ექვთიმე თაყაიშვილი ემშვიდობებოდა მის ოცდაოთხწლიან სიცოცხლეს პარიზში, ემშვიდობებოდა ერთხანს ქართული საგანძურის დამცველ ვერსალის სასახლეს, ემშვიდობებოდა თითქმის მშობლიურ ლევილს, ემშვიდობებოდა იქ განსვენებულ ყოველ ქართველს, ემშვიდობებოდა ფრანგულ მიწას მიბარებულ მის უმშვენიერეს მეუღლესა და ცხოვრებისეულ თანამებრძოლს, ნინო პოლტორაცკაიას!

ორლის აეროპორტში მანქანიდან გადმოსული ექვთიმე თაყაიშვილი ერთხანს შეჩერდა და ფეხი ვეღარ გადადგა.

— როდესაც ე. თაყაიშვილმა ფეხი შედგა ტრაპზე, მესაუბრებოდა შ. ამირანაშვილი, ბატონმა ექვთიმემ ღიმილნარევი სევდით თვალებში შემომხედა და მითხრა: „ეს ჩემი პირველი მგზავრობაა აეროპლანით... და ალბათ უკანასკნელიც!“

1945 წლის 5 აპრილს, აეროპორტ ორლიდან ერთმანეთის მიყოლებით (ნახევარსაათიანი ინტერვალის დაცვით) აფრინდა სამი თვითმფრინავი „ილ-14“ და მათ გეზი საქართველოსაკენ აიღეს, მარშრუტით: რომი—ბენგაზი—კაირო—თეირანი—თბილისი.

— თვითმფრინავში, სიხარულის განცდასთან ერთად, სევდაც შემოერია ბატონ ექვთიმეს, განაგრძო ჩემთან საუბარი შ. ამირანაშვილმა. — შვილებო! — მოგვმართა, — ძალზე მოხუცი ვარ და გზაში თუ რაიმე ხიფათი შემემთხვა, სადმე უცხოეთის მიწაში არ ჩამტოვოთ! მკვდარი ჩამიტანეთ თბილისში და მშობლიურ მიწას მიმაბარეთ!

ამ სიტყვების მოსმენისთანავე ბატონმა პეტრემ მოხერხებულად შემოდგა ქართული კონიაკი სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე. სასიამოვნოდ მომღიმარმა რუსმა სტიუარდესამ ქართველებს ჭიქები დაუწყო. ჩამოასხეს კონიაკი და ბატონ ექვთიმეს დიდი ხნის სიცოცხლე უსურვეს.

— მე და პეტრემ, გაიხსენა შ. ამირანაშვილმა, კონიაკი რუსულად გადა-

ვკარით, ხოლო ბატონი ექვთიმე ევროპულად აგემოვნებდა ამ დიდებულ სასმელს და ტუჩებზევე სიამოვნებით იშრობდა.

ჩვენს ძვირფას ექვთიმე თაყაიშვილს მთელი გზა ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული მცირე ზომის ყუთი, სადაც მოთავსებული იყო ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელი ისტორიული ნივთი. ეს იყო თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც ახლა ემიგრაციაგამოვლილ სხვა ნივთებთან ერთად შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ყოველი ჩვენგანის უცილობელი ვალია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოინახულოს სახელოვანი მეფე-ქალის თამარის რვაასწლოვანი ჯვარი, რომელიც სამუზეუმო განძთან ერთად 1921 წელს გატანილ იქნა საფრანგეთში და 1945 წელს უვნებლად დაუბრუნდა საქართველოს, ჩვენი ძვირფასი თანამემამულის, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით.

საუკუნო ხსენება და დიდება ქართველი ხალხის ეროვნულ შვილს, წმინდანად აღიარებულ ღმრთისკაცს, ექვთიმე თაყაიშვილს!

ა მ ი ნ !

ლიტერატურა:

*შ. ამირანაშვილი,* საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, პირველი გამოცემა, თბ., 1968; მეორე გამოცემა, თბილისი, 1978.

*გ. ჟორდანია,* დაბრუნებული საუნჯე, თბილისი, 1984.

თინა ივելაშვილი

## მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია

### 1. ახალქალაქის მაზრა

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნება-არდაბრუნების პრობლემა ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობის შესაბამისად, ეს საკითხი ხან გააქტიურდება, ხან მინელდება. ამ ბოლო დროს გარკვეულმა წრეებმა მასზე ყურადღება კვლავ გაამახვილეს და საერთაშორისო კონფერენციაც კი მიუძღვნეს.

არსებული წერილობითი წყაროების, სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, დოკუმენტების, საარქივო მასალებისა და აღნიშნულ რეგიონში ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთ შეჯერება-გაანალიზება საშუალებას გვაძლევს ერთხელ და საბოლოოდ განვსაზღვროთ, ვინ არიან ე. წ. თურქი მესხები და ვინ რა მიზნით იყენებს ამ ხელოვნურად შექმნილ ტერმინს.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთები, თურქები, მოგვიანებით ისლამმიღებული ქართველები) გასახლებამდე ძირითადად ორ — ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში (დღევანდელი ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები) ცხოვრობდა. ვინაიდან ამ მაზრებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, იმ დროისათვის ამ რეგიონებში არსებული ვითარება ცალ-ცალკე განვიხილოთ.

აღნიშნული რეგიონიდან 1944 წელს გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, „თურქი მესხების“ ეთნიკურ ვინაობას და მათ უკან „სამშობლოში“ დაბრუნების საკითხზე ზოგადად არა ერთხელ ითქვა და დაიწერა კიდეც. ახალციხის მაზრისაგან განსხვავებით, სადაც (ურავლის ხეობის გარდა) მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გამაჰმადიანებული ქართველობა შეადგენდა, ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა

მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ ცხოვრობდნენ მკვიდრი ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველები (რომელთა რიცხვი საკმაოდ მოკრძალებული იყო), შემოცხოვრებული ქრისტიანი სომხები, თარაქამები (ყარაფაფახელები), ქურთები, თურქები და ბოშებიც კი. ვინ იყვნენ და როდის შემოცხოვრდნენ ეს უცხოტომელები ამ რეგიონში? მივყვეთ ფაქტებს.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მაზრაში არა გამაჰმადიანებული ქართველების, არამედ ძირითადად XVIII ს-ის ბოლოსა და განსაკუთრებით XIX ს-ის დასაწყისიდან სხვადასხვა მაჰმადიანი ტომების წარმომადგენელთა სიჭარბე იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ფრონელი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ვარძიას რკინის რგოლივით გარს არტყია მაჰმადიანობა; ნეტა ოსმალნი მაინც იყვნენ ან ჩვენი აჭარლები, ვინ რას იტყვის კიდევ? უვარგისი წარმომადგენელნი მაჰმადიანობისა: ქურთნი, თარაქამა, მუტრუფნი, ბოშანი გაბნეულან ვარძიის გარშემო. ქართველთა მხოლოდ ოთხი სოფელია: აფნია, გოგაშენი მტკვრის მარჯვნივ, აგარა და ზედათმოგვი მარცხნივ“[3; გვ. 95].

1830 წელს „სომხების დიდი რაოდენობით შემოსახლებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ჯავახეთიდან სხვა სარწმუნოებისა და სხვა ხალხის გასახლებისა და ჩამოსახლებული სომხებისათვის ერთგვარი ავტონომიური ბუფერის შექმნისა... ამასთან დაკავშირებული ღონისძიება იყო, რომ 1831 წელს ყარაფაფახელების ერთი ნაწილი აყარეს ჯავახეთიდან და დაასახლეს ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც ანდრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთის საზღვრებში დარჩა და რომელსაც ისტორიულ წყაროებში „ნიგალის“ ანუ ნიალის ველი (ეს ტერიტორია დღეს ასპინძის რაიონს ეკუთვნის — თ. ი.) ეწოდება“ [2, გვ. 333].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ახალქალაქის მაზრაში, არამედ საერთოდ სამცხე-ჯავახეთში შემოცხოვრებულ ქურთებსა და თარაქამებს რუსეთის მიერ ამ რეგიონის შემოერთებამდე და შემოერთების შემდეგაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ხშირად გადადიოდნენ-გადმოდიოდნენ საზღვარზე. მათ ამგვარი მიმოსვლა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეუწყვეტიათ.

თარაქამები, ანუ ყარაფაფახელები, სამცხე-ჯავახეთში შემოდიან XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში. ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ამავე ს-ის ბოლოსაც კი მიწაზე ნაკლებად იყვნენ დამაგრებულნი (2; გვ., 334).

„მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს სომხეთში 6331 ადამიანი დარეგისტრირდა როგორც ყარაფაფახი. მათი დიდი უმრავლესობა ცხოვრობდა საქართველოსა და თურქეთის მოსაზღვრე შირაქის ოლქში...1940-იან წლებში ყარაფაფახელები უმთავრესად მესხეთში ცხოვრობდნენ“ [5; გვ., 21]. მათი უდიდესი ნაწილი მეფის რუსეთის მიერ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ძირითადად ახალქალაქის მაზრაში იყო შემოცხოვრებული. ამ მეჯოგე-მომთაბარე ხალხისათვის იქ შესანიშნავი საზაფხულო-საზამთრო საძოვრები და იმ პერიოდში თურქეთში გადახვეწილი 65 ათასი მაჰმადიანი ქართველის მიერ მიტოვებული ბინები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალ. ფრონელი აღნიშნავდა: „1828 წლის სექტემბრის ანდრიანოპოლის ტრაქტატით ჯავახეთი შეუერთდა რუსეთს და მაშასადამე საქართველოს როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს. ამავე დროს მოხდა საოცარი და სამწუხარო ამბავი; გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთს გადაიხვეწა და დაცარიელდა ჯავახეთი. მკვიდრთაგან დარჩნენ მხოლოდ მცირეოდენი ჯავახობა... ჩუმი მართლმადიდებელი ქრისტიანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამნი და გამაჰმადიანებული ქართველების სულ მცირე ნაწილი. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის მხედრობის სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა 1830 წ. არზრუმიდან დიდძალი სომხები და დააბინავა ქერთველების ნასოფლარებში. ბევრი ბევრი დღევანდელ ჯავახეთში ქართველობა სამივე წესისა – მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანნი მეექვსე-მეშვიდე ნაწილს შეადგენენ. ამგვარად, დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1) ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები; 2) თარაქამნი; 3) არზრუმიდან მოსული სომხები; 4) რუსეთიდან გადმოსახლებული დუხაბორები და 5) მკვიდრნი ქართველნი: მართლმადიდებელი, კათოლიკე და მაჰმადიანი ქართველები“ [3; გვ.170–171]. მეფის რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით ახალქალაქის მაზრაში მამაპაპური მშობლიური კერა იძულებით დატოვა რამდენიმე ათეულმა ათასმა სარწმუნოებაგამოცვლილმა მკვიდრმა ქართველმა და არა შემოცხოვრებულმა თურქული მოდგმის ტომებმა თუ სხვა ხალხმა.

მ. ბერიძის მითითებით, „თარაქამები ცხოვრობდნენ ფანაქეთში, ქარზამეთში, არდოხში, ვანში, ბუზმარეთში, ალანძიაში, ოთაში, ყოინდარაში, მოიდოღლში, ბაზირხანაში; ხოლო ქურთები სახლობდნენ ორ სოფელში — მირაშხანსა და ნაქალაქევში. 1944 წლისათვის ისინი დასახლებულან კერძოდ ანაკეთში ზედა ვარძიასა და თმოგვში“ [1; გვ. 25-26]. სხვა წერილობითი მონაცემებით, გარდა ზემოთ დასახელებული პუნქტებისა, თარაქამები განსახლებული ოყვნენ ასევე შემდეგ სოფლებში: ნიალა, ოსკერია, ოთა, თაზაქვევი, ახჩია, ტაშლიყიშლა, თოლერთა, გავეთი, გიორგიწმინდა, გელსუნდა, შულავერი, ლებისი, ვარნეთი, ნარმანი, შვიდრევანტა, ქვაცხელები, მილახევი, ზედა ვარძია და ბერთაყანა; ქურთებს კი ათვისებული ჰქონიათ სოფელი გავეთი, მირაშხანი, გიორგიწმინდა, რუსთავი, ახჩია,

ჯოლდა, დანიეთი, მარგასტანი, შულავერი, ხერთვისი, ოსკერია, ფია და ოთა [4; გვ. 107-108).

„მაჰმადიანი ქურთების საქართველოში მასობრივი დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ისინი, როგორც მომთაბარე ტომები, თურქეთიდან ჩამოვიდნენ და ძირითადად ჩასახლდნენ საქართველოს სამხრეთ რაიონებში....1939 წელს დარეგისტრირდა 12915 ქურთი....აქედან 3646 ადამიანი, უმთავრესად მაჰმადიანი ქურთი სახლობდა მესხეთის რეგიონებში, ხოლო 2898 კი აჭარაში. 1944 წლის ნოემბერში მესხებთან და სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში მცხოვრებ მაჰმადიანთა სხვა ჯგუფებთან ერთად გადაასახლეს დაახლოებით 7000-8000 ქურთი" [6; გვ., 24–26].

მკვიდრი ქრისტიანი ქართული მოსახლეობა იყო მხოლოდ სოფელ საროში, ხიზაბავრაში, ვარგავში, თოკში, ზედათმოგვში, ქილდაში, გოგაშენში, ჩუნჩხაში, პტენაში, მურჩახეთში, კოთელიაში, ბარალეთსა და აგარაში, ხოლო როკეთში, ოკამში, მარგასტანში, ქუნცაში, დადეშში, ზველში, ერკოტაში, ჭობარეთსა და ტოლოშში მოგვიანებით ქრისტიან ქართველებთან ერთად გაჩნდნენ გამაჰმადიანებული ქართველებიც, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ქართული. იდუმალაში, ორგორაში, სახუდაბელში, ღობიეთში, რუსთავში, ასპინძასა და ოშორაში მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. მათ უკვე დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული და, ფაქტობრივად თურქულ ენაზე საუბრობდნენ. გამაჰმადიანებული ქართველების იმ ნაწილს, რომელიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდა, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ქართული ეროვნული ცნობიერება და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც ძნელბედობის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნეებისაგან იარაღითაც კი იცავდნენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ. 1918 წელს ხუჟნების* შემოსევების დროს სოფელ ქუნცაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მუსლიმანმა ქართველმა თავის ბოსელში თავი მოუყარა მეზობელ, ასევე ახვა სოფლებიდან შემოხიზნულ ქრისტიან ქართველებს და სამი დღე იარაღით იცავდა მოთარეშე ხუჟანებისაგან. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ ახალქალაქის მაზრის ქრისტიან მოსახლეობას ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და ბაკურიანისაკენ თუ ყარაიასაკენ გაქცევა. სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქები იყვნენ და ნებაყოფლობით აირჩიეს გასახლებულთა ბედი.

არსებული ეთნოგრაფიული მასალების მონაცემებით ნიალაში 400, გავეთში 60, გელსუნდაში 30-40, თოლერთაში 20, ალანძიაში 20 კომლი

* ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა „ხუჟნებს" ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა მოთარეშე ბანდებს უწოდებდა. 1918-1919 წლებში ეს ბანდები ქრისტიანულ მოსახლეობას განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ.



თარაქამა, ხოლო ნაქალაქევში 150, თმოგვში 100, შულავერში 60, ხერთვისში 800 კომლი ქურთი ცხოვრობდა [8]. სამწუხაროდ, დანარჩენ სოფლებში მაცხოვრებელ კომლთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ თითოეულში საშუალოდ 10-20 კომლი მაინც უნდა ვივარაუდოთ. 1944 წლისათვის რეგიონში საერთოდ დაახლოებით 3000 კომლს უნდა ეცხოვრა. ოფიციალური მონაცემებით ამ წლის ნოემბერში მარტო ასპინძის რაიონიდან 4220 ოჯახი გაასახლეს, რომელთა უმრავლესობა (დაახ. 70-75% მაინც) XIX ს-ის I ნახევარში თურქეთიდან შემოცხოვრებული არაქართველი, მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი ხალხი იყო [9; გვ., 223-232].

ეს რომ სიმართლეა იქიდანაც ჩანს, რომ იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, გასახლებამდე რამდენიმე დღით ადრე მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება – „დინი საჩლაჯარ" („რჯულის გამრჩევი ყრილობა"). ყოველ მაცხოვრებელს, განურჩევლად რწმენისა, მიეცა საშუალება, ნებაყოფლობით თვითონ აერჩია ქრისტიანობა– ქართველობა თუ მაჰმადიანობა — თურქობა (ამ რაიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, ხოლო მაჰმადიანობა — თათრობა-თურქობას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა, არამედ სარწმუნოებაგამოცვლილმა ქართველთა დიდმა უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახის გარდა) თავის რჯულად მაჰმადიანობა, ე.ი. თურქობა შეგნებულად აღიარა და ამდენად თვითონვე გადაწყვიტა თავისი ბედი; მათ რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება არჩიეს და ამას არა თუ ისინი, არამედ მათი შთამომავლობაც არ ნანობს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მათთან არაერთგზის შეხვედრა და საუბარი.

გასული ს-ის 90-იან წლებში სამარყანდში (მე და ჩემი კოლეგები სამარყანდიდან ბუხარაში მივემგზავრებოდით) შემთხვევით შევხვდით და გავესაუბრეთ საფელ ანდიდან (ახალციხის რ-ნი) გადასახლებულ ჯაფაროვების ოჯახის წევრებს. მათ გულთბილად და სიყვარულით გაიხსენეს თავიანთი სოფელი, მეზობლები, მათთან ურთიერთობა. დამშვიდობებისას ვკითხეთ, ხომ არ აპირებდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ყველამ (სულ ექვსნი იყვნენ) გულახდილად გვიპასუხეს: „რა თქმა უნდა, არა. აქ კარგად ვცხოვრობთ, შეძლებულად, სარწმუნოებითაც და ენითაც აქაურებთან ვართ ერთად. იქ კი სარწმუნოებითაც და ენითაც უცხო გარემოში ვიქნებით და შეგუებას ვერ შევძლებთ"-ო. ამ საუბარს სხვებიც ისმენდნენ და ჯაფაროვების წასვლის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი გამოგველაპარაკა. ისინი აღმოჩნდნენ ასპინძის რაიონის სოფელ ალანძიიდან გასახლებულ თარაქამთა შთამომავლები, რომლებსაც „სამშობლოში" დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდათ. გაოცებულებმა როცა ვკითხეთ, არა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, არამედ მაინცდამაინც საქართველოში (სადაც XIX ს-ში მისი მომთაბარე-მეჯოგე პაპის მამა შემოვიდა) — „სამშობლოში" თუ რატომ

სურდათ დაბრუნება, მათ გულახდილად გვიპასუხეს: „ჩვენთვის აქ ადგილი არ არის. ჩვენ ჩვენი კუთხე, ჩვენი ავტონომია გვინდა, აქ არ გვაძლევენ; ასე გვპირდებიან და იმედს გვაძლევენ (მაგრამ არ დააკონკრეტეს, ვინ ჰპირდება, ან ვინ აძლევს იმედს — თ. ი.), როცა საქართველოში დაბრუნდებით, იქ მიიღებთ ამ ყველაფერს.მათ თუ ეს დანაპირები არ შეასრულეს, ჩვენ მაინც დავბრუნდებით და ჩვენ თვითონ შევიქმნით ჩვენს ავტონომიას“–ო. [7]. საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც ყოფილ ახალქალაქის მაზრაში XVIII-XIX სს-ში შემოცხოვრებულ და 1944 წელს შუა აზიაში (მათ ისტორიულ სამშობლოში) გასახლებულ უცხოტომელებს გაეხსნათ საქართველოში დაბრუნების „გენეტიკური მეხსიერება?“.

არსებული წერილობითი წყაროებიდან და დოკუმენტური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მაზრიდან 1944 წელს გასახლებულთა 70%-ზე მეტი არც თურქი იყო და არც მესხი. ისინი XVIII-XIX სს-ში შემოცხოვრებული მაჰმადიანურ სარწმუნოებამიღებული სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები იყვნენ (რომელთა წინაპრების ბინადრობა აქ ას წელსაც კი არ მოიცავდა) და არანაირი გენეტიკური ფესვები არ აკავშირებთ მკვიდრ ქართველ ხალხთან თუ საქართველოსთან. ისევე როგორც სომხების, მათი შემოცხოვრებაც ამ რეგიონში თავის დროზე თურქეთის, შემდეგ კი რუსეთის შორსგამიზნული ქმედება იყო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადობის გადაგვარება-გაქრობისათვის. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ბ-ნ მამუკა არეშიძეს, ყოფილი ახალქალაქის მაზრიდან 1944 წელს გასახლებულები თითქოს ყველანი „საქართველოს მკვიდრები არიან და ადრე თუ გვიან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ“ [5].

უკვე ათეული წლებია ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუსირებს ე. წ. თურქი მესხების „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პარაზიტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ვითომდა საქმის შესასწავლად ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვისებენ. ამ არასამთავროების ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ არც კი იცის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება შეიქმნეს კომპეტენტურ სპეციალისტთა მცირე ჯგუფი, რომელიც დიფერენცირებულად, ცალ-ცალკე, სიღრმისეულად შეისწავლის აღნიშნული მაზრების იმდროინდელი მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, შემოცხოვრების მიზანს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გასახლების ნამდვილ მიზეზს და არა შეთხზულსა თუ ყურით მოთრეულს (გრანტის მიღების მიზნით ამ გზას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართავს), მათი მიღებისათვის ჩვენი ქვეყნის მზაობას და ა. შ. ასეთი საჭირბოროტო და



უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ყოველი წვრილმანი თუ მეორეხარისხოვანი დეტალის გულდასმით და საფუძვლიანად გაანალიზება. საბედნიეროდ, გვყავს ასეთი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ საკითხი უმოკლეს ვადაში ფუნდამენტურად შეისწავლონ და საფუძვლიანი რეკომენდაციები მიაწოდონ ხელისუფლებას.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ქართველი კაცს, თუ მას „გენეტიკურ მეხსიერებაში“ შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ის ჩვენი საზრუნავია და შეძლებისდაგვარად კიდეც უნდა დავეხმაროთ. მაგრამ ისიც უნდა დაგვეხმაროს იმით, რომ გაითვალისწინოს ქვეყნის დღევანდელი შესაძლებობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესთავაზებს.

რაც შეეხება „თურქ მესხებად“ მათ მონათვლას, ეს ტერმინი ქართულ საზოგადოებაში გარკვეული მიზანმიმართულებით ხელოვნურად არის დანერგილი. ასეთი რამ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ხდება. საინტერესოა, რომ საქართველოში ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებულმა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებმა ეს არ იციან, ან იციან, მაგრამ „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ მამამთავართა დაკვეთითა თუ მსუყე დაფინანსებით ერთ-ერთი უძველესი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერის დენაციონალიზმის, მისი ეროვნული მთლიანობისა და თვითშეგნების განადგურების მიზნით შეგნებულად იქცევიან ასე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. *მ. ბერიძე,* მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, თბ., 2009.

2. *შ. ლომსაძე,* სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

3. *ა. ფრონელი,* დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

4. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1930.

5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №56, 2013 წელი.

6. *ტ. ტრიერი, გ. თარხან-მოურავი, ფ. კოლიმნიკი,* მესხები: გზა შინისაკენ..., თბ., 2012.

7. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 24 ნოემბერი,1989 წელი.

8. *თ. იველაშვილი,* სამცხე-ჯავახეთში 1983 წლის მივლინების მასალები.

9. Матерaлы для изучения экономческого быта государственных крестьян Закавказского края, т. 3. 1886.

გრანი ქავთარია

## „შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი სიცოცხლე“

სტატია ამ სათაურით დაიბეჭდა ექვსი წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ნაცისტების მძვინვარების ხანაში. ჩვენი სურვილი იყო განათლებისა და მეცნიერების ცრურეფორმისტთა უზნეობით დამცირებულსა და ღირსებაშელახულ კოლეგათა გამხნევება და გამოფხიზლება. მაგრამ წერილს მისი ადრესატები, მცირე ნაწილის გარდა, მდუმარედ შეხვდნენ, დამფრთხალნი საკუთარ ნაჭუჭებში შეიკეტნენ და, ვიღაცის თუ ნაცისტთა ნასუფრალის იმედით, გაახანგრძლივეს უკუღმა დატრიალებული წუთისოფლის სიავე.

ავტორის მხარდამჭერს წარმოადგენდა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომლის რედაქციის მთელი შემადგენლობა ხმალამოწვდილი ებრძოდა მომხდურ მტერზე უარესს, ბნელეთის მოციქულთა განუკითხავ თარეშს.

ქართველმა ნაცისტებმა (სახელიც რომ შესაფერისი დაირქვეს) ერის სულიერების ტაძარი ყვავ-ყორნების საჯიჯგნად აქციეს, უამრავი ადამიანი მოწყვიტეს საყვარელ საქმეს, ღირსება შეულახეს, დაამცირეს და ცრუ დაპირებებით ცხრა წელი ჯოჯოხეთის ჯურღმულებში ატარეს. ყველაფრისმცოდნენი (სინამდვილეში კი, არასმცოდნენი) აკანონებდნენ უკანონობას.

ვებრძოდით მსხვილ და წვრილ ურჩხულებს (წვრილ ურჩხულებში ვგულისხმობთ, ნაცისტების არეალში მოკეკლუცე ვირთხებსა და თხუნელებს, რომლებიც თავიანთი ბილწი ზრახვებით გზებს უკეტავდნენ ადამიანებს; ვარაუდობდნენ, რომ ამგვარი საქციელით ნაცისტები ერთგულებას დაუფასებდნენ), ეროვნული სულიერების დაუძინებელ მტარვალებს, ცრუპატრიოტული რიტორიკით არნახულ უხამსობებს რომ აფქრევდნენ. ჩვენს ქვეყანას წარსულშიც მრავალი უბედურება დატყდომია თავს, მაგრამ ნაცისტთა შენიღბული შემოჭრა უწმინდურობის თესვით გაუთანაბრდა (თუ არ გაუსწრო) არაბობას, მონღოლობას, ყიზილბაშობას. მტერი გვებრძოდა, როგორც თანასწორს. ჩვენი წინაპრები ბრძოლაში თავს დამცირებულად არ გრძნობდნენ. შინაურმა მტრებმა სამარცხვინო ხალხად გამოგვაცხადეს.



თურმე 2003 წლამდე არც განათლება გაგვაჩნდა, არც მეცნიერება, არც კულტურა. მათ ღმრთეებრივ მოვლინებამდე ვცხოვრობდით ცენტრალური აფრიკის ტომების დონეზე, იმ ტომებისა, რომელთაც კაციჭამიობა დიდი ხანი არ არის, რაც გადააგდეს.

ნაცისტებმა გაკვეთეს ქართული მიწა, დაახეიბრეს. უცხოელი ჭკუისდამრიგებლების „ბრძნული“ რჩევებით, ფუნქცია დაუკარგეს ქართველს. სამკვდრო-სასიკვდილოდ გადაჰკიდეს ადამიანები ერთმანეთს. გაათანაბრეს მცოდნე და უცოდინარი. ცოდნა საერთოდ გააუფასურეს. შელახულ ღირსებას უწოდეს — ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბება. სინამდვილეში მიაღწიეს კაცთმოძულე მუტანტების გამოყვანას, რომლებმაც ადამიანის ხორცით და სულით უნდა იკვებონ. და რაც მთავარია, იქცნენ ყოველივე ეროვნულის მესაფლავეებად. საჭიროა, ჩამოირეცხოს ნაცისტებისაგან წახალისებულ თაობათა ბრძოლის სამარცხვინო ლაქა. არც ერთ დამპყრობელს არ მოსვლია აზრად, ასაკი დანაშაულად გამოეცხადებინა. ქართველმა ბარბაროსებმა ეს სიმახინჯე უმოწყალოდ დანერგეს და მთელი ცხრა წელი ამ ეროვნული უბედურებით ამაყობდნენ.

სამი ათასი წელია სისხლის წვიმებში მოვიკვლევდით გზას. რომ გვეგონა გამოიდარა, ყველაზე დიდი საშიშროება მაშინ დაგვატყდა თავს. ეშმაკთან წილნაყარმა, „ევროპულ განათლებას“ ნაზიარებმა თვისტომებმა ჟამიანობის ისეთი ხანძარი აანთეს, რომ იმედგადაწურულ კოლხ-იბერებს უცხო მტერიც სანატრელი გაუხადეს.

მტერს ვერ ვარწმუნებთ (არ სურს დარწმუნება), რომ მტერია. თვალში საცემია ერთი საოცრებაც. უტიფრობით გამორჩეული ნაცისტები კუბოში ჩაფენილ თავიანთ დროშას ვერ ელევიან და თითქოს არაფერი მომხდარა, ძველებური რიხით ცდილობენ ბრიყვთა და მედროვეთა ერთგულების შენარჩუნებას და აიმედებენ, რომ მკვდრეთით აღდგებიან. ნეტარ არიან მორწმუნენი.

რაოდენ დასამახსოვრებელია ცნობილი ბერძენი ორატორის ლისიასის სიტყვები, წარმოთქმული კორინთოს ომის შემდეგ (კორინთოს ომი მიმდინარეობდა ძვ. წ. 395-387 წლებში): „ელინებო! გრცხვენოდეთ წარსულის, გეშინოდეთ მომავლის“. ჩვენც არ გვაწყენდა, მსგავსი სიტყვები მოვაგონოთ ერთმანეთს, რომ საშვილიშვილოდ ამოიძირკვოს ცრუპატრიოტულ იდეებზე აზვირთებული უზნეობა (სულ ახლახანს რომ ნებივრობდა ჩვენს მიწაზე), რომელმაც სულიერობისაგან განძარცვის პირას მიგვიყვანა. მრავალგზის მომიხმია დიდი ციცერონის შეგონება: ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი, მაგრამ ვინც უნდა მოისმინოს, მას მოსმენის უნარი დაკარგული აქვს. ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ეპოქის ხატად ქცეული ადამიანების ბრძნულ დარიგებებს. უცხოური თუ საკუთარი წარსულის მძიმე პერიოდების გაუთვალისწინებლობა უმოწყალოდ გვატრიალებს ამ დაუნდობელ ცისქვეშეთში. სიფრთხილე და წინდახედულობა არის ნებისმიერი

ერის მარადისობის „თანამდევი სული“.

იმდენი სიმწარე და გაუგებრობა დახვავდა განვლილ ცხრა წელში, რომ მსგავსი მოვლენის განმეორებას ერი ვერ გაუძლებს და დარჩება საქართველო უქართველებოდ, ქვესკნელის ბოროტი ძალების გულის გასახარად.

უნდა გვახსოვდეს! ვერიდოთ შემთხვევით პირებს და ამბიციურ მცირემცოდნეებს, რომელთა „სიბრძნის“ ნაყოფმა ქართველებს სამშობლოს დაკარგვის საშიშროება შეგვიქმნა. უნდა დავიმახსოვროთ, ვერიდოთ ადამიანის შეუფერებელ აღზევებას და ისეთ სიმაღლეზე ატყორცნას, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის თვალისათვის მიუწვდომელი გახდეს. არ გავიმეოროთ ის, რაც მოხდა. არ გავიმეოროთ საკუთარ ნიჟარებში შეკეტვა და ნაცისტების მსგავსი „წინასწარმეტყველების“ გაუთავებელი ტყუილების მოსმენა, ნათელი მომავლის აბდაუბდა დაპირებებით. ჩემს კოლეგებს მოვუწოდებდით, არ დავრჩეთ მომავალი თაობების თვალში „შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი სიცოცხლის“ მატარებელ ქართველებად. მაგრამ ზოგიერთნი, შიშის გამო, სამარცხვინოდ ითმენდნენ დაჩოქილ ყოფას და პროტესტის გამოთქმას ვერ ბედავდნენ.

დამთავრდა ისტორიის ავადმოსაგონარი დღეები. დამთავრდა საქართველოს გაუკუღმართებული ისტორიის ცხრაწლიანი პერიოდი. შთამომავლობას ანდერძად დავუტოვოთ: არ დაივიწყონ ნაცისტების ენამზეობით დამახინჯებული სინამდვილე, რომ არ განმეორდეს მსგავსი ღმრთის რისხვა და მამულის უდაბნოდ ქცევის მცდელობა.

„შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი სიცოცხლის“ უმძიმესი დღეები მთავრდება, მაგრამ ვინც ადრე დუმდა, დუმილს დღესაც არ არღვევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ისევ შევახსენოთ მათ ღირსეულად ცხოვრების ფასი.

**„კაცი ჯაბანი რითა სჯობს**
**დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?“**

*შოთა რუსთაველი.*

დღევანდელ საქართველოში თვალში საცემია შეშინებულ კაცთა სიმრავლე. ვაჟკაცობად ითვლება მლიქვნელობით მოპოვებული საამური სიმყუდროვე. ფართო სარბიელი აქვს „სიცრუესა და ორპირობას“. სიმართლის მთქმელი ქარის წისქვილებთან მებრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართველების უმრავლესობას ღირსების გრძნობა მხოლოდ სუფრაზე აქვს შემორჩენილი. უახლოეს მეგობარსაც არ ვაპატიებთ ოდნავ შებრუნებულ სიტყვას და მზად ვართ ანგარიში გავუსწოროთ ისეთ რამეზე, რასაც სუფრის გარეთ ყურადღებასაც არ მივაქცევდით. რეალურ ცხოვრებაში ნებისმიერ შეურაცხყოფას, აბუჩად აგდებას, ღირსების შელახვას, არაფრად ვაგდებთ და ისეთი პოზა გვიჭირავს, თითქოს რაც ჩვენს გარშემო ხდება, ვიღაც უცხოს, ცხრა მთას იქით მცხოვრებს ეხებოდეს.



საქართველოში ნებივრობენ ნაადრევად „დაბრძენებული“ ახალგაზრდები, რომლებიც ნათელი მომავლის სახელით ნერგავენ ძალადობას. მათი წარმოდგენით, ადვილია თვალებში ნაცარშეყრილ ადამიანებზე ბატონობა. რატომ ცდილობენ მორჩილი ადამიანების გამრავლებას? ავიწყდებათ, რომ ჯაბანი ქვეყნისათვის სასარგებლო კაცად არასდროს ითვლებოდა. ძველ სპარტაში კაცი, რომელსაც მშიშარა შეერქმეოდა, თავს იკლავდა. ბრძოლის ველიდან გამოქცეულ მეომარს კაცური ღირსებები აყრილი ჰქონდა.

გაბედულებას პატივისცემის უმაღლეს საფეხურზე აჰყავს ადამიანი. ალექსანდრე მაკედონელმა მკაცრად მიმართა ბორკილდადებულ ინდოელ ფილოსოფოსებს, რატომ წააქეზეთ პოროსი საომრადო. ფილოსოფოსებმა უშიშრად უპასუხეს: ჩვენი სურვილი იყო, პოროსი ისე ღირსეულად მომკვდარიყო, როგორც ცხოვრობდაო.

„უშიშარი ვითარცა უხორცო“ — ეს ხატოვანი სიტყვები წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ სამკაულს. ჩვენი მეფეები, დიდებულები თუ უბრალო ადამიანები თავს წირავდნენ უშიშარის სახელის მოსაპოვებლად. ღმრთეებრივი სხივი მოსავთ ცოტნე დადიანს, დიმიტრი თავდადებულს, თევდორე მღვდელს და სხვ. საქართველო უშიშარ გმირთა მხრებზე იდგა.

რატომ ეძლევა დავიწყებას წარსული, უმწეო ბატკნის როლში რატომ ვარდებიან რაინდ ქართველთა ნაშიერები? რატომ გაუფერულდნენ ერის მამობაზე პრეტენზიის მქონე პირები? რატომ ხუჭავენ თვალს იმ უზნეობაზე, რაც ჩვენს გარშემო ხდება? რატომ დარჩნენ უმცირესობაში სულიერი კულტურის დამცველები?

ქართველები სეირის მაყურებლებს დავემსგავსეთ. სატელევიზიო არხები ხშირად აჩვენებენ ლეოპარდების ნადირობის სცენებს ანტილოპებზე. სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ანტილოპებს აქვთ საკმაოდ ბასრი იარაღი რქების სახით, რომლებსაც თითქმის ვერ იყენებენ. როდესაც ლეოპარდი მსხვერპლს საიმედო მხრიდან დაესხმება თავს და ძირს დასცემს, დანარჩენი ანტილოპები ნაბიჯსაც არ გადადგამენ თანამოძმის საშველად და შორიდან უცქერიან ორთაბრძოლას. ქართული საზოგადოებაც ანტილოპის მსგავსად ებრძვის წუთისოფელს. მას არ ადარდებს სხვისი სატკივარი და არ აინტერესებს, რა ხდება მის გვერდით.

„ო, დრონი, ო, ჩვეულებანი!“ ქართულ სინამდვილეს ზეციური მანტიით გამოეცხადნენ რეფორმატორები. განსაკუთრებული ხმაურით გამოირჩევიან მეცნიერებისა და განათლების მხსნელები. ახალმოვლენილებმა, მინისტრ ლომაიას რკინისებური შეუპოვრობით, მიწასთან გაასწორეს განათლება და მეცნიერება, გაანადგურეს ეროვნული ცნობიერების საფუძველი — სკოლა.

შეტევის მთავარი ობიექტი გახდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. ბროლას წინ უძღოდა ცილისმწამებლური ბრალდებების აზვირთება, რადგან, ა. ლომაიას აზრით, სახელგატეხილი „ალმა

მატერის“ ფეხქვეშ გაგება უფრო გაადვილდებოდა. იგი მოქმედებდა პრინციპით: დააბრალე, რათა თავი იმართლოს. უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართეს შეურაცხყოფათა ტალღა. მრუდისა და მართლის გარჩევა არავის უცდია. ყველას ერთი საზომით განიკითხავდნენ.

დაწყებული რბევა-აოხრება უნივერსიტეტელების დიდმა ნაწილმა სხვის საქმედ მიიჩნია და მორჩილება, „შედრეკილ-შეშინებულობა“ გამოავლინა. უკანონობას „კანონიერი სახე“ მიეცა კონკურსში მონაწილეობის მიღებით. ბევრმა ცნობილმა მეცნიერმა ქედი მოიხარა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე და შრომით მოპოვებული სახელი უშრომელად შებღალა.

უნივერსიტეტის რბევის პროცესში ა. ლომაიამ და გ. ხუბუამ რეფორმისტული მოძრაობა შემოქმედებითად განავითარეს და დემოკრატიის ახალი, აქამდე უცნობი გაგება შემოგვთავაზეს. საუბედუროდ ჩვენს გარშემო ბევრი აღმოჩნდა ყრუ და ბრმა. განათლებისა და მეცნიერების „მამების“ რიტორიკა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების შესახებ, ცრუ დაპირებაა უვიცობის გასაღრმავებლად. ისე ამაყად საუბრობენ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეზე, თითქოს ქართული მათთვის განვლილი ეტაპი იყოს. ამავე დროს, ცდილობენ, ევროპა ისეთ აღთქმულ სივრცედ წარმოვიდგინოთ, რომელშიც შეღწევა სამოთხეში შესვლას გაუთანაბრდება. და კიდევ, თავს იწონებენ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, თითქოს მსოფლიოს მეცნიერების წინსვლა მათი დამსახურება იყოს. გვაყვედრიან, რომ მუხლჩაუხრელად იღვწიან ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ქადაგებენ განათლების უწიგნოდ მიღების შესაძლებლობას. ხშირად გვესმის, უნივერსიტეტის ფუნქცია კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდააო. გამოდის, რომ უნივერსიტეტი ადრე სხვა როლს ასრულებდა. ერთი განმარტონ, როგორ ესმით ცნება — კონკურენტუნარიანი. და რაც მთავარია, რატომ უნდა იყვნენ ქართველი სპეციალისტები უცხოეთში დასაქმებაზე ორიენტირებული? გვიქადაგებენ, უნივერსიტეტმა უნდა დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნაო. საქართველოს მწიგნობართუხუცესს სულიერება და ბაზარი ერთმანეთში აქვს არეული. სანამ მათი გამიჯვნა არ მოხდება, თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ სპასპეტ მაეჟანის სიტყვები, წარმოთქმული უდიდესი განსაცდელის ჟამს: „დაშთომილ ვართ ჩვენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი“.

განათლებასა და მეცნიერების ამყავვებლების სიტყვებით, თურმე საქართველოში გატარებული რეფორმა ევროპელი სპეციალისტების დიდ მოწონებას იმსახურებს. გაუგებარია, რას თვლიან წარმატებად. გაოცებას იწვევს ერთი რეალობა: როგორ ხვდებიან თავისუფალი ევროპის შვილები იმ ფაქტს, რომ რეფორმირებულ ქვეყანაში პროფესორის თვიური სტიპენდია არის 40 ევრო, ხოლო მინისტრის ხელფასი აღემატება 30 პროფესორის თვიურ შემოსავალს. ამაზე ყურადღებას რატომ არ ამახვილებენ



მხსნელად მოვლენილი ჭკუის მასწავლებლები?

განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა (ბოლო დროს სპორტიც დაუმატეს) ქართველის საქმე არ არისო — გადაწყვიტა ვიღაც გადამთიელმა და მისი სისრულეში მოყვანა დაავალა ყალბისმქმნელთა ადგილობრივ ჯგუფს, რომელიც ერთგულად ასრულებს უძლეველი პატრონის მითითებას.

2006 წლის ზაფხულში უნივერსიტეტი პოლიციის კონტროლის ქვეშ მოექცა. შესასვლელში შეიარაღებული დაცვა ჩააყენეს, რათა „კომისარ“ ხუბუასათვის ევროპულ სივრცესთან მისაახლოებელ ბლეფზე მუშაობაში „ხულიგან პროფესორებს“ ხელი არ შეეშალათ. უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილი ორი ათასზე მეტი თანამშრომლიდან, კანონიერებისა და ღირსების დასაცავად რამდენიმე ასეული კაცი იდგა. შიშით შეპყრობილი უმრავლესობა შორიდან ადევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას. დათრგუნულები ხავსს ეჭიდებოდნენ და თავდახრილები ელოდებოდნენ წყალობას უნივერსიტეტის მესაფლავეებისაგან. პროტესტი რომ გამოეთქვათ, „რეფორმატორთა“ თვალში მონის რეპუტაცია შეელახებოდათ? ევროპული საგანმანათლებლო სივრცისაკენ ამხედრებულმა რეფორმატორებმა გამოცდილ და მცოდნე პროფესორ-მასწავლებლებს, გამოუცდელი და მცირემცოდნე, მაგრამ ხელისუფლების ანტიეროვნულ იდეებთან ახლოს მდგომი ახალგაზრდები ამჯობინეს. თაობათა ცვლა მსგავსი მეთოდებით არცერთ ეპოქაში არ მომხდარა. ღრმად პატივცემულ რეფორმატორებს შევახსენებდი დიდი დემოკრიტეს შეგონებას: „მოხუცს ახალგაზრდობა გავლილი აქვს, ახალგაზრდა მოხუცდება თუ არა, არავინ იცის. ამის გამო, არსებული სიკეთე სჯობს მოსალოდნელსა და უცნობს“.

უნივერსიტეტში ჩატარებული წმენდის მიზანია არსებული დონის დადაბლება. განვითარებადი ქვეყნისათვის ზედმეტი ფუფუნებაა განათლებული ახალგაზრდობა. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს განათლებისა და მეცნიერების დაკნინებით გამოწვეულ სიცარიელეს. ცალკე აღებული ყველა ბობოქრობს, მაღალფარდოვანი ტრაბახით ნაცარში ბდღვირს ადენს, მაგრამ ფაქტის წინაშე ბევრმა უკან დაიხია და მორჩილი უმრავლესობის ერთიან ტალღას შეუერთდა.

დრომ ურთულესი გამოცდა მოუწყო უნივერსიტეტის სტუდენტობასაც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდობამ საოცარი გულგრილობა გამოავლინა. როდესაც ლომაია-ხუბუას დუუმვირატმა სამეცნიერო საბჭოს პოლიცია დაუპირისპირა, სტუდენტობა არ დაინტერესებულა, თუ რა ხდებოდა. არანაკლებ შემაშფოთებელი იყო ის, რომ ახალი საქართველოს მომავალი, 300 ლარის საფასურად, შეუდგა ქალაქის ქუჩების დასუფთავების „პატრიოტულ“ საქმეს.

სიტყვით ყველაფერი შესანიშნავადაა, საქმით საით მივდივართ, პასუხის გამცემი არ ჩანს. სანამდე გაგრძელდება საჩვენებელი სარეკლამო სანახაო-

ბა? როდის გაეხსნება გზა ქართულ სულიერებას, რომელშიც შესუდრეს ევროპელმა „კეთილისმყოფელებმა“ ქართველთა მტერი ქართველების ხელით.

დროა გადაილახოს „ნაზრახი სიცოცხლის“ შეზღუდულობა. არ უნდა დასამარდეს თავისუფალი მოქალაქის უპირველესი მოვალეობა — ღირსების დაცვა. ყველა ხედავს და გრძნობს, რომ განუკითხაობით იდევნება ეროვნული სული, მაგრამ ხმას ერთეულები თუ იმაღლებენ. გაუბედაობა, როცა სიმართლე იჩაგრება, ვერ არის კაი ყმობის დადასტურება.

უნივერსიტეტში შემოფრინდნენ ისეთი უცხო ფრინველები, რომლებისთვისაც უნივერსიტეტი, კაზინო, სახინკლე თუ მომსახურების სფეროს სხვა სერვისები, ერთ სიბრტყეზე დევს.

საუკუნეთა განმავლობაში მტრის მიერ დამონებულ საქართველოში კრთოდა სინათლის სხივი, და რაც მთავარია, ფასობდა სიტყვა და წიგნიერება. დღეს ყველაფერმა ფორმაც იცვალა და შინაარსიც. რატომ ასაღებენ შემთხვევითი ადამიანები თავიანთი მწირი ფანტაზიის ნაყოფს დიდ ეროვნულ საქმედ?

ვდგავართ და ვითმენთ. შეურაცხმყოფელი, აბუჩად ამგდები და ღირსების შემლახველი მურვან ყრუ იქნება, ჯალალედინი, შაჰ აბასი თუ ქართველი, რა განსხვავებაა? ობიექტური მსაჯული — ისტორია — მოგვიანებით იტყვის სიმართეს.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წელი, 21 აგვისტო.

P.S. „შედრეკილ-შეშინებულთა“ „ნაზრახი სიცოხლე“ 2012 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. დამთავრდა წინასწარმეტყველად მოვლენილი სააკაშვილის დაულაგებელი „ოქროპირობა“. „შედრეკილ-შეშინებულთა“ პროტესტი არ გამოუწვევია ეროვნულობის საყრდენის — მამულის, ენის, სარწმუნოების — შეურაცხყოფა-დაკნინებას. მდუმარედ შეურიგდნენ უნივერსიტეტის ვანდალურ რბევას, რომლის დიდება ნაცისტმა რექტორმა გ. ხუბუამ არარაობამდე დაიყვანა და ამ უკეთურობას ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება უწოდა.

მოდერნიზაციის უზენაესი ქურუმი ცხრა წელი დათარეშობდა და განუკითხავად ჭრიდა და კერავდა დაჩოქილი ერის დუხჭირ ცხოვრებას. უცხოელ ჭკუის დამრიგებელთა სიგელით, ნაცისტებმა ქართველები მიიჩნიეს ბრიყვებად და როგორც ცხვრის ფარას, ისე მიერეკებოდნენ გაურკვეველი მიმართულებით (მათი მტკიცებით, ევროპისაკენ). უცხოური დიპლომ-სერტიფიკატებით მოტრაბახეებმა ერი გამოქვაბულის კარებს მიუახლოვეს. მრისხანე მწიგნობართუხუცესები (ლომაია, შაშკინი) ბარბაროსული შეუვალობით თრგუნავდნენ ეროვნულ ცნობიერებას, აკნინებდნენ ენას, ისტორიას და გვთავაზობდნენ მოდერნიზაციის სულელურ კორიანტელს. სასწაულმოქმედის მისიით შეპყრობილი სააკაშვილი ტვინს უბურ-



ღავდა ქართველებს ქალაქების, ბროლის კოშკების, ციხე-დარბაზების მშენებლობით. განათლებასა და მეცნიერებაში ევროპულ-სინგაპურული მიღწევების დანერგვას გვპირდებოდა.

ცრუპატრიოტიზმის რაშზე ამხედრებული ნაცისტები წარბშეუხრელად მეტყველებდნენ თავიანთი ბელადის ლექსიკონით და გვარწმუნებდნენ, რომ მათ გამოჩენამდე ვცხოვრობდით გაუგებარ სიცარიელეში და ვერ ვამჩნევდით. საქართველოს გადარჩენის ყალბი პოზირებით მორაკრაკე ახალგაზრდების სახით ჩამოყალიბდა ნაცრის მფრქვეველთა გუნდი, დახელოვნებული სიტყვების დემაგოგიურ თამაშში; მისი წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გესლის ნთხევაში, რომ თავი მოეწონებინათ უზენაესი მსაჯულის ავკაცობის სასწორზე.

ნაცისტების ფუტურისტული იდეები იქამდე მივიდა, რომ უტიფრად აცხადებდნენ ახალი ადამიანის შექმნის აუცილებლობას. ცდილობდნენ ისეთი მუტანტების გამოყვანას, როგორებიც თვითონ იყვნენ. მათ ჩანაფიქრს ამაოდ არ ჩაუვლია. დროის მოკლე მონაკვეთში დაიბადა ცივსისხლიან არსებათა ტიპი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა ყოველგვარ სიწმინდესთან და მხოლოდ საკუთარი სალაფავის დოზის გაზრდაზე ფიქრობს. ეს იყო ყველაზე დიდი დარტყმა, რომელიც განიცადა ადამიანმა და იგი თავის „უფროს ძმებს, ცხოველებს“ მიუახლოვა.

გადაგვარებული ადამიანები ცხოველური თავგანწირვით იცავენ „მეფემზის“ სახელ-დიდებას, რომ შეინარჩუნონ დაუმსახურებლად, მლიქვნელობით მოპოვებული პრივილეგიები და გაიხანგრძლივონ განცხრომის დღეები. ნაცისტებმა სრულ გადაგვარებამდე მიიყვანეს მანამდე უჩინარი, თხუნელას ბედს შეგუებული ადამიანები. რეჟიმის ფრთებს შეფარებული ბევრი თხუნელა სახიფათო ვირთხადაც გადაიქცა და არანაკლებ დაუნდობლობას იჩენს სვედამძიმებულ თვისტომთა მიმართ (ასეთ ვირთხათა რამდენიმე კოჰორტა ისევ ბოგინობს საქართველოში).

ახალი დროის ინკვიზიტორებმა ქართველთა სალოცავი ხატი, უნივერსიტეტი, ისე დაჯიჯგნეს, რომ 2003 წლამდე არსებული დონე სანატრელი გახადეს. ჩვენს თვალწინ ამოხეთქა სიძულვილის ვულკანმა. ქვეყანას ბოროტი შურისმაძიებლები შემოესივნენ. „უსწავლელმა სწავლულებმა“ უსასტიკეს დამპყრობლებსაც კი გადააჭარბეს. სამშობლო ნაომარ ველად გვიქციეს. ერი გამოაცხადეს არასრულფასოვნად. მწიგნობართუხუცესების ყოველი მეორე სიტყვა „განათლების ევროპული დონე“ და „სტანდარტები“ იყო. იცოდნენ კი, რას ამბობდნენ? რომელ ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ კმარელები, პროფესორებად რომ გაამწესეს? ეს იყო განათლებისა და მეცნიერების მოდერნიზაცია?

ცხრა წელი ფრთაშესხმული ნიჰილიზმი დათარეშობდა ქართულ მიწაზე და ქვას ქვაზე არ სტოვებდა. ბრიყვთათვის უარყოფაზე ადვილი არაფე-

რია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრიყვის დარწმუნებაა შეუძლებელი.

ბოროტების მთესველნი, უცხოური სერტიფიკატების ფრიალით, ერთობ ზერელე ცოდნის დოკუმენტით, მაგრამ დემაგოგიის შესაშური უნარით, ხატავდნენ შავს თეთრად და მტრული ძალების საამებლად, ნამდვილ მტრებად ევლინებოდნენ ქართულ რეალობას.

ჩაცხრა ქარბორბალა. ჩაიარა სიცრუისა და სიძულვილის ნიაღვარმა, რომელიც უფსკრულში გადაჩეხვას უქადდა ქართულ ცნობიერებას. სამწუხარო ფაქტია, რომ „შედრეკილ-შეშინებული“ ნაცისტების ცრურეფორმისტულ ბლეფს მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ. ოდნავადაც არ უგრძვნიათ უხერხულობა იმის გამო, რომ სიცრუეს ემსახურებოდნენ. დღეს დგანან და გაუბედავად აცხადებენ, რომ მათმა პატრიოტულმა წინდახედულობამ გადაარჩინა უნივერსიტეტი. ნაცისტების ბლაგვი ნაჯახით დაჩეჩქვილს გადარჩენა ჰქვია? „შედრეკილ-შეშინებულებმა“ დაიწყეს ნიჟარებიდან გამოსვლა. მორიდებულად აცხადებენ, რომ მძიმე დღეები გადაიტანეს. Post faktum პროტესტის გამოთქმა ემსახურება ახალი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას, ნაცისტებისაგან ნაწყალობევი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. თუ ამ კუთხით განვიხილავთ, ისინი მართლაც „სიამედო“ ადამიანები არიან, შეუძლიათ ნებისმიერ სისტემას შეეგუონ, ოღონდ იყოს ვერცხლი. ასეთ ადამიანებზე დაყრდნობით დაიწყეს ნაცისტებმა თავიანთი ანტიეროვნული რეფორმისტული მოძრაობა. ქართველების დიდმა ნაწილმა ჩინებულად შეასრულა მორჩილი მონის როლი და თავჩაქინდრული ემსახურებოდა სიყალბეს, გადაზელილს ცრუპატრიოტიზმში. იმ რეჟიმის პირობებში ისინი შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. „შედრეკილ-შეშინებულები“ ახალ სიტუაციაშიც ცდილობენ კვლავ მოვლენების შუაგულში დარჩენას. თუ მათ მიერ მოწონებული რეფორმა კარგი იყო, რატომ გაუჩნდათ სურვილი მისთვის ეღალატათ? ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც იბადება 2006 წლის მოვლენების გათვალისწინებით. შეიცვალა ხელისუფლება. საგანმანათლებლო სფეროში არაფერი შეცვლილა. პროფესორები, რომლებმაც ჩანასახშივე გამოიცნეს ნაცისტების ბოროტი ზრახვები და წინ აღუდგნენ სიცრუის მთესველებს, დიდი ხანია მოკვეთილნი არიან. „მეამბოხეებად“ და „წვრილმან ხულიგნებად“ შერაცხულნი უკვე რამდენიმე წელია დაატარებენ ლოდად ქცეულ სიმართლეს. მათ მოსასმენად ვერც ერმა და ვერც ბერმა ვერ მოიცალა.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ნაცისტების მსხვერპლთა შესახებ და მოვითხოვთ კანონიერების აღდგენას, ცრურეფორმების მოწინააღმდეგენი „დამნაშავეთა“ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან? მათთვის როდის გამოანათებს მზე?

აპრილი, 2013 წელი.

ნოდარ ლომოური

## ნუ დავკარგავთ ეროვნულ ღირსებასა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს

ჩვენი ჟურნალისთვის მე კარგა ხნის წინ დავგეგმე თავისებური მოგონებები დამეწერა ჩემი თაობის მიერ ბავშვობის წლებიდან განვლილი უაღრესად რთული, მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე გზის შესახებ; იმ ურთულეს, უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ კოლიზიებზე, რომელშიაც ჩვენი თაობა იზრდებოდა, ყალიბდებოდა და შემდგომ მოღვაწეობდა კიდეც.

ამ ჩემი მოგონებების წერა მე დავიწყე და საკმაო მასალაც შევკრიბე, მაგრამ იმ საშინელმა ვითარებამ, რაც დღეს ხდება ჩვენს გარემოცვაში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ჩემი ეროვნული განცდის, ჩემი ინტელექტუალური ცნობიერების, ჩემი ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილების გათვალისწინებით, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ამ საზარელ მოვლენებს გამოვხმაურებოდი და ჩემეული მიუდგომელი შეფასება მიმეცა.

არ ვაპირებ შევეხო ყველაფერს, რაც დღეს ხდება. მაგალითად, მე სრულიად არ მაინტერესებს ახალაიას, მერაბიშვილის, ჭიაბერაშვილის და მისთანათა დაპატიმრებანი. ეს კლანი რომ მთლიანად დასაკავებელი და მკაცრად დასასჯელია, ეს ძალიან დიდი ხანია ვიცოდით და ველოდით, რომ ბოლოს და ბოლოს დადგებოდა დრო, როცა კანონით ყველას დამსახურებისამებრ მიეგებოდა.

ამჟამად მინდა დავიწყო იმ საზარელი აქციის შეფასებით, რომელიც 17 მაისს მოხდა. მე მრავალი ეროვნული თვითცნობიერების შემბღალავი და ძალისმიერად დამამცირებელი აქციის მომსწრე ვარ, მაგრამ ის, რაც 17 მაისს თბილისში მოხდა, ყოველ ზღვარს აჭარბებს. ამ აქციის შესახებ ყველაფერი კარგად ითქვა, ამიტომ მის აღწერას არ დავიწყებ. 17 მაისი ყოფილა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართა საერთაშორისო დღე. ჩვენთან ამის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, თუმცა შარშან ამ დღეს ყოფილა პირველი მცდელობა ამ ამაზრზენი სექტის* მიმდევართა

---

*** ჩვენ ამ ავტორისეულ ტერმინს შეგნებულად ვტოვებთ, რადგან ლგბტ-ს ანტიქრისტიან ორგანიზატორებს ამორალიზმის საჯარო ქადაგება დოგმატის რანგში ჰყავთ აყვანილი (რედ.).**

საჯაროდ გამოსვლისა, მაგრამ აი წელს, ამ ჰომოსექსუალებმა (მათ ათას სხვა სახელსაც უწოდებენ) საზეიმო აღლუმის მოწყობა განიზრახეს, თანაც ხელისუფლების ნებართვით.

მართალია, საკმაოდ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა და, რაც მთავარია, სამღვდელოების აქტიურობის წყალობით, რუსთაველის პროსპექტზე ქაშვეთის წინ მისი ორგანიზება ვერ მოხერხდა, მაგრამ რამდენიმე ადგილას ეს აქცია მაინც მოეწყო, მოხდა შეტაკებაც, ვიღაცები დაშავდნენ, ვიღაცები დაისაჯნენ. რაც მთავარია, ამას მოჰყვა გაუთავებელი დისკუსიები, დადანაშაულება ამ აქციის ვითომ დამრბევთა და, საერთოდ, მედიის სრულიად გაუმართლებელი ქმედებები.[1]

არაჯანსაღი სექსუალური ურთიერთობა, ანუ როგორც ჩვენი თაობა მას ეძახდა, „პედერასტობა“ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, როგორც ჩანს, არსებობდა... ჩემი თაობა კარგად იცნობდა თბილისში მცხოვრებ და სხვადასხვა დარგში დასაქმებულ მამათმავლებს, მაგრამ ყოველივე ეს დაფარული იყო და ამის არც აფიშირება და, მით უფრო, არც აგიტაცია არ ხდებოდა. ამიტომ მათ არც არავინ ავიწროებდა და არც დევნიდა.

მაშ, რა მოხდა ამჟამად, რა შეიცვალა ჩვენს ფსიქიკაში, ეროვნულ თვითშეგნებაში, ტრადიციულ ქართველობაში?!

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ამაზრზენი ცვლილება ჩვენს ეროვნულ შეგნებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში მომხდარ განათლების ვაი-რეფორმასთან, რომლის რეალური გამტარებელი იყო მაშინდელი მესაჭე ჩვენი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი, ვინმე ლომაია. ამ საშინელი ვითომრეფორმის შემდეგ უდიდესი დარტყმა მიადგა ქართულ განათლებასა და მეცნიერებას, ამ სფეროში ვითომ ევროპული სტანდარტების მიხედვით ე. წ. გლობალიზაცია განხორციელდა. ყოველივე ამის შესახებ ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, მოგვიანებით მცდელობაც იყო თითქოს რაღაცის გამოსწორებისა, მაგრამ რეფორმით გამოწვეულ მორალურ-ინტელექტუალურ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დღემდე ვერ ხერხდება. და აი, ის რაც 17 მაისს მოხდა თბილისში, მე მჯერა, რომ სწორედ იმ ლომაიასეული ღონისძიების შედეგია. ამასთან დაკავშირებით უნებურად გამიჩნდა კითხვა სად არის ამჟამად ლომაია?! სად არის შეფარებული, რატომ არ დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი?! მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ხომ უბრალო შეცდომები არ იყო, ეს იყო მიზანმიმართული ანტიეროვნული დანაშაული და ნუთუ მას უნდა ეპატიოს ეს ეროვნული ღალატი?!

* * *

მაისის თვის ბოლოს მე კიდევ ერთმა გარემოებამ ჩამაგდო შოკში.

[1] ეს ყველაფერი დღემდე გრძელდება.



ვითარება სრულიად მოულოდნელიც იყო, რადგან იგი დაკავშირებული აღმოჩნდა ჩვენი მასმედიის ისეთ პატივსაცემ სატელევიზიო არხთან, როგორიც არის „ერთსულოვნება“, და რომლის მიმართ მე გარკვეული მოწიწებაც გამაჩნია. და აი, „ერთსულოვნების“ საღამოს გადაცემაში ორჯერ ზედიზედ (მგონი ორი დღის ინტერვალით) გადაიცა ამაზრზენი კადრები, რომლებიც შეეხებოდა ჩერქეზთა, ანუ იმ დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ლიდერის, კგბ-ს ყოფილი მაღალჩინოსნის ჯოხარ დუდაევის პიროვნებას. ჯ. დუდაევზე დაწვრილებით ყვებოდა მისი მეუღლე, ყოველმხრივ აქებდა მას და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ამაზრზენი იყო, აქვე გაშუქდა კადრები დუდაევის უახლოესი მეგობრის, ზვიად გამსახურდიას ურთიერთობისა დუდაევთან და ჩერქეზული სამხედრო ძალების მონაწილეობისა 1991-93 წწ. აფხაზეთის ომში. ეს ფაქტები ხომ სრულად არის გაშუქებული ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით მოსკოველი მეცნიერის *სვეტლანა ჩერვონნაიასა* და ცნობილი სპეციალისტის *ზურაბ პაპასკირის* ნაშრომში. მეც საკმაოდ მაქვს ამ თემაზე დაწერილი.[2] დღეს კარგად არის ცნობილი, რა აღმაშფოთებელი როლი შეასრულა აფხაზეთის ომში „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ“, როგორ დაიკავეს მათ აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ქ. გაგრა, სადაც უდიდესი სისასტიკით გაუსწორდნენ არა მარტო ქართველ შეიარაღებულ ძალებს, არამედ აქაურ მცხოვრებთაც და როგორ თამაშობდნენ ისინი ფეხბურთს ქართველი ახალგაზრდების მოკვეთილი თავებით. ამას ხელმძღვანელობდა ჩერქეზთა რაზმების მეთაური შამილ ბასაევი. ამის შემდეგ როგორ შეიძლებოდა ქართული ტელევიზიით, მით უფრო საპატრიარქოს არხით, ამ კადრების ორგზისი გაშვება?! ნურავინ იტყვის, რომ აქ რაღაც გაყალბება, რაღაც პოლიტიკური შოუს მოწყობის მცდელობა იყო. ეს არის აბსოლუტურად ზუსტად დადასტურებული პროვოკაციული ქმედება.

ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ აქვე წამოიჭრა, უფრო სწორედ განახლდა, ყოველმხრივ უარყოფითი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ, რამდენადაც სწორედ ის იყო ინიციატორი და შემოქმედი იმ ანტიეროვნული, ერის მიმართ მოღალატური ქმედებებისა, რომლებიც განხორციელდა აფხაზური ომის მიმდინარეობის დროს.[3] აქვე მინდა დავაფიქსირო

[2] იხ. ჩემი „ძირძველი ქართული მხარის — „აფხაზეთის ისტორიისათვის“ (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე), აქვე არის ჩამონათვალი იმ 26 წერილისა და ნაშრომისა, რომელიც ეხება აფხაზეთის პრობლემას, თბ., 2008. შეად. „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე“, თბ., 2011 წ.

[3] იხ. კრებული „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ“, შემდგ. თ. ჭანტურიშვილი, თბ., 1999; *ვიქტორ რცხილაძე,* ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში, თბ., 2006; აგრეთვე, ეროვნული მოძრაობის დამფუძნებელთა არაერთი საგანგებო გამოხმაურება.

ჩემი პირადი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ. მე და ჩემი გარემოცვა იმთავითვე საკმაოდ უნდობლად შეხვდა მის ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ მისი ყველა ქმედება ნებისმიერ ასპარეზზე ამ ჩვენს უნდობლობას განამტკიცებდა. მე პირადად არასდროს მიღიარებია იგი საქართველოს პრეზიდენტად (ე. წ. „პირველ პრეზიდენტად“). ჩემთვის დღემდე, ზნეობრივი და ეროვნული მოთხოვნების მიხედვით, ერთადერთ პრეზიდენტად დამოუკიდებელ საქართველოში რჩება ედუარდ შევარდნაძე.

* * *

დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მეთაურად მოგვევლინა ჭეშმარიტად გულშემატკივარი და მოყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხისა — *ბიძინა ივანიშვილი* და გაჩნდა იმედი, თანაც სრულიად საფუძვლიანი, რომ ჩვენი მომავალი ერის ინტერესების გათვალისწინებითა და ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად წარიმართება. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცოტა ხანში ხალხი ღირსეულ პრეზიდენტს აირჩევს.

მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ბიძინა ივანიშვილს ურთულეს ვითარებაში უწევს მოღვაწეობა. იგი ხშირად იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ჯერ კიდევ შემორჩენილ ე. წ. პრეზიდენტს და მის გარშემო დარაზმულ „ნაცმოძრაობის“ საზარელ გუნდს. ამასთან, წამდაუწუმ ჩნდება უდიდესი გართულებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. რად ღირს თუნდაც ჩვენი მეომრების დაღუპვა ავღანეთში, ეს ჩვენი უდიდესი ეროვნული ტრაგედიაა!

მაგრამ მაინც გვრჩება იმედი, იმედი უკეთესი და ღირსეული მომავლისა!

მამუკა ცუხიშვილი

## საჩხერის ღმრთისმშობლის და მაცხოვრის სახელობის ტაძრები

საჩხერის რაიონში არის ორი ულამაზესი სოფელი — ეხვევი და სპეთი. რომლებიც შედიან ჭალის საკრებულოს შემადგენლობაში. სამწუხაროდ, ბატონიშვილი ვახუშტის გენიალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ამ სოფლებს არ იცნობს, ისე როგორც არ იცნობს ცხომარეთის ტერიტორიაზე მდებარე ჯრუჭის უნიკალურ მონასტერს. „კუალად ამ საჩხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედვე არს სავანეთის ეკლესია, უგუმბათო, საკჳრველად შენებული, რამეთუ არს მთლად ერთის ქვისა კანკლითურთ. ამ სავანეთს ზეით არს ჭალა. არამედ ჭალიდამ წონამდე არღარა არს შენობა, გარნა პირველ ყოფილა შენობიანი, სადაცა ჩანან ეკლესიანი და ნადაბარნი“.[1] ამის მეტი ინფორმაცია ქართლის ცხოვრებაში არ მოგვეპოვება. ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ ვახუშტი თავის თანმხლებ პირებთან ერთად არ მისულა შედარებით მიუვალ ადგილებში, რის შედეგადაც სურათი სრულყოფილად ვერ წარმოადგინა.

1881 წელს თბილისში ჩატარდა რუსეთის იმპერიის არქეოლოგთა V ყრილობა, რომლის საორგანიზაციო კომიტეტმა მწერალსა და პუბლიცისტს გიორგი წერეთელს (1842-1900 წწ.) დაავალა გელათის მონასტრის ხელნაწერთა მიწერილობებისა და წარწერების აღწერა. მწერალმა შეკრებილი მასალა გამოაქვეყნა 1891 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების შრომათა კრებულში «Древности восточния». ნაშრომის სათაურია «Польное собраные надписей и приписок к рукописям гелатского манастыря». არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მოიწონა ნაშრომი და იმავე წელს გ. წერეთელი რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მუდმივ წევრად აირჩია. ამ ფაქტმა მწერალს სტიმული მისცა, ემოგ-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. 4. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 760.

ზაურა ყვირილის ხეობის სოფლებში და ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები აღეწერა.

ეხვევის ტაძართან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სავანიდან ხუთ ვერსზე ყვირილის ხეობაში მარცხნით მდინარის ერთ მთის ფერდზე მდებარეობს ძველი ტაძარი. სენაკების ნანგრევები ტაძრის გარშემო გვიმტკიცებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო მონასტერი და შკოლა. ტაძარი წარმოადგენს ბაზილიკის შენობას, რომელსაც შემოხვევია დასავლეთით და ჩრდილოეთით ექვსი ეკვტერი ხუთ კუთხიანები. „კვალში“ დახატული დასავლეთისა და ჩრდილოეთის კარის ბჭენი თავისი ჩუქურთმებით წარმოადგენენ ფრიად ძვირფას ნაშთს უძველესის ქართულის ხუროთმოძღვრებისას. ეს ორი ფასადი კარის ბჭისა სულ სხვა-და-სხვა ქანდაკის მოტივებით არის გამოყვანილი. ჩრდილოეთის ფასადზე ბჭის თავზე არის ჯვარი, გრეხილით გამოქანდაკებული, რომელსაც სიმბოლურად ფესვები განედლებია, გამოულია შვენიერი ნაყოფი, ფოთლებით შემკული. ეს ფოთლები წარმოადგენენ სიმბოლურათ სამებას; თაღში, ჯვარის ორივე მხრით გადმოკიდებულან ტევნები, სიმბოლო ქრისტეს სარწმუნოების სიტკბოებისა. ფასადის სვეტებზე აკანტის ფოთლებს შუა გამოქანდაკებულია ბისონით შემოსილი მეფე, რომელსაც ხელები აღუპყრია ზეცისკენ, ვედრების ნიშნათ. დასავლეთის კარის ბჭის ფასადზე კიდევ უფრო განსაცვიფრებელი წმინდა ქანდაკია მოჭრილი. ბჭის თავზე შესანიშნავია ამართული ჯვარი. რომლის სახე წარმოადგენს განსხივებულ მზეს, კვარცხლბეკზე დაყენებულს. ბჭის მარცხნით ჩანს ქანდაკით მოჭრილი მთავარანგელოზი, რომელიც კარის გუშაგით არის დამდგარი. ამ ჩვენს ნახატზე არც მთავარანგელოზია გამოსახული და არც ბისონით შემოსილი მეფე. საზოგადო შთაბეჭდილება ამ ფასადების ქანდაკებისა ისეთია, თითქოს ვისმე ქვის კედლებზე მიეფარებინოს მეტათ წმინდათ ნაქსოვი კრუჟევო.

საზოგადო შთაბეჭდილება ეხვევის ტაძრისა კი მიემსგავსება ვარსკვლავს, თითქოს ციდან მოწყვეტილს და დედამიწაზე განრთხმულს. შიგნით კანკელი ჰქონია ამ ტაძარს მარმარილოსი, მაგრამ მისი მოქანდაკებული ფილაქნები წერეთლებს წაუღიათ ჯრუჭს, როგორც შეუტყვია ადგილობრივი მოხუცი გლეხებისაგან ბ-ნ გ. წერეთელს. კანკელის ნანგრევებში კიდევ დარჩენილია რამდენიმე მარმარილოს სვეტი და ერთი ფილაქანი, ზედ გამოქანდაკებული ჯვრით. კანკელის სიძველე ამტკიცებს, რომ ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეცხრე, თუ მეათე საუკუნეში. ტაძრის აღმოსავლეთით სვეტის საფეხურზე არის არხაული ფორმის ხუცური ასოებით ზე წარწერა: „ქე. შე. ლგ. (ქრისტე, შეიწყალე ლეგოთეთ(?!), თუ ლეონ, გიორგი?)“.[2] — წერილი არის ხელმოუწერელი. როგორც ირკვევა, ის რედაქციის სახელითაა გაკეთებული და ზოგად უმნიშვნელოვანეს ინფორ-

**[2] გაზეთი „კვალი“, თბ., 1890, №20. გვ. 10.**



მაციას ნამდვილად გვაწვდის.

„ბროსეს და ბაქრაძეს ეხვევის შესახებ მონაცემები არ გააჩნიათ. ხოლო გ. წერეთელმა ეს ძეგლი ლეონ აფხაზთა მეფეს და მის შვილს გიორგის დაუკავშირა. ხოლო სხვა ვარაუდით, იგი XI საუკუნეს განეკუთვნება. ასევე მან დაათვალიერა სპეთის ზედა მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელიც დათარიღებულია X-XI საუკუნით“.[3]

„საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივმა გაძლიერებამ მტკიცე წინამძღვრები შეუქმნა ქართული ფეოდალური კულტურის გაფურჩქვნასა და აყვავებას. XI-XII საუკუნეებში არგვეთში აიგო მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი. სპეთის, ჭალისა და ჩიხის ერთნავიანი ეკლესიები, უბისის სვეტი, სავანის, დარკვეთისა და რგანის წმინდა გიორგის ტაძრები, ეხვევის ღვთისმშობლის ეკლესია ამშვენებს მდიდარი ქართული კულტურის საგანძურს, როგორც XI-XII საუკუნეების ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები“.[4]

როგორც ვხედავთ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ეხვევის ტაძარი არაერთხელ მოექცა მკვლევართა და მეცნიერთა ყურადღების ცენტრში.

აკად. ვახტანგ ბერიძემ შეისწავლა ეხვევის ტაძრის არქიტექტურული მხარე და ბრძანა: „ეხვევის ეკლესია (მას „დედა ღვთისას“ უწოდებენ) სავსებით მარტივია იგი თლილი ქვის ნაშენ ერთადერთი ნავისაგან შედგება, გარედან სწორკუთხაა. შიგნით, ჩვეულებისამებრ, ნახევარწრიული აფსიდი აქვს და მის ორსავე მხარეს, ორ სართულად — მცირე ზომის სადგომები. ამ სადგომებში თვით აფსიდიდანვეა შესასვლელი, მეორე სართულის ოთახებს აღმოსავლეთით თითო მრგვალი ფანჯარა ჰქონია, მაგრამ დღეს ორივე ამოშენებულია. ნავი კედლის სვეტებითა და საბჯენი თაღით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა და ამიტომ, კედლის თაღების ქუსლები სხვადასხვა სიმაღლეზეა მოთავსებული“.[5]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის დავალებით 1938 წლის ზაფხულში აკად. ვახტანგ ბერიძემ და არქიტექტორმა ბეჟან ლორთქიფანიძემ ერთად აზომეს ეხვევის ტაძარი, მოამზადეს ნახაზები და ფოტომასალა. იმ დროისათვის ჯერ კიდევ ყოფილა მთავარ ტაძარზე მიშენებული ნაწილის ნაშთები. „კედელზე მიდგმული ორკალთიანი სახურავის კვალი მჟღავნდება, ჩრდილოეთით ერთი თაღის კვალი გარკვევით ჩანს უშუალოდ შესასვლელის ზემოთ. ტიმპანის კონტურის კონცენტრულად და თითო, საგრძნობლად უფრო დაბალი თაღისა — კარის მარჯვნივ და მარცხნივ. თუ მხედველობაში მინაშენის საძირკვლის ნაშთ-

**[3] საისტორიო ალმანახი „კლიო“, დ. სულაბერიძე, ყვირილის ხეობის ისტორიული ძეგლების აღწერა გ. წერეთლის მიერ, თბ., 2002, №14, გვ. 43.**

**[4] ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ტ. XI, კ. ანთაძე, ზემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1959, გვ. 83.**

**[5] კრებული „ქართული ხელოვნება“, ვ. ბერიძე, თბ., 1942, გვ. 41.**

საც მივიღებთ, აქ ადვილი წარმოსადგენია საშუალოსაუკუნეებრივი ქართული ტაძრის თითქმის აუცილებელი ატრიბუტი“.[6]

მწერალ გიორგი წერეთლის მიერ აღწერილი ნიმუშები დაახლოებით 50 წლის შემდეგ პრაქტიკულად აღარ არსებობდა, რაზეც წუხილით წერს მეცნიერი: „სტოები აღარ არსებობს. აღარაა არც წერეთლის მიერვე აღნიშნული სენაკები, ყველაფერი ეს იმ კაპიტალურ რემონტს ემსხვერპლა, რომელიც ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ გაუკეთეს სოფლელებმა ეკლესიას. ეს რემონტი რომელიც ჭიათურიდან გამოწერილ ბერძენ ოსტატებს შეუსრულებიათ, ძეგლის მხატვრული მთლიანობისათვის საბედისწერო გამოდგა“.[7]

აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის დასაწყისში საჩხერესა და ჭიათურაში სამუშაოდ გამოჩნდნენ ბერძენი მშენებლები, რომლებმაც ააგეს საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი (ე. წ. სობორო) და ჩიხის სამების სახელობის ქვედა ტაძარი, რომლებიც დროთა განმავლობაში დაინგრა. ასეთივე ბედი ეწია ეხვევის ტაძარსაც.

ჯერ კიდევ გიორგი წერეთელი მიიჩნევდა, რომ ეხვევის ტაძარი აგებულია IX საუკუნეში, თუმცა ვ. ბერიძე ამ თვალსაზრისს უარყოფს და ბრძანებს: „არავითარი სამშენებლო წარწერა, არც სხვა რაიმე წერილობითი საბუთი არ გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ძეგლი IX საუკუნისაა. ერთადერთი დასაყრდენი აქ თვით ძეგლი უნდა იქნეს. უფრო სწორად – მისი დეკორი, რადგანაც შენობის არქიტექტურა ზუსტი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ მოგვცემს. ჯერ ერთი, ჩვენთვის იგი მხოლოდ სახეშეცვლილი არის ცნობილი და, ამის გარდა, თვით ერთნავიანი ეკლესიის ტიპიც საქართველოში მარტო ერთ რომელსამე ხანაში კი არ არსებობდა, არამედ საუკუნეთა განმავლობაში. დეკორი კი სრულებით საკმარისია იმის დასადგენად, რომ ამ შენობის მიკუთვნება IX საუკუნისათვის, როგორც ამას წერეთელი შვრება, შეუძლებელია“.[8] მისი აზრით: „ყველა პარალელი ჩვენ სავსებით გარკვეულ ხანას მიგვითითებს და ნებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტი ქრონოლოგიური ფარგლები მივუჩინოთ ეხვევის ტაძარს: ეს ფარგლები X საუკუნის ნახევარი და XI საუკუნის ნახევარია. უახლოესი ანალოგიები მაინც უფრო XI საუკუნის დასაწყისის მაჩვენებელია და ჩვენი აზრითაც, ეხვევის „დედა ღვთისა“ სწორედ XI საუკუნის პირველ ათეულ წლებს უნდა მიეკუთვნოს“. [9]

აღსანიშნავია რამდენიმე გარემოებაც. კერძოდ, XIX საუკუნის მიწურულს ეხვევის ტაძარი გ.წერეთლის მონაცემებით უკვე ნანგრევებადაა ქცეული, ამის მიუხედავად მას ისტორიული მნიშვნელობა არ დაუკარგავს,

6 იქვე, გვ. 42.

7 იქვე, გვ. 43.

8 იქვე, გვ. 44.

9 იქვე, გვ. 47.



მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება, რასაც დაემატა ჟამთა სიავე და უყურადღებობა. თუმცა სულ სხვა ვითარებაა XX საუკუნის 20-იან წლებში. 1919 წლის აგვისტოში საჩხერის რაიონს სტუმრობდა წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი, რომელმაც დაათვალიერა და აღწერა ყვირილას ხეობის ქრისტიანული ძეგლები, უშუალოდ ეხვევის ტაძრისათვის მოამზადა რამდენიმე ნახაზი და გადაიღო 6 უნიკალური ფოტო, რომელთაგან ერთ-ერთზე გამოკვეთილად ჩანს სასულიერო პირი ჯვრითა და კუნკულ-ბარტყულით.[10]

ტექსტი დაწერილია რუსულ ენაზე ფანქრით, რის გამოც ნაშრომის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ ერთი წინადადების ამოკითხვა შევძელით: „ეხვევის ტაძარი თავისი არქიტექტურული სტილით განეკუთვნება XI საუკუნის პირველ ნახევარს“.[11]

როგორც ფოტომასალიდან ნათლად ჩანს, მოჩუქურთმებულია საპირეები, გამოსახულია განედლებული ჯვარი და მისგან აღმოცენებული ფოთლები, რომლებიც ფარავს ტიმპანს (კარის თავზე მოთავსებულ ნახევრადწრიულ და სამკუთხა ნიშას), ასევე მოჩანს ჩრდილოეთის ფასადის რელიეფები. მსგავსი ორნამენტები გვხვდება როგორც სავანეში, ისე მანგლისსა და ნიკორწმინდაში. ხოლო, ეხვევის ტაძრის აღმოსავლეთის ფანჯრის უპირობო ანალოგი გვხვდება იშხნის ტაძარზე, რომელიც განეკუთვნება 1032 წელს.[12] ის, რომ ტაძარს მნიშვნელოვანი მხატვრული და არქიტექტურული ღირებულება ჰქონდა, ეს უდავოა, რასაც მოწმობს გადარჩენილი ფრაგმენტები, მოზაიკა, ჩუქურთმები, ტიმპანები, დეკორატიული ელემენტები, რომლებიც იმ ეპოქის ხუროთმოძღვრების ძეგლებისათვის იყო დამახასიათებელი (იშხანი, ხახული, ოშკი, სავანე და სხვ.).

ეხვევის ტაძარი გაერთიანებული საქართველოს ხუროთმოძღვრების უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს და ჩვენი ვალდებულებაა ტაძრის აღდგენა პირვანდელი სახით, რის შედეგადაც ის დაახლოებით ისეთ სახეს მიიღებს, როგორიც ე. თაყაიშვილის ფოტოებმა შემოგვინახა.[13]

სპეთის „ზედა მაცხოვრის ეკლესიის“ სახელით ცნობილი ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი დღემდე რჩება სამეცნიერო და საზოგადოებრივი ინტერესების ობიექტად. სპეთში ასევე დგას „ მაცხოვრის ქვედა ეკლესია“, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია „მაცხოვარის ზედა“ ტაძრის ისტორიის წარმოჩენა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 20-იან წლებამდე სპეთის ტაძრის შესახებ არავითარი მასალა არ მოგვეპოვება. მას ასევე არ იცნობს ცნობილი ქართველი მკვლევარი გიორგი ბოჭორიძე, მაშინ როდესაც აღწერს იქვე მდებარე ეხვევის ტაძარსა და დარყის ტერი-

10 **ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. თაყაიშვილის ფონდი № 508, ფოტო № 21.**

11 **ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. თაყაიშვილის ფონდი № 470, რუსულ ენაზე.**

12 **მ. ბროსე, ქართული ორნამენტები, პეტერბურგი, 1864, გვ. 16.**

13 **ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. თაყაიშვილის ფონდი № 508.**

ტორიაზე აღმოჩენილ სამ დარბაზულ ეკლესიას.

„ზედა მაცხოვარის“ ტაძარი მდებარეობს მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე აღმართულ ყველაზე მაღალ მთაზე. სპეთელებს ტაძრისათვის შესანიშნავი ადგილი შეურჩევიათ. მისი კალთებიდან მოჩანს აბაშიძეთა ფეოდალური გვარის მამული — სოფელი ჭალა. ასევე ისტორიული სავანე და რაჭის მთები.

საუკუნეების ჟამთასვლამ სპეთის მაცხოვრის ტაძარზეც იმოქმედა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ შეაკეთა ტაძარი. არქიტექტორ მ. კალაშნიკოვის მიერ 1939 წელს ის აიზომა და მომზადდა გეგმა.

ტაძარი არის ერთნავიანი დარბაზული ტიპის ბაზილიკა. მას აქვს ორი შესასვლელი — ერთი დასავლეთით, ხოლო მეორე აღმოსავლეთით, მესამე კარის არსებობას ადასტურებს კარის ჭრილი, რომელიც მოგვიანო საუკუნეებში იქნა ამოქოლილი და შიდა მხრიდან მოთავსებულია პატარა ნიშა, იგივე თახჩა. მას აქვს სამი სრულფასოვანი სარკმელი და ორი მცირე ზომის მრგვალი სარკმელი, რომელიც სავსებით საკმარისი იქნებოდა სტოას გასანათებლად. ტაძრის გრძივი კედლები დაყოფილია ორსაფეხურიანი პილასტრებით (სვეტები, ბოძები), რომელსაც ეყრდნობა კედლის და საბჯენი თაღები.

ტაძარს აქვს ნახევარწრიული მოხაზულობის კამარა (საუბარია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე გავრცელებულ ცილინდრულ კამარაზე, რომელიც ეყრდნობა ორ პარალელურ კედელს), მთავარ არეში შირიმის ქვის სამი რიგი არის ჩართული. როგორც ჩანს, ტაძარი არ ყოფილა მოხატული. გარეთ აქვს მოჩუქურთმებული კარნიზები, სახურავი იმთავითვე კრამიტისა ყოფილა, რასაც ადასტურებს სახურავზე შემორჩენილი შუა საუკუნეების რამდენიმე კრამიტი, რომელთა ანალოგი გვხვდება ხახულსა (მდებარეობს თურქეთში, საქართველოს უძველეს პროვინცია ტაოში, აგებულია X საუკუნის II ნახევრაში) და რაკეთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარზე (ონი, X საუკუნის პირველ მესამედში აგებული).

ორნამენტები და ჩუქურთმები გასდევს მხოლოდ კარსა და სარკმლებს. ერთ-ერთ სარკმელთან შემორჩენილია ხუთსტრიქონიანი წარწერა, რაც იძლევა უტყუარ მტკიცებულებას, რომ ტაძარი განეკუთვნება X-XI საუკუნეებს.

სტრიქონები ამოკვეთილია ასომთავრული ქართულით და განლაგებულია ქვიშაქვის ოთხ ფილაზე, რომლებიც ჩასმულია აღმოსავლეთ ფასადში. „ფილები წვიმისაგან ძლიერ გადარეცხილია (განსაკუთრებით პირველი და მეოთხე). ამის შედეგად წარწერა ძლიერ დაზიანებული სახითაა მოღწეული“.[14] წარწერა ასე იკითხება: „[წმიდაო სამ]ე[ბაო, [ს]ოფელი სა[კჳრიკ]ე დაიცევ ყოველთა[გა]ნ სავნებელთა ამი[ს] სოფლისათა“. სამწუხაროდ, მეორე წარწერის ამოკითხვა ყველა მეცნიერისათვის შეუძლებელი შეიქმნა.

[14] ქართული ლაპიდარული წარწერები, თბ., 1980, გვ. 84.



როგორც ცნობილია, სპეთის ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან და ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს კანკელი, რომელიც თეთრი თაბაშირისგანაა დამზადებული და ზუსტად ასახავს X-XI საუკუნეების კანკელებისათვის დამახასიათებელ სტილსა და არქიტექტურულ თავისებურებებს. ყველა იმ შემადგენელ კომპონენტს, რომელიც გვხვდება სპეთის ზედა მაცხოვრის ტაძარში, როგორიცაა სწორკუთხა აბსიდები, ხის მასიური ჯვარი, კვარცხლბეკი, თლილი ქვებით მოპირკეთებული იატაკი, ზუსტი ანალოგიებია პარხალის (ტაო, დაახ. X საუკუნის 80-იანი წ.), ჟაბეშის (მესტია, მულახის თემი, XI ს.), კუმურდოსა (ნინოწმინდა, XI ს.) და კაცხის (ჭიათურა, XI ს.) უნიკალური ტაძრებისა.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სარკმელი იდენტურია X-XI საუკუნის ძეგლებისა. მისთვის დამახასიათებელი მკაფიო S-ისებრი მოტივები გვაძლევს საფუძველს, მივამსგავსოთ ნიკორწმინდისა (ონი, 1010-1014 წ.) და ზემო კრიხის (ამბროლაური, X ს.) ტაძრების ორნამენტებს.

სპეთის ტაძრის სამხრეთი სარკმელის ჩუქურთმები, რომლებიც სიბრტყიდან ამოზიდულია და მჭიდროდ აზის მთავარ ქვას, გვაძლევს სრულ უფლებას, მივამსგავსოთ ასევე X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლებს მანგლისის სიონსა (თეთრიწყარო, IV ს.; VI-VII და XI საუკუნეებში ჩაუტარდა მნიშვნელოვანი რესტავრაცია) და მუშევანის (ბოლნისი, XI ს.) ტაძარს.

ცნობილი მკვლევარი რენე შმერლინგი მიიჩნევს, რომ სპეთის „ზედა მაცხოვრის“ კანკელი და მთლიანად ტაძარი არის ერთი ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილი, რასაც ადასტურებს კანკელისა და ტაძრის ჩუქურთმები, კერძოდ, „კანკელის მარჯვნივ გამოქანდაკებული ორნამენტი პირდაპირ ემსგავსება აღმოსავლეთის ფასადის სარკმელის საპირე ჩუქურთმას; ზოგ შემთხვევაში კი, მათ ანალოგი არ მოეძებნება მახლობელ არქიტექტურაში“. ის ასევე ბრძანებს: „კანკელი, ე. ი. ის კონსტრუქცია (ტიხარი), რომელიც საკურთხევლის წინ აღიმართება და ამ უკანასკნელს გამოჰყოფს საკუთრივ ნავისაგან, საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა, ისევე, როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში (ბიზანტია, რუსეთი და სხვ). კანკელის უძველესი და ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები განეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს.

დროთა განმავლობაში ქართულმა კანკელმა მიიღო თავის სპეციფიკური სახე – შედარებით დაბალი ბარიერი, ზედ შესმული სვეტები და სვეტების შემაკავშირებელი თაღები. უმთავრეს ინტერესს იწვევს კანკელთა ორნამენტული და რელიეფური მორთულობა. რელიეფები გვხვდება მხოლოდ ქვის კანკელებზე (ქვემო ბარიერზე), თითქმის ყოველთვის ფართო ორნამენტების არშიის შიგნით. ყველაზე მნიშვნელოვანია XI საუკუნის ნიმუშები. ზოგიერთ მათგანს ამკობდა რელიეფური სცენები, რომლებიც

შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეთის კანკელი. ასევე პატარა ონის, საფარის მიძინების ტაძრისა და ატენის სიონის კანკელის ფრაგმენტები“.[15]

კანკელებისათვის დამახასიათებელ ჩუქურთმებს, ორნამენტებსა და დეკორაციებს ზუსტად შეესაბამება სპეთის „ზედა მაცხოვრის“ ტაძრის კანკელი, რომელმაც ასეთი დიდი აღიარება დაიმსახურა, თუმცა სათანადოდ მაინც არ არის შესწავლილი.

წერილის მომზადების პროცესში ჩვენ აღმოვაჩინეთ წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) მიერ 1919 წლის 31 აგვისტოს შედგენილი ნაშრომი, რომელიც 1936 წელს, ანუ მეცნიერის ემიგრაციაში ყოფნის დროს, გამოსცა ინგლისის სამეფო აკადემიის საისტორიო საზოგადოებამ. ცხადია, ნაშრომი შესულია კრებულში და ის გამოცემულია მცირე ტირაჟით ინგლისურ ენაზე, რომელსაც თან ახლავს ავტორის მიერვე გადაღებული ფოტოები, რომლებიც უაღრესად ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

„ეხვევის ტაძრის ქვემოთ, კვირიკეს მთის ფერდობზე, მდებარეობს დანგრეული ერთნავიანი სპეთის ბაზილიკა, რომელიც მიძღვნილია მაცხოვრისადმი. სპეთის ტაძარი უფრო პატარა ზომისაა ვიდრე ეხვევისა და, სამწუხაროდ, არ არის ისე კარგად შენახული, როგორც ეხვევის ტაძარი. აგებულია დიდი თლილი ქვებისაგან და, სავარაუდოდ, ის აღდგენილია XIII საუკუნის მიწურულს.მას ჰქონია კარები დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში, მაგრამ მოგვიანებით სამხრეთის კარი ამოშენებულია. აქვს ორი სარკმელი, ერთი სამხრეთით და ერთიც დასავლეთით. ჩუქურთმები და ორნამენტები დაზიანებულია. წერეთლის ვარაუდით, სპეთის ეკლესია უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ეხვევისა და აგებულია არა ბაგრატ IV, არამედ ბაგრატ III დროს. ჩვენი აზრით, ტაძრის წარწერა, მისი ხასიათისა და სტილის გათვალიწინებით, ტიპურად უფრო IX-X საუკუნეებს განეკუთვნება, ვიდრე XI საუკუნეს“.[16]

საერთო დასკვნა ასეთია: ორი უნიკალური ტაძარი, ეხვევის „დედა ღვთისა“ და სპეთის „ზედა მაცხოვარი“ განეკუთვნება ერთიანი საქართველოს ხუროთმოძღვრებას და იმ საუკეთესო ძეგლთა რიცხვში შედის, რომელიც ამ ეპოქაში შეიქმნა. საბედნიეროდ, მათ გაუძლეს ჟამთა სიავეს და საუკუნეების შემდეგ კვლავ გადმოჰყურებენ ზემო იმერეთს ციცაბო ფერდობებიდან და ღირსეულ მამულიშვილებს, მომლოცველებსა და აღმაშენებლებს ელიან.

[15] Р. Шмерлинг, Малие форми в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 147.

[16] E.Taqaichvili, Four basilican churches of Qvirila valley, „Georgica“, vol. 1, № 2-3, London, 1936, გვ.173, ციტატა ქართულად თარგმნა ანჟელა ლალიაშვილმა.

# გეორგიევსკის ტრაქტატი

## დოკუმენტები

### № 1

### 1771 წ. დეკემბრის 30. — ერეკლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისათვის გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას

ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა ჴელმწიფესა, იმპერატრიცა ეკატირინა ალექსივნასა, თჳთმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, ყოვლად უმოწყალესსა ჴელმწიფესა!

რომელიც არის უკაზებითა ყოვლად მოწყალითა ჴელმწიფობისა თქვენისათა ბრძანებული მოწყალებით მიღება თქვენისა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა[1] მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებელად ჯარის ბოძება საქართველოებში.

ამ ზემოხსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოგვიყვანოს მოწყალებამან დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თქვენისამან წარმართთაგან და გვებოძოს ჯარი, რიცხვით ოთხი ათასი, გასწავლებული, და, თუ სულ გასწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი გასწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანც უწინდელს ჯარს[2] ჩვენ კერძო არა აქჳს მოცალება, და ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

° წყარო: *გეორგიევსკის ტრაქტატი*, გამოკვლევა, დოკუმენტები და ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983. — გამოკვლევა ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა.

[1] დაყოფით აწყობილი სიტყვები დედანში დიდი ასოებითაა დაწერილი.

[2] იგულისხმება რუსეთის კორპუსი, რომელიც ამ დროს ქუთაისში იდგა.

კჷალად, ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად ეგოს მორჩილებასა ქჷეშე დიდებულებისათქვენისასა, იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემორე აღიწერება.

მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.

ვინაჲთგან ღ̃თითა და ბედნიერობითა თქვენისა დიდებულებისათა ყირიმიდამ ეგოდენნი ჩჷენის ქუეყანის კაცნი გამოიხსნენ, წყალობას ვითხოვთ ყოვლად დიდებულებისაგან თქვენისა, რათამცა იმათ თავისუფლება მიეცესთ თავიანთ ქვეყანაში მოსვლისა.[3]

და როდესაც თქვენის იმპერატორების დიდებულების ჯარი ამ ქვეყანაში მოვა, და ჩვენ და ისინი საერთოდ მტერს ჩვენს წართმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ, რაც კორპუსზედ ხაზინა დაიხარჯება, ამ დაჭერილის ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ უნდა ხაზინაში მოგართვათ.

დაღათუ ამაზედ თავის წყენისათვის მოვერიდებით ყოვლად დიდებულებასა ჴელმწიფებისა თქვენისასა, მაგრამ რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმას-საყოფელი ხარჯები დაგვემართა და კიდემ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდმოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგჷჭირდეს რა, ერთიც ვითხოოთ ვედრებით, რომ ხაზინიდამ სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევ მიირთვას ყოვლადდიდებულობამან თქვენმან.

და ამ წყალობაებისათვის, რომელიც ზემორე აღიწერა, მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

და კიდემ, რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველ წლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საჴელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ.

რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს.

როდესაც სპარსთ რომ ვეჭირენით მძლავრებით და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართმევდენ ცხრას[4] ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც – იმ ტყვეების მოსამზადებელის ხარჯისათვის; და კიდემ ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თჳთ წაიღებდენ საჴელმწიფოთ, და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ საჴელმწიფოთა.

[3] ხელნაწერშია: მოსულისა.

[4] ხელნაწერში ასეა.



როდესაც დიდებულის ჴელმწიფის ჯარი მოვა ჩვენს ქვეყანაში, იმათის შემწეობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის ქვეყნებიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემოხსენებულნი აღთქმულნი მივართვათ უდიდებულესსა ჴელმწიფებასა თქვენსა, და როდესაც სხვებს ქვეყნებს დავიპყრობთ თქვენის დიდებულების ძალით, მაშინ იმ ადგილებიდამ, როგორც ქვემორე მოიხსენება, იმ სახით ვამსახურებთ.

როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქჷს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი.

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ ბედნიერებითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა.

კჷალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქჷსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხჷანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.

როდესაც დიდებულის ჴელმწიფის ბენდიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც მოვართმევთ თქვენის იმპერატორების დიდებულებას,რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა.

უკეთუ ღ̃თითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქჷენის დიდებულებისა არის.

ჩვენ რაც რამ სამსახურის აღთქმა შეგვეძლო და წყალობის ვედრება გვეჭირებოდა, ის მოვახსენეთ თქვენის იმპერატორების დიდებულებასა და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის

ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალებითა განაგოს ყოვლად მოწყალებამან დიდებულებისა თქუენისამან.

ყოვლად დიდებულებისა თქვენისა
უმდაბლესი მონა
მეფე ერეკლე.
დაიწერა ქალაქსა ტფილისს,
დეკემბერს 30 დღესა, წელსა 1771.

АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463. დედანი.[5]

## №2

### 1772 წლის იანვრის 6. — ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა რუსეთის იმპერატორს: თუ ქვეყანა მფარველობაში იქნება მიღებული, როგორ წარმატებასაც უნდა მიაღწიონ მათ თურქეთთან და სპარსეთთან ბრძოლაში, რუსეთის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლების აღიარებაზე ხელს არ აიღებენ

**ყოვლად უგანათლებულესსა უმპყრობელესსა ჴელმწიფესა იმპერატრიცა ეკატირინა დიდსა ალექსივნასა თვითმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა ყოვლად უმოწყალესსა ჴელმწიფესა**

მდაბლის თაყვანისცემით მოვახსენებ

ყოვლად დიდებულის ჴელმწიფის მოწყალებით და ძალით ამ მჴარის ქვეყნებში თურქისა თუ სპარსეთისა ადგილები რომ დავიჭიროთ, რასაც პატივსა და სიმაღლეში შევიდეთ, მაშინც მონებრ დამორჩილებულნი ვიყვნეთ ყოვლად დიდებულობისა ჴელმწიფობისა თქვენისასა და როგორადაც სხვას მეორეს ჩვენგნით თქვენის იმპერატორების დიდებულების სამსახურისა და აღთქმისდა კვალად ჩვენგანვე თქვენის ყოვლად მოწყალების სათხოველის არზაში მოგვიხსენებია, რომელზედაც თვით ჩემი ჴელი აწერია,[6] იმ სახით ყოვლითურთ ჩემის ჩამომავლობით დამორჩილებულნი და ყმანი ვიყვნეთ საუკუნოდ.

და რათა ჩვენ კერძო აზიასა შინა ვიყვნეთ განმტკიცებულნი და გამოცხადებულნი თქვენისა დიდებულების ნებითა მონებრსა სამსახურსა ზედა.

ეს ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებია და თვით ჴელითა

[5] ა. ცაგარლის პუბლიკაციაში დოკუმენტი უხეში შეცდომებითაა დაბეჭდილი (შდრ.: Грамоты, II, вып. I, с. 83-84).

[6] იგულისხმება ერეკლე II წერილი 1771 წლის 30 დეკემბრისა (იხ. დოკუმენტი №1).



ჩემითა დამიწერია და ეგრეთვე სახლეულთა ჩემთა ჴელმოწერით და დაბეჭდვით[7] მტკიცე მიყოფია.

ამ ფიცისა და აღთქმის არზას გარეთ სხვას, რომლითაც თქვენს ყოვლად დიდებულს და ყოვლად უგანათლებულესს გონებასა თქვენსა დაჯერების ნება აქვნდეს, გვიბრძანე, ყოვლად დიდებულო ჴელმწიფეო, და შეძლებისაებრ ჩვენისა ვართ აღმასრულებელნი ყოვლად დიდებულისა ბრძანებისა თქვენისანი.

მაგრა რომელნიც წყალობანი თქვენის ყოვლად მოწყალებისაგან გვბრძანებიეს და ან ჩვენ გვითხოვიეს, მისის აღსრულებისა მვედრებელნი ვართ.

უდიდებულესობისა თქვენისა უმდაბლესი მონა ერეკლე.[8]

უმდაბლესი მჴევალი დარია.[9]

უმდაბლესი მონაჲ ანტონი კათალიკოსი.[10]

უმდაბლესნი მონანი უდიდებულესობისა თქვენისანი: გიორგი[11], ლეონ[12], იულონ[13], ვახტანგ[14].

დაიწერა მცხეთას იანვარს 6 დღესა, წელსა 1772.

АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 459. დედანი.

## № 3

### 1782 Г. КОНЕЦ — 1783 Г. НАЧ. — ПИСМО А. БЕЗБОРОДКО КН. Г. А. ПОТЕМКИНУ О МНЕНИИ ИМПЕРАТРИЦЫ И ЕГО СОБСТВЕННОЕ МНЕНИЕ ОБ УСЛОВИЯХ ТРАКТАТА С ГРУЗИНСКИМИ ЦАРЯМИ

**[ А. Мнение Екатерины II ]**

М н е н и е[15] ея величества было, чтоб: 1-е, чрез вашу светлость заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от империи всероссийской покровительствуемыми.

2. Поборов денежных не принять никаких, ниже половины с

[7] დედანშია: „დაბეჭვდივით“.

[8] მელნის ბეჭედი წარწერით: „მე ფჴთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“.

[9] მელნის ბეჭედი წარწერით: „დ[ედო]ფ[ა]ლი დარეჯან“.

[10] მელნის ბეჭედი წარწერით: „[...] კათოლიკოსი მეფის ძე ანტონი.

[11] მელნის ბეჭედი წარწერით: „მეფის ძე გიორგი“.

[12] მელნის ბეჭედი წარწერით: „მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა“.

[13] მელნის ბეჭედი წარწერით: „ქ. ღ[მრ]თის მშობლის სასოიანი იულონ დავითიანი“.

[14] მელნის ბეჭედი წარწერით: „ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად“.

[15] Слава на полях: «1-е», а выше — «27».

металлов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присылку шелку, вин и лошадеи.

3. По благоразсуждению вашему назначить им субсидии денежныя по числу войск во время войны, а на первое время сумму некоторую, буде изволите найти надобным.

4. Отклонить всякое их знакомство с императором[16] и с другими христианскими державами; сказав, что они имеют условие не мешаться в дела, до Азиатских наших соседей касающиеся; да и писем к императору не посылать.[17]

5. О войсках и о всем прочем государыня изволит ожидать от вашей светлости примечаний, оставляя вам и по сим пунктам снеснимся.

6. Ея величество изволила примечать, не нужен ли под вашим руководством мир между царями Ираклием и Саломоном постановить ясный и точный, учиня себя как ручателем оного, так и арбитром в случае взаимных вновь жалоб.

**[Б. Мнение А. Безбородко]**

При[18] постановлении таковаго союза не худо бы:

1. Вместить право монархам нашим, дивану (?) царям грузинским — инвеституру, и чтобы более сей народ привязать к России, то бы весьма полезно иерархию их привязать к нашему Синоду, а знатнейшим фамилиям дать право Российскаго дворянства; архиепископа же католикоса — то ему соборнаго, поставить степенем в Российской церкви между первыми.

2. Еще более безкорыстие доказано будет, естли тому и вино приказано будет брать за известную цену, тем паче, что сие касается простаго народа.

3. Можно инородовать навсегда два баталиона пехоты с четырьмя пушками; сие тем паче будет полезно, что горския дикия народы с обеих сторон гор приперты будут и коммуникация с Грузиями обезпечится. Помянутые баталионы сменять погодно. Что ж касается до военнаго время, тогда отряд войск числом своим будет зависеть от обстоятельств.

4. Когда по духовенству они привиязаны будут к Синоду, то по сему примеру и римское духовенство от России же получать будут, а сим

**[16] Австрийским.**

**[17] Подразумевается переписка царя Ираклия с австрийским императором в 1782 году, копии которой Ираклий сам послал в Россию.**

**[18] Сверху: «28».**



кончится сношение с императором,[19] которому причиною мисионарии.

5. Как выше упомянуто, что сие зависит от обстоятельств военных, о чем я пространно пишу в генеральном предположении действии военных.

6. Сие весьма нужно, ибо их[20] согласие усилить нашу оборону в той части.[21]

АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1776-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67.

Автограф А. Безбородко.

## №4

### 1783 წ. ივნისის 28, – რწმუნების სიგელი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად

არა ერთგზის მიურთმევიათ თხოვაჲ ტახტისადმი ყოვლისა რუსეთის თჳთ-მპყრობელთასა წინაპართა ჩუ̂ენთა, მეფეთა ქართლისა და კახეთისათა; ხოლო ჰმსგავსად მათსა ტახტისადმი აწ ბედნიერად მმეფობისა იმისის იმპერატორებისა დიდებულებისა ეკატერინა მეორისა, იმპერატრიცასი და თჳთ-მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოგოროდისა, მეფისა ყაზანისა, მეფისა ასტრახანისა, მეფისა სიბირისა, ჴელმწიფისა პსკოვისა და დიდისა თავადინასი სმოლენსკისა, თავადინასი ისტლანდისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუღორისა, პერმისა, ვიატსკისა, ბოლღარისა, და სხჳათა, ჴელმწიფისა და დიდისა თავადინასი ნოვოგოროდის ნიზოვის ქუ̂ეყანისა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიკისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა კერძოჲსა; მბრძანებელისა და ჴელმწიფისა ივერთა ქუ̂ეყანისა, ქართლისა და საქართუ̂ელოჲსა მეფეთა, და ყაბარდოს ქუ̂ეყნისა, ჩერქეზისა და მთიურისა კნიაზთა და სხჳათა მემკჳდრისა ჴელმწიფისა და მფლობელსა მივართჳთ უმდაბლესი თხოვაჲ ჩუ̂ენ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისამან, მემკჳდრემან მთავარმან სამცხე-საათაბაგოსამან, მთავარმან ყაზახისამან, მთავარმან ბორჩალოჲსამან, მთავარმან შამშადილოჲსამან, მთავარმან კაკისამან, მთავარმან შაქისამან, და მთავარმან შირვანისამან, მფლობელმან და მბრძანებელმან განჯისა, ერევნისა და სხჳათამან,

**[19] Австрийским.**

**[20] Царей.**

**[21] Внизу, за линией, написано: «Царя Соломона письмы еще переводятся».**

მიღებისათჳს ჩჳენისა და მონაცჳლეთა ჩჳენთასა მფარველობასა ქუეშე იმისის იმპერატორების დიდებულებისასა და აღსარებისათჳს ჩჳენ კერძო **უ**ზენაესისა ჴელმწიფებისა მისისა და **მ**ენაცჳლეთა **რუ**სეთის საიმპერატოროს ტახტისათა, **ქ**ართლისა და **კ**ახეთისა მფლობელთა ზედა. და უკანასკნელ მივიღევით იმისის იმპერატორების დიდებულებისაგან მოწყალებით ნებაჲ ამას ზედა, რომლისაცა დასამტკიცებელად ცხადითა და ორითვე კერძოჲთა მსგავსითა განწესებითა აღვარჩიეთ და სრულისა ძალისა მქონებელ ვჰყავით ჩჳენ კერძო საყუარელნი და ერთგულნი ყმანი ჩჳენნი: **კ**ნიაზი **ი**ოვანე **კ**ონსტანტინოვიჩი **ბ**აგრატიონი, მხედრობისა ჩჳენის მემარცხენე სპასპეტი, რომელსაცა აქუნ ჰრწმუნებულ საქმენი **ე**რევნისანი, და **კ**ნიაზი **გ**არსევან **რ**ევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩჳენი მანდატურთ უხუცესი და ზედამხედუელი **ყ**აზახისა სამთავროსა, რომელთათჳსცა მიგჳცია სრული მინდობაჲ, რათა მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა სრულის-ძალის-მქონებელთა თანა რაჲცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატთა მფარველობისათჳს ჩჳენ ზედა მისის იმპერატორების დიდებულებისა და **მ**აღალთა **მ**ენაცულეთა მისთასა, და ჩემ მიერ აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა **ყ**ოვლისა **რ**უსეთის თჳთმპყრობელთასა **ქ**ართლისა და **კ**ახეთის **მ**ეფეთა ზედა აღვსთქუამ ჩჳენისა **მ**ეფობითისა სიტყჳთა, რომ კეთილად მივიღებ და უიჭუელად აღვასრულებ ყოველსა მას, რაჲცა **კ**ნიაზ **ი**ოანე **ბ**აგრატიონისა და **კ**ნიაზ **გ**არსევან **ჭ**ავჭავაძისაგან ძალითა აწინდელისა სრულისა ძალისა მქონებელობისათა აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან. ესრეთვე მიეცემისცა ამათ ზედა რატიფიკაციაჲ ჩჳენი განწესებულსა დროსა, რომლისაცა დასარწმუნებელად ამას სრულსა ძალსა ჩჳენ საკუთარითა ჴელითა ჩჳენითა მოვაწერეთ და უბრძანეთ დამტკიცებად სამეფოჲთა ბეჭდითა ჩჳენითა. მეეცათ სამეფოსა ქალაქსა ჩჳენსა ტფილისს, იჳნისის 28 დღესა, წელსა შობითგან ქ˜ესით 1783, ოც და მეათცხრამეტესა წელსა მეფობისა ჩჳენისასა.

ბეჭედი **ერეკლე**.

თავადი დავით ორბელიანი.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

АВПР, ф. Трактаты, оп. 2 (466а), д. 177, л. 3. დედანი.



## №5

### 1783 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 24. – ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ (ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ) ᲓᲔᲓᲐᲜᲘ

### [A. პრეამბულა და 13 ძირითადი მუხლი][22]

### სახელითა ღ˜თისა ყოვლისა-შემძლებელისა ერთისა სამ-წმინდაობასა შინა დიდებულისათა

ადრითგან ერთ-მორწმუნოებამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან მსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა **მ**ფლობელთათა წინააღმდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუეშე შემვდრომ იყვნეს იგინი მეზობელთაგან თჳსთა. მფარუელობამან ყოვლისა **რ**უსეთისა თვითმპყრობელთამან **მ**ეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების **რ**უსეთის **ს**აიმპერატოროჲსა **ტ**იტლოსაგან.

**ა**წ ბედნიერად მ**მ**ეფობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხადუყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თჳსი კეთილ-ნებობაჲ და დიდ-სულობითი მზრუნუელობაჲ კეთილობისათჳს მათისა თჳსითა ძლიერითა მეცადინობისა დართჳთა განთავისუფლებისათჳს მათისა უღლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყვედ მიჴდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძელებს თჳსსა **მ**ონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი. ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა **უ**განათლებულესისა **მ**ეფისა **ქ**ართლისა და **კ**ახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ-იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა და მენაცულითა თჳსითა და ყოვლითა **ს**ამეფოჲთა და **ს**ამფლობელოჲთა თჳსითა **მ**ონარხობითსა მფლობელობასა ქუეშე მისისა დიდებულებისასა და **მ**აღალთა **მ**ემკვიდრეთა მისთადა **მ**ოსაყდრეთა **უ**ზენაეს ჴელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა **რ**უსეთისა **ი**მპერატორთა **მ**ეფეთა ზედა ქართუელთა და კახეთისათა, ყოვლად **უ**მოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ **მ**ეგობრობითისა **პ**ირობისა ჰხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო **უ**განათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მენაცულეთათა

[22] **გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა.**

აღიარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარჳჱლობასა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და კახეთისათა და სხჳათა სამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ყოს (სამეუფოჲთა) დღესასწაულობითა და ნამდჳლითა ხატითა შეკრულებაჲ თჳსი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა; ხოლო მეორით კერძო დიდებულებაჲ იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ყოს დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაჲ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯჳჱნისაგან მისისა ჴსენებულთა: ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა: დასამტკიცებელად ესევითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა რომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მჴედართა თჳსთა ღენარალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა გასწავლულისა და გაუსწავლებელისა და სხჳთა მრავალთა სამჴედროთა ძალთა, სენატორი, საჴელმწიფოჲსა სამჴედროჲსა კოლლეღიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტრახნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსსიისა მოადგილე ჴელმწიფისა, ღენარალ-ატუტანტი თჳსი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერ-ღვარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბ-ღჳარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირჳჱლესი მთავარი პალატისა სასაჭურჳჱლოჲსა ჴელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმინდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამჴედროსა წმინდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდისა, მოციქულთა ჰსწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯჳართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმინდისა სტანისლავისა, შჳჱციისა სერაფიმთა, დატსკისა სპილოჲსა და ღოლსტინიისა წმინდისა ანნასი, ესევითარითა ჴელმწიფებითა, რათა არყოფასა მუნ თჳსსა აღირჩიოსმცა ნებითა თჳსითა სრულისა ძალისა მქონებლად, ვისიცა კეთილად განსაჯოს მან, რომელმან რომლისათჳს აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო მაღალ-მსჳლელი უფალი მისის იმპერატორების დიდებულების არმიისა ღენარალ-პორუტჩიკი, ასტარხნის ღუბერნიის მჴედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეისტვიტელნი[23] კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა ალექსნადრე ნევსკისა, სამჴედროსა დიდის მოწამის და ძლევა-შემოსილის გიორგის და ღოლსტინიის წმიდის ანნას კავალერი პავლე სერგიევიჩი პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა ჰყჳნა კერძოჲთ თჳსით ბრწყინჳალენი სამჴედროსა თჳსისა მემარცხენე სპასპეტი კნიაზი

[23] ტექსტშია: დეისტიტველნი.



თავადი იოანე კოსტანტინევიჩი ბაგრატიონი და მისის უგანათლებულესობისა თავადი გარსევან ჭავჭავაძე მანდატურთ-უხუცესი.

ჴსენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებელთა და შეწევნითა ღ̃ისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცჳლის-მგებელთა სრულისა ძალისა მქონებელობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს, და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა ანუ წევრთა:

## ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცჳლეთა თჳსთა დღესასწაულობით უკუნსთქჳამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხჳათა მპყრობელთასა და ამით ცხად-ჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თჳს ზედა და მენაცჳლეთა თჳსთა ზედა სხჳასა თჳთმპყრობელსა თჳნიერ უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარჳჱლობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მენაცჳლეთა საიმპერატოროჲსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზა-ყოფისა შეწევნისათჳს სარგებელისა საჴელმწიფოჲსა (რუსეთისა) ყოველსა შინა შემთხჳჱვასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

## ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

დიდებულება იმპერატორებისა მისისა მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკჳჱლისა აღთქმისა, აღსთქჳამს თანასწორადჳჱ და იმედეულ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყჳთა თჳსითა თავისა თჳსისათჳს და მოსაყდრეთა თჳსთათჳს, ვითარმედ მოწყალება და მფარჳჱლობა თჳსი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებელად დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებრსა თავს-მდებობასა თჳსსა მრთლად (და დაუკლებელად) დაცჳასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა ესევითარისა თავს-მდებობისასა ესე გჳარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

## ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

განცხადებასა შინა ამის უზაკჳჱლობისასა ვითარითაცა ხატითა უგა-

ნათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარჳელობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა განიწესების, ვითარმედ: ჴსენებულნი იგი მეფენი ოდეს-იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა (ესე იგი არს) ბოვრაყი ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰჴსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ჴრმალი, კჳრთხი საბრძანებელი, მანტია ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღჳრეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანა-მდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის და გულს-მოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხჳსათჳს ჴელმწიფებისა და მფარჳელობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა, წესი ესე თანა-აძს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა[24] მეფესა ქართლისა და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

დამტკიცებისათჳს ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლადუბრწყინჳალესის ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკჳელ, აღსთქჳამს უგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანჴმობისა უპირჳელესისას მესამზღჳრისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისა ჰრწმუნებულისა არა აქჳნდეს მიწერ-მოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ, ხოლო ოდეს-იგი მოვალნ[25] მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირჳელესისა მიმართ მესამზღჳრისა მთავრისა და მინისტრისა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა უკუნ ქცევისათჳს დესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყჳს-გებისა მფლობელთა მათ მიერ.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

რათა ადჳლად აქჳნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწერაჲ და თანჴმობაჲ რუსეთისა საიმპერატოროჲსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყჳესმცა წინაშე

[24] დედანშია: უგანათლებულესსსა.

[25] დედანშია: მოვალნნ.



კარისა მის მინისტრი ანუ რეზიდენტი, ხოლო დიდებულება იმპერატორებისა მისისა მოწყალებით მიმღებელი მისი აღსთქჳამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხჳსა შინა სხჳათა მფლობელთა მინისტრთა თანა თანა-ჰსწორითა ნიშნითა თჳსითა, და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა თჳსით ჰყჳესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲔᲥᲣᲡᲔ

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი კეთილნებებით აღსარებისა უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარჳელობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართჳელოჲსათა, აღსთქჳამს სახელითა თჳსითა და მოსაყდრეთა თჳსთათა: პირველად, ერთა მის სამეფოჲსათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანაჴმად იმპერიისა თანა თჳსისა. მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა, რომლისათჳსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა, ანუ სხჳათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშვიდობაჲ დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა და საფარჳელთა ერთაცა ამათ ზედა; მეორედ, უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაცჳლეთა და ტომთა დაიცავს უცჳალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართებელობასა თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელის ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებულობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამჴედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაჲ ერთა მათ ჰჴსენებულთა.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირს-თანამდებობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა, აღსთქჳამს თაჳსა[26] თჳსისა და ტომთა თჳსთათჳს: პირჳელად, რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მჴედრობითა თჳსითა; მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა, რათა იქცეოდესმცა სამარადისოჲთა მიწერ-მოწერითა, რაჲცაღა თჳს-ეყჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისასა სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა და ყმათა მისის დიდებულებისათა სცჳდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა; მესამედ, განწესებასა შინაკაცთასა (თჳსისა სამეფოჲსათა)

[26] დედანშია: თაჳსა.

ადგილთა ზედა აღყჳანებასა ზედა მათსა ხარისხთა შინა ანუ აღსავალთა, რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩჳჱნოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათჳს რუსეთის იმპერიისა, ესე-ვითარსა პატივის-ცემასა ზედა მოკიდულ არს განსჳჱნება და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოჲსა.

### არტიკული მერჳჱ

**დ**ასამტკიცებელად **უ**საკუთრესისა **მ**ონარხისა კეთილ-ნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქჳნდეს ადგილი რიცხჳთა შორის რუსეთისა მღჳდელთ-მთავართასა მერჳჱსა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად **ტ**ობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხოლო მართებისათჳს საქართჳჱლოჲსა ეკკლესიათასა და მიწერ-მოწერთასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთჳს უკჳჱ დაიწერების სხჳა არტიკული.

### არტიკული მეცხრე

**გ**ანვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳსისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათჳს, განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირჳჱლესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა, ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსლჳასა და შეიკრჳს წარგზავნად კარისადმი მისისა[27] დიდებულებისა ნუსხასა კეთილ-შობილთა გჳართასა, რათამცა მით შესაძლებელ[28] იყოს ცნობად ნამდჳლი ზედმიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი.

### არტიკული მეათე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კჳალად უკუნ-ქცევადვე დაუყოვნებელად; ხოლო ტყჳჱნი, უკეთუ საჭურჳჱლითა ანუ გამოჴსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხჳათა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქჳჱყანასა თჳსსა

[27] დედანში ჯერ პატარა ასოებით დაუწერიათ „მისისა“, მაგრამ გადაუშლიათ და კვლავ დაუწერიათ იგივე, ოღონდ დიდი ასოებით იმპერატორისადმი კრძალვის ნიშნად.

[28] დედანშია: შე შესაძლებელ.



წადილისაებრ თჳსისა. მაგრა რაჲცალა-იგი წარგებულ არს გამოჴსნასა და მოყვანებასა ზედა მათსა, გარდაიჴადონ იგი; თჳთ უკჳჱ ამასვე უგანათლებულესობაჲცა მისი მეფე აღსთქჳამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყჳჱთათჳს, რომელნიცა დატყვევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

### არტიკული მეათერთმეტე

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქჳს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითჳჱ სამართლითა და პატივის-ცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი სარგებლობენ; ნაცჳლადჳჱ მისსა აღსთქჳამს მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღჳრეთა ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თჳსთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათჳს სხჳათა შინა ადგილთა. ამისთჳს რომელ გარდა ესე-გჳარისა ნამდჳლსა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხჳაგჳარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

### არტიკული მეათორმეტე

ზავი უკუჱ ესე ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ, მაგრა, უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცჳალებად, ანუ დართჳად ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქჳს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჴმობისა.

### არტიკული მეათსამმეტე

კმა ყოფისათჳს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთას შეცჳალებულ-ყოფაჲ ექჳსთა თთჳჱთა შინა ჴელის-მოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქჳჱმო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დასხნეს ბეჭედნი. თთჳჱსა იჳლისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин.[29]
თავადი იოანე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

АВПР, ф. Трактаты, оп. 2 (466а), д. 178, лл. 3-5. დედანი.

[29] ლუქის ბეჭდები, რომლებიც დედნის ზონარის ბოლოზეა დასმული.

## [Б. სეპარატული მუხლები]

### ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲜᲘ ᲐᲜᲣ ᲛᲰᲐᲜᲘ ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲜᲘ

### ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲐ ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲔᲚᲘ

ჰაზრი მტკიცე მისის იმპერატორების დიდებულებისა, რათა ერთ-მორწმუნენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანჴმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყულელად შეერთებულთა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსვენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუე აღიძრვის დიდებულება მისი. **მ**ისისა **უ**განათლებულესობისადმი **მ**ეფისა ქართლისა და კახეთისა **ი**რაკლი **თ**ეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და განზრახვისა (ესე იგი რჩევისა) დაცჳსათვის მეგობრობისა და კეთილისა თანჴმობისა **უ**განათლებულესისა **მ**ეფისა მიმართ **ი**მერთასა **ს**ოლომონისა განწესებისათვის ყოვლისა მის რაჲცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერ-ყოფად, წინათვე ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულისჴმისსაყოფელისა, აღჰსთქუამს იმპერატორებრითა სიტყვითა თჳსითა არა თუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თჳსითა ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზედა მშვიდობასა და თანჴმობასა მისცემს თჳსსა თავს-მდებობასა.

უგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობასა მისისა დიდებულობისაზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთ-გუართა და ერთ-სჯულთა, და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა საქმეთა შინა მათთა **უ**განათლებულესისადმი **მ**ეფისა **ს**ოლომონისა აწ და შემდგომად შერაცხს მისისა იმპერატორებისა დიდებულებასა[30] სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენაესისა **გ**ანჩინებისა ანუ განჩენისა ვერ გულისჴმის-საყოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ მფლობელთა უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲐ

დაცვისათვის სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მჴედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მჴედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფი ძლით ქუეყანისა თანჴმობითა მისის უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღვრისა მთავრისა დადებულითა ფასითა.

30 დედანშია: დიდებულებჰასა.



### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲐ

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღვრე მისისა იმპერატორების დიდებულებისასა კერძოჲთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანა-მდებ არს, რათა **უ**განათლებულესობასა მისსა **მ**ეფესა ქართლისა და კახეთისასა ეთანჴმოსცა და დასდუას ჰაზრი შეწევნისათჳს თქმულთა მათ ქუეყანათა და წინა-აღმდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ: უკეთუ რაოდენიმე მჴედრობა ქართლისა და კახეთისა ჴმარებულ იქმნეს სამსახურისათჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისასა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთჳს შესანახავი სრული, თანასწორი მისისა დიდებულებისა მჴედართა.

### ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲐ

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იჴმაროსმცა ყოველი შემძლებელობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურუელისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათჳს ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუელადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუელსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათჳს და უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატის არტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარმცა თჳთ ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსითი-ლექსად შემოყუანილ-ქმნილ იყუნენ, რომლისათჳსცა სრულ-ყოფასა ამისსა, იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა ანუ დართუასა.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა, მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი. თუესა

იულისსა, დღესსა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин.[31]
თავადი იოანე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

АВПР, ф. Трактаты, оп. 2 (466а), д. 178, л. 6. დედანი.

## [B. ერეკლეს ფიცის ნიმუში]

სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარჳწლობისა და უზენაესისა ჴელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა.

მე უკუჱ ქუჱმო ჰჴსენებული აღუსთქუამ და ვფიცავ ამას ყოვლისა-შემძლებელითა ღ̃თითა, წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებავს და თანა-მდებცა ვარ მისისა იმპერატორების დიდებულებისასა ყოვლად უბრწყინვალესისა და უმპყრობელესისა[32] დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცაჲსა და თჳითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატირინა ალექსივნაჲსა და მისისა ყოვლად საყუარელისა ძისა, ყოვლად უბრწყინუალესისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა, ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტახტისა ჰსჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ სარწმუნო და კეთილისმწადნელ, აღჳარებ სახელითა ჩემითა, მემკჳდრეთა და მენაცუჱლეთა ჩემთა და ყოველთა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარჳწლობასა და უზენაესსა ჴელმწიფებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემ ზედა და მოსაყდრეთა ჩემთა ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა ანუ ჴელმწიფების სხვათა ჴელმწიფეთა და მპყრობელთასა, და უარ-ვყოფ მფარჳწლობასა მათსა, შევიკრვი წმინდითა ქრისტეანებრითა სჳნდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა

[31] ლუქის ბეჭდები, რომლებიც დედნის ზონარის ბოლოზეა დასმული.
[32] დედანშია: უმპყრობელესისა.



საჴელმწიფოჲსათა ვრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაცა სახმარ ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორების დიდებულებისასასა და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოჲსასა, და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წუჱთადმდე სისხლისა, სამხედროთა და სამოქალაქოთა მისისა დიდებულებისა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწუჱრუალესითა თანჴმობითა. და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა მისისა დიდებულებისა და მისის იმპერიისა ვჰსცნა საქმეჲ ანუ ჰაზრი, მყის განვაცხადო იგი. მოკლედ უკუჱ ვიტყჳ: ესრეთ ვიქცეოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განჰსჯითა მფარჳწლობისა და უზენაესისა ჴელმწიფებისა მისის იმპერატორების დიდებულებისათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს-უყოფ სიტყუასა და ჯუარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

მსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შ̃ა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა მეფობად მომავალთა, ოდეს-იგი მიიღებენ დამტკიცებითსა წიგნსა, დროშათა და ინვესტიტურთა, ბოძებულთა რუსეთისა საიმპერატოროჲსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებელად ქუჱმო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალ-მქონებლობითა მოვაწერეთ სახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩუჱნითა. თუჱსა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин.[33]
თავადი იოანე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

АВПР, ф. Трактаты, оп. 2 (466а), д. 178, л. 8. დედანი.

## [Г. დამატებითი მუხლი]

### ႸႤႱႠႱႰႳႪႤႡႤႪႨ ႠႰႲႨႩႳႪႨ[34]

Ⴜინათგან Ⴋეფენი Ⴕართლისა და Ⴉახეთისანი ძუჱლით დროთგან იგჳრგჳნოსნებიან Ⴑამეფოთა Ⴂჳრგჳნითა და იცხებულებიან Ⴑამეფოსა ზედა Ⴜმიდითა Ⴋირონითა, ამისთჳს ႫႨႱႨ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠႫ[35]

[33] ლუქის ბეჭდები, რომლებიც დედნის ზონარის ბოლოზეა დასმული.
[34] შესასრულებელი არტიკული.
[35] მისი იმპერატორების დიდებულება.

სახელითა ႧႵႱႨႧႠ[36] და მონაცჳლეთა თჳსისა ႱႠႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႱႠ[37] Ⴒახტისათა, არა ოდენ ყოვლად უმოწყალესობით ნება-ჰსცემს მოჴსენებულთა Ⴋეფეთა ჴმარებასა ამის სამღჳდელოსა Ⴜესისასა, არამედ კვალად უმეტესსა დამტკიცებასა უსაკუთრესისა თჳსისა კეთილ-ნებობისასა უბოძებს მათ, გარდა სხჳათა ნიშანთა ႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႳႪႧႠ[38] Ⴈნვესტიტურათა Ⴑამეფოთა პირობათა შინა დადებულთა ჩჳეულებითსაცა Ⴑამეფოსა Ⴂჳრგჳნსა, Ⴐომელსაცა ვითარცა ႫႨႱႨ ႱႨႫႠႶႪႤ[39] აწ Ⴋფლობელი Ⴋეფე Ⴈრაკლი მეორე ჴხარებულ ჰყოფს, ეგრეთვე Ⴓგანათლებულესნიცა მონაცჳლენი Ⴋისნი სათანადო არიან Ⴂჳრგჳნოსნებად.

ႫႨႱႨ ႱႨႫႠႶႪႤ ႫႤႴႤ ႨႰႠႩႪႨ[40] ამას Ⴓმაღლესსა მოწყალებასა ႫႨႱႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႱႠ[41] ღირს თანა-მდებობითითა კეთილ-ნებობითა და მადლობითა მიმღებელი აღჰსთქჳამს სახელითა თჳსითა და Ⴋენაცჳლეთა თჳსთათა, რომელ წესსა ამას სამღჳდელოსა Ⴋენაცჳლეთა მათ Ⴇჳსისა Ⴑამეფოსათა Ⴂჳრგჳნოსნებასა და Ⴚხებასა არა უწინარეს სრულ-ჰყოფენ, ვიდრემდის არა ჰყონ ტრაქტატით განწესებული ფიცი ერთგულებასა ზედა ႷႭႥႪႨႱႠ ႰႳႱႤႧႨႱ ႱႠႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႱ[42] Ⴒახტისასა და არ მიიღონ დასამტკიცებელი ႨႫႮႤႰႠႲႭႰႳႪႨ[43] Ⴜერილი და Ⴈნვესტიტური.

Ⴀრტიკულნი ესე შესარაცხჳელ არიან ყოფად შესაბამად რიცხჳსადმი სხჳათა ტრაქტატსა შინა მდებარეთასა Ⴐომლისაცა დასამტკიცებელად სრულის ძალის მქონებელთა დამტკიცებისადმი ტრაქტატისა მის, მოცემულითა მათდა სრულ-ძალ-მქონებლობითა მოაწერეს და ბეჭდებითა თჳსითა დაამტკიცეს Ⴑამეფოსა Ⴕალაქსა Ⴒფილისს, Ⴈანუარს 24 დღესა, 1783 წელსა.

Павел Потемкин.[44]

თავადი იოანე ბაგრატიონი.

თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

АВПР, ф. Трактаты, оп. 2 (466а), д. 178, л. 7. დედანი.

[36] თჳსითა.
[37] საიმპერატოროსა.
[38] იმპერატორულთა.
[39] მისი სიმაღლე.
[40] მისი სიმაღლე მეფე ირაკლი.
[41] მისის იმპერატორების დიდებულებისასა.
[42] ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროს.
[43] იმპერატორული.
[44] ლუქის ბეჭდები, რომლებიც დედნის ზონარის ბოლოზეა დასმული.



**№ 7**

**1784 წ. იანვრის 24. – გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი (რატიფიცირებული ტექსტი) საქართველოს მხრივ**

## [А. პრეამბულა, 13 ძირითადი მუხლი, ფიცის ნიმუში და ერეკლეს მიერ მათი რატიფიკაცია]

Ⴗ~Ⴃ ႳႢႠႬႠႧႪႤႡႳႪႤႱႨ ႳႧႣႧႫႮႷႰႭႡႤႪႤႱႨ ႣႨႣႨ ႿႤႪႫႼႨႴႤ ႨႫႮႤႰႠႲႰႨႺႠ ႤႩႠႲႤႰႨႬႠ ႠႪႤႵႱႨႤႥႬႠ ႫႮႷႰႭႡႤႪႨ.[45] Ⴗოვლისა Ⴐუსეთისა: Ⴋოსკოვისა, Ⴉიევისა, Ⴅლადიმირისა, Ⴌოვოღოროდისა, Ⴋეფა Ⴉაზანისა, Ⴋეფა Ⴀსტრახნისა, Ⴋეფა Ⴑიბირისა, Ⴟელმწიფა Ⴎსკოვისა და Ⴃიდი Ⴋთავრინა Ⴑმოლენსკისა, Ⴋთავრინა Ⴄსტლანდიისა, Ⴊიფლანდიისა, Ⴉორელისა, Ⴒვერისა, Ⴈუღორსკისა, Ⴎერმსკისა, Ⴅიატსკისა, Ⴁოლღარისა და სხჳათა Ⴟელმწიფა და Ⴃიდი Ⴋთავრინა Ⴌოვოღოროდის Ⴌიზოვისა Ⴕუეყანათა, Ⴙერნიგოვისა, Ⴐეზანისა, Ⴐოსტოვისა, Ⴈაროსლავისა, Ⴁელაოზერისა, Ⴓდორისა, Ⴍბდორისა, Ⴉონდიისა და ყოვლისა Ⴙრდილოეთის კერძოთა Ⴋბრძანებელი და Ⴟელმწიფა Ⴈვერიისა Ⴕუეყანისა, Ⴕართლისა და Ⴑაქართუელოსა Ⴇავადთა და Ⴉაბართოს Ⴕუეყნისა, Ⴙერქეზთა, და Ⴋთიურთა Ⴇავადთა და სხჳათა Ⴋემკჳდრე Ⴟელმწიფე და Ⴋფლობელი. Ⴈრაკლი მეორე წყალობითა Ⴖ~ისათა და ႧႵႭႳႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[46] კეთილ-ნებობითა Ⴋეფე Ⴕართლისა, Ⴋეფე Ⴉახეთისა, Ⴋემკჳდრე Ⴋფლობელი Ⴑამცხე-Ⴑაათაბაგოსი, Ⴋთავარი Ⴉაზახისა, Ⴋთავარი Ⴁორჩალოსა, Ⴋთავარი Ⴘამშადილისა, Ⴋთავარი Ⴉაკისა, Ⴋთავარი Ⴘაქისა, Ⴋთავარი Ⴘირვანისა, Ⴋფლობელი და Ⴋბრძანებელი Ⴂანჯისა და Ⴄრევნისა.

ႧႵႭႳႬႫႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠႫႠႬ[47] მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვა ჩუენი Ⴓსამღჳდელოესისადმი Ⴑაყდრისა ႧႵႭႳႬႨႱႠ[48] მორთმეული მიღებისათჳს Ⴙუენისა და Ⴋონაცჳალეთა Ⴙუენთასა ყოვლითა Ⴑამეფოთა და სამფლობელოთა Ⴙუენითა Ⴓ~დუმაღლესსა მფარუელობასა შინა ႧႵႭႳႬႨႱႠ[49] და Ⴋენაცჳლეთა Ⴑაყდრისა ႧႵႭႳႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠႧႠ[50] აღსარებითა კერძოჲთ Ⴙუენით Ⴓზენაესისა Ⴟელმწიფებისა Ⴗოვლისა Ⴐუსეთისა ႨႫႮႤႰႠႲႭႰႧႠႱႠ[51]

[45] ყ~დ უგანათლებულესი უთჳთმპყრობელესი დიდი ჴელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა მპყრობელი.
[46] თქუენის იმპერატორების დიდებულებისა.
[47] თქუენma imperatorebisa didebulebaman.
[48] თქუენისა.
[49] თქუენისა.
[50] თქუენის იმპერატორებისათა.
[51] იმპერატორთასა.

Ⴋეფეთა ზედა Ⴕართლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, Ⴋონარხობითითა ႧႵႭჃႤႬႨႧႠ[52] Ⴙუენდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა, რომელიცა დამტკიცდა ႧႵႭჃႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ[53] სრულის ძალის მქონებელისაგან და Ⴙუენ მიერთა სრულის ძალის მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი-ლექსად.

სახელითა Ⴖ̃ისა Ⴗ̃ისა შემძლებელისა, Ⴄრთისა Ⴑამ-წმიდაობასა შინა Ⴃიდებულისათა!

Ⴀდრითგან ერთ-მორწმუნეობამან ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერიისათანა Ⴕართუელთამან ჰმსახურა Ⴋფარუელობითა, შემწეობითა მარად შესავედრებელობითა მათ ერთათა და ႭჃგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინა-აღმდგომად მაჭირუებელთა, რომელთაცა ქუეშე შემვრდომ იყუნეს იგინი მეზობელთაგან თჳსთა; Ⴋფარუელობამან ყოვლისა Ⴐუსეთისა ႧჃႧႫႮႷႰႭႡႤႪႧႠႫႠႬ[54] Ⴋეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათდამი მინიჭებულმან გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა ამათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების Ⴐუსეთისა ႱႠႨႫႮႤႰႠႲႭႰႭჂႱႠ[55] Ⴒიტლოჲსაგან. Ⴀწ ბედნიერად Ⴋმეფობმან ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠႫႠႬ [56]ცხად უყო ერთა ამათ ნამდჳლითა სახითა მონარხობითი ႧჃႱႨ[57] კეთილ-ნებობაჲ და დიდ-სულობითი მზრუნუელობაჲ კეთილობისათჳს მათისა, ႧჃႱႨႧႠ[58] ძლიერითა მეცადინეობისა დართჳთა განთავისუფლებისათჳს მათისა ულლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყუედ მიჴდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყუნეს, და განაგრძელებს ႧჃႱႱႠ[59] Ⴋონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათთადმი, — Ⴑაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა ႭჃგანათლებულესისა მეფისა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა Ⴈრაკლი Ⴇეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა Ⴒახტისადმი ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ[60] მიღებისათჳს ყოვლითა Ⴋემკჳდრითა და Ⴋენაცუალითა თჳსითა და Ⴗოვლითა სამეფოჲთა და სამფლობელოჲთა თჳსითა Ⴋონარხობითსა მფლობელობასა ქუეშე ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠႱႠ[61] და Ⴋაღალთა Ⴋემკჳდრეთა

[52] თქუენითა.

[53] თქუენის იმპერატორების დიდებულებისა.

[54] თჳთმპყრობელთამან.

[55] საიმპერატოროჲსა.

[56] იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან.

[57] თჳსი.

[58] თჳსითა.

[59] თჳსსა.

[60] მისისა დიდებულებისა.

[61] მისისა დიდებულებისასა.



ႫႨႱႧႠ[62] და Ⴋოსაყდრეთა ႭჃზენაეს Ⴞელმწიფედ აღსარებითა Ⴗოვლისა Ⴐუსეთისა ႨႫႮႤႰႠႲႭႰႧႠ[63] Ⴋეფეთა ზედა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა, Ⴗ̃დ ႭჃმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ Ⴋეგობრობითისა Ⴎირობისა ჰჴსენებულისადმი ႭჃგანათლებულესისა Ⴋეფისა, რ̃ლისაცა ღონედ ერთკერძო ႭჃგანათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მენაცუალეთათა აღიარებს ႭჃზენაესსა Ⴞელმწიფებასა და Ⴋფარუელობასა ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠႱႠ[64] და მაღალთა Ⴋოსაყდრეთა ႫႨႱႧႠ[65] მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა, და სხუათა Ⴑამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ჰყოს (სამეუფოჲთა) Ⴃღესასწაულობითა და ნამდჳლითა ხატითა შეკრულებაჲ თჳსი, განჰსჯითა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერიისა თანა; Ⴞ̃[66] მეორით კერძო ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠჂ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[67] ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს Ⴃღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაჲ და სარგებელი მიენიჭების Ⴋოწყალისა და Ⴛლიერისა Ⴋარჯუენისაგან ႫႨႱႨႱႠ [68]ჰჴსენებულთა Ⴄრთა და ႭჃგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

Ⴃასამტკიცებელად ესევითარისა პირობისა ინება ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠႫႠႬ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠႫႠႬ[69] სრულისა ძალისა ქონებად ႭჃგანათლებულესი Ⴉნიაზი Ⴈმპერიისა Ⴐრომაულისა Ⴂრიგორი Ⴀლექსანდროვიჩი Ⴎოტემკინი, მჴედართა თჳსთა Ⴂენერალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა განჰსწავლულისა და განუსწავლელისა, და სხუათა მრავალთა სამჴედროთა ძალთა, Ⴑენატორი, Ⴑახელმწიფოჲსა Ⴑამხედროჲსა Ⴉოლლეღიის Ⴅიცე-პრეზიდენტი, Ⴀსტრახნისა და Ⴑარათოვისა, Ⴀზოვისა და Ⴌოვაროსსიისა მოადგილე Ⴞელმწიფისა, Ⴂენერალ-ადიუტანტი ႧჃႱႨ[70] და Ⴃეისტვიტელნი Ⴉამერღერი, Ⴉავალერ-ღუარდიისა Ⴉორპუსისა Ⴎორუთჩიკი, Ⴊეიბ-ღვარდიისა Ⴎრეობრაჟენის Ⴎოლკისა Ⴎოდპოლკოვნიკი, ႭჃპირუელესი Ⴋთავარი Ⴎალატისა Ⴑასაჭურუელოჲსა ჴელოვნებისა, Ⴉავალერი Ⴍრდენთა Ⴜ̃ისა Ⴋოციქულისა Ⴀნდრეასი, Ⴀლექსანდრე Ⴌევსკისა, Ⴑამჴედროსა Ⴜ̃ისა დიდისა მოწამისა Ⴂიორგისა და Ⴜ̃ისა Ⴋოციქულთა სწორისა Ⴅლადიმირისა დიდთა ჯუართა, Ⴉოროლთა Ⴎრუსიისა შავისა და Ⴎოლშისა თეთრისა Ⴀრწივისა, და Ⴜ̃ისა Ⴑტანისლავისა, Ⴘუეციისა სერაფიმთა, Ⴃატსკისა Ⴑპილოჲსა და Ⴂოლსტინიისა Ⴜ̃სა Ⴀნნასი, — ესევითარითა

[62] მისთა.

[63] იმპერატორთა.

[64] მისისა იმპერატორების დიდებულებისასა.

[65] მისთა.

[66] ხ[ოლო].

[67] დიდებულებაჲ იმპერატორებისა მისისა.

[68] მისისა.

[69] დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან.

[70] თჳსი.

Ⴞელმწიფებითა, რათა არყოფასა მუნ თჳსსა აღირჩიოსმცა ნებითა თჳსითა სრულისა ძალისა მქონებელად ვისიცა კეთილად განჰსაჯოს მან; რომელმან რომლისათჳს აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო Ⴋაღალ-მსჳლელი Ⴓფალი **ႫႨႱႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႡႨႱႠ**[71] Ⴀრმიის Ⴂენარალ-პორუჭიკი, Ⴀსტრახნის Ⴂუბერნიის მჴედრობისა მოკამანდე, **ႫႨႱႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ**[72] Ⴃეისტვიტელნი Ⴉამერღერი და Ⴍრდენთა Ⴐუსეთისათა Ⴜმიდათა Ⴀლექსანდრე Ⴌევსკისა, Ⴇავადის Ⴅლადიმირისა პირველისა ხარისხისა სამჴედროს Ⴃიდის Ⴋოწამისა და ძლევაშემოსილისა Ⴂიორგისა და Ⴂოლშტინიისა Ⴜმიდისა Ⴀნნას Ⴉავალერი Ⴎავლე Ⴎოტემკინი, Ⴞ~[73] Ⴓგანათლებულესობამ Ⴕართლისა და Ⴉახეთისა Ⴋეფისა Ⴈრაკლი Ⴇეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყჳნა კერძოჲთ თჳსით Ⴁრწყინვალენი Ⴇავადნი: მჴედრობისა თჳსისა მემარცხენე სარდარი და Ⴓმთავრესი თან-განმზრახი Ⴄრევნისა საქმეთა Ⴇავადი Ⴈოანე Ⴉოსტანტინოვიჩი Ⴁაგრატიონი და მისისავე Ⴓგანათლებულესობისა მანდატურთ-უხუცესი და ზედა-მხედჳელი Ⴗაზახისა Ⴉნიაზ Ⴂარსევან Ⴐევაზოვიჩი Ⴜავჭავაძე. Ⴞსენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებელთა და შეწევნითა Ⴖ~ისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცჳლის-მგებელთა სრულისა ძალის მქონებელობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს, და მოაწერეს შემდგომთა Ⴀრტიკულთა ანუ Ⴜევრთა:

### Ⴀრტიკული პირჳელი

Ⴓგანათლებულესობაჲ მისი, Ⴋეფე Ⴕართლისა და Ⴉახეთისა, Ⴑახელითა თჳსითა, Ⴋემკჳდრეთა და Ⴋენაცჳლეთა თჳსთა Ⴃღესასწაულობით უკუჰსთქჳამს ყოველსა Ⴅალობასა, ანუ ვითარ სამე Ⴒიტლოსა ყოვლისაგან მოკიდულებისა Ⴑპარსთასა, ანუ სხჳათა Ⴋყრობელთასა და ამით ცხად-ჰყოფს წინაშე პირსა ყოველისა Ⴑოფლისასა, ვ~დ არა შეჰრაცხს იგი თჳს ზედა და Ⴋენაცჳლეთა თჳსთა ზედა სხჳასა Ⴇჳთმპყრობელსა, თჳნიერ Ⴓზენაესისა Ⴞელმწიფებისა და Ⴋფარჳელობისა **ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ**[74] და Ⴋაღალთა **ႫႨႱႧႠ**[75] Ⴋემკჳდრეთა და Ⴋენაცჳლეთა საიმპერატოროჲსა Ⴒახტისა ყოვლისა Ⴐუსეთისათა, აღმთქმელი Ⴒახტისა მის ერთგულებისა და მზა-ყოფისა შეწევნისათჳს სარგებელისა Ⴑაჴელმწიფოჲსა (Ⴐუსეთისა) ყოველსა შინა



შემთხჳევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

### Ⴀრტიკული მორე

**ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ**[76] მიმღებელი Ⴓგანათლებულესობისაგან Ⴋისისა ესოდენისა უზაკჳელისა აღთქმისა, აღჰსთქჳამს თანაჰსწორადჳე და იმედეულ ჰყოფს **ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႰႨႧႠ**[77] სიტყჳთა **ႧႳႱႨႧႠ**[78] თავისა **ႧႳႱႨႱႠႧႳႱ**[79] და მოსაყდრეთა **ႧႳႱႧႠႧႳႱ**,[80] ვ~დ Ⴋოწყალება და Ⴋფარჳელობა **ႧႳႱႨ**[81] Ⴓგანათლებულესთა Ⴋეფეთა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებელად **ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠ ႫႨႱႨ**[82] აძლევს Ⴈმპერატორებრსა თავს-მდებობასა **ႧႳႱႱႠ**[83] მრთლად (და დაუკლებელად) დაცჳასა ზედა აწინდელთა Ⴑამფლობელოთა Ⴋისისა Ⴓგანათლებულესობისა Ⴋეფისა Ⴈრაკლი Ⴇეიმურაზოვიჩისათა და წინა-დაჰსდებს განვრცელებასა ესევითარისა თავს-მდებობისასა ესე გჳარსა ზედა სამფლობელოსა, რათა, რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა Ⴋისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი Ⴑამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

### Ⴀრტიკული მესამე

Ⴂანცხადებასა შინა ამის უზაკჳელობისასა ვითარითაცა ხატითა Ⴓგანათლებულესობა Ⴋისი Ⴋეფე Ⴕართლისა და Ⴉახეთისა აღიარებს Ⴓზენაესსა Ⴞელმწიფებასა და Ⴋფარჳელობასა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერატორთასა, განიწესების ვ~დ: ჰჴსენებულნი იგი მეფენი ოდეს-იგი მიიწევიან Ⴋემკჳდრეობით Ⴑამეფოსა ზედა მათსა, მჰსწრაფლ აუწყებდენ ამისთჳს Ⴉარსა Ⴑაიმპერატოროსა Ⴐუსეთისასა და ითხოვდენ Ⴃესპანთა Ⴇჳსთა მიერ Ⴑამეფოსა ზედა Ⴇჳსსა Ⴈმპერატორებრსა დამტკიცებასა Ⴈნვესტიტურისა წერილთა, (ესე იგი არს) Ⴁოვრაყი ანუ Ⴃროშა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴂერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰჴსენებულთა Ⴑამეფოთა Ⴂერბისა, Ⴞრმალი, Ⴉჳერთხი Ⴑაბრძანებელი, Ⴋანტია, ანუ Ⴜარმოსასხ-

---

[71] მისის დიდებულების იმპერატორრობისა.

[72] მისის იმპერატორრობის დიდებულებისა.

[73] ხ[ოლო].

[74] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.

[75] მისთა.

[76] დიდებულება იმპერატორებისა მისისა.

[77] იმპერატორებრითა.

[78] თჳსითა.

[79] თჳსისათჳს.

[80] თჳსთათჳს.

[81] თჳსი.

[82] დიდებულება მისი.

[83] თჳსსა.

მელი Ⴗარყუმისა. Ⴌიშანნი ესე ანუ Ⴃესპანთა ერწმუნების, ანუ Ⴋესამზღჳრეთა Ⴋთავართა ძლით მიიწევის Ⴋეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნ დაჰსწრებითა Ⴐუსეთისა Ⴋინისტრისათა თანა-მდებ-არს, რათა იფიცოს Ⴃღესასწაულობით ერთ-გულებისათჳს და გულს-მოდგინებისა Ⴈმპერიისა Ⴐუსეთისა და Ⴓზენაეს შერაცხჳსათჳს Ⴞელმწიფობისა და Ⴋფარველობისა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერატორთასა ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი Ⴀრტიკულთა ამათ თანა, Ⴜესი ესე თანა-აძს აღსრულებად Ⴗ~დ Ⴓგანათლებულესსა Ⴋეფესა Ⴕართლისა და Ⴉახეთისასა Ⴈრაკლის Ⴇეიმურაზოვიჩსა.

### Ⴀრტიკული მეოთხე

Ⴃამტკიცებისათჳს, ვ~დ ჰაზრი Ⴋისისა Ⴓგანათლებულესობისა განჰსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერიისა თანა და აღსარებისათჳს Ⴓზენაესისა Ⴞელმწიფებისა Ⴗ~დ უუბრწყინჳალესისა ამის Ⴈმპერიისა Ⴋფლობელთასა, ვ~დ არიან უზაკუჱლ, აღჰსთქუამს Ⴓგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანჴმობისა Ⴓპირუჱლესისა Ⴋესამზღჳრისა Ⴋთავრისა და Ⴋინისტრისა ႫႨႱႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ[84] ჰრწმუნებულისა არა აქუნდეს მიწერ-მოწერაჲ გარემოთა Ⴋფლობელთა მიმართ, Ⴞ~[85] ოდეს-იგი მოვალნ[86] მათ მიერ Ⴃესპანნი ანუ Ⴜერილნი, ჰყოფს განზრახუასა Ⴓპირუჱლესისა მიმართ Ⴋესამზღჳრისა Ⴋთავრისა და Ⴋინისტრისა ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠႱႠ[87] უკუნ-ქცევისათჳს Ⴃესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყჳს-გებისა Ⴋფლობელთა მათდამი.

### Ⴀრტიკული მეხუთე

Ⴐათა ადჳლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწერაჲ და თანჴმობაჲ Ⴐუსეთისა საიმპერატოროჲსა Ⴉარისა თანა, ჰსურს ამისთვს Ⴓგანათლებულესობასა მისსა მეფესა Ⴈრაკლის, რათა ჰყუჱსმცა წინაშე Ⴉარისა მის Ⴋინისტრი ანუ Ⴐეზიდენტი; Ⴞ~ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[88] მოწყალებით მიმღებელი მისი აღჰსთქუამს,[89] ვითარმედ იგი Ⴉარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების Ⴐიცხუსა შინა სხუათა Ⴋფლობელთა Ⴋინისტრთა თანა თანა-ჰსწორითა Ⴌიშნითა თჳსითა, და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა ႧႣႱႨႧ[90] ჰყუჱსმცა Ⴋინისტრი Ⴐუსეთისა წინაშე მისისა Ⴓგანათლებულესობისა.

### Ⴀრტიკული მეექუსე

ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[91] — მიმღებელი კეთილ-ნებებით აღსარებისა Ⴓზენაესისა Ⴞელმწიფებისა და Ⴋფარუჱლობისა Ⴑამეფოთა ზედა Ⴕართლისა, Ⴉახეთისა და Ⴑაქართუჱლოჲსათა, აღჰსთქუამს სახელითა ႧႣႱႨႧႠ[92] და მოსაყდრეთა ႧႣႱႧႠႧႠ[93] პირუჱლად, ერთა მის სამეფოჲსათა შეჰრაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანაჴმად იმპერიისა თანა ႧႣႱႨႱႠ[94]. მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად ႧႣႱႱႠ,[95] Ⴐ~ლისათჳსცა Ⴎორტის Ⴀთამანისა თანა (ესე იგი Ⴞონთქრისა) ანუ Ⴑპარსეთისა, ანუ სხუათა Ⴋპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშჳდობაჲ დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[96] და საფარუჱლთა ერთაცა ამათ ზედა; მეორედ, Ⴓგანათლებულესსა Ⴋეფესა Ⴈრაკლის Ⴇეიმურაზოვიჩსა და სახლისა Ⴋისისა Ⴋემკჳდრეთა და Ⴋენაცუჱლეთა და Ⴛომთა დაიცავს უცუჱლებელად Ⴑამეფოთა ზედა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა; Ⴋესამედ, Ⴘინაგანსა Ⴞელმწიფებისა Ⴋართუჱლობასა თანა შეუღლჳლსა Ⴋჰსჯავრსა და Ⴑამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს Ⴋისსა Ⴓგანათლებულესობასა Ⴋეფესა სრულსა შინა Ⴌებასა და Ⴑარგებლობასა მისსა, და დააყენებს Ⴋთავართა Ⴑამჴედროსა და Ⴑამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაჲ Ⴍრთა მათ ჰჴსენებულთა.

### Ⴀრტიკული მეშჳდე

Ⴋისი იგი Ⴓგანათლებულესობა Ⴋეფე, ღირს-თანა-მდებობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა ႫႨႱႨႱႠႢႠႬ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ[97] აღჰსთქუამს Ⴇავისა Ⴇჳსისა და Ⴛომთა Ⴇჳსთათჳს; Ⴎირუჱლად, Ⴐათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠႱႠ[98] მჴედრობითა Ⴇჳსითა, Ⴋეორედ, Ⴋთავართადმი Ⴐუსეთისათა, რათა იქცევოდეს მცა სამარადისოჲთა

[84] მისის იმპერატორების დიდებულებისა.
[85] ხ[ოლო].
[86] ტექსტშია: მოვალSნნ.
[87] მისისა იმპერატორების დიდებულებისასა.
[88] ხ[ოლო] დიდებულება იმპერატორებისა მისისა.
[89] აღჰსთქუამSს.



[90] თჳსით.
[91] დიდებულება იმპერატორებისა მისისა.
[92] თჳსითა.
[93] თჳსთათა.
[94] თჳსისა.
[95] თჳსსა.
[96] დიდებულებისა მისისა.
[97] მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა.
[98] მისისა დიდებულებისასა.

მიწერ-მოწერითა, რაჲცალა თჳს-ეყჳს ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[99] სამსახურსა, და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა, და ყმათა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႧႠ[100] ჰსცჳდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა; Ⴋესამედ, Ⴂანწესებასა შინა Ⴉაცთასა (Ⴇჳსისა Ⴑამეფოჲსათა) ადგილთა ზედა და აღყუანებასა შინა მათსა Ⴞარისხთა შინა ანუ Ⴀლსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩუჱნოსმცა Ⴓდიდესობაჲ მსახურებისათჳს Ⴐუსეთის Ⴈმპერიისა, — ესე-ვითარსა პატივის-ცემასა ზედა მოკიდულ არს განსუჱნება და ბედნიერობა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა Ⴑამეფოჲსა.

### Ⴀრტიკული მერუჱ

Ⴃასამტკიცებელად უსაკუთრესისა Ⴋონარხისა კეთილ-ნებობისა მისის Ⴓგანათლებულესობისა Ⴋეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა Ⴐუსეთისა თანა ამათ ერთ-მორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠჂ,[101] ვ῀დ Ⴉათოლიკოსსა ანუ Ⴓმთავრესსა Ⴀრხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის Ⴐუსეთისა მღუდელთ-მთავართასა მერუჱსა შინა Ⴞარისხსა, ესე იგი არს, შემდგომად Ⴒობოლსკისა, და ყ῀დ-უმოწყალესობით მიუბოძებს[102] მას ნიადაგ Ⴒიტლოსა Ⴓწმიდესისა Ⴑინოდის Ⴙლენობისასა; Ⴞ[103] მართებისათჳს საქართუჱლოჲსა Ⴄკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს Ⴐუსეთისა Ⴑინოდისადმი, ამისთჳს უკუჱ დაიწერება სხუაჲ Ⴀრტიკული.

### Ⴀრტიკული მეცხრე

Ⴂანვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳსისა Ⴗმათადმი Ⴋისისა Ⴓგანათლებულესობისა Ⴋეფისათა Ⴇავადთა და Ⴀზნაურთათჳს, განაწესებს ႣႨႣႤႡႳႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[104] ვ῀დ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით Ⴓპირუჱლესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან Ⴐუსეთისა Ⴉეთილ-შობილთა. Ⴞ῀[105] Ⴓგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი Ⴋისთა სიმდ-

[99] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.

[100] მისისა დიდებულებისათა.

[101] დიდებულებაჲ.

[102] დედანში მიუბოძებSს.

[103] ხ[ოლო].

[104] დიდებულება იმპერატორებისა მისისა.

[105] ხ[ოლო].



აბლით ჰშთამოსლუასა და შეიკრჳს წარგზავნად Ⴉარისადმი ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႧႠ[106] Ⴌუსხასა ყოველთა Ⴉეთილ-შობილთა გუართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდჳლი ზედ-მიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე ნამდჳლი ეშესაბამების სამართალი.

### Ⴀრტიკული მეათე

Ⴂანიწესების, ვ῀დ ყოველნი საზოგადოდ შობილნი Ⴕართლისა და Ⴉახეთისანი შემძლებელ არიან Ⴐუსეთსა შინა დასახლებად და კ῀დ უკუნქცევადვე დაუყოვნებელად; Ⴞ῀[107] ტყუჱნი, უკეთუ საჭურველითა, ანუ გამოჴსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხუათა ერთაგან განთავისუფლდნენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუჱყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა, მაგრა რაჲცალა-იგი წარგებულ არს გამოჴსნასა და მოყუანებასა ზედა მათსა, გარდაიჴადონ იგი; Ⴇჳთ უკუჱ ამასვე Ⴓგანათლებულესობაჲცა მისი Ⴋეფე აღსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა Ⴐუსთა ტყუჱთათჳს, რომელნიცა დატყუჱვებულ იქმნენ მეზობელთაგან.

### Ⴀრტიკული მეათერთმეტე

Ⴅაჭრობასა Ⴕართლისა და Ⴉახეთისასა აქუს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი Ⴐუსეთსა შინა და ისარგებლონ მითვე სამართლითა და პატივის-ცემითა, რომლითაცა მკჳდრნი Ⴐუსეთისანი ჰსარგებლობენ; Ⴃაცულადვე მისსა აღჰსთქუამს Ⴋეფეჲცა განწესებად Ⴇავთა Ⴋთავართა მესამზღურეთა, ანუ მინისტრთა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႧႠ[108] ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა Ⴐუსთასა Ⴑავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა Ⴇჳსთა, ანუ მგზავრ განმვლელთა Ⴐუსთა ვაჭრობისათჳს სხუათა შინა ადგილთა, Ⴀმისთჳს რომელ გარდა ესეგუარისა ნამდჳლისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

### Ⴀრტიკული მეათორმეტე

Ⴆავი უკუჱ ესე ანუ Ⴎირობა იქმნების საუკუნოდ. მაგრა, უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცუალებად ანუ დაჰრთუად ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჴმობისა.

[106] მისისა დიდებულებისათა.

[107] ხ[ოლო].

[108] მისისა დიდებულებისათა.

## Ⴀრტიკული მეათსამმეტე

Ⴀმა ყოფისათჳს აწინდელისა Ⴒრაქტატისა სათანადო არს ურთიერთარს შეცჳალებულ-ყოფაჲ ექჳსთა თთჳჱთა შინა ჴელის-მოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

Ⴐომლისა დასარწმუნებელად ქჳჱმო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა მოაწერეს Ⴀრტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს Ⴁეჭედნი.

Ⴂიორგის ციხეში, Ⴈულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

Ⴎავლე Ⴎოტემკინი.

Ⴇავადი Ⴈოანე Ⴁაგრატიონი.

Ⴇავადი Ⴂარსევან Ⴝავჭავაძე.

## ႱႠႾႤ ႴႨႺႨႱႠ[109]

Ⴋე უკჳჱ ქჳჱმო ჰჴსენებული აღვჰსთქუამ და ვჰფუცავ ამას Ⴗ̃ისა-შემძლებელითა Ⴖ̃ითა, წინაშე Ⴜ̃ისა Ⴑახარებისა მისისა, ვ̃დ მნებავს და თანამდებცა ვარ ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[110] Ⴗოვლად Ⴓბრწყინჳალესისა და Ⴓმპყრობელესისა Ⴃიდისა ႾႤႪႫႼႨႴႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႰႨႺႠჂႱႠ[111] და Ⴇჳთ-მპყრობელისა Ⴗ̃ისა Ⴐუსეთისა ႤႩႠႲႨႰႨႬႠ ႠႪႤႵႱႨႥႬႠჂႱႠ[112] და ႫႨႱႨႱႠ[113] Ⴗ̃დ-საყჳარელისა ძისა, Ⴗ̃დ-უბრწყინჳალესისა Ⴞელმწიფისა Ⴚესარევიჩისა და Ⴃიდისა Ⴉნიაზისა Ⴎავლე Ⴎეტროვიჩისა, Ⴗ̃ისა Ⴐუსეთისა Ⴑაიმპერატოროჲსა Ⴒახტისა Ⴋსჯულიერისა მემკჳდრისა და ყოველთა Ⴋაღალთა მოსაყდრეთა მის Ⴒახტისათა, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და კეთილმწადნელ, აღჳარებ Ⴑახელითა ჩემითა, Ⴋემკჳდრეთა და Ⴋენაცჳლეთა ჩემთა და ყოველთა Ⴑამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ Ⴓმაღლესსა Ⴋფარჳჱლობასა და Ⴓზენაესსა Ⴞელმწიფებასა ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[114] და ყოველთა Ⴋაღალთა Ⴋოსაყდრეთა ႫႨႱႧႠႱႠ[115] Ⴙემ ზედა და Ⴋოსაყდრეთა Ⴙემთა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა Ⴋეფეთა ზედა, რომლისაცა შემდგომითა განვაგდებ ყოველსა Ⴙემ ზედა და სამფლობელოთა Ⴙემთა

[109] სახე ფიცისა.
[110] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.
[111] ხელმწიფისა იმპერატრიცაჲსა.
[112] ეკატირინა ალექსივნაჲსა.
[113] მისისა.
[114] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.
[115] მისთასა.



ზედა, ვითართამე მისაღებელთა Ⴒიტლოთა, ანუ Ⴜინადადებათა ვითარისამე Ⴓფლებისა, ანუ Ⴞელმწიფებისა სხჳათა Ⴞელმწიფეთა და Ⴋპყრობელთასა, და უარ-ვჰყოფ Ⴞელმწიფებასა მათსა, შევიკრჳ Ⴕ̃ეანებრითა Ⴑჳნიდისითა Ⴙემითა, ვ̃დ მტერთა Ⴐუსეთისა სახელმწიფოჲსათა ვჰრაცხდე საკუთრად მტრად Ⴙემდა, ვ̃დ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაც საჴმარ ვიყო მსახურებასა შინა ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႱႠ[116] და ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴑახელმწიფოჲსასა, და ამას შინა ყოვლითურგთ არა შევიწყალო სიცოცხლეჲ Ⴙემი ვიდრე უკანასკნელ წჳჱთადმდე სისხლისა, Ⴑამჴედროთა და სამოქალაქოთა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[117] Ⴋთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწჳჱრჳალესითა თანჴმობითა; Ⴃა უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და Ⴃიდებისა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠ[118] და ႫႨႱႨႱႠ[119] Ⴈმპერიისა ვჰსცნა საქმეჲ ანუ ჰაზრი, მყ̃ს განვაცხადო იგი. Ⴋოკლედ უკჳჱ ვიტყჳ: ესრეთ ვიქცევოდე, ვითარცა ერთ-მორწმუნე Ⴐუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით Ⴙემისა განჰსჯითა Ⴋფარჳჱლობისა და Ⴓზენაესისა Ⴞელმწიფებისა ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႳႪႤႡႨႱႠႧႠ[120] შესაბამ და თანა-მდებობით. Ⴞ̃[121] დასასრულ Ⴙემისა ამის ფიცისა ამბორს-უყოფ Ⴑიტყუ̃ასა და Ⴠ̃ა Ⴋაცხოვრისა Ⴙემისასა, ამინ!

Ⴄმსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა Ⴋეფობად მომავალთა, ოდეს-იგი მიიღებენ დამტკიცებითსა წიგნსა, Ⴃროშათა და Ⴈნვესტიტურთა ბოძებულსა Ⴐუსეთისა Ⴑაიმპერატოროჲსაგან Ⴉარისა.

Ⴐომლისაცა დასარწმუნებელად ქჳჱმო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობითა მოვაწერეთ Ⴑახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ Ⴁეჭდითა ჩუჱნითა. Ⴂიორგის ციხეში, Ⴈჳლისს 24 დღესა, 1783 წელსა.

Ⴎავლე Ⴎოტემკინი.

Ⴇავადი Ⴈოანე Ⴁაგრატიონი.

Ⴇავადი Ⴂარსევან Ⴝავჭავაძე.

Ⴋიმცემელი ღირს-თანა-მდებობითისა კრძალულებისა ესოდენთა

[116] მისისა იმპერეტორების დიდებულებისასა.
[117] მისისა დიდებულებისა.
[118] მისისა დიდებულებისა.
[119] მისისა.
[120] მისისა იმპერატორების დიდებულებისათა.
[121] ხ[ოლო].

**ႧႵႭႳႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ**[122] მოწყალებათა ჩუენდამო, ტომთა და ერთა ჩუენთა ზედ ჩუენებულთათჳს, ჩუენ დღესასწაულობითთა ამათ მოქმედებათა ჴელითა ჩუენითა მოწერილთა და სამეფოჲთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულთა მიმღებელი და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა და განწესებულთა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარმედ იგი კმა ჰყოფს სრულებით წადილსა ჩუენსა და იმედებულ გჳყოფს დროთა აწინდელთა და შემდგომთა სახლისა და მამულისა ჩუენისა განსუენებათა და კეთილ-დღეობათა, რომლისათჳსცა აღვჰსთქუამთ მეფობითითა სიტყჳთა ჩუენითა წინაშე ღ~ისა ყოვლისა-შემძლებელისა, წინაშე ႭႳსამღჳდელოესისა **ႧႵႭႳႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ**[123] საყდრისა და წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა ჩუენთჳს და მენაცჳლეთა ჩუენთა და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათჳს, ვითარმედ ყოველი პირობასა ამას შინა აღთქმული ნამდჳლსა ძალსა და სწორესა გულისხმისყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად და დაუჴსნელად დაცული და აღსრულებული. დასასრულ, ამისა მოწყალებისა და კეთილ-ნებობისა **ႧႵႭႳႤႬႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႠႱ**[124] მივაბარებთ თავსა ჩუენსა და სამეფოსა სახლსა ჩუენსა ყოვლითურთ სამფლობელოჲთ ჩუენით. სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თუესსა იანუარსა 24 დღესა, 1784 წელსა შობითგან ქ~ა, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

**ერეკლე.**
თავადი ორბელიანი დავით.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი.[125]

საქართველოს სსრ მეცნიერების აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე 2073-ა, ფურც. 1-6. დედანი.

## [Б. შესავალი, 4 სეპარატიული მუხლი და ერეკლეს მიერ მათი რატიფიკაცია]

**Ⴗ~Ⴃ ႭႳႢႠႬႠႧႪႤႡႭႳႪႤႱႨႱ ႭႳႧႭႳႧႫႮႷႰႭႡႤႪႤႱႨႱ ႣႨႣႨ ႾႤႪႫႼႨႴႤ ႨႫႮႤႰႠႲႰႨႺႠ ႤႩႠႲႤႰႨႬႠ ႠႪႤႵႱႨႤႥႬႠ ႫႮႷႰႭႡႤႪႨ**[126] ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოღოროდისა, მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა, მეფა სიბირისა, ხელმწიფა ფსკოვისა და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, ტვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა და სხუათა, ხელმწიფეთა და დიდი მთავრინა ნოვოღოროდის ნიზოვის ქუეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა, მბრძანებელი და ხელმწიფა ივერიისა ქუეყანისა ქართლისა და საქართუელოსა თავადთა და ყაბართოლს ქუეყანისა, ჩერქეზთა და მთიურთა თავადთა და სხუათა მემკჳდრე ხელმწიფე და მფლობელი. ირაკლი მეორე წყალობითა ღ~ისათა და **ႧႵႭႳႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ**[127] კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკჳდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულის ძალის მქონებელთასა **ႧႵႭႳႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ**[128] და ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან პირობისა მიღებისათჳს ჩუენისა სამეფოთ და სამფლობელოთ ჩუენით ႭႳმაღლესსა მფარუელობასა ქუეშე **ႧႵႭႳႤႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ**[129] და ႭႳზენაესისა ხელმწიფებისა უმჯობესისათჳს სარგებელისა ჩუენისა დაიმტკიცნენ ოთხნი სეპარატისა არტიკულნი, სახელით:

### სეპარატისა არტიკული პირუელი

გაზრი მტკიცე **ႫႨႱႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႨႱႠ**,[130] რათა ერთ-მორწმუნენიმცა ერისა **ႫႨႱႨႱႠႬႨ**[131] ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი **ႫႨႱႨႱႠ**[132] თანა იმპერიისა, ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანჴმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყუელად შეერთებულითა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსუენებასა და კეთილ-დღეობასა მათსა, რომლისათჳს უკუე აღიძრჳს **ႣႨႣႤႡႭႳႪႤႡႠ ႫႨႱႨ**,[133] მისისა

[122] თქუენისა იმპერატორების დიდებულებისა.
[123] თქუენისა იმპერატორების.
[124] თქუენს იმპერატორების დიდებულებას.
[125] დოკუმენტს შეკიდული აქვს ბეჭედი.
[126] ყ~დ უგანათლებულესი უთჳთმპყრობელესი დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატირინა ალექსიევნა მპყრობელი.
[127] თქუენის იმპერატორების დიდებულებისა.
[128] თქუენის იმპერატორების დიდებულებისა.
[129] თქუენის იმპერატორების დიდებულებისასა.
[130] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.
[131] მისისანი.
[132] მისისა.
[133] დიდებულება მისი.

ႭჃგანათლებულესობისადმი Ⴋეფისა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა Ⴈრაკლი Ⴇეიმურაზოვიჩისა მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და განზრახვსა (ესე იგი ჰრჩევისა) დაცვსათვს მეგობრობისა და კეთილისა თანჴმობისა ႭჃგანათლებულესისა Ⴋეფისა მიმართ Ⴈმერთასა Ⴑოლომონისა განწესებისათვს ყოვლისა მის, რაჲცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერ-ყოფად, წინათჳს ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულის-ხმის-საყოფელისა, აღჰსთქუამს Ⴈმპერა-ტორებრითა სიტყუთა ႧႢႱႧႠ[134] არა თუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა ႧႢႱႧႠ[135]ყოფისათვს ესოდენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზედა მშჳდობასა და თანჴმობასა მიჰსცემს ႧႢႱႱႠ[136] თავს-მდებობას.

ႭჃგანათლებულესობა Ⴋისი მეფე Ⴈრაკლი, მიმღებელი თანა-მდებო-ბითითა მადლობითა Ⴃიდ-სულობასა ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ[137] ზრუ-ნვსასა, დაცვსათვს მეგობრობისა ერთა შორის ერთ-გჳართა და ერთ-ჰს-ჯულთა, და ႭჃმაღლესსა თავს-მდებობასა ႫႨႱႱႠ[138] აღიარებს ამით, ვ~დ ურთიერთთა შინა საქმეთა Ⴋათთა ႭჃგანათლებულესისადმი Ⴋეფისა Ⴑო-ლომონისა აწ და შემდგომად შეჰრაცხს[139] ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠႱႠ[140] სრულად მეშუამავლედ და განაგდებს ႫႨႱႨႱႠ[141] მიერ ႭჃზენაესისა Ⴂანჩინებისა, ანუ Ⴂანჩენისა ვერ გულისხმისსაყ-ოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ Ⴋფლობელთა, უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

### Ⴀრტიკული მეორე სეპარატისა

Ⴃაცვსათვს Ⴑამფლობელოჲსა Ⴕართლისა და Ⴉახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვს მჴედრობისა მისი-სა უგანათლებულესობის მეფისა ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ [142]აღჰსთქუამს[143] შენახვად Ⴑამფლობელოთა შინა Ⴋეფისათა ორსა სრულსა Ⴁატალიონსა ქუჱითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მჴედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების

[134] ႧႢႱႧႠ.
[135] ႧႢႱႧႠ.
[136] ႧႢႱႱႠ.
[137] ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ.
[138] ႫႨႱႱႠ.
[139] შეჰრაცჳხს.
[140] ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠႱႠ.
[141] ႫႨႱႨႱႠ.
[142] ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ.
[143] ღჰსთქუაჳმს.



ნაყოფიერებისა ძლით ქუჱყანისა თანჴმობითა Ⴋისისა ႭჃგანათლებულე-სობისათა Ⴇავისა თანა Ⴋესამზღვრისა Ⴋთავრისა დადებულითა ფასითა.

### Ⴀრტიკული მესამე სეპარატისა

Ⴃროსა ბრძოლისა ႭჃთავესი იგი Ⴋთავარი Ⴋესამზღვრე ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ[144] კერძოჲთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანა-მდებ არს, რათა ႭჃგანათლებულესობასა Ⴋისსა Ⴋეფესა Ⴕართლისა და Ⴉახეთისასა ეთანჴმოსმცა და დაჰსდჳას ჰაზრი შეწევნისათვს თქმულთა მათ ქუჱყანათა და წინა-აღმდგომისა მტერთასა მოქმედებისათვს, რომელიცა არა სხჳჱბრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხჳად სათანადო არს. Ⴋას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკეთუ რაოდენიმე მჴედრობა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა ჴმარებულ იქმნეს სამსახურისათვს ႫႨႱႨႱႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ [145]გა-რეგან საზღჳართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთვს შესანახავი სრული, თანაჰსწორი ႫႨႱႨႱႠ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႨႱႠ[146] მჴედართა.

### Ⴀრტიკული მეოთხე სეპარატისა

ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႤႡႨႱႠ ႫႨႱႨႱႠ[147] აღჰსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იჴმაროსმცა ყოველი შემძლებელობაჲ მეცადინეობი-სა ღონითა საჭურჭლისათა, Ⴞ~[148] დროსა მშჳდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათვს ქუჱყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუჱლადვე Ⴑამეფოჲსა მიმართ Ⴕართლისა და Ⴉახეთისა შერაცხილთა ეს-ენი უკუჱ დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა Ⴋეფეთა საფუძუჱლსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ Ⴋფარუჱლობისათვს და ႭჃზენაესისა Ⴞელმწიფებისა ყოვლისა Ⴐუსეთისა Ⴈმპერატორთა.

Ⴋათ Ⴑეპარატისა Ⴀრტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარცა თუთ ზემო წერილნი იგი Ⴒრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსითი ლე-ქსად შემოყჳანილ-ქმნილ იყუნენ, რომლისათვსცა სრულ-ყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა ანუ დაჰრთჳასა.

Ⴐომლისა დასარწმუნებელად ქუჱმო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ ძალ-მქონებელობისა მათისა, მოაწერეს

[144] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.
[145] მისისა იმპერატორების დიდებულებისა.
[146] მისისა დიდებულებისა.
[147] დიდებულება იმპერატორებისა მისისა.
[148] ხ[ოლო].

Ⴀრტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს Ⴁეჭედნი. Ⴂიორგის ციხეში, Ⴈულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

**Ⴎავლე Ⴎოტემკინი.**

Ⴇავადი Ⴈოანე Ⴁაგრატიონი.

Ⴇავადი Ⴂარსევან Ⴙავჭავაძე.

Ⴙუ̆ჱნ, მიმღებელნი ამათნი, თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოვლისა მის, რაჲცა ჩუ̆ჱნთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განიწესნენ, აღუ̆სთქუ̆ამთ Ⴋეფობითითა სიტყჳთა Ⴙუ̆ჱნითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ჴელითა Ⴙუ̆ჱნითა მოწერილ არს და Ⴑამეფოთა Ⴁეჭდითა Ⴙუ̆ჱნითა განმტკიცებულ წინაშე Ⴖ~ისა და ႷႣსამღუ̆დელოესისა **ႧႵႭჃႡႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ**[149] Ⴑაყდრისა Ⴙუ̆ჱნთჳს და Ⴋენაცუ̆ლეთა Ⴙუ̆ჱნთათჳს და ყოვლისა Ⴑამეფოსა და Ⴑამფლობელოსა Ⴙუ̆ჱნისათჳს წმიდად, მრთლად და დაუჴსნელად დაცუ̆ად და აღსრულებად. დასასრულ ამის მოწყალებისა და კეთილ-ნებობისა **ႧႵႭჃႡႬႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႣႨႣႤႡႭჃႪႤႡႠႱ**[150] მივაბარებთ თავსა Ⴙუ̆ჱნსა და Ⴑამეფოსა Ⴑახლსა Ⴙუ̆ჱნსა ყოვლითა Ⴑამფლობელოჲთა Ⴙუ̆ჱნითა. Ⴑატახტოსა ქალაქსა შინა Ⴙუ̆ჱნსა Ⴒფილისს Ⴇთუ̆ჱსა Ⴈანუ̆არსა 24, Ⴜელსა შობითგან Ⴕ~ა 1784, Ⴋეფობისა Ⴙუ̆ჱნისა მეორმოცესა წელსა.

**ერეკლე.**
თავადი ორბელიანი დავით.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი.[151]

საქართველოს სსრ მეცნიერების აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე 2073-ბ, ფურც. 1-3. დედანი.

## ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

აქ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს ისტორიამ გამორჩეულად დიდი სახელმწიფოებრივი მისია დააკისრა. ამასთანავე, ეს დოკუმენტები ქართული სამწერლო ენის საყურადღებო ძეგლებიცაა. შეიძლება არასპეციალისტ

[149] **თქუ̆ჱნის იმპერატორების.**

[150] **თქუ̆ჱნს იმპერატორების დიდებულებას.**

[151] **შეკიდული ბეჭედი.**



მკითხველს ეუცნაუროს ამ დოკუმენტების ორთოგრაფიულ ფორმათა ნაირგვარობა და მერყეობა, ზოგი რამ გაუგებარიც იყოს მისთვის. ეს იმიტომ, რომ ისინი ენობრივად გამართულია კათალიკოსი ანტონი პირველის (1720-1788) „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“. ანტონმა, ამ დიდმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ, მე-18 საუკუნის II ნახევრიდან ქართული სამწერლო ენის ბუნებრივი განვითარების გზა გაამრუდა ხელოვნური ფორმების დანერგვით, რადგან ის ნაკლებად უწევდა ანგარიშს როგორც სამწერლო ქართულის ძველ ტრადიციას, ასევე სამეტყველო ქართულში მოქმედ ნორმებს.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ ჩვენს ტექსტში ახალი ენობრივი ფორმებია: მე-18 საუკუნის დოკუმენტებს კლასიკური (V-X სს.) ძველი ქართულის ნორმების სრული დაცვით, ცხადია, ვერ შეადგენდნენ. გასაკვირი უფრო ის არის, რომ მასში ახალი ფორმები ცოტაა. მაგრამ ესეც გასაგები მიზეზების გამო: ანტონის გრამატიკით დაკანონებული ორთოგრაფია არსებითად არ შეესატყვისებოდა ცოცხალ ენაში მოქმედ ნორმებს. ანტონისეული ხელოვნური ორთოგრაფიული ფორმები თავშივე შეიცავდა თავის უარმყოფელ პოტენციას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ხელოვნური წესების სისტემური გატარება. ამიტომაა, რომ ანტონის ორთოგრაფიული ნორმებისადმი ერთგულნიც კი ცოცხალი, სამეტყველო ენის ნორმების კარნახით უნებურად არღვევენ შემზღუდავ ჯებირებს. დოკუმენტებში ახალი ორთოგრაფიული ფორმებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ჴ ასო მეტწილად ძველი ქართულისამებრ არის ნახმარი გარკვეულ ფუძეებში: (ჴრმალი, ჴელი, მჴედარი, გამოჴსნა, ჴსენება...), მაგრამ აქა-იქ ახალი ქართულისამებრ ჴ-ს ცვლის ხ (ჰხსენებული, სახმარი...).

2. ჲ (მოკლე, უმარცვლო **ი**) ძველი ქართულისამებრ ნახმარია ზოგიერთი ხმოვნის გვერდით (რაჲცა, სამეფოჲთა, მინდობაჲ, სამფლობელოჲსა...), მაგრამ ხშირად დაკარგულია ახალი ქართულისამებრ: რათა (←რაჲთა), უფროს (←უფროჲს), ყოლისა სამეფოსა (←...სამეფოჲსა)...

3. უმარცვლო **უ** (უ̆) ნახმარია ძველი ქართულისებრ (აქუ̆ს, კუ̆ალად, სხუ̆ათა...), მაგრამ, მეტწილად **უ** შეცვლილია ახალი ქართულის გამოთქმისებრ **ვ**-თი: ჩ**ვ**ენ, ძ**ვ**ელად, თქ**ვ**ენ, ქ**ვ**ეყნის...

4. ჳ ასო ძველად, არსებითად უ̆**ი** დიფთონგს გამოხატავდა. იშვიათად ასეცაა ჩვენს ძეგლში (თჳთ, ნამდჳლთა...), მაგრამ საშუალსა და ახალ ქართულში, რადგან უ̆ **ვ**-დ იქცა, ჳ ასო ზედმეტი გახდა და ის **ვი** დაწერილობით შეიცვალა. სწორედ **ვი** დაწერილობა გვხვდება მეტწილად დოკუმენტებში (ღ**ვ**ინოს, რიცხ**ვ**ით, მშ**ვ**იდობასა, დაგ**ვ**იწერია...).

5. ჱ ასო, რომელიც ძველად არსებითად **ეჲ** დიფთონგს გამოხატავდა, დიფთონგის მოშლის (**ეჲ→ე**) შემდეგ ზედმეტი გახდა. ამ უფუნქციო გრა-

ფემას XI-XII საუკუნეებიდან უჩვეულო როლი ეკისრება — თითქოს მიანიშნოს წინ მდგომი **ჳ**-ს უმარცვლობა (ჳ**ე**→ჳჱ). ჩვენს ტექსტშიც მხოლოდ ჳჱ ჯგუფის გადმოცემაში მონაწილეობს და ისიც არასისტემებრ (ქჳჱშე, ჩჳჱნ, ქჳ**ჱ**ყნისა..., შდრ. თქ**ვე**ნისა, ქ**ვე**ყანაში...).

ზემოაღნიშნული შემთხვევები კარგად მიანიშნებენ, რომ ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქართული თავისი წერილობითი ტრადიციისადმი ერთგულების მიუხედავად მოგვიანებით მაინც ეცადა, მხარი აება ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო ენაში მომხდარი ცვლილებებისათვის, თუმცა მას ელობებოდა ანტონისეული ორთოგრაფიული ნორმები. ანტონის მიერ შემოღებული ხელოვნური ფორმები ხშირად აძნელებენ ტექსტის ჯეროვან გაგებას. ამიტომ საჭიროდ ვთვლით, შევჩერდეთ ასეთ ფორმებზე გამოცემულ დოკუმენტთა მონაცემების საფუძველზე.

1. ნახმარია ჷ და ჶ გრაფემები. ანტონმა ამით ძველი ქართული ანბანის 38 ასო 40 გახადა („შეაორმოცა“), თუმცა მისი დროისათვის არა თუ ეს ნიშნები, არამედ 5 სხვა ასოც (ჲ, ჳ, ჱ, ჴ, ჵ) ამოსაღები იყო.

ჷ ნიშანი ანტონმა შემოიღო სომხური ანბანის მერვე **ը** ასოს ფარდად და თანხმოვანთგასაყარი ხმოვნის გამოხატვის ფუნქცია დააკისრა, რომლის წერისას გამოყენება საჭიროდ ჩათვალა მ ხ ო ლ ო დ გადასატან სიტყვაში — დატოვებულ თავკიდურ ან გადატანილ ბოლოკიდურ თანხმოვნებს შორის (ბჷრ-ძანა, ვა-რჷთ). ჩვენს ძეგლში ჷ იშვიათად იხმარება: ორჯერ გადატანილ გაკვეთილ სიტყვაში (შეჰრაც-ხჷს, აღჰსთქჳა-მჷს), სამჯერ კი — გადაუტანელში (მოვალჷნ, მიუბოძებჷს, აღჰსთქუამჷს). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლო სამი სიტყვა თავდაპირველად ავტოგრაფში სტრიქონის ბოლო (გადასატანი) ერთეულები იყო და ჷ-ც გადატანილ ბოლო მარცვალში შედიოდა, მაგრამ ტექსტის გადათეთრების შემდეგ ეს ჷ ნიშნიანი სიტყვები სტრიქონების შიგნით მოექცა. ასეა თუ არა, ფაქტი მაინც ისაა, რომ თვით ანტონისეული მცდარი ორთოგრაფიული ნორმაც არ არის დაცული. ამიტომაც ჷ ნიშნიანი ფორმები სქოლიოში მოექცა.

ჶ ნიშანი ანტონმა შემოიღო არა ბაგისმიერი ხშული ფ-ს ნაცვლად, არამედ უცხო ენების კბილბაგისმიერი სპირანტი ბგერის აღსანიშნავად. ანტონიმდე ელინოფილებმა (XII საუკუნიდან) სცადეს, სამწერლო ქართულში დაემკვიდრებინათ გვიანდელი ბერძნული სპირანტი ჶ-ს ხელნაწერი ვარიანტის გრაფიკული სახე [ф], რაც საბოლოოდ მარცხით დამთავრდა. სხვათა შორის სომხურმა ეს ნიშანი ისესხა და შეინარჩუნა, რადგანაც შესაბამისი ბგერის გამოთქმაც შეითვისა ამ ბგერის მქონე ენათა (ბერძნულის, თურქულის) გავლენით. ანტონმა ბერძნულ გრაფიკულ [ф] ნიშანს რუსული ჶ ამჯობინა. ჩვენს ძეგლში ცოტაა ჶ-არიანი სიტყვები (ღენერალ-ანშეჶი, სერაჶიმთა, ლიჶლანდიისა).

2. **ვ**→ჳ. ძველად ეს ასოები არ ირეოდა ერთმანეთში, რადგან სათანადო



ბგერებიც განსხვავებულად გამოითქმოდა. მოგვიანებით კი ჳ-ს გამოთქმა დაემთხვა **ვ**-სას (ჩჳენ-ჩ**ვ**ენ), მაგრამ უკუპროცესი (**ვ**→ჳ) არ მომხდარა. ოღონდ ჳ→**ვ** პროცესმა უბიძგა ანტონს, რომ თანხმოვნის შემდგომ მდგომი **ვ** შეცდომით ჳ-დ მიეჩნია, რამაც მეტად აამღვრია ქართულის სწორი ტრადიციული ორთოგრაფია. ჩვენს ტექსტს ეს აშკარად ეტყობა: მიხედჳასა, დაცჳასა, მენაცჳლეთა, შენახჳად, შერაცხჳად...

**ვ**-ს ჳ-ში არევამ სხვა მცდარ დაწერილობებშიც იჩინა თავი:

3. **ვი**→ჳ: მივართჳთ, შეიკრჳს, აღიძრჳს, განზრახჳსა, შერაცხჳსათჳს, დაცჳსათჳს...; ბოლო ორ მაგალითში ჳ ორ-ორჯერაა ნახმარი, პირველად უმართებულოდ, მეორედ — მართებულად.

4. **ვე**→ჳ**ჱ**. ეს მცდარი დაწერილობაც **ვ**-ს ჳ-დ მიჩნევის შედეგია: რადგან შეცდომით **ვ**-ს ადგილი ჳ-მ დაიჭირა, ცხადია, ჳ-ს მომდევნო **ე**-ც ჱ-მ შეცვალა; ე. ი. **ვე**→ჳ**ე**→ჳჱ. ასეთი დაწერილობა საგრძნობლად აბნელებს სიტყვის ეტიმოლოგიურ სტრუქტურას, რაც კარგად ჩანს ჩვენს ტექსტში ნახმარი ფორმებიდანაც: მერჳ**ჱ** (←მერ**ვე**), მითჳჱ (→მით**ვე**), მოსაწყლჳჱლად (→მოსაწყვლ**ვ**ელად, ე. ი. მოსასპობად), ან კიდევ: საკრჳჱლთა, ნაცჳლადჳჱ, მფარჳჱლობისათჳს და სხვ.

5. მძიმე ვითარებაა **ჰ**-ს (**ჰს**) პრეფიქსის ხმარებაში. ძველად მას და მის ბგერინაცვალთ (**ხ, ს, შ**) მკვეთრი გრამატიკული ფუნქცია ჰქონდათ: ზმნის პირებს (ჷ$_2$ O$_3$-ს) გამოხატავდა (ა. შანიძე). მაგრამ ანტონის გრამატიკით **ჰ**-მ (**ჰს**-მ) დაკარგა გრამატიკული ფუნქცია და კეთილხმოვნების მოტივით იხმარება არა მარტო თანხმოვნით დაწყებული ყ ვ ე ლ ა ზმნის ყ ვ ე ლ ა პირში, არამედ ს ა ხ ე ლ უ რ ფორმებშიც (მეტწილად სონორი და სპირანტი ბგერებით დაწყებულ ზმნის ძირებში). ამიტომაა ჩვენს ძეგლშიც, ერთი მხრივ: ვ**ჰს**ცნა, აღ**ჰს**თქჳამს, **ჰს**ცჳდეს..., ხოლო მეორე მხრივ: **ჰ**სჯულთა, **ჰ**ჴსენებულთა, **ჰ**რწმუნებულისა, **ჰ**რჩევისა, **ჰ**სწრობად, და**ჰ**რთუასა, თანა**ჰ**სწორი, **ჰ**შთამოსჳლასა, გან**ჰ**სწავლულისა, მ**ჰ**სწრაფლ, მ**ჰ**სჯავრსა...

6. ანტონმა გზა გაუხსნა ელინოფილთა მიერ ადრე (XI-XII ს.) შემოღებული გრამატიკული სქესის –**ა** და –**ინა** სუფიქსებიან ხელოვნურ ფორმებს, როგორც უ კ ვ ე რუსული კულტურისა და ენის გავლენის გამოვლინებას (ამაზე ვრცლად.: К. Д. Дондуа, Феминизирющий гласный в грузинском: რჩ. ნაშრ., ტ. I, თბ., 1967, გვ. 167-182). ამიტომაცაა ჩვენს ძეგლში: მეფა, ჴელმწიფა, დიდი მთავრინა.

7. სიტყვის ფუძეში ორმაგი (გემინირებული) თანხმოვნების ხმარება (ე**კკ**ლესიათასა, ა**ნნ**ასი, კო**ლლ**ეღიის...), მხედრულ ნაწერში მრგლოვანი ასოების მთავრულად გამოყენება საკუთარ ან საპატიოდ მიჩნეულ სახელთა დასაწყისში (ზოგჯერ მთლიან დაწერილობაშიც) ანტონიმდეც იყო, ოღონდ არასისტემებრ. ანტონმა კი ასეთი შემთხვევების დაკანონება სცადა, რაც ჩვენი ძეგლიდანაც ჩანს.

ზემოაღნიშნული ყველა (შვიდივე) ორთოგრაფიული ფორმა არასწორია, როგორც ქართული ენის წერილობითი ტრადიციის, ასევე იმდროინდელი (XVIII საუკ.) სამეტყველო პრაქტიკის თვალსაზრისითაც. ამიტომ შეიძლებოდა ტექსტის ისე გამართვა, რომ ასეთი მცდარი ფორმები კრიტიკულ აპარატში ასახულიყო. მაგრამ თუ ეს არ გაკეთდა, იმიტომ, რომ: ჯერ ერთი, გამომცემლის ჩაურევლობით განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს არსებითად უცვლელად შეუნარჩუნდათ თავდაპირველი დედნისეული ტექსტობრივი სახე და, მეორეც: მართალია, ზემოაღნიშნული ხელოვნური ორთოგრაფიული ფორმები გამოცემული ტექსტის ნაკლია, მაგრამ ისინი მე-18 საუკუნის სამწერლო ქართულის კუთვნილებაა და ეს ფაქტიც წარმოჩნდა, არ დაიჩრდილა.

ტექსტში თანამედროვე პუნქტუაცია წესისამებრ არის გატარებული, ოღონდ ზოგიერთი კომპოზიტის დეფისიანი დაწერილობა არ ემთხვევა დღევანდელ ნორმას. საქმე ისაა, რომ კომპოზიტების შემადგენელ ნაწილთა დასაკავშირებელი ნიშანი (მცირე რკალი, ზევითკენ მიმართული ბოლოებით), ე. წ. „გარემორთხმული“, რომელიც ანტონმა შემოიღო, ფართო გამოყენებისაა, მეშველზმნიან ფორმებშიც იხმარება (თანა◡მდებ◡არს, დანიშნულ◡იყოს, შესაძლებელ◡იყოს...). ასეთი და დღეისათვის აშკარად შეუფერებელ ფორმათა დაწერილობაში, როგორიცაა თან◡ჭმობა, თავის◡უფლება, თჳთ◡მპყრობელობა და სხვა, დეფისი არ გატარებულა.

**პროფ. კ. დანელია.**
6. III. 1982.

შოთა აფხაიძე

## ბომბები წარწერით „აღდგომას გილოცავთ“

ნატო — ეს არის სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართულ რეალობაში, ლინგვისტურ სხეულში პოზიტიურ თუ ნეგატიურ კონტექსტში. ეს სიტყვა თავისი პოპულარობით „გამარჯობასაც“ კი უწევს კონკურენციას. ჩემს წერილში შევეცდები, საზოგადოებას დავანახო ნატოს, როგორც ორგანიზაციის რეალური სახე. ასევე განვმარტო: რა არის ნატო? რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს ნატოში ინეგრაცია? დაიცავს კი ის ჩვენს უსაფრთხოებას? ამ წერილში თვალს გადავავლებთ მის მოკლე ისტორიას და დღევანდელ სიტუაციას, არჩევანი კი მკითხველისთვის მიგვინდია — რამდენად გვესაჭიროება ნატო?

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო*) ჩამოყალიბდა 1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად, ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის – ბელგიის, დანიის, ისლანდიის, იტალიის, კანადის, ნორვეგიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ლუქსენბურგის, ჰოლანდიის გაერთიანებული სამეფოს და შეერთებული შტატების მიერ.

დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო, წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე და შეემცირებინათ აღმოსავლეთ ევროპის სოციალიტური ბანაკის გავლენა. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს, დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება ერთობლივად, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით. ჩრდილოეთ ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დაცვის საქმეში ერთმნიშვნელოვნად მოწმობდა, რომ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური ან სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა წარუმართებლობისთვის იქნებოდა განწირული. ოფიციალურად ასეთი მიზნები იყო დეკლარირებული დამფუძნებლების მიერ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის. ნატოს საქმიანობაც შესაბამისად „განისაზღვრა მის

---

*** NATO (ინგ.) — North Atlantic Treaty Organization (რედ.).**

დამფუძნებელ ხელშეკრულებაში დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად“.

80-იანი წლების ბოლოს დაიშალა საბჭოთა კავშირი, აღმოსავლეთის სოციალისტური ბანაკი. მაგრამ ნატომ განაგრძო არსებობა. ჩნდება კითხვა: რა ფუნქცია აქვს ნატო-ს? მან ახალი სტრატეგია შეიმუშავა და ახალ საფრთხეებზე დაიწყო საუბარი, რათა ამ ორგანიზაციის არსებობა, „ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია“ გაემართლებინათ. ცივი ომის დასრულებიდან 23 წლის შემდეგ, კვლავ აქტუალურია კითხვა იმის შესახებ, თუ რა ფუნქცია აქვს ნატო-ს.

ნათელია, რომ თანამედროვე ნატო თავდაცვითი ორგანიზაციიდან თავდასხმით ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ხოლო ის არგუმენტები, რაც ნატოს ხელმძღვანელებს და ლობისტებს მოყავთ მისი არსებობის და საქმიანობის გასამართლებლად, ალოგიკურია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რეალურად ნატო აშშ-ის გეოპოლიტიკური თამაშის ინოვაციური იარაღია. 2010 წლის 16 ნოემბერს, ლისაბონში აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ახალ „სტრატეგიულ კონცეფციასთან“ დაკავშირებით წინადადებება წარმოადგინა. ეს კონცეფცია 18 ნოემბერს დამტკიცდა კიდეც. „ცივი ომის“ პერიოდის ნატო-სგან ცოტა რამ თუ დარჩა, თუ არ ჩავთვლით სახელწოდებას, გიგანტურ სამხედრო მანქანას და ბრიუსელში აშკარად გაცვეთილ შტაბ-ბინას, რომლის ადგილზეც მალე ახალი ნაგებობა აშენდება. ცხრა თვის განმავლობაში ოლბრაიტმა, როგორც „ბრძენთა საბჭოს“ თავმჯდომარემ, რომელიც თორმეტი ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსის და დიპლომატისგან შედგება, მთელი მსოფლიო შემოიარა, აწყობდა სიმპოზიუმებს და ამ ორგანიზაციის 28 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებს ესაუბრებოდა, რათა ახალი კონცეფციის მიღებისთვის მხარდაჭერა მოეპოვებინა და ნატო რეალურად გადაერჩინა დაშლისაგან, რის ალბათობაც საკმაოდ დიდი იყო. მათ ხელოვნურად შექმნილი ახალი საფრთხეებით დაიწყეს სპეკულირება. ასევე უმნიშვნელოვანესი იყო, განესაზღვრათ ორგანიზაციის მიზნების ერთობლიობა, რაც მართლაც ბუნდოვანი იყო. დასავლელი პოლიტოლოგები (ბჟეზინსკი, გლუკსმანი და ა.შ) და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელები საზოგადოებაში აფიქსირებენ აზრს, რომ არაერთგვაროვანი მიდგომა იყო და არის დღემდე იმ კითხვასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება იყოს ალიანსის წევრებზე პოტენციური თავდამსხმელი. მათი ფორმულირება შემდეგია: წევრი-ქვეყნების პასუხები განსხვავებულია. ნატო-ს „ძველი“ წევრები, მათ შორის აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია უკვე დიდი ხანია, რაც დაინტერესებულები არიან რუსეთთან ნდობაზე აგებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, თუმცა ისეთ ქვეყნებს, რო-



გორებიც არიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნები, რუსეთის შიში აქვთ შემორჩენილი. ამიტომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაგეგმარებას ითხოვენ, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოდან შეჩერებულია. ეს არის ოფიციალურად დეკლარირებული პოზიცია, ხოლო რეალობაში სხვა რამ ხდება: **სწორედ აშშ განაწყობს აღმოსავლეთ ევროპის ნატოს ახალ წევრ სახელმწიფოებს რუსეთის წინააღმდეგ.** სწორედ აშშ და ბრიტანეთი ხელმძღვანელობენ დეზინფორმაციული პროპაგანდის წარმოებას და მცდარი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რუსეთის მხრიდან აღმ. ევროპის ნატოს წევრი სახელმწიფოების მიმართ საფრთხესთან დაკავშირებით.

ასევე სრული სიცრუეა და არარეალური ახალ კონცეფციაში დეკლარირებული საკითხები, რომ ეს ორგანიზაცია ახალი ტიპის საფრთხეების მოგერიებისთვის უნდა იყოს მზად, რომელიც დაკავშირებული იქნება არა მარტო ტერიტორიების დაცვასთან, რაც მისი კლასიკური ამოცანაა, არამედ მის გარდა, ალიანსის წევრი ქვეყნები იბრძოლებენ ტერორიზმის, ენერგეტიკული უსაფრთხოების დეფიციტის, საინფორმაციო ქსელებზე შემოტევების („კიბერ-ომები“) და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. საეჭვოა, ამ ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ სამხედრო ტიპის ქმედებებით იყოს შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, რამდენად ჯდება სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ფორმატში მსგავსი საკითხების მოგვარება.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ნატო მის მიერ გამოცხადებულ მშვიდობისმყოფელ ფუნქციას, რეალურად როგორი უსაფრთხოების გარანტია იგი. იმ ფაქტების ჩამოთვლის შემდეგ, რომელთაც ქვემოთ მოვიყვან, საზოგადოებას შეუძლია გააკეთოს ანალიზი და განსაზღვროს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორის მიზანშეწონილობა ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სანამ იარსებებს ნატო, მანამდე იარსებებს ორი პარალელური ისტორია მის შესახებ. პირველი ისტორია ალიანსის „ჰუმანურ“ მისიას გულისხმობს; მეორე კი, რადიკალურად განსხვავებული, ნგრევისა და მკვლელობების ისტორიაა, რაც ნამდვილად მოაქვს ნატოს.

დავიწყოთ ნატოს ორმაგი სტანდარტების კლასიფიკაცია და მის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებების ჩამოთვლა ქრონოლოგიურად.

1) ნატოს დაფუძნებისთანავე მისი წევრი გახდა პორტუგალია 1949 წელს, როდესაც ის ახლოსაც არ იდგა დემოკრატიასთან და პიროვნების თავისუფლების ინდექსთან, სადაც იმ დროს ნახევრადფაშისტური დიქტატურული რეჟიმი ბატონობდა.

2) 1951 წელს ნატოში შევიდა ფრანკოს ესპანეთი (ასევე ნახევრად

ფაშისტური რეჟიმით).

3) სამი წლის შემდეგ 1952 წელს ასეთივე პოლიტიკური სისტემით შევიდნენ ნატოს შემადგენლობაში თურქეთი და საბერძნეთი.

4) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ნატო კომუნისტებთან თანამშრომლობაზეც არ ამბობდა უარს. 1954 წელს იუგოსლავიამ ტიტოს მეთაურობით შექმნა ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, თურქეთსა და საბერძნეთთან ერთად „ბალკანური პაქტი“, რომლის მონაწილეებიც ვალდებულებას იღებდნენ, ნებისმიერ მათგანზე თავდასხმის შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდნენ ერთმანეთს.

5) ჯერ კიდევ 50-იან წლებშივე ნათელი იყო, რომ ნატო იმართებოდა აშშ და დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინეტერესების შესაბამისად. მაგ.: 1974 წელს ნატომ მოახდინა იგნორირება და „მოითმინა“ თურქეთის აგრესია კვიპროსის წინააღმდეგ. ამ აგრესიამ კი ძალიან დიდი ზარალი მიაყენა ნატოს მეორე წევრ-სახელმწიფოს — საბერძნეთს. და მაინც, რატომ დუმდა ნატო კვიპროსის აგრესიის დროს, ლოგიკურ ჯაჭვს ერთ პასუხთან მივყავართ: ამერიკისთვის თურქეთი უფრო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პარტნიორია, ვიდრე საბერძნეთი, ამიტომაც ბერძნები იძულებულები გახდნენ, „შელეოდნენ“ ჩრდილოეთ კვიპროსს. ამას თავის მოგონებებში არც მალავდა ჰენრი კისინჯერი. დღეს კვიპროსი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, მაგრამ დღემდე რჩება გახლეჩილი ორ ნაწილად და ვერ ახერხებს, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

6) 2002 წელს ნატომ ბლოკში გააერთიანა ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. ამ სახელმწიფოებს არ გაჭირვებიათ ნატოში გაწევრიანება მიუხედავად იმისა,რომ ისინი უხეშად არღვევდნენ და დღემდე აგრძელებენ ეთნიკურად რუსი მოსახლეობის უფლებების დარღვევას (პარალელურად კი ამავე სახელმწიფოებში მიდის ფაშიზმის, როგორც იდეოლოგიის გაფეტიშება და იმ მოქალაქეებისათვის ხოტბის შესხმა, ვინც ჰიტლერის რეჟიმთან თანამშრომლობდა. ისინი მოიხსენიებიან, როგორც „ეროვნული გმირები“).

7) ნატომ ასევე გააწევრიანა ბლოკში ხორვატია და ალბანეთი. 1991—1995 წლებში ხორვატიამ ყველაზე დიდი ეთნოწმენდა მოაწყო ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ეთნოწმენდის ეფექტურობა გახდა ხორვატიისთვის საუკეთესო სარეკომენდაციო ბარათი ალიანსში გასაწევრებლად. რაც შეეხება ალბანეთს, ყველასთვის ნათელია, რომ ეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კი არა, კრიმინალური დაჯგუფებების მიერ იმართება და კონტროლდება. ალბანეთის ტერიტორიაზე მოქმედებს სეპარატისტების ზურგის გასამაგრებელი ბაზები, რომლებიც მაკედონიის, ჩერნოგორიის და



საბერძნეთის ტერიტორიებზე მოქმედებენ. სიტყვას არ გავაგრძელებ ალბანელების სეპარატიზმზე, რომელიც სერბეთში მის ისტორიულსა და განუყოფელ ნაწილში, მეტოხიაში (ე. წ. ცივილიზირებული დასავლეთის მიერ აღიარებული კოსოვოს რესპუბლიკა) ხორციელდება.

საბჭოთა კავშირის, როგორც ნატოს მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის, დაშლის შემდეგ ალიანსს უთუოდ სჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ მას არსებობა და ფუნქციონირება უნდა გაეგრძელებინა, რათა მისი მექანიზმი არ ჩამოშლილიყო. ამისათვის მხოლოდ პოლიტიკური ნება გახდა საკმარისი და ალიანსმა პირველი დარტყმა „აგრესორ“ იუგოსლავიაზე განახორციელა. ეს ომი ნატოს მიერ აუცილებლად უნდა წარმოებულიყო, რათა მის არსებობას ახალი აზრი მისცემოდა.

გავიხსენოთ ფაქტები:

1) ყოფილ იუგოსლავიაში, კერძოდ, ბოსნია-ჰერცოგოვინაში ომის დროს (1992–1995) ჩამოყალიბდა ბოსნიელი სერბების რესპუბლიკა. როდესაც ნათელი გახდა, რომ ბოსნიელ სერბებს ისე ადვილად ვერ გატეხდნენ, როგორც მათ თანამემამულეებს ხორვატიაში, ნატომ გადაწყვიტა ემოქმედა. ეს კი შესანიშნავი საბაბი იყო ახალი ომისთვის. სერბების რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობაც მილიონზე მეტს ითვლიდა და რომლის არმიაც 70 000–80 000 სამხედროს შედგენდა, ნატოს ჯარების ავიაციამ ორი კვირის განმავლობაში (1995 წლის 30 აგვისტოდან ამავე წლის 13 სექტემბრამდე) 1000-ზე მეტი საბრძოლო გამანადგურებელი ბომბი ჩამოყარა. ნატოს 400-ზე მეტმა სამხედრო თვითმფრინავმა 3515 საბრძოლო ფრენა განახორციელა და მიიტანა იერიში მიზნებზე. მიზნები კი ძირითადად სამოქალაქო ობიექტები და სერბი მშვიდობიანი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. საერთო ჯამში, დაბომბვებმა შეიწირა ათასობით მსხვერპლი, 2 200 000 კი საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილად იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში ბოსნია-ჰერცოგოვინის კონფლიქტი ყველაზე დამანგრეველი იყო თავისი მასშტაბებით.

2) ისევ ყოფილი იუგოსლავიის, კონკრეტულად კი, სერბეთის რესპუბლიკის განუყოფელ ისტორიულ ნაწილში, კოსოვო-მეტოხიაში, ე.წ კოსოვოს კონფლიქტს და მასში ნატოს უხეშ ჩარევას მიმოვიხილავთ. 1999 წლის 24 მარტს ნატოს ავიაციამ პირველი ავიადარტყმები განახორციელა სუვერენულ იუგოსლავიაზე. სხვადასხვა მონაცემით, ნატოს მიერ გაშვებულ იქნა 3000-დან 10 000-მდე ფრთოსანი რაკეტა, სულ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩამოიყარა 79 000 ტონა ბომბი. მათ შორის, ნატოს მიერ საბრძოლო მოქმედების დროს გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სამართლით აკრძალული 156 კონტეინერი 37 440 კასეტური ბომბი. ასევე წარმატებით გამოიყენეს DU ამუნიცია (ურანით გამდიდრებული ბომბები და ჭურვები). იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ამ იარაღს გამოიყენებენ,

ადამიანისთვის უბრალოდ შეუძლებელია ცხოვრება. ხშირ შემთხვევებში ბავშვები იბადებიან ინვალიდები და გონებრივ-ფსიქიკური პრობლემებით, ძალზე ხშირია კიბოთი და ლეიკემიით სიკვდილიანობა.

ნატოს ბარბაროსული თავდასხმების შედეგად ნავთობ-ქიმიური წარმოების ობიექტებზე, მილიონობით ადამიანი მოიწამლა. ასევე უდიდესი ზიანი მიადგა ტყეს და წყალს. ნატოს ქმედებებს შედეგად მოჰყვა არა მარტო იუგოსლავიის ბუნებრივი გარემოს, არამედ ბალკანეთის მთელი რეგიონის ეკოლოგიური კატასტროფა, რაც წლების შემდეგ უფრო მკვეთრად აისახება ბუნებაზე.

ყველაზე ამაზრზენი ფაქტი იყო დევნილებისა და ჰუმანიტარული ტვირთების მასირებული დაბომბვა ალიანსის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ჰუმანიტარული ტვირთების გადადგილების შესახებ ყველა მხარე იყო ინფორმირებული. მოგვიანებით ამ ფაქტს „შეცდომა“ ეწოდა.

იუგოსლავიის დაბომბვა გრძელდებოდა 79 დღე, 1999 წლის 24 მარტიდან ამავე წლის 10 ივნისამდე. ამ კონფლიქტის შედეგად, იუგოსლავიის არმიამ დაკარგა 5000 სამხედრო და პოლიციელი, რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, მათი რიცხვი გაცილებით დიდია. მხოლოდ სერბეთის ტერიტორიაზე დაბომბვების დროს დაიღუპა 1300 მშვიდობიანი მცხოვრები, 1999 წლის 10 ნოემბერს საერთო სასაფლაოებში აღმოჩენილ იქნა 2108 ცხედარი. მხოლოდ ნატოს ერთი წლის ოკუპაციის შედეგად, რომლის არმიაც 43000 ჯარისკაცს შეადგენდა, 547 ადამინი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო 2,5 მილიონი მოქალაქე საცხოვრებელი სახლებისა და ყოველგვარი საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩა. ის სერბებიც, რომლებიც კოსოვოს კონფლიქტის შემდეგ დაბრუნდნენ მეტოხიაში, იძულებულები არიან, იცხოვრონ სრულ იზოლაციაში და მოკლებულნი არიან ყოველგვარი გადაადგილების თავისუფლებას და უსაფრთხოების ყველა ზომას. ისინი ცხოვრობენ პატარა ანკლავურ სოფლებში. კოსოვოში თითქმის ყველა ქალაქი ეთნიკურად სუფთა ალბანური გახდა, მაშინ, როდესაც ათასობით იქ მცხოვრები ეთნიკურად სერბი მოსახლეობის უძრავ-მოძრავი ქონება ალბანელების მიერ უკანონოდ არის მიტაცებული. მათმა მეპატრონეებმა არც კი იციან, ოდესმე უსაფრთხოდ თუ ისარგებლებენ თავიანთი საკუთრებით „კოსოვოს ტერიტორიაზე“. ფაქტობრივად, კოსოვოს და მეტოხიის ყველა რაიონში სერბებისთვის არ არის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, საგანმანათლებლო და სოციალური დაწესებულებები, რომლებიც მთლიანად ეთნიკურად ალბანელების ხელისუფლების ქვეშაა. კოსოვოს ტერიტორიაზე სერბ ბავშვებს თავიანთ ენაზე განათლების მიღება არ შეუძლიათ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ნატოს სამშვიდობო ძალებმა მოხსნეს იმ



ჯარის შემადგენლობა, რომელიც სერბული სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოებას უზრუნველჰყოფდა. ამის შემდეგ სერბი ბავშვების უმრავლესობა იძულებული გახდა, რომ საერთოდ არ ევლო სკოლაში ან განათლების მისაღებად კოსოვო-მეტოხიის საზღვრებს გაცილებოდა. ამ კონფლიქტის შედეგად სერბი მოსახლეობა ფაქტობრივად უმუშევარია. კოსოვოელი მართლმადიდებელი სერბების რელიგიური უფლებები სასტიკად შეკვეცილია, მათ არ შეუძლიათ თავისუფლად მოილოცონ თავიანთი წმინდა ადგილები, პატივი მიაგონ სასაფლაოებზე მიცვალებულთა ხსოვნას და ჩაატარონ ეკლესიებში თავიანთი რელიგიური რიტუალები. ნატოს სამხედრო აგრესიის შემდეგ კოსოვოს ტერიტორიაზე დაინგრა ან ძალიან დაზიანდა 112 ეკლესია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უმოქმედოა. ამ ტაძრებიდან, რაც დაბომბვებს გადაურჩა, ის ალბანელმა ბოევიკებმა ააფეთქეს. კოსოვოსა და მეტოხიის ტერიტორია გახდა ქრისტიანობის დევნის და განადგურების თანამედროვე „უბადლო მაგალითი“.

3) არანაკლებ საზარელი სურათი გვაქვს მსოფლიოს სხვა კუთხეში, ცენტრალურ აზიაში – ავღანეთში. სამხედრო ოპერაცია ამ ქვეყანაში 2001 წლის 7 ოქტომბერს დაიწო მოძრაობა „თალიბანის“ წინააღმდეგ. ეს იყო იფიციალური ვერსია. პირველი სამხედრო დარტყმები ნატოს ჯარებმა 40 სამხედრო თვითმფრინავის მეშვეობით მიიტანეს, ასევე ამერიკული და ბრიტანული გემებიდან 50-მდე ფრთოსანი რაკეტა იქნა გაშვებული. პირველი ერთი თვის განმავლობაში, მასირებული ავიაშეტევების შედეგად პრაქტიკულად მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან თალიბების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. 2001 წლის მთელი შემოდგომის მანძილზე გრძელდებოდა სამხედრო მოქმედებები ავღანეთის სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ დეკემბრის თვეში სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონს, თორა-ბორას მთიან ლანდშაფტს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. როგორც ამერიკელები სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, ამ რეგიონში რადიკალიური ისლამური, ტერორისტული ორგანიზაციის შეფი უსამა ბენ-ლადენი აფარებდა თავს, კერძოდ, თორა-ბორას ტერიტორიაზე განლაგებულ გამოქვაბულის კომპლექსს. ბრძოლა თორა-ბორას გამო 12-დან 17 დეკემბრამდე გაგრძელდა და ადგილობრივმა სამხედრო ძალებმა აშშ-ს ავიაციის დახმარებით აიღეს გამოქვაბული, როგორც შემდეგ გაირკვა, იქ ბენ-ლადენი არ აღმოჩნდა. მთავარი მიზეზი კი ავღანეთში ომის დაწყებისა სწორედ რომ ეს საკითხი იყო. ფაქტობრივად, თორა-ბორას აღებით, 2-თვენახევრიანი ომს შედეგად თალიბანის ხელისუფლებიდან ჩამოშორება და მისი საბრძოლო ძალის სრული განადგურება მოჰყვა. 2001 წლის დეკემბერში ავღანეთის გარდამავალი ხელისუფლების მეთაურად ხამიდ კარზაი დაინიშნა.

სწორედ ამ სიტუაციის შემდეგ, იმ მიზეზით, რომ ავღანეთის უს-

აფრთხოება ყოფილიყო უზრუნველყოფილი და სტაბილიზებული, მოკავშირეებმა ავღანეთის ტერიტორიაზე შეიყვანეს ნატოს სამხედრო მისია ISAF(International Security Assistence Force), რომელიც შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს 2001 წლის 20 დეკემბრის რეზოლუციის საფუძველზე. თავდაპირველად ISAF-ის მისიის პასუხისმგებლობა მხოლოდ ქაბულის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. სწორედ ამ მისიის ფარგლებში საჰაერო დაბომბვების და სახმელეთო სამხედრო ოპერაციების წარმოების შედეგად ჩვენს წინაშეა ალმაშფოთებელი სტატისტიკა დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობისა. დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები და შეფასებები ავღანეთში სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგების შესახებ ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ძირითადი კრიტიკა ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან მიმართულია ISAF-ის აქტიური საავიაციო მოქმედებების წარმოებისადმი, რაც გამოწვეულია დასაბომბი ობიექტების არაზუსტი შერჩევით, რადგან სამიზნე ძირითად შემთხვევაში სამოქალაქო ობიექტები აღმოჩნდა.

2011 წლის ივნისისთვის, „Independent“-ის მონაცემებით, მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგებმა ავღანეთში 14-დან 34 ათასამდე შეადგინა.

„Amnesty International“-ის 2012 მოხსენებაში წერია: ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების შედეგად 500 000 ავღანელი იქცა დევნილად საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან. ისინი მიტოვებულ იქნენ ბედის ანაბარად, როგორც ავღანეთის ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

2008/2012 წლების სტატისტიკა საერთო ჯამში გვაჩვენებს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (2/3-დან 4/5-მდე მსხვერპლის საერთო რაოდე-ნობიდან) სწორედაც, რომ დაიღუპა NATO-სა და ავღანეთის სახელისუფლო ჯარებსა და თალიბებსა და სხვა აჯანყებული შეიარაღებული დაჯგუფებების შეტაკებების შედეგად. „ასოშეიტედ პრესის“ მონაცემების საფუძველზე 2008 წელს დაიღუპა 1140 მშვიდობიანი ავღანელი, მათ შორის 370 (32%) მოკლულ იქნა ალიანსის ჯარების მიერ, დანარჩენი 770 (68 %) თალიბებს და სხვა შეირაღებული დაჯგუფებების და ალიანსის ჯარების შეტაკებების დროს. სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის პროცესი, რომელსაც დასასრული არ უჩანს. უფრო მეტიც, 2011 წლიდან მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ფაქტებმა 77%-ით მოიმატა, ეს სტატისტიკა 2012—2013 წლებში კიდევ უფრო იზრდება, გაეროს მონაცემებით 81% მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვისა გამოწვეულია NATO-ს ბრალეულობით.

საქართველო ISAF-ის მისიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართული საჯარისო დანაყოფების კონტინგენტი მეორე ადგილზეა რიცხოვნებით.



სრულიად გაურკვეველია, რას და ვის ინტერესებს ეწირებიან ქართველი სამხედროები ავღანეთის ტერიტორიაზე, დაღუპული და სამუდამოდ დასახიჩრებული ქართველი ჯარისკაცების რიცხვმა უკვე რამდენიმე ათეული შეადგინა, რაც ძალზედ შემაშფოთებელი სტატისტიკაა.

ავღანეთში ომი ჯერ არ დამთავრებულა, არადა, ამ ომის წარმოების არანაირი საფუძველი არ აქვს არც ალიანსს და არც აშშ-ს. 2001 წლიდან დღემდე ამ მიწაზე მშვიდობამ ვერ დაისადგურა. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი (IISS) თვლის, რომ NATO აგებს ომს ავღანეთში თვითონ ალიანსშივე წამოჭრილი უთანხმოების შედეგად. დიდი რაოდენობა საექსპერტო ორგანიზაციებისა აღნიშნავენ, რომ თალიბები მუდმივად მოქმედებენ ავღანეთის ტერიტორიის 72 პროცენტზე. ფაქტია, რომ დასავლური სამხედრო ბლოკი ვერ აკონტროლებს ავღანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, ხოლო ომს დასასრული არ უჩანს უკვე განადგურებულია ინფრასტრუქტურა, მილიონობით ადამიანი დევნილია, ავღანეთის მომავალი კი უცნობია.

4) 2011 წლის მარტში გაეროს უშიშროების კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც NATO-ს მიეცა უფლება, მარტის თვეშივე განეხორციელებინა საჰაერო სამხედრო ოპერაცია ლიბიის ტერიტორიაზე. NATO-ს ფართომაშტაბიანი სამხედრო საჰაერო კამპანია მიმართული იყო „მოამარ კადაფის რეჟიმის“ წინააღმდეგ. მის ფარგლებში განხორციელდა 26 000 სამხედრო გაფრენა, აქედან 10 000 დარტყმითი ხასიათისა იყო. ალიანსისვე მონაცემებით, მათ გაანადგურეს 5900 სამხედრო მიზანი. ოპერაცია დამთავრდა 2012 წლის ოქტომბერში ლიბიელი აჯანყებულების მიერ მუამარ კადაფის ფიზიკური ლიკვიდაციის შემდეგ. გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის 2 მარტის მოხსენებაში მოყვანილია მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის ფაქტები, სადაც ოფიციალურად დეკლარირებულია NATO-ს საჰაერო დაბომბვის შედეგად 50-მდე მშვიდობიანი მოქალაქის (მათ შორის 16 ქალი და 14 ბავშვი) სიკვდილი. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International“-ის ექსპერტებმა მოახერხეს შეეგროვებინათ და დოკუმენტურად აღებეჭდათ 55 სამოქალაქო პირის ალიანსის სამხედრო დაბომბვების შედეგად დახოცვის ფაქტები. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირებული იყო ასევე, ტრიპოლიზე, სირტზე, მარსა-ელ ბრე-გუზე, ზლიტანზე და მაიერზე სამხედრო ოპერაციების შედეგად 300-დან 400-მდე მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, NATO დაჟინებით ამტკიცებს, რომ მას არანაირი ინფორმაცია არ აქვს ლიბიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის შესახებ, მთელი შვიდთვიანი სამხედრო კამპანიის მსვლელობისას. NATO

თავის პოზიციას 2012 წლის New York Times-ის ერთ-ერთ ნომერში აფიქსირებს, NATO-ს არც კი გამოუხატავს ინტერესი, გადაემოწმებინა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების დასკვნების სინამდვილე. მათ შორის არის 27-გვერდიანი ცნობა, რომელიც New York Times-ის მიერ იქნა წარდგენილი NATO-სთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია 9 საჰაერო იერიშზე, რომელიც დასრულდა უშუალო მსხვერპლით. ჯერ კიდევ 2011 წლის 14 მაისს NATO-მ Human Rights Watch-ის მიერ ლიბიაში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ მოხსენების საპასუხოდ განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ალიანსის სამხედრო ავიაციამ ლიბიაში ოპერაცია ჩაატარა მაქსიმალური სიზუსტით და მაღალი პროფესიონალიზმით, ხოლო გავრცელებული მოსაზრებები სამოქალაქო პირების მსხვერპლის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. „NATO-ს კამპანია ლიბიაში ჩატარდა უპრეცენდენტოდ დეტალურად და ზუსტად, რომელმაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ დადგენილ სტანდარტებსაც კი გადააჭარბა“. ალბათ, სწორედ ამ სტანდარტების დამსახურებაა ის, რომ NATO-ს ძალების მიერ ლიკვიდირებულ იქნენ მოამარ კადაფის შვილიშვილები, რომელთა შორის ყველაზე უფროსი 3 წლისაც კი არ იყო. ასევე სწორედ ამ სტანდარტებს შეესაბამებოდა კადაფის ფიზიკური ლიკვიდაციაც.

ფაქტია, რომ ლიბიის შემთხვევაში ალიანსის მიერ აგრესია ღიად განხორციელდა, რომლის შედეგადაც ეკონომიკურად წელში გამართული ლიბია იქცა სოციალურად რეგრესირებად, წესრიგის თვალსაზრისით კი, კრიმინალურ სახელმწიფოდ, სადაც სიტუაციას რადიკალი ისლამისტები აკონტროლებენ. ნათელია, რომ ამ ომის დაწყების ინტერესი არა კადაფის ხელისუფლების შეცვლა, არამედ ნავთობის ხელში ჩაგდება იყო. სწორედ ამიტომაც ზრუნავდნენ თავდაუზოგავად ალიანსის სახელმწიფოები კადაფის მოწინააღმდეგე ისლამისტურ-ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღებაზე და საჰაერო გზით NATO-ს მიერ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. სწორედ ამიტომაც იქნა ლიბიის ციხეებიდან გათავისუფლებული ათასობით დამნაშავე და რადიკალი ისლამისტი, სწორედ ამ მიზნით ეხმარებოდა ალიანსი სხვადასხვა ისლამისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომ შეეღწიათ ლიბიის ტერიტორიაზე კადაფის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით ლიბიის სუვერენიტეტი უხეშად იქნა დარღვეული.

5) აქტიური საინფორმაციო ომი სირიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო, რომელის საფუძველზეც 2012 წელს უკვე სირიაში ბაშარ ასადის ხელისუფლებასა და „ოპოზიციას“ შორის შეტაკებები მოხდა, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. არსებობს უდიდესი საფრთხე იმისა,



რომ სირიაში პროცესები ისევე განვითარდეს, როგორც ლიბიაში. აქაც შეიძლება ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იქნას გამოყენებული სირიის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად, რომელსაც დასავლეთი დიქტატორად მოიხსენიებს, ისევე როგორც ეს მოამარ კადაფის შემთხვევაში იყო. დასავლეთი აზდენს იგნორირებას იმისა, თუ ვინ იბრძვის დღეს კონკრეტულად პრეზიდენტ ბაშარ ასადის წინააღმდეგ. რეალურად ის ადამიანები, ვინც ბაშარ ასადის წინააღმდეგ იბრძვიან, არიან ისლამისტური/ტერორისტული ორგანიზაციების მებრძოლები, რომლებსაც დასავლეთი ლეგიტიმაციას ანიჭებს, მათ შორის არიან ალ ქაიდის წევრები; მნიშვნელობა არ აქვს, დღეს მათ რა ჰქვიათ, ალ ნუსრი თუ ალ ზაავი, ეს სწორედ ის ძალებია, რომელნიც დასავლეთს ეხმარებოდნენ ლიბიაში სამხედრო ოპერაციების დროს და ახლა აგრძელებენ თავიანთ სამუშაოს სირიის ტერიტორიაზე. სირიაში მებრძოლ ჯიჰადის წევრებს ფიცი აქვთ მიცემული ალ ქაიდასათვის, კონკრეტულად კი ეგვიპტელ აიმან ელ ზაჰარისათვის. სწორედ ის გახლდათ ოსამა ბენ ლადენის მარჯვენა ხელი. საინტერესოა, რომ Amnesty International-ის მოხსენებაში არანაირად არ იქნა დადანაშაულებული NATO მასობრივ მკვლელობებში, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი აკრიტიკებენ ბაშარ ასადს და წერენ სირიის არმიის მიერ განხორციელებული 59 რეიდის შესახებ, რომელსაც უკანონოდ მიიჩნევენ. გაისმის ძალიან სახიფათო მოწოდებები დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან, რომ NATO-ს სამხედრო ძალები იქნას გამოყენებული სირიაში ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობისათვის. დღეისათვის სირიაში უკვე მშვიდობიანი მოსახლეობიდან უამრავი მსხვერპლია და თუ იქ ალიანსის მიერ წარმოებულ იქნა სამხედრო საჰაერო ოპერაციები, სამხედრო აგრესია ისევ გამოიწვევს კოლოსალურ დანაკარგებს მშვიდობიან მოსახლეობას შორის და NATO-ს მეოხებით ხელისუფლებაში მოვლენ რადიკალი ისლამისტები, რომელთა შეიარაღებაზეც ალიანსი სირიაში დღეს გამალებით ზრუნავს.

***

რეალურად ჩანს, რომ NATO არის თანამედროვე დაქირავებული მებრძოლებისაგან შემდგარი ორგანიზაცია, რომელიც ტრანსნაციონალური კორპორაციების დაკვეთებს ასრულებს, რომლებით იბრძვიან მსოფლიოს ენერგორესურსების მონოპოლიზაციისა და სრული კონტროლისათვის. თანამედროვე NATO გვაგონებს ადრე და შუა საუკუნეების დაქირავებულ მებრძოლებს, რომლებიც ოქროსა და სხვა სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად სამხედრო სადამსჯელო ოპერაციებს ატარებდნენ სხვადასხვა კონტინენტზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ NATO, როგორც ორგანიზაცია, პირდაპირ ალიანსში არის საერთაშორისო კრიმინალურ დაჯგუფებებთან,

რომლებიც დაკავებულები არიან ადამიანის ორგანოებით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობით, სწორედ ალიანსი ახდენს მათ ლობირებას და მფარველობას. ამის დამადასტურებელი ფაქტია თანამედროვე „დამოუკიდებელი კოსოვო“. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ალბანელები ცნობილნი არიან, როგორც ნარკოტრეფიკის ორგანიზატორები ახლო აღმოსავლეთიდან და თურქეთიდან დასავლეთ ევროპაში. დღეს, როდესაც „კოსოვო“ აღიარებულ იქნა „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ და NATO უზრუნველყოფს მის არსებობას, ასეთ დროს მათ მიერ ნარკოტიკებით ვაჭრობას ვერავინ ვერ უშლის ხელს. თითოეულ სახელმწიფო მოხელეს კოსოვოში ჰყავს თავისი ბანდა, რომელიც, სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობასთან ერთად, ნარკოტიკებით ვაჭრობითაა დაკავებული.

ალბანური ნარკოტიკების ვაჭრობით მოგება უდიდესია, ის შეადგენს 65% ნარკოტიკების სრული ოდენობისა მთელს ევროპაში. სწორედ კოსოვოს გავლით ჰეროინის 90% ევროპას მიეწოდება ამ მხარის კონტრაბანდისტების მიერ. ეს დანაშაულებრივი ბიზნესი დაცულია NATO-ს ჯარების მიერ. დადასტურებული ფაქტია, რომ კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში მოქმედებს კლინიკა, რომელიც დაკავებულია ადამიანის ორგანოების უკანონო ტრანსპლანტაციითა და ვაჭრობით, ამ პროცესს სათავე დაედო ჯერ კიდევ კოსოვოს კონფლიქტის დროს და დღევანდელი კოსოვოს პრემიერ-მინისტრი ჰაშიმ ტაჩი და მთავრობის სხვა მაღალჩინოსნები პირადად იყვნენ დაკავებულები ადამიანის ორგანოების ვაჭრობით, ამის შესახებ ევროპაში უამრავი უფლებადაცვითი ორგანიზაცია და ექსპერტი საუბრობს, მათ შორის იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩის ერთ-ერთი ბრალმდებელი, პროკურორი კარლა დელ პონტე, რომელიც სინდისმა შეაწუხა. მაგრამ ეთნიკურად სერბი მოსახლეობის ორგანოებით მოვაჭრე ალბანელი დამნაშავენი ჯერ არ დასჯილან, რადგან მათ ხელშეუხებლობას დასავლეთი და NATO უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ავღანეთს, აქაც აღმაშფოთებელი სტატისტიკა გვაქვს ნარკოტიკების თვალსაზრისით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ნარკობიზნესის მფარველობის შედეგად. გაეროს მონაცემებით, 93% მსოფლიო ოპიუმის საერთო რაოდენობიდან იწარმოება ავღანეთში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, NATO-სა და აშშ-ს გავლენის დამკვიდრების შემდეგ ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება 44-ჯერ გაიზარდა. საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ ავღანეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც პირველად სცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, პირდაპირ რომ ვთქვათ, NATO-ს ერთმა პროტექტორატმა სცნო მეორე, „მწარმოებელმა“ ცნო „საბითუმო რეალიზატორი”, ერთმა ნარკოსტრუქტურამ ცნო მეორე... ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ორმა „სახელმწიფომ“ უკვე დაამყარა ახლო და მეგობრული ურთიერთობები. NATO ერთი ხელით



ამტკიცებს და ახდენს დეკლარირებას ტერორიზმსა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლისა, ხოლო მეორე ხელით მათვე აფინანსებს, აიარაღებს და მათი უსაფრთხოების გარანტი ხდება.

NATO, არც მეტი, არც ნაკლები, დასავლური დომინანტი სახელმწიფოების ხელში, რომლებიც ახდენენ მსოფლიო პოლიტიკის მონოპოლიზაციას, გეოპოლიტიკური იარაღია, ის რეალურად არც უსაფრთხოებისა და არც მშვიდობის გარანტი არ არის მსოფლიოში და ვერც იქნება, რადგანაც მაქსიმალურად სუბიექტურად პოლიტიზებული ორგანიზაციაა, რომელიც ორმაგი სტანდარტების აფიშირებით არის დაკავებული.

***

რატომ მიმაჩნია მიზანშეუწონლად საქართველოს ინტეგრაცია NATO-ში, ლოგისტიკური თვალსაზრისით, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით, პირველი მიზეზი ამისა არის ის, რომ ის მნიშვნელოვნად ზღუდავს ეროვნულ სუვერენიტეტს. NATO-ში გაწევრიანების კანდიდატი თუ წევრი სახელმწიფო, მიუხედავად თავისი ქვეყნის მოქალაქეების ნებასურვილისა, იძულებული ხდება მონაწილეობა მიიღოს ალიანსის მიერ განხორციელებიულ სამხედრო ოპერაციებში, რისი არც ადამიანური და არც მატერიალური რესურსი საქართველოს არ გააჩნია. NATO-ში გაწევრიანება მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს ფინანსური თვალსაზრისით, რადგანაც თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, საკმაოდ სოლიდური ფულადი სახსრები შეიტანოს ალიანსის ბიუჯეტში ყოველწლიურად.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ალიანსს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა აქვს. მისი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განაგებს სამხედრო კომიტეტი, რომელიც ამერიკელების სრულ კონტროლს ექვემდებარება.* იგივე კომიტეტი გამოიმუშავებს რეკომენდაციებს სამხედრო დოქტრინასთან და სტრატეგიასთან დაკავშირებით. ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიც, პრაქტიკულად, მუდამ ამერიკელი გენერალია, რომელიც პარალელურად ევროპაში აშშ ჯარების შტაბის ხელმძღვანელის პოსტსაც იკავებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ სრულ ჰეგემონობას ამ ორგანიზაციაში.

NATO-ს მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული სამხედრო აგრესიიდან გამომდინარე, რომელმაც ათიათასობით მშვიდობიანი ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია, ზნეობრივი ფაქტორი გვკარნახობს, რომ ჩვენი ადგილი ამ ორგანიზაციაში არ არის. NATO მორალ-

---

*** აქედან გამომდინარე, მხოლოდ *სასაცილო* შეიძლება ეწოდოს ქართველთა სავარაუდო როლს ნატოს ორგანიზაციაში (რედ.).**

ური თვალსაზრისით არის ფარსის, ამორალურობის და არაჰუმანური ქცევების ეტალონი მსოფლიოში. მით უფრო, რომ საქმე ხშირ შემთხვევაში ეხება მართლმადიდებელ სამყაროსთან ბრძოლას, ამის დასტურად ყოფ. იუგოსლავიის მაგალითიც საკმარისია; გავიხსენოთ, რომ 1999 წლის გაზაფხულზე, ნატოს პილოტებმა აღდგომა დღეს სერბ მოსახლეობას დააყარეს ბომბები წარწერით — „აღდგომას გილოცავთ“. ამას მხოლოდ ანტიქრისტიანული სულისკვეთებით განმსჭვალული ძალა გააკეთებდა და ამ ფაქტს არ აქვს შემთხვევითი ხასიათი. ვგონებ, მხოლოდ ეს საფუძველი კმარა იმისათვის, რომ უარი ვთქვათ NATO-ში ინტეგრაციაზე.

დაბოლოს, NATO ვერასოდეს გახდება საქართველოს უსაფრთხოების გარანტი, კავკასიის რეგიონში NATO-ს გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან უდიდესი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოები — რუსეთი და ირანი, რომლებიც ვერასოდეს შეეგუებიან, რომ NATO-ს ბაზები განლაგდეს საქართველოს ტერიტორიაზე. რადგანაც ისინი ღრმად არიან დარწმუნებულები, რომ ხვალ ეს ბაზები მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. ამიტომაც უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, თუ საქართველო გამოყენებული იქნება დასავლეთის მიერ NATO-ს პლაცდარმად, ხოლო რუსეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში — სამხედრო პოლიგონად, რაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოსახლეობას საბოლოოდ გაანადგურებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Richard David Precht: „Wer bin ich – und wenn ja, wie viele?“ Goldmann-Verlag, 2007. Seiten 15, 72, 152.
2. Frankfurter Rundschau. Wer ist die NATO - und warum? 2010, 17 May.
3. „G.I. Kills 16 Afghans, Including 9 Children In Attacks on Homes“. New York Times, March 12, 2012.
4. „U.S. troops posed with body parts of Afghan bombers“. Los Angeles Times, April 18, 2012.
5. „Drones At Issue…: Raids Disrupt Militants, but Civilian Deaths Stir Outrage“. New York Times, March 18, 2012.
6. „Civilians Die in a Raid by Americans and Iraqis“. New York Times, Aug. 7, 2011.
7. „NATO Strikes Libyan State TV Transmitters“. New York Times, July 31, 2011.
8. „NATO admits raid probably killed nine in Tripoli“. St. Paul Pioneer Press, June 20, 2011.
9. „U.S. Expands Its Drone War to Take On Somali Militants“. New York Times, July 2, 2011.



10. „NATO airstrike blamed in 14 civilian deaths“. St. Paul Pioneer Press, May 30, 2011.
11. „Libya Effort Is Called Violation of War Act“. New York Times, May 26, 2011.
12. „Raid on Wrong House Kills Afghan Girl, 12“. New York Times, May 12, 2011.
13. „Yemen: 2 Killed in Missile Strike“. Associated Press, May 5, 2011.
14. „NATO Accused of Going Too Far With Libya Strikes“. New York Times, May 2, 2011.
15. „Disposal of Bin Laden’s remains violated Islamic principles, clerics say“. Associated Press, May 2, 2011.
16. „Photos of atrocities seen as threat to Afghan relations“. St. Paul Pioneer Press, March 22, 2011.
17. „Missiles Kill 26 in Pakistan“ („most of them civilians“) New York Times, March 18, 2011.
18. „Afgans Say NATO Troops Killed 8 Civilians in Raid“. New York Times, Aug. 24, 2010.
19. „A dozen or more“ Afghan civilians were killed during a nighttime raid August 5, 2010 in eastern Afghanistan, NATO’s officers said. Chicago Tribune, Aug. 6, 2010.
20. „Afghans Say Attack Killed 52 Civilians; NATO Differs“. New York Times, July 27, 2010.
21. NATO: Investigate Civilian Deaths in Libya.At Least 72 Dead in Air Attacks on Unclear Targets.MAY 14, 2012.
22. Amnesty International Libya: Civilian deaths from NATO airstrikes must be properly investigated.19 March 2012.
23. The Real Story of a massacre in Kosovo. David Morrison.
24. Bosnian War Crimes Suspect Killed by NATO Troops After Resisting Arrest. January 10, 1999| From Times Wire Services.
25. Ионов Александр Алексеевич .Очерки военной истории конфликта в Югославии (1991-1995). ст., 45,67,74.
26. 2013-04-12. Аллен Жюль: «Международная амнистия» не осуждает убийц из Аль-Каиды и НАТО.
27. М. Андреев. Современные проблемы взаимодействия СБ ООН с региональными организациями в сфере обеспечения международного права и безопасности.
28. http://press-post.net/ Балканская война и новый мировой порядок, 27 сентября, 2011.
29. Этнические чистки и «мир» в Косово: Дневник сербского корреспондента ИА REGNUM.
30. «Известия», 21 марта 2004, В Косово — этнические чистки.
31. Жертвы реальные и виртуальные. Ирина Антанасиевич. 15 января 2007 года. http://www.pravoslavie.ru/.

გრიგოლ რუხაძე, გვანცა კოპლატაძე

# ჯავახეთი – ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები
## (ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია)

ეთნოგრაფიული პროექტი «ჩემო სამშობლო მხარეო».
ექსპედიცია №1, 1-2 და 15 ივნისი, 2013 წ.
ფინანსური მხარდამჭერი — საქართველოს საპატრიარქო.

ეთნოგრაფიული პროექტი «ჩემო სამშობლო მხარეო» ითვალისწინებს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში კულტურულ-სოციალური მდგომარეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლას აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემებისადმი. პროექტის მიზანია, ერთ კონკრეტულ მხარეზე წინასწარ მრავალმხრივი ინფორმაციის მოპოვება, შემდეგ ექსპედიციის ფარგლებში საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ამსახველ გარემოებებზე დაკვირვება და, მათი ანალიზის საშუალებით, შერჩეული რეგიონის კულტურასა და სოციალურ მდგომარეობაზე ობიექტური სურათის შექმნა.

აღნიშნული ეპარქია საქართველოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან რეგიონში, ზემო ქართლში, კონკრეტულად კი, ჯავახეთში მდებარეობს. იგი ქ. ახალქალაქს და ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს მოიცავს. ამჟამად ზემო ქართლის ტერიტორია ბორჯომის ხეობით (ანუ ისტორიული თორის მხარით), სამცხითა და ჯავახეთით შემოიფარგლება, მაგრამ წარსულში მის საზღვრებში იყო მოქცეული სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ყველა პროვინცია — ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, შავშეთი (ეს ოთხივე პროვინცია ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა), აჭარა, ჯავახეთი, სამცხე და თორი. ზემო ქართლის ახლანდელი ტერიტორია ექვს ადმინისტრაციულ რაიონად არის დაყოფილი. ეს რაიონებია: ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი და ნინოწმინდა. რაც შეეხება ზემო ქართლის აბორიგენულ-ძირძველ მოსახლეობას, ქართველებს, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების გარდა, ისინი ყველგან უმრავლესობას წარმოადგენენ.



IX-X ს-ში სოფელი **ახალქალაქი,** ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (მდებარეობს ფარავნისა და მურჯახეთის მდინარეთა შორის), 1064 წელს ქალაქად გადაიქცა. X ს-დან ახალქალაქი ჯავახეთთან ერთად საუფლისწულო მამული იყო, რომელსაც განსაკარგი მამულის სახით თორელები მართავდნენ. ქალაქის გამაგრება-შემოზღუდვა XI ს-ში ბაგრატ III-ის მიერ დაიწყო, რომელიც ბაგრატ IV-ის დროს დასრულდა. დღემდეა შემორჩენილი ძველი ქალაქის დაზიანებული, ქვის მაღალი და ფართო გალავანი.

XIII ს-დან ახალქალაქს სამცხის ერისთავები, ჯაყელები დაეპატრონენ. 1535 წელს ახალქალაქი ბაგრატ III იმერთა მეფემ ავკაცობით ცნობილი ყვარყვარე ათაბაგისგან გაათავისუფლა. XVI ს-ის 50-იან წლებში ახალქალაქი შაჰ-თამაზის ურდოებმა აიღეს, ხოლო XVI-ს ბოლოს იგი ოსმალეთმა დაიპყრო, რის შემდეგაც იგი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში შევიდა და სანჯაყის ცენტრად ითვლებოდა. XVIII ს-ში ერეკლე II-მ რამდენიმეჯერ ამაოდ სცადა ახალქალაქის განთავისუფლება. 1811 წელს ახალქალაქი რუსეთის ჯარმა აიღო, მაგრამ 1812 წლის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების თანახმად ახალქალაქი ისევ ოსმალეთის საკუთრებაში გადავიდა. 1828 წელს, რუს-ქართველთა სამხედრო ნაწილებმა გენერალ ი. პასკევიჩის მეთაურობით ახალქალაქი აიღეს. მისი მიერთება რუსეთის იმპერიასთან 1829 წლის ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამ დაადასტურა. რუსეთის იმპერიასთან ახალქალაქის შეერთების შემდეგ, მაჰმადიანი ქართველები თურქეთში გადაიხვეწნენ, ხოლო მათ ნაცვლად ერზურუმის ვილაიეთიდან სომხები ჩამოსახლდნენ. 1874 წელს ახალქალაქი სამაზრო ცენტრი გახდა. 1918 წლის ივნისში ქალაქი ისევ ოსმალებმა დაიკავეს, მაგრამ 1921 წლის მარტში ახალქალაქში ბოლშევიკების მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ და ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ახალქალაქის რაიონი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, ჯ1917 წ-მდე თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1921-1930 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ახალქალაქის მაზრად იწოდებოდა. 1930 წელს, საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შედეგად, ცალკე რაიონად გამოიყო. ახალქალაქის რ-ში 5,1% ქართველი, ხოლო 94,4% სომეხი ცხოვრობს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ბევრია ადრინდელი და შუა საუკუნეების კულტურის ძეგლები:

**კუმურდო** ქართული ხუროთმოძღვრების X ს-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი სოფელ კუმურდოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა, რომ აფხაზთა მეფის ლეონის დროს (964), იოანე ეპისკოპოსის (კუმურდოელის) თაოს-

ნობით ქართველ ხუროთმოძღვარს, საკოცარს დაუწყია ტაძრის მშენებლობა. ბაგრატ IV-ის მეფობაში (1027-1072) ტაძრისთვის სამხრეთი სტოა მიუშენებიათ. დასავლეთ შესასვლელის წარწერის მიხედვით, ეკლესიის შეკეთება-გადაკეთება XVI ს-ით თარიღდება. ტაძარი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. აქ მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავი არიან იოვანე კუმურდოელი (X ს.), რომელიც შემდეგ სინის მთაზე მოღვაწეობდა, და ზოსიმე (XI ს.).

მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმების გარდა გვხვდება რელიეფური გამოსახულებებიც: საკურთხევლის სარკმლის მორთულებაში (ფასადის მხარეს) მახარებელთა სიმბოლოების — ანგელოზის, ლომის, არწივისა და ხარის — ფიგურები, ხოლო შიგნით, გუმბათქვეშა აფრებში — საქართველოს მეფის, ბაგრატ III-ის დედის გურანდუხტ დედოფლისა და მისი ძმის ლევან მეფის გამოსახულებანი. კუმურდოს ტაძრის ტექნიკური შესრულების ხარისხი (კედლის, კამარების და თაღების ზუსტი წყობის, წმინდად გათლილი ქვა), მისი უმაღლესი მხატვრული ღირსებანი (საერთო პროპორციები, შიდა სივრცის მონუმენტურობა, იშვიათი სიფაქიზით შესრულებული ჩუქურთმები, ფასადთა სიბრტყეების ფერადოვნება) განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს კუმურდოს ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

მშრალად ნაგები **აბულის ციკლოპური ციხე** სოფელ აბულის სიახლოვეს მდებარეობს. გრანდიოზული და რთული გეგმარებისაა აბულის ციხე, რომელიც მცირე აბულის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2800 მ-ის სიმაღლეზე. აქ მთელი ქედი თხემიდან სოფ. აბულამდე მორენებითაა დაფარული. ამით უსარგებლიათ ძველთაგანვე და ლოდების მცირე გადაადგილებით მიუღიათ დარან-სამალავები, რომლებსაც ვიწრო, დაბალი შესაძრომები აქვთ. საკმარისია ერთი ლოდის აფარება და ყველაფერი შეუმჩნეველია, ის აღარაფრით გამოირჩევა ქვიანი მასის საერთო გროვიდან. ციხე-გალავანი ამ დარნების შუაში, მაღალ ადგილზეა აგებული. ის შედგება გალავნის, შიდა-ციხისა და მის კედლებზე შიგნიდან მიშენებული სათავს-სადგომებისაგან. კედლების სიმაღლე ზოგან 5 მ-მდე აღწევს, სიგანე კი 3 მ-ია. „შიდაციხე" მოიცავს ფართობს დაახლოებით 60 40 მ. ციხის შიგნით კედლებსა და ბურჯებზე მიშენებული 40-მდე სადგომია, ზოგან ორ-სამ სართულად. აბულის სიმაგრის სამხრეთით, ქედზე წყარო გამოდის, რაც აძლიერებდა თავდაცვისუნარიანობას. აბულის სიმაგრე მაინც გამორჩეულია. იგი ერთი უპირველესი ცენტრთაგანი უნდა ყოფილიყო უძველესი დროიდან. თვალში საცემია მისი სიდიდე, სიძლიერე, მიუვალობა, სტრატეგიული მდებარეობა: მის სამხრეთით გადის გზა ფოკახოსპიო-ხერთვისისაკენ.

სოფელ **აბულის** ცენტრში დგას დარბაზული ტიპის კარგად შენახული **ეკლესია**. სამხრეთის კედელზე შემორჩენილია ჯვარი და წარწერა: „ქრისტე შეიწყალე გალატოზნი".



სოფელ **ბავრას** ცენტრში დგას დარბაზული ტიპის ქართული ეკლესია. იგი შედარებით კარგად არის შემონახული. ეკლესიას გააჩნია რელიეფი „წმ. დანიელი ლომების ხაროში" წარწერით: „ქრისტე ადიდე სოფრონ". კიდევ არის ერთი წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია იგივე სოფრონი, ადგილობრივი ფეოდალი, რომლის ბრძანებითაც არის აგებული ეკლესია X-XI სს-ში. ეკლესიის ეზოში დგას წარწერიანი სვეტი, სავარაუდოდ, იგი საფლავის ქვა უნდა იყოს.

სოფელ **ალასტანის** ცენტრში დგას X-XI სს-ის დარბაზული ეკლესია. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე არის ორი წარწერა. ერთი იკითხება: „ესე მე ოძელმან დავდე ქვა"; მეორე წარწერის წაშლა უცდიათ საგულდაგულოდ, საღებავიც გადაუსვამთ ისე, რომ აღარ იკითხება. ეკლესიის უკან აშენებულია XIII-XIV სს-ის მეორე ტაძარი, რომელიც ამჟამად სომხურად იწოდება.

სოფელ **ბარალეთის** ცენტრში დგას XI ს-ის ქართული **ეკლესია** — სამნავიანი ბაზილიკა, რომლის აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერაა: „აღეშენა ეკლესიაჲ ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა". „ჯავახთუფლის" მეფედ დაჯდომა განსაკუთრებით აღუნიშნავთ ბარალეთში. რადგანაც იმ დროისთვის (1213) საქართველოში ბაზილიკები აღარ შენდებოდა, სავარაუდოა, რომ ეს ცნობა უფრო ადრინდელი ეკლესიის აღდგენას ან შეკეთებას გულისხმობდეს. სოფლის აღმოსავლეთით, ნასოფლარ სირგვთან ახლოს, აღმართულია კარგად შენახული 6 მეტრის სიმაღლის სტელა.

სოფელ **ბურნაშეთში** შემორჩენილია დარბაზული ტიპის დიდი **ეკლესია,** რომელიც აშენებული უნდა იყოს არა უგვიანეს X ს-ისა. დაცულია ორი წარწერა (X და XIII სს.). წარწერა აღმოსავლეთის მხარეზე არსებულ რელიეფზე „წმ. დანიელი ლომების ხაროში" იკითხება შემდეგნაირად: „უფალო, ვითარცა იხსენ დანიელ პირისაგან ლომისა, იხსენ ამის წმიდისა ეკლესიის მაშენებელნი ხელთაგან ჯოჯოხეთისა". სოფლის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, მოზრდილი **ქვაჯვარი.**

ქ. ახალქალაქში არსებული სომხური „სურბ-ხაჩ"-ის ეკლესია 1828-1830 წლებში თურქეთიდან ჩამოსახლებულმა სომეხმა მოსახლეობამ ააშენა. თავდაპირველად ეს ძეგლი ხის მასალით იყო აგებული. ეკლესიას ეტაპობრივად კაპიტალური ნაგებობით ცვლიდნენ და 1856 წელს ახლანდელი სახე მიიღო.

ყოველწლიურად, ივნისის თვის ბოლო შაბათს, სახალხო აშუღის ჯივანის მშობლიურ სოფელში კარწახში სახალხო ზეიმი „ჯივანობა" იმართება. მასზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად კულტურის

და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები, აგრეთვე პროფესიული და ხალხური თვითშემოქმედების კოლექტივები სომხეთიდანაც ჩადიან. ასევე აღინიშნება სომხური ხალხური დღესასწაულები, როგორებიცაა „ვარდავარი“ და ახალგაზრდობის დღე.

რაიონში 4 საბავშვო ბაღი და 65 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, რომელთაგან 50 საშუალოა, ხოლო 15 — საბაზო. 65 სკოლიდან 11 ქართულია, 53 — სომხური და 1 — რუსული. სკოლებში 8277 მოსწავლე სწავლობს და 1475 მასწავლებელი მუშაობს.

ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო კოლეჯს აქვს ფაკულტეტები: ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია.

ახალქალაქში დაფუძნებულია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის საზოგადოება „ცოდნა“-ს ინსტიტუტის ფილიალი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალობებია: ქართული ენა და ლიტერატურა; სკოლამდელი აღზრდა; დაწყებითი განათლება; ფიზიკური აღზრდა; დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება; ინგლისური ენა და ლიტერატურა; სომხური ენა და ლიტერატურა; კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ტურიზმი.

ქ. ახალქალაქის **ბიბლიოთეკა** 1870 წელს იქნა დაარსებული. ამჟამად ბიბლიოთეკაში განთავსებულია 65 ათასი წიგნი ქართულ, სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. გარდა ქ. ახალქალაქისა ბიბლიოთეკები გახსნილია რაიონის 16 სოფელში. დასაქმებულია 35 ადამიანი.

ახალქალაქის არასამთავრობო სექტორში გაერთიანებულია: „ენის სახლი“ (ეუთო აფინანსებს), „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ (ევროკომისია, გერმანია), „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი“ (ECMI), საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ფონდი (GFSIS). მათი ძირითადი საქმიანობა ადგილობრივი სომხური მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერას უკავშირდება.

**ნინოწმინდის რაიონში** ამჟამად 1,3% ქართველი, ხოლო 95,7% სომეხი ცხოვრობს. ნინოწმინდის ტერიტორიაზე დაცულია როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრული, ასევე გრიგორიანული და „დუხობორული“ მიმდინარეობის ძეგლები.

სოფელ **ფოკაში** მდებარე **წმინდა ნინოს სტავროპიგიალური დედათა მონასტერი** ქართული ხუროთმოძღვრების XI ს-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ინტერიერში შემონახულია მხატვრობის ფრაგმენტები. კარის თავზე წარწერაში მოხსენიებულია ქართლის კათალიკოსი იოანე ოქროპირი, ხოლო კარის მარჯვნივ წარწერაში — ძეგლის მშენებელი „ხელოსანი ბავრელი“. გადმოცემის თანახმად, ჯავახეთის მთებით შემოსული წმინდა ნინო კაბადოკიელი სწორედ ამ ადგილას შეჩერდა.



ფოკის წმინდა ნინოს დედათა მონასტერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1992 წელს დაარსდა. ტრადიციისამებრ, ყოველი წლის 1 ივნისს აქ აღინიშნება წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღე და წმინდა ნინოს ნაკვალევზე მიმავალი მორწმუნეები სწორედ ამ დღეს ფოკიდან იწყებენ მცხეთამდე მსვლელობას. დედათა მონასტერთან არსებობს სამრევლო სკოლა და სამედიცინო კაბინეტი. მონასტერში გახსნილია ტიხრული მინანქრის სახელოსნო, რომელშიც ხატები და ღმრთისმსახურებისათვის საჭირო ნივთები მზადდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 წელს დაარსდა, აგრეთვე, **ფოკის წმინდა ნინოს მამათა სტავროპიგიალური მონასტერი**.

სოფ. **სათხის სამების დიდი დარბაზული ეკლესია** X ს-ის დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. გარედან სარკმელები და კარნიზი შემკულია მაღალოსტატური ჩუქურთმებით. სათხის ქართულმა სიძველეებმა, თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობის გამო, ჯერ კიდევ XIX ს-ში მიიქციეს მკვლევართა ყურადღება. ამ სიძველეებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძველი ქართული წარწერები, რომლებიც მრავლად მოიპოვებოდა და ახლაც ბევრი იკითხება ეკლესიის კედლებზე. ერთ-ერთი წარწერის ტექსტის მიხედვით, სათხის ეკლესია ფარსმან ერისთავთა ერისთავს აუშენებია. იგი ისტორიულ ლიტერატურაში სავსებით სწორად გაიგივებულია ბაგრატ IV-ის (1027–1072 წწ.) დროის ცნობილ მოღვაწესთან ფარსმან თმოგველთან. ჯავახეთში ფარსმან ერისთავთა ერისთავის სახელი, სათხის გარდა, კიდევ ორ — ზედა თმოგვის ეკლესიის და მირაშხანის — წარწერაში მოიხსენიება. ეკლესიის ფასადების ასომთავრული წარწერებიდან ერთ-ერთში მოხსენიებულია მშენებელი „კვირიკე კალატოზი“. სათხის ეკლესიის მოჩუქურთმებული კანკელი ექსპონირებულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

სოფელ სათხეში XII ს-ის დარბაზული ტიპის ქართული ეკლესიის კედელზე 1899 წელს მიშენებულ იქნა სომხური წმინდა დიდი ნერსეს სახელობის ეკლესია.

სოფელ **განძაში** დღეისათვის შემორჩენილია ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენლის, შალვას მიერ XIV ს-ის აშენებული ორი ქართული ეკლესია — ზედა და ქვედა **განძის ეკლესიები**. ზედა ეკლესია უფრო ადრეა აშენებული. ორივე ერთნავიანია. ეკლესიებზე შემორჩენილია ორ-ორი ასომთავრული წარწერა. როგორც წარწერებიდან ჩანს, ეკლესიები აშენებულია ნიკოლასძეთა მიერ.

ქ. ნინოწმინდაში 2001 წლიდან ღმრთისმშობლის **ხარების** სახელობის დედათა მონასტერი დაფუძნდა.

სოფ. **სალამოში** შემორჩენილია XI-XII სს-ის ქართული ეკლესიის ნაშთები. აქ 2004 წლიდან თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტერი და ეკლესია ფუნქციონირებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფელ **ყაურმაში**, მდინარე ფარავანზე გადებული, XII ს-ით დათარიღებული **ხუთთაღიანი ხიდი**, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და VII-VIII სს-ით დათარიღებულ მართლმადიდებლურ სალოცავს უკავშირდება.

სოფელ **როდიონოვკის** ცენტრში მდებარეობს სუფთად გათლილი გრძელი კვადრებით აგებული დიდი ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც X-XI სს-ს განეკუთვნება. ეკლესიას კარის არქიტრავზე აქვს ბრწყინვალე ორნამენტები. შესანიშნავი ორნამენტებია შემონახული თავდაპირველი სახის კარნიზებისა და სარკმელების არქივოლტებზე. ეკლესიას გააჩნია წარწერები, რომელთაგან ერთი მათგანი შემდეგნაირად იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე პავლე“.

სოფელ **განძაში** წმინდა კარაპეტის სახელობის სომხური ეკლესია 1858 წელს იქნა აგებული, ხოლო ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს წმინდა სურბ-სარქისის სახელობის ეკლესია, რომელიც აგებულია 1884 წელს. იგი ექვემდებარება საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქიას.

სოფ. **დიდ გონდრიოში** მოქმედებს ღმრთისმშობლის სახელობის სომხური ეკლესია, რომელიც აშენებულია 1867 წელს.

სოფ. **გორელოვკაში** დუხობორთა ეთნოგრაფიული მუზეუმი არის გახსნილი.

სოფ. ასპარში შემორჩენილია ციხესიმაგრე ,,ქოროღლი“-ს ნანგრევები, დათარიღებულია ძვ. წ. ა. 3000 წლით. მდებარეობს ფარავნის ტბასთან, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე.

ქ. ნინოწმინდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს თეატრი, რომელსაც 1984 წელს კულტურის სამინისტრომ სახალხო თეატრის წოდება მიანიჭა.

ნინოწმინდაში საბავშვო ბაღი „წიწერნაკი“ („მერცხალი“) „გაეროს“ დაფინანსებით 2000 წელს დაფუძნდა. სწავლა ტარდება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; ასევე მოქმედებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი.

რაიონში 38 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, რომელთაგან 29 საჯაროა და 9 საბაზო. 38 სკოლიდან 31 სომხურია, 4 — ქართული და 3 — რუსული. სკოლებში 4447 მოსწავლე სწავლობს და 935 მასწავლებელი მუშაობს.

ეუთო-ს პროექტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში ნინოწმინდის ,,ენის სახლი“ ფუნქციონი-



რებს 2005 წლიდან. „ენის სახლს“ ჰყავს 5 თანამშრომელი: კოორდინატორი, ასისტენტი და 3 მასწავლებელი. მასში სახელმწიფო ენას სწავლობენ საჯარო მოხელეები, აბიტურიენტები და თავისუფალი მსმენელები.

არასამთავრობო ორგანიზაციების — „სამცხე-ჯავახეთის მომხმარებელთა კავშირი“, „სულთა გადარჩენის კავშირი“ და ქალთა კავშირი „ფაროსი“ — პარტნიორები და მხარდამჭერები არიან ეუთო, გაერო და სხვა ევროპული სტრუქტურები.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ჩვენი ჟურნალის ეგიდით ახლახან მოწყობილი ექსპედიციის შთაბეჭდილებებსაც მოკლედ გაგაცნობთ.

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მმართველია მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), რომლის რეზიდენცია ახალქალაქში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ მეუფე ნიკოლოზის მიერ შეკრებილი უნიკალური ნივთების სიმრავლემ რეზიდენციას რაღაც ორიგინალური მუზეუმის სახეც მისცა, რომელიც ყოველთვის ღიაა და არც დამთვალიერებელთა ნაკლებობას განიცდის. 2010 წლიდან აქვე არის გახსნილი დაუსწრებელი სასულიერო სასწავლებელი (მაგისტრატურა), რომელიც წელიწადში 3-4-ჯერ თითო კვირის განმავლობაში იწვევს ლექტორებსა და სტუდენტებს და საყოფაცხოვრებო პირობებითაც უზრუნველყოფს მათ. რეზიდენციასთან მოქმედებს დედათა მონასტერი, რომლის სამოღვაწეო კერა — **მიქაელ მთავარანგელოზის** პატარა ტაძარი, «ტურინის სუდარის» ასლის სპეციალური ნაგებობა, ორსართულიან შენობაში მოწყობილი სენაკები და ასევე სხვადასხვა სათავსოები — რეზიდენციიდან სამას მეტრშია. რამდენადაც ჯავახეთში მოღვაწე ბერ-მონაზონთა ხვედრი განსაკუთრებულია, ჩვენ თავ-თავის ადგილზე ყველას პიროვნულად დავასახელებთ და ყველას მიმართ ჯერ სიტყვით მაინც გამოვხატავთ თანადგომას, რომ ღმერთმა შეიწიროს მათი მამულიშვილური გადაწყვეტილება, ერთ დროს დიდებული ჯავახეთის მხარის სულიერი აღორძინებისთვის მსახურებისა. აქ, მიქაელ მთავარანგელოზის დედათა მონასტერში მსახურობენ: იღუმენია ნინო (ფაჩუაშვილი), მონაზონი მარიამნა (ჯანელიძე)* და სამონაზვნე სოფიო (გოგია).

ეპარქიის დაქვემდებარებაშია კიდევ ოთხი დედათა მონასტერი: ნინოწმინდის **ხარების** სახელობისა, სადაც იღვწიან მონაზვნები — იოანა (ფარცვანია) და მარინე (ხელაშვილი); ახალქალაქის წმ. **ნიკოლოზ საკვირველმოქმედის** სახელობისა, რომელშიც მკვიდრობენ — მონაზონი ნანა (კაპანაძე), სამონაზვნე ფოტინე (სვანიძე) და მორჩილები — ევლალია დათუნაშვილი და ნუნექია ოსურაული; სოფ. საღამოს წმ. **თამარ მეფის** სახელობისა, სადაც ორი მონაზონი მსახურობს — ცეცილია (ყაველაშვილი)

* დედა მარიამნას მადლობას ვუხდით, ეპარქიის ბერ-მონაზონთა შესახებ მოწოდებული ცნობებისთვის.

და მართა (ბერიძე); სოფ. **ბარალეთის** მაცხოვრის ამაღლების სახელობისა, აქ თავიანთ საქმეს ასრულებენ იღუმენია სოსანა (კენჭოშვილი) და მონაზონი ლია (მაზიშვილი). ძირითადად ყველა აღნიშნულ მონასტერში ღმრთისმსახურებას აღასრულებს ეპარქიის ერთადერთი მოძღვარი, კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე დეკანოზი ალექსანდრე ქასრაშვილი, რომლის მოუღლელ მუშაკობას ისიც ემატება, რომ იგი ახალქალაქის წმ. ზოსიმე კუმურდოელის სახელობის სახელობო სასწავლებელ-პანსიონის დირექტორადაც არის დანიშნული. აქ მოწაფეები შესანიშნავ უცხოურ დაზგებზე ქსოვასა და თექის ხელოვნებას ეუფლებიან; აგრეთვე, ფოტოხელოვნებას, კინოხელოვნებასა და ვიდეომონტაჟსაც სწავლობენ. მიუხედავად შეგირდთა მცირე გამოცდილებისა, მათი ნახელავი უკვე გულწრფელ აღტაცებას იწვევს.

როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ფოკაში **წმ. ნინოს** სახელობის მამათა და დედათა, ორი სტავროპიგიალური, ანუ უშუალოდ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი, მონასტერი არსებობს. მათში იღვწიან დედანი: იღუმენია ელისაბედი (მესხიშვილი), კეთილმოწესე მონაზონი შუშანიკი (ქურთაული) და კიდევ ოთხი მონაზონი — ნინო (ავაზაშვილი), ნანა (ქოროღლიშვილი), რაქილი (ხოსიტაშვილი) და სიდონია (მემანიშვილი); მამათაგან კი — მხოლოდ მღვდელმონაზონი იოვანე (შომახია) და მორჩილი დიმიტრი გეგენავა.

ჩვენი საექსპედიციო ჯგუფი ფოკაში, ფარავნის ტბაზე, ქართველთა მოციქულის, წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს, 1 ივნისს წირვის დროს ჩავიდა. მისი უწმიდესობის მიერ1989 წელს დანერგილი ტრადიცია გრძელდება და მორწმუნეთა ოცკაციანი ჯგუფი წმიდა ნინოს ნაკვალევზე, ფარავნიდან მცხეთამდე, ისევ მიემართება. მეუფე ნიკოლოზმა, რომელმაც ფარავნის ნახევრად ღია ტრაპეზთან წირვა ჩაატარა სამღვდელოებასთან ერთად, აღნიშნული ტრადიციის ისტორია გაიხსენა და წმიდა ნინოს XXV გზის მონაწილენი დალოცა. გულს ახარებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველების სიმრავლე, რომელთაც ეს მადლიანი და მრავალჭირგამოვლილი მხარე ყოველ წელს, ამ დღესასწაულზე მაინც, იმედით ელოდება.

აქ გავიცანით ახალგაზრდა პედაგოგები, რომელნიც სომეხ მოსახლეობას ქართულ ენას ასწავლიან. ძნელი წარმოსადგენია სხვა სახელმწიფო, რომელსაც ოფიციალური სტატუსის მქონე ენის ამდენი უცოდინარი ეყოლებოდა, მაგრამ ვაი-ვიშის ძახილი არ გვიშველის. არც მარტო იდეები კმარა; ქვეყნის განვითარებაში წვლილის შესატანად ამსოფლიურ სიამეთა დათმობა მხოლოდ ბერ-მონაზვნებს არ მოეთხოვებათ. მაგალითისთვის საბჭოთა პერიოდის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ განაწილების წესს გავიხსენებთ. მაშინ კურსდამთავრებული ვალდებული იყო, მინიმუმ



ორი წელი თავისი სპეციალობით ემსახურა იმ რეგიონსა და დაწესებულებაში, რომელსაც დიპლომის მიმნიჭებელი ინსტიტუტი განუკუთვნებდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, თანამედროვე ახალგაზრდებს შორის მოიძებნებიან სამშობლოსთვის გულანთებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც ნებაყოფლობითა და მინიმალური ანაზღაურებით, დროებით მაინც, დათმობენ ცხოვრების ჩვეულ სიმყუდროვეს და მიაშურებენ ადგილებს, სადაც ქართველობას ძალიან უჭირს. იგივე შეიძლება ითქვას მოძღვრებზეც, რომლებიც ჯავახეთის დადუმებულ ტაძრებს სულს ჩაუდგამენ და სულიერ საზრდოს მოწყურებულ ქართველებს იმედს განუმტკიცებენ, რომ ისინი მიტოვებულნი არ არიან და ისევე იმსახურებენ ყურადღებას (თუ უფრო მეტად არა), როგორც საქართველოს სხვა ქალაქებისა თუ სოფლების მკვიდრნი. ბუნებრივად გაიდება ხიდი ადგილობრივ მოსახლეობასა და მათთან ჩასულ ენთუზიასტებს შორის. ზოგი მეგობარს შეიძენს, ზოგი — ნათლულს, ზოგიც — ბიზნესპარტნიორს (ჯავახეთს მესაქონლეობისა და მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს), ეს ურთიერთობანი და კავშირები კი არა მარტო ცალკეულ რეგიონს, არამედ სრულიად საქართველოს გააძლიერებს. ბანალური, მაგრამ ქართველთათვის პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელი სიბრძნე ძევს შეგონებაში: ძალა ერთობაშია! ამ მხრივ მაგალითი თვით სომეხთაგან უნდა ავიღოთ: ჯავახეთში მცხოვრები სომხები სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციების მეშვეობით მნიშვნელოვან სოციალურ დახმარებას იღებენ, მაშინ როცა, შესაძლოა იმ თვისტომთა სახელებიც არ იცოდნენ, რომელნიც მათზე ევროპიდან და ამერიკიდან უანგაროდ ზრუნავენ.

ეს ქვეყანა ჩვენია და იგი ყველა ჩვენგანის მოსავლელია, მაგრამ ორგანიზატორის ფუნქცია სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს. მან უნდა გამოიყენოს განთავისუფლებული საზოგადოების ის ეროვნული პოტენციალი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანმა ბოროტმოქმედებამ დააკონსერვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა ადამიანებს თავისუფლებასთან ერთად ზღვა ენერგიაც შესძინა, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

სანამ ქ-ნ გვანცა კოპლატაძის საექსპედიციო ჩანაწერებს გაეცნობოდეთ, მინდა ჩემი ზოგადი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ სხვადასხვა ავტორთა მიერ ჯავახეთზე გამოქვეყნებული ნარკვევების შესახებ (სტატიას ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ), რომელიც ექსპედიციის წინა მოსამზადებელ პერიოდში შემექმნა. მე, როგორც ისტორიით დაინტერესებულ ჩვეულებრივ მკითხველს, ასეთი დასკვნა გამომაქვს: გასული საუკუნის ბოლო მეოთხედის ისტორიულ გამოკვლევათა თითქმის ყველა ავტორი რუსეთის მიმართ ანტიქრისტიანულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და სა-

კუთარი პოზიციის გასამართლებლად არც ფაქტების დამახინჯებას და არც ცრუ ინტერპრეტაციებს არ თაკილობს. ამ ყალბმა ისტორიოგრაფიამ, ფაქტობრივად, მთელი ქართული ინტელიგენცია მოწამლა და XX ს-ის 70-80-იანი წლების გონებრივი პოტენციალი მთლიანად რუსეთის სიძულვილისკენ მიმართა. სამწუხაროდ, ამ ვექტორის მიმართულება დღემდე არ შეცვლილა. მიზეზი კი ამისა არის ურწმუნოება.

დასამალი არ არის, რომ ქართული ინტელიგენცია რელიგიურად გაუნათლებელია და, საუბედუროდ, ამას ნაკლადაც არ თვლის. მაშინ როცა, საქართველოს ჟამთა აღწერა, ანუ მოვლენათა ობიექტური შეფასება მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე შეიძლება იყოს დაფუძნებული. წარსულის მარტო ფაქტობრივი და ქრონიკალური აღნუსხვა, თუნდაც ობიექტურობის დაცვით, მკითხველს სარგებლობას ვერ მოუტანს. ისტორიკოსი თავის მისიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ იგი მკითხველს მოვლენათა მორალურ კონტექსტში ჩაახედებს და ამით მას ცხოვრების კანონზომიერებებს განუმარტავს. ამისთვის კი, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი ცოდნაა საჭირო, რაც თანამედროვე ისტორიკოსებს არ აქვთ. ამიტომაც მწირია და მშრალი მათი ნაამბობი, უკეთეს შემთხვევაში, მასში ნაცვლად ცხოვრების ცხოველი მაჯისცემისა, მხოლოდ თარიღებისა და ჟამთასვლის მონოტონური ხმა ისმის. მაგალითად, რატომ არის XIV ს-ის ჟამთააღმწერელი აღიარებული კლასიკოს ისტორიკოსად? — ბუნებრივია, არა მარტო მონღოლთა შემოსევებისა და მისი თანამდევი მოვლენების სანიმუშოდ აღწერის გამო, არამედ იმ მიზეზის ახსნით, რამაც ეს უბედურებანი გამოიწვია: «რამეთუ ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა», ანუ სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგომარეობას არა მარტო ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება, არამედ ცოდვა-მადლის თანაფარდობა განსაზღვრავს. მით უმეტეს, ისტორიკოსს მოეთხოვება ცოდნა იმისა, რომ სულიერ ღირებულებებზე მაღლა ვერანაირი მიწიერი შესაძლებლობანი ვერ დადგება:«რამეთუ რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ ყოველი სოფელი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?»(მთ. 16,26).

**გრიგოლ რუხაძე.**

**გამოყენებული მასალა და ლიტერატურა**


1. ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტთა ვებ-გვერდები.
2. *თეიმურაზ ჩიქოვანი,* ზემო ქართლი, თბ., 1987.
3. *ვალერი სილოგავა,* კუმურდო (ტაძრის ეპიგრაფიკა), თბ., 1994.
4. სამცხე-ჯავახეთის რუკა, ფირმა „ლეგი“.






*ნინოწმინდის რ-ნი, სოფ. ფოკა, ფარავნის ტბის სანაპირო. ნინოობა, 01.06.2013.*



*ფოკის დედათა მონასტრის აღსავლის კარი.*



ახალი ბანიანი ნაგებობა ფოკის დედათა მონასტერში.



ძველი ბანიანი სახლი სოფ. ოკამში.





სოფ. სპასოვკა. გულით გვეპატიჟებოდა ქართველი გლეხკაცი დავით მეკეიძე...



ლამარა ხუციშვილი, კოთელიელი ბიბლიოთეკარი, სავსე სიკეთითა და პატიოსნებით....



ორლოვკელი ნოდარ გორგაძე ღირსეულ წინაპართაგან მარტო ერთი ნიშნით განსხვავდება – სარწმუნოებით...





*საქართველოს განათლების სამინისტროს მესვეურნო!*

*ჩუნჩხის საშუალო სკოლაში ასეთ საკლასო ოთახებში სწავლობენ და ამგვარ ზარს რეკენ, რომლის ხმამ არ შეიძლება ქართველი გულშემატკივრის სული არ შეძრას.*





*ეს სოფელ პტენის სკოლის, ხუთიდან ერთ-ერთი საკლასო ოთახია. აქაურებს უსახსრობის გამო ახალი წიგნების შეძენის საშუალებაც არ აქვთ.*





*ხოსპიოელი მეგობრები – ზაქარია ურუმაშვილი და იროდიონ ვახტანგიშვილი.*



*აფნიელი და-ძმა – მიხეილ და თამარ ხუციშვილები.*



სოფ. სპასოვკა. სტუმრად ქრისტიანი ცოლ-ქმრის, თამაზ მეკეიძისა და ნაზი გოგილაშვილის ოჯახში.







სპასოვკელი ქართველი გოგო-ბიჭები.





*ახალქალაქის ციხე-სიმაგრე. მიუხედავად მისი სიმტკიცისა და ძლიერებისა, მაინც სიტყვა „ობოლი“ გახსენდება...*




*სოფ. სამების სკოლის დირექტორი – ნუკრი წყარუაშვილი. სულით გაუტეხელი კაცები ყავარჯნებზეც მყარად დგანან.*





*გზა ჩუნჩხიდან კუმურდოსაკენ. საველე ტრაპეზი.*



*ექსპედიციის წევრები კუმურდოს ტაძარში.*



*ძლიერებაო კუმურდოს ჯვარისაო,*
*დაიცევ და დაიფარე სრულიად საქართველო.*





*უფალო, დიდითა წყალობითა შენითა ღირს-ყვენ ქართველნი*
*აღდგენილ კუმურდოს წმიდა ტაძარში ლოცვისა და გალობისა.*



*ჯავახეთის ზეგანის თვალწარმტაცი მშვენიერება.*



*წერო ჯავახეთის სიმბოლოა. ისინი დასახლებულ პუნქტებში, ელექტრობოძებზე, ქვის სვეტებსა და სახურავებზე ფიჩხისგან სრულიად მოურიდებლად აგებენ უზარმაზარ ბუდეებს.*



## ექსპედიციის დღიურები

ექსპედიცია „ჩემო სამშობლო მხარეო“ საქართველოს უძველეს მხარეში, ჯავახეთში პირველ ივნისს გაემგზავრა. 1 ივნისი ჩვენი ქვეყნის მხარეებში ეთნოგრაფიული ექსპედიციების დასაწყისად შემთხვევით არ შერჩეულა. ეს დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩვენი განმანათლებლის — წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღედ დააწესა; ფარავნის ტბასთან, სადაც კაპადოკიიდან ვაზის ჯვრით აღჭურვილმა ქალწულმა შეისვენა და მწყემსებს ქართლის გზა ჰკითხა, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით ღია საკურთხეველი და ვაზის ჯვარი აღიმართა. იქიდან მოყოლებული, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღე აქ საზეიმო წირვა-ლოცვით აღინიშნება, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ატარებდა.

არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ მშობლიური მხარეების ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა, ექსპედიციამ ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიით, რომელიც მთელ ჯავახეთს მოიცავს, დაიწყო. იმ სიბრძნიდან გამომდინარე, რომ „რაგინდ მალო, ჭირი თავსა არ დამალავს“, დღეს არავისთვის არაა დაფარული: ისტორიულ ზემო ქართლს, საქართველოში ქრისტიანობისა და სულიერი კულტურის აკვანს, განსაკუთრებით უჭირს და თუ ამ გასაჭირს წაყრუების ნაცვლად თვალს გაბედულად არ გავუსწორებთ და გულთან არ მივიტანთ, ადვილი შესაძლებელია, დღევანდელი საქართველოს საზღვრებში მოქცეულ ზემო ქართლის იმ ნაწილსაც ის ბედი ეწიოს, რაც მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა დავკარგეთ.

მაინც რა პატარაა, მართლაც ხელისგულისოდენა, გმირული ისტორიითა და დიდებული, თავისთავადი კულტურით „დიდების ღირსი“ (ს. ჩიქოვანი) ჩვენი სამშობლო. თბილისიდან საქართველოს უკიდურეს სამხრეთში დაახლოებით სამ საათში ჩავედით. ეს სამი საათიც ისე გაილია, არ გვიგრძვნია. ღმრთის შექმნილი სამყაროს გამოუთქმელ სილამაზეს კიდევ ერთხელ გვაზიარა გვირილებით თეთრად გადაპენტილმა მდელოებმა და ჯერ კიდევ გაზაფხულის სინორჩეშერჩენილმა სიმწვანემ მთების კალთებისა და ვრცლად გადაჭიმული მინდვრებისა. ფარავნის ტბის ჩრდილოეთით აღმართულ მთებს თეთრ, გრძელ ზოლებად ჯერ კიდევ შემორჩენოდა თოვლი. მრავალი საუკუნის წინ გაზაფხულის ბოლოს ამ თოვლშერჩენილმა მთებმა სამხრეთიდან მოსული წმინდა ქალწულის გაკვირვებაც გამოიწვიეს: „ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე“ (ანა კალანდაძე). ტბის ნაპირთან, ნახევრად ღია ტაძარში საზეიმო წირვას თანამწირველ მღვდლებთან ერთად ახალქალაქის და კუმურდოს მიტროპოლიტი მეუფე ნიკოლოზი

აღასრულებდა. ჩვენდა სასიხარულოდ, წირვას ადგილობრივებთან ერთად მრავალი სტუმარიც ესწრებოდა, რომელთა უმეტესობაც თბილისიდან იყო. წირვის შემდეგ მეუფე ნიკოლოზმა ქადაგებაში გაიხსენა, როგორ ჩაეყარა საფუძველი, კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მღვდელმსახურთა წინამძღოლობით, მორწმუნეთა ჯგუფის მსვლელობას წმ. ნინოს გზით — ფარავნიდან მცხეთამდე. ამ მსვლელობას ჯვრითა და ხატებით კონკრეტული მიზანიც ჰქონდა: ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში ათეისტური იდეოლოგიის ბატონობის შედეგად მივიწყებული ქრისტიანული რწმენის აღდგენა-გაცოცხლება. ეს ტრადიცია, რომლის არსებობაც მეოთხედ საუკუნეს ითვლის, წელსაც გაგრძელდა. ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა წმინდა ნინოს გზით მსვლელობის მონაწილენი, ძირითადად ახალგაზრდობა, სათითაოდ დალოცა. ისინი გზად ყველა ქართულ სოფლებში შევლენ, სადაც მღვდელმსახურები წირვა-ლოცვებსა და პარაკლისებს აღასრულებენ, მოსანათლავებს მონათლავენ და ჯვარდასაწერებს ჯვარს დაწერენ.

აქ შევხვდით ახალგაზრდა მასწავლებელს ნანა ხუფენიას, რომელიც პროექტით „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ახალქალაქის დემირჭიანის სახ. სომხურ სკოლაში თებერვლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. ამ ახალგაზრდა ქალბატონმა თავისი ეროვნული თვითშეგნებით, რომელიც სხვა ერების პატივისცემასა და სიყვარულს სრულიადაც არ გამორიცხავს, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საუბრისას მან სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ამ მხარეში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებაზე დაიწყო საუბარი, მოსახლეობის ინტერესი ქართული ენის შესწავლისადმი შესამჩნევად შემცირდა. მისი აზრით, თვითონ ბავშვები კარგები არიან და თუ ქართული ენის შესწავლაში ჩამორჩებიან, ამის მიზეზი არა სახელმწიფო ენისადმი აგრესიული და მტრული დამოკიდებულებაა, არამედ ჩვეულებრივი ყმაწვილური სიზარმაცე, რაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ ითქმის უფროსებზე. მაგალითად, სკოლის დირექტორმა არც მოწაფეთა სურვილი  გაითვალისწინა და არც მათი მშობლების თანხმობა და ქართულის მასწავლებელს უფლება არ მისცა, წაეყვანა ისინი ექსკურსიაზე ახალციხის, ვარძიისა და საფარის მონასტრების მოსანახულებლად. არადა ასეთი ექსკურსიები და მსგავსი ღონისძიებანი როგორ წაადგებოდა ახალგაზრდების იმ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ქ-ნი ნანა ხუფენიას მსგავსად, ჩვენც ვფიქრობთ, რომ, მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობისა თუ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებისა, განხორციელება პროექტისა — „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ამ რეგიონის სომხურ სკოლებში აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.



ფარავნის ტბიდან ახალქალაქამდე მხოლოდ ერთი, ისიც ნახევრად ქართული სოფელია შემორჩენილი — **ხოსპიო,** რაც ამ მხარის ტრაგიკულ თავგადასავალზე მეტყველებს, ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ამ ტრაგიკული ისტორიის შემოქმედნი უცხო მტრებზე მეტად პატივმოყვარე ქართველები იყვნენ, რომელნიც ხელისუფლებისა თუ სხვა მიწიერი პრივილეგიების შესანარჩუნებლად არც ერთმანეთს ინდობენ და არც  ხალხს და სარწმუნოებრივ-ეროვნულ იდეალებსაც დაუფიქრებლად ღალატობდნენ.

ხოსპიოში პირველად წმ. გიორგის სახელობის დარბაზულ ტაძარს მივადექით. აქვე აღვნიშნავ არასპეციალისტის თვალით დანახულ ღირსებებს ჯავახეთის ძველი ტაძრებისა, რომელთა უმრავლესობაც დარბაზული სტილისაა, ე. წ. ბაზილიკებს წარმოადგენენ და ძალიან უხდებიან გეოგრაფიულ გარემოს — ზეგანის ვრცლად გადაჭიმულ ალპურ მდელოებსა და ჰორიზონტზე ზვიადად აღმართულ „დაბინდულ ქლიავისფერ“ (გალაკტიონი) მთებს. როგორც წესი, ეს ტაძრები კარგად გათლილი მოწითალომონაცრისფრო ქვებითაა მკვიდრად ნაგები. კედლების სისქე, ალბათ, ორი მიზეზით იყო განპირობებული; ჯავახეთის მკაცრი კლიმატით (ზამთარში აქ ყინვა 30, ხოლო ხანდახან 40°-საც აღწევს) და მტერთა ხშირი შემოსევებით.

წმ. გიორგის ბაზილიკას მდინარე ფარავნის, რომელიც სოფელს ორად ყოფს, მეორე ნაპირზე ფერდობზე აღმართული წმ. ნინოს სახელობის ასევე დარბაზული ტაძარი გადმოჰყურებს. ეს ტაძრები ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს და აქაურთა წარმოდგენით წმ. გიორგისა და წმ. ნინოს სულიერ დაძმობას განასახიერებენ.

ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ოსმალო დამპყრობელთა მიერ ჩილდირის, ახალციხის საფაშოდ გადაქცევის შემდეგ სოფელ ხოსპიოს ახალქალაქის ბეგები ფალავანდიშვილები განაგებდნენ. ხოსპიო მათ საგარაკო ადგილად ჰქონიათ; ამიტომ აქ სასახლეც აუშენებიათ და მდ. ფარავანთან აუზიც მოუწყვიათ. რუსეთის მიერ ახალციხის საფაშოს საქართველოსთან შემოერთების შემდეგ პატარა ხოსპიოში, რომელიც დიდი ხოსპიოს პირდაპირ, მდ. ფარავნის მეორე ნაპირზე მდებარეობდა, ვიღაც მარტუნის წინამძღოლობით თურქების ბატონობას გამოქცეული სომხები შემოსახლდნენ და სოფელსაც მარტუნი დაარქვეს. შემდეგ ისინი თანდათანობით დიდ ხოსპიოშიც შემოსახლდნენ. დღეს 30-35 ოჯახი მაინც იქნება და, რაც მთავარია, სოფლის საუკეთესო სავარგულები მათ ეკუთვნით. ცხრაკლასიანი სკოლა, რომელიც ფალავანდიშვილების ძველ სასახლეშია გახსნილი, ორენოვანია: ქართულ-სომხური, მაგრამ დირექტორი როგორც წესი, ყოველთვის სომეხია.

სოფლის მკვიდრთაგან პირველად დაახლოებით 10-12 წლის ბიჭები შემოგვხვდნენ: ზაქრო ურუმაშვილი და იროდიონ ვახტანგიშვილი. ბიჭებს

გამოვკითხეთ, სად უნდა გვენახა სოფლის თავკაცი, ან ქართული ენისა და ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლები, რომელთაც სოფლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ შეეძლებოდათ საუბარი. გამოდგა, რომ არცერთი მათგანი ამ დროს სოფელში არ იმყოფებოდა. ზაქრომ და იროდიონმა თავის მხრივ მათემატიკის მასწავლებლის, ნინო ინასარიძის ნახვა შემოგვთავაზეს. ცოტა შევყოყმანდით, რადგან დავეჭვდით მათემატიკის მასწავლებელს ექნებოდა თუ არა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებდა. ბიჭებმა ყოყმანი შეგვატყვეს და დაბეჯითებით გვითხრეს, რომ ნინო მასწავლებელმა ყველაფერი იცოდა. ქ-ნ ნინოს შინ ვესტუმრეთ და მალევე დავრწმუნდით, რომ ბიჭები მართლები იყვნენ, ქ-ნმა ნინომ მშვენივრად იცის არა მხოლოდ ხოსპიოს ისტორია, არამედ სოფლის დღევანდელ მდგომარეობასაც ფხიზლად და ობიექტურად აფასებს. მან გულისტკივილით გვითხრა, რომ ხოსპიოში ქართულ სკოლას მოწაფეთა რიცხვის სიმცირის გამო დახურვა ემუქრებოდა. 44 მოწაფიდან სკოლას მხოლოდ 11 შემორჩა, დანარჩენები მშობლებმა, უკეთესი პირობების გამო, ახალქალაქის საშუალო სკოლაში გადაიყვანეს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაში მშობლებს ახალქალაქის ქართული სკოლის მესვეურებიც დაეხმარნენ ავტობუსის სპეციალური რეისის დაწესებით ყოველ დილით ბავშვების წასაყვანად ხოსპიოდან, რომელიც ახალქალაქს თითქმის ებმის. ქ-ნმა ნინომ იქვე განგვიმარტა, რომ მისი გულისტკივილის მიზეზი არა სამსახურის დაკარგვაა, რადგან უკვე საპენსიო ასაკისაა, არამედ ქართული სკოლის მოსალოდნელი დახურვა, რასაც ადვილი შესაძლებელია, შედეგად ჯავახეთში კიდევ ერთი უძველესი ქართული სოფლის გაქრობა მოჰყვეს.

სკოლის პრობლემებზე საუბრისას ქ-ნი ნინო ე. წ. სასკოლო რეფორმასაც შეეხო და ზუსტად განგვიმარტა, რატომ დაწია რეფორმის შედეგად მიღებულმა პროგრამამ მათემატიკის ცოდნის დონე სკოლებში. თუ ადრე მათემატიკური საგნების შესწავლას მოწაფე არითმეტიკით იწყებდა, რომელიც მას უფრო რთული მათემატიკური საგნების, მაგალითად, ალგებრის შესასწავლად, ამზადებდა, ახლა ყველაფერი ერთ საგანშია გაერთიანებული, რის შედეგადაც, უკეთეს შემთხვევაში, მოწაფე მათემატიკაში არა საფუძვლიან, არამედ ზერელე, ინფორმაციულ ცოდნას იღებს. ვუსმენდით ქ-ნ ნინოს და ვფიქრობდით, რომ სასკოლო პროგრამებს სწორედ ასეთი, თავიანთი საგნების მცოდნე, გამოცდილი და, რაც მთავარია, ახალგაზრდობასა და შესაბამისად ერის მომავალზე მზრუნველი პედაგოგები უნდა ადგენდნენ.

ხოსპიოს ქართული მოსახლეობა ძირითადად ადგილობრივია: გვარამაძეები, ოსიძეები, მურმანიშვილები, ვახტანგიშვილები, ზაზაძეები, ყავრელიშვილები... მათმა წინაპრებმა შეუძლებელი შეძლეს, თანამოძმეების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, თავის გადასარჩენად არც გამაჰმადიანებულან და გამაჰმადიანების შიშით არც დანარჩენ საქართველოში



გადახვეწილან. მხოლოდ რწმენის სიმტკიცითა და მისით გამოწვეული ღმრთის განსაკუთრებული წყალობით თუ აიხსნება ის, რომ მათ ოსმალთა ბატონობის გაუსაძლის პირობებში სარწმუნოება მშობლიური მხარის დაუთმობლად შეინარჩუნეს.

მადლობა ღმერთს, რომ ხოსპიოში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მოქმედია და აქ წირვა-ლოცვას ეპარქიის მღვდელი მამა ალექსანდრე (ქასრაშვილი) აღასრულებს.

ახალქალაქში ჩასულებს სწორედ მამა ალექსანდრემ გვიმასპინძლა. უწინარესად ზოსიმე კუმურდოელის სახელობის სკოლა-პანსიონს ვესტუმრეთ, რომლის დირექტორიც მამა ალექსანდრე ბრძანდება. სასწავლებელში ახალგაზრდები ძირითადად ორ პროფესიას ეუფლებიან: ხელსაქმეს (მშრალი თექა, ფარდაგების ქსოვა) და ფოტოსა და საოპერატორო-სამონტაჟო ხელოვნებას. სკოლაში ამ ორი პროფესიის შესასწავლად ყოველგვარი პირობაა შექმნილი. საქსოვი დაზგები გერმანელებმა ჩამოუტანეს და დაუმონტაჟეს კიდეც. სასწავლებელთან პანსიონის არსებობა ზემოხსენებულ ხელობათა დაუფლების საშუალებას ახალქალაქიდან დაშორებული სოფლების ახალგაზრდობასაც აძლევს. სკოლის მოწაფეთა ნამუშევართა გამოფენის დათვალიერებამ (თექის პანოები, ჩანთები, სათამაშოები, ჯეჯიმები) დიდი სიხარული განგვაცდევინა. კარგია, როცა ახალგაზრდობა წინაპართა ტრადიციების დაცვისა და გაგრძელების სულისკვეთებით იზრდება.

რაც შეეხება ახალქალაქის ი. ჭავჭავაძის სახ. უმაღლეს საერო სასწავლებელს „ცოდნას“, რომელიც ხან ინსტიტუტად იხსენიება და ხანაც საერთაშორისო უნივერსიტეტად (დირექტორი ჯემა კაროიანი), ისეთ შენობაშია მოთავსებული, რომელიც ვერანაირ მოთხოვნებს იმისათვის, რომ მასში ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი ფუნქციონირებდეს, ვერ აკმაყოფილებს. როგორც აგვიხსნეს, იგი თბილისის ამავე სახელწოდების უნივერსიტეტის (?) ფილიალს წარმოადგენს და მხოლოდ პირველკურსელები ჰყავს, რომელნიც, სწავლას მეორე კურსიდან თითქოს თბილისში, ძირითად სასწავლებელში აგრძელებენ. ჩვენ არ გვიცდია გავრკვეულიყავით ამ გაუგებარ სიტუაციაში („ცოდნის“ დირექტორი ჯემა კაროიანი ხელისუფლების უყურადღებობისა და ახალციხის ქართული უნივერსიტეტის მხრიდან მტრულ დამოკიდებულებაზე ჩივის, ხოლო უნივერსიტეტის თანამშრომლები ამ სასწავლებლის ფაქტობრივად არარსებობაზე ლაპარაკობენ), რადგან ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდებოდა. ამ მართლაც გაუგებარი სიტუაციის გარკვევით, ალბათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა დაინტერესდეს.

ახალქალაქის საშუალო ქართული სკოლის დირექტორის ქ-ნი ლეილა ჭინჭარაულის მიწვევით ჩვენ ეს სკოლაც მოვინახულეთ. ამ რამდენიმე ხნის წინ სკოლის ძველი შენობა დაანგრიეს და მის ადგილზე ახალი ააგეს.

სკოლა ნათელი საკლასო ოთახებით, ფართო დერეფნებით, თანამედროვე სასკოლო ინვენტარითა და გამართული სანტექნიკით მართლაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სასკოლო ბიბლიოთეკამაც, თუმცა კითხვები მაინც გაგვიჩნდა: რამდენად შეეფერება ძირითადად შუშისაგან აგებული შენობა ჯავახეთის მკაცრსა და ყინვიან ზამთარს და როგორ იმოქმედებს ამ სკოლაში შექმნილი მიმზიდველი პირობები ახალქალაქთან შედარებით ახლომდებარე ქართულ სოფლებში სკოლებისა და საერთოდ, ამ სოფლების მომავალზე.

ჩვენ თაყვანი ვეცით მაცხოვრის ტურინის სუდარის ასლს, რომელიც ცალკე შენობაშია დაბრძანებული და ახალქალაქისა და კუმურდოს საკათედრო ტაძარში დავესწარით ლოცვას, რომელიც მამა ალექსანდრემ აღასრულა. ლოცვის შემდეგ მამა ალექსანდრე წმ. ნინოს სახელობის დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში შეგვიძღვა, რომლის რექტორიც თავად ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ბრძანდება. აქ წელიწადში სამოთხჯერ ლექციებს ღმრთისმეტყველებასა და მის მონათესავე საგნებში მსმენელებს ქართველ პედაგოგებთან ერთად რუსეთის უმაღლესი სასულიერი სასწავლებლებიდან მოწვეული ცნობილი პროფესორ-მასწავლებლებიც უკითხავენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სასწავლებელში, საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით, როგორც პედაგოგების, ასე მსმენელებისთვისაც სრული კომფორტია შექმნილი, რაშიც ჩვენ თავად დავრწმუნდით, როცა მეუფე ნიკოლოზის თავაზიანი შემოთავაზებით, ღამე არა ახალქალაქის სასტუმროში, არამედ აქ გავათენეთ.

ჯავახეთში ყოფნის პირველი დღე ეპარქიის რეზიდენციაში გახსნილი მუზეუმის, რომელსაც მასში წარმოდგენილი საინტერესო და უჩვეულო ექსპონატების გამო სახელმწიფომ მუზეუმის სტატუსი ოფიციალურად მიანიჭა, დათვალიერებითა და მეუფე ნიკოლოზის მიერ ჩვენთვის გაწეული არაორდინალური გამასპინძლებით დასრულდა.

კვირა დილით, წმ. ნინოს მშობელთა — ღირსთა ზაბულონისა და სოსანას მოსახსენებელ დღეს, საკათედრო ტაძარში წირვა მამა ალექსანდრესთან ერთად ჩვენი ექსპედიციის წევრმა, ვაკის წმ. სამების დეკანოზმა მამა თეიმურაზმა (ბარაბაძე) აღასრულა. წირვის შემდეგ რეზიდენციაში საუზმით გაგვიმასპინძლდნენ და გზაზე დამდგარნი მამა ალექსანდრემ გამოგვაცილა.

შთაბეჭდილება ჭეშმარიტად ქრისტიანი მოძღვრისა, რომელიც ჩვენზე მამა ალექსანდრემ დატოვა, ჯავახეთის სოფლებში მოგზაურობამ კიდევ უფრო განგვიმტკიცა. გარდა ხოსპიოსი კიდევ რამდენიმე სოფელში მოვისმინეთ მისი სახელი როგორც წირვა-ლოცვის ჩამტარებელისა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ თბილისის მკვიდრი ამ ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც უკვე ოთხი შვილის მამაა, (თუმცა ამის შესახებ თვითონ სიტყვაც კი არ უთქვამს) ადვილი არ იქნებოდა დედაქალაქის დატოვება და მღვდელმსახურად საქართველოს იმ მხარეში წასვლა, სადაც ყველა პრობლემა, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას, განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობა.



მიუხედავად იმისა, რომ კვირადღე იყო, სოფელ **პტენაში,** რადგან ახალქალაქიდან დაურეკეს და ჩვენი ჩასვლის შესახებ აცნობეს, სკოლაში რამდენიმე მასწავლებელი გველოდებოდა. სოფელში 78 ოჯახი ცხოვრობს; აქედან 38 ადგილობრივია, ხოლო ორმოცი 1989 წელს აჭარიდან გადმოსახლებული. პტენას ცხრაკლასიანი სკოლის შენობა, გარდა იმისა, რომ ნგრევის პირასაა მისული, ვერც ცხრა კლასს იტევს, რადგან მხოლოდ ხუთი სასკოლო ოთახი აქვს. ამიტომ იძულებულნი არიან ორ ცვლად იმუშაონ. შეეფერება თუ არა ის ხუთი საკლასო ოთახიც მოზარდების სასწავლო დაწესებულებას, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს იმ ფოტოს მიხედვით, რომელიც ჩვენი ექსპედიციის წევრებმა გადაიღეს. სივიწროვე იმითაც იგრძნობა, რომ ე. წ. სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათეული წიგნისაგან შედგება, სამასწავლებლოშია მოთავსებული.

სკოლის დირექტორს ქ-ნ ირმა ტაბატაძეს, რომელიც ამ დროს სოფელში არ იმყოფებოდა, ვერ შევხვდით, მაგრამ არა მხოლოდ სკოლის, არამედ საერთოდ სოფლის პრობლემებზე, დაწყებითი კლასების მასწავლებლების, ქალბატონების ჯულიეტა გვარამაძისა და ელზა შანიძის მონათხრობით, სრულიად ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა. სასკოლო სახელმძღვანელოების განსაკუთრებული სიძვირის გამო, ოჯახებს, რომელთაც ეკონომიკურად უჭირთ, მათი შეძენა არ შეუძლიათ. ამიტომ უფასო სახელმძღვანელოები დიდი დახმარება იქნებოდა მათთვის. არ ვარგა სოფელთან მისასვლელი გზა, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, მეზობელი სომხური სოფლებისგან განსხვავებით, არა აქვთ გაზი. ქ-ნი ელზა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე დაბრუნებული აჭარელია, მრავალშვილიანი დედა, ამიტომ იმის გამოც წუხს, რომ არ ჰყავთ მღვდელი, რომელიც წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკაში, რომელიც ამ სოფელში დგას, წირვა-ლოცვას ჩაატარებდა და სოფელს ქრისტიანული წესით (ნათლობა, ჯვრისწერა, პარაკლისი, პანაშვიდი) ცხოვრებაში შეუწყობდა ხელს. ისევ მამა ალექსანდრეს იმედად არიან, მაგრამ იგი რამდენ სოფელს უნდა გასწვდეს, რომელთაც იგივე პრობლემა აქვთ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქალბატონებმა მომავალში საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების იმედიც გამოხატეს, რისი საფუძველიც წელს გაზაფხულზე დარიგებული ვაუჩერები გახდა, რომელთა საშუალებითაც მიწის დახვნა და სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი იარაღების შეძენა შეძლეს.

**ჩუნჩხაში** საშუალო სკოლის დირექტორი, პროფესიით ფილოლოგი ემ-

ზარ პაპიძე დაგვხვდა. ბ-ნი ემზარი ჯავახეთში 1989 წელს გადმოსახლებულ იმ აჭარელთა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც ძალით წართმეული სარწმუნოება დაიბრუნა. იგი მონათლული და ჯვარდაწერილია. ჩუნჩხის საშუალო სკოლის შენობა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ საბავშვო ბაღისთვის ააშენეს. 1989 წელს ჩამოსახლებულ აჭარელთა ხარჯზე მოწაფეთა გაზრდილი რიცხვის გამო, სკოლის გვერდით დამხმარე ნაგებობად ფინური სახლი ააგეს, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მართლაც სავალალო მდგომარეობაშია, დღეს საკლასო ოთახებად იყენებენ (ბუნებრივია, 88 მოწაფეს საბავშვო ბაღად აგებული შენობა ვერ დაიტევს). ბ-ნი ემზარი უკვე ექვსი წელია, რაც ამ სკოლის დირექტორია. ამ რამდენიმე წლის წინ, სასკოლო ნაგებობათა სურათებით, განათლების სამინისტროს ჩააკითხა. იქ სოფლის ხედები მოიწონეს, რა ლამაზიაო. მერე თითქოს 2011 წელს ასაშენებელ სკოლათა რიცხვში შეიტანეს, მაგრამ საბოლოოდ რემონტის თანხაც კი არ გამოუყვეს. სკოლისთვის კოსმეტიკური რემონტის გაკეთებას თვითონ თანამშრომლები ცდილობენ. არც ბიბლიოთეკარი ჰყავთ და არც ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი შესაფერისი ფართი. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლა ჯერჯერობით მხოლოდ მასწავლებელთა (მათი რიცხვი 19-ია) ხელფასებზე აისახა: ყველაზე მცირე ხელფასი 350 ლარია.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი პირობებისა, ჩუნჩხის სკოლადამთავრებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი ყოველ წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად საერთო ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებს. ეს, ალბათ, განათლებისკენ იმ განსაკუთრებული სწრაფვის გამოძახილია, რომელიც საქართველოს ამ მხარეს ოდითგანვე ახასიათებდა და რომელი ნიშნითაც ჩვენი სამშობლოს ცალკეული კუთხეების დახასიათებისას გრიგოლ ორბელიანმა მესხეთი გამოყო: „მესხი სწავლითა ქებული“.

ბ-ნ ემზარს იმედი აქვს, რომ შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩუნჩხელ ბავშვთა გასაჭირს გულისხმიერებით მოეკიდებიან და უახლოეს მომავალში ახალი სასწავლო წლის დაწყებას ისინიც ახალ შენობაში იზეიმებენ.

ვფიქრობთ, „სამი საუნჯის“ მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება შთაბეჭდილება, რომელიც პტენასა და ჩუნჩხის სკოლებმა, და საერთოდ, ჯავახეთის ქართული სოფლების ყოფამ ჩვენი ექსპედიციის საპატიო წევრებზე — 10 წლის მაკრინესა და 12 წლის ცოტნეზე დატოვეს, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

„მე ვნახე სკოლები, სადაც ბავშვები ზამთარში, ალბათ, სიცივისაგან იყინებიან. მათი სკოლები, შეიძლება ცუდი შედარება იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი, ჰგვანან ბოსელს, სადაც წესიერი და შეძლებული კაცი ძროხასაც კი არ შეუშვებდა. მე ვნახე ბავშვები, რომელთაც ერთი მუჭა კამფეტები ისე გაუხარდათ, რომ სიხარულისაგან ცას ეწივნენ. ვნახე კაცი, რომელსაც



ქართველების ნახვა ისე გაუხარდა, რომ მზად იყო სასწრაფოდ ცხვრით გაგვმასპინძლებოდა. ეს იყო თემო მოსიძე, რომელიც რვა დედმამიშვილიდან ერთი შერჩა სოფელს და თქვა, რომ სანამ ცოცხალი იყო მშობლიურ მიწას არ მიატოვებდა. მე ვნახე მხარე, სადაც ქართველებზე უკეთ სხვები ცხოვრობენ. საქართველომ უკვე ბევრი მიწა-წყალი დაკარგა და სანამ ეს ულამაზესი მხარეც არ დაგვიკარგავს, ვუშველოთ და გადავარჩინოთ ჯავახეთი“ (ცოტნე მაჭარაშვილი).

„ჩვენ ვნახეთ კუმურდოს ტაძარი, რომელსაც გუმბათი არ ჰქონდა, რადგან რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბომბი დაეცა და მთლიანად ჩამოინგრა. თურქებმა ბომბი, ალბათ, განგებ ესროლეს, რომ ქართველებს ტაძარში ვეღარ ელოცათ.

როცა სოფლებში ჩამოსახლებულ აჭარლებს ვხვდებოდით, მებადებოდა კითხვა, რატომ არ უბრუნდებიან ისინი ქრისტიანობას?

არ დამავიწყდება, როგორ უხაროდათ ჩვენი დანახვა, არა ერთსა და ორს, არამედ ყველას, ალბათ, იმიტომ რომ ჯავახეთის ქართულ სოფლებში იშვიათად თუ ჩადის ვინმე მათ მოსაკითხად...“ (მაკრინე მაჭარაშვილი).

სკოლის დირექტორმა სოფლის სხვა პრობლემებიც გაგვაცნო, რომელთა მოგვარებაც აქაურთა სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს. სოფელს არც გაზი აქვს და არც წყალი, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულად მაინც უწყლობას განიცდიან. წყალმა, რომელიც არაგვადან მოდის (დღეს იქ სომხები ცხოვრობენ), ვიდრე ჩუნჩხამდე მოაღწევს რვა სომხური სოფელი უნდა გამოიაროს, რომელთა მკვიდრნიც მილების გატეხვასა და წყლის მოპარვას არ თაკილობენ.

ამ გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ვაუჩერების დარიგებით, როგორც ბ-ნმა ემზარმა გვითხრა, ჩუნჩხელებმა დიდი შვება იგრძნეს და იმედიც გაუჩნდათ იმისა, რომ ახალი მთავრობა უყურადღებოდ არც მათ სხვა სასიცოცხლო პრობლემებს დატოვებს და მათ მოგვარებაზეც იზრუნებს. ერთგვარი შვება თვითონ დირექტორმაც იგრძნო. თუ ადრე ახალქალაქის რესურსცენტრში, რომელშიც რვა ქართული სკოლა შედის, თათბირი მხოლოდ მისთვის გაუგებარ სომხურ ენაზე იმართებოდა და ამიტომ არც ესწრებოდა, ახლა თათბირები ქართულსა და რუსულ ენებზე ტარდება. თვითონ რესურსცენტრის უფროსმა ნარსის კარაპეტიანმა ქართული ისე კარგად იცის, რომ ზოგჯერ ქართველებსაც უსწორებს. მის ოჯახს სახელმწიფო ენისადმი პატივისცემა ტრადიციულად მოსდგამს. ქართული მეორე მშობლიურ ენად მიაჩნდა ნარსისის მამას, არსენ კარაპეტიანს, რომელიც ქართული სკოლის დირექტორი იყო და ამ ენაზე ლექსებსაც კი წერდა, და შვილს ნარსისს, რომელიც ნინოწმინდის პოლიციის უფროსია.

ემზარ პაპიძის, ამ ახალგაზრდა კაცის გაცნობამ და მასთან საუბარმა იმედი ჩვენც გაგვიჩინა იმედი იმისა, რომ საქართველოში ყველგან შეხ-

ვდებით ადამიანებს, რომელნიც არა მხოლოდ პირადი, არამედ საქვეყნო ინტერესებით ცხოვრობენ და შრომობენ.

ჩუნჩხიდან **კუმურდოსაკენ** გავეშურეთ. მართალია, დღეს იქ არცერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობს, მაგრამ ჯავახეთიდან კუმურდოს სახელგანთქმული ტაძრის მოულოცველად წამოსვლა, მით უმეტეს, რომ ექსპედიციის წევრთა უმრავლესობას ის ნანახი არ ჰქონდა, არ გვინდოდა. ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება და სიამაყე, ქართული წარწერებით ყველაზე უხვად დამშვენებული, რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქული ყუმბარით გუმბათმოგლეჯილი, მაინც წელგამართული დგას ჩვენი წინაპრებისათვის ღმრთისგან მიმადლებულ განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭისა და მაღალი გემოვნების უტყუარ დასტურად. აქაურთა მხრიდან ტაძრისადმი გულგრილი დამოკიდებულების სანაცვლოდ, რაზეც მისი ჭინჭარმოდებული კედლები, აქა-იქ მიმოფანტული, ჩამოცვენილი ჩუქურთმიანი ქვები და მოუვლელი ეზო მეტყველებს, ტაძარს დიდებულ იერს მორღვეული გუმბათიდან მომზირალი ლურჯი, ის ღრმა ზეცა უნარჩუნებს, რომლის ქვეშაც საბოლოო სამკვიდროს ვერცერთი მტრად მოსული ვერ ჰპოვებს (ანა კალანდაძე).

კუმურდოდან გასულებმა ვრცლად გადაჭიმულ ველ-მინდვრებიდან **ოკამისკენ** მიმავალ გზაზე გასასვლელად საკმაოდ ბევრი დრო დავკარგეთ. ოკამში, სადაც 50 კომლამდე ადგილობრივი ოჯახია (ხუციშვილები, ალექსიშვილები, მიქელაძეები, ოქროაძეები) და ამდენივე სომეხი და ჩამოსახლებული აჭარელი (კახაძეები, შავაძეები, ხმალაძეები, იაკობიძეები, ართმელაძეები, პაქსაძეები, ხოზრევანიძეები), ქართული საშუალო სკოლაც (70-მდე მოწაფე) აქვთ და სომხურიც. ქართულ სკოლას ახალი შენობაც აუშენეს, მაგრამ სოფელში ახალი შენობით მაინცადამაინც კმაყოფილნი არ არიან, რადგან იგი ხისაა და ამდენად ჯავახეთის მკაცრი კლიმატისათვის, განსაკუთრებით ზამთარში, შეუფერებელი. მართალია, უწყლობას და უშუქობას აქაც უჩივიან, მაგრამ ოკამელებს, განსაკუთრებით ნაკვეთების სიმცირე აწუხებთ. ამ მხარეში, სადაც სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა, ორი და ორნახევარი ჰექტარი მიწა თითქმის სიღატაკეს ნიშნავს. როგორც აგვიხსნეს, თითოს ხუთ-ხუთი ჰექტარი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ცხოვრებისთვის ნორმალური პირობები შეიქმნას.

რადგან საღამო ახლოვდებოდა, ხოლო მანქანები უგზოობის გამო სწრაფად ვერ მოძრაობდნენ, ექსპედიციის წევრების ნაწილი ოკამში, ქართული სკოლის შენობასთან დავტოვეთ, ხოლო დანარჩენებმა **აზმანასაკენ** გზა ჯიპით გავაგრძელეთ. სოფელში 60-მდე ქართული ოჯახია, რომელთაგან ადგილობრივი და ქრისტიანული მხოლოდ ერთია — მზია მიქელაძისა და მიშა ნათენაძის. ბოლო ხანებში სომხებმა აზმანასაც მიაკითხეს და ახლა მათი ოჯახების რიცხვი 14-ს აღწევს. 3-4 წლის წინ მათ სოფლიდან



ჩამოსახლებული აჭარლების გაყრაც კი მოინდომეს იმ მიზეზით, რომ ეს მათი მიწა-წყალი იყო. ადგილობრივებს მეზობელი სომხური სოფლებიდან ავტომატებით შეიარაღებულებიც წამოეშველნენ, მაგრამ, ღმრთის წყალობით, მიზანს ვერ მიაღწიეს. მართალია, სოფელში საშუალო სკოლა აქვთ, მაგრამ ყველა კლასი — არა, რადგან სულ 12 მოწაფე ჰყავთ. საქმე ისაა, რომ აჭარელთა უმრავლესობა თავს აქაურ მკვიდრად არ თვლის, ამიტომ აზმანაში სასაფლაო არ აქვთ, გარდაცვლილებს, ისევე როგორც ოკამელები, აჭარაში მიასვენებენ და ბავშვებიც სასწავლებლად ხულოში მიჰყავთ. ოკამისა და აზმანას აჭარელი მოსახლეობა მუსულმანურ რელიგიას ისე მტკიცედ იცავს, რომ ოკამში ჯამეს გახსნაც კი მოინდომეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს, რადგან სომხური მოსახლეობის წინააღმდეგობას წააწყდნენ. რაც შეეხება მკვიდრ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, მათი რელიგიური მოთხოვნილებანი დღემდე დაუკმაყოფილებელი რჩება.

2002 წელს მზია მიქალაძემ, რომელიც დაწყებითი კლასების მასწავლებელია (ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ სკოლა კერძო სახლშია გახსნილი) და მისმა მეუღლემ ძეგლთა დაცვის სამმართველოს სოფელში მართლმადიდებლური ტაძრის აღდგენის თხოვნით მიმართეს. მათ მოთხოვნას მხარი აჭარლებმაც დაუჭირეს. ტაძარი მართლაც აღდგა და როგორც ჩვენ ვიხილეთ, მშვენივრად გამოიყურება, მაგრამ დაკეტილია და უმოქმედო, რადგან დღემდე უკურთხებელია. მისი კურთხევისა და გახსნის თხოვნით ოჯახი აპირებს საპატრიარქოს მიმართოს. ქ-ნ მზიას და მის მეუღლეს ჯვარი აქვთ დასაწერი, მაგრამ ამ ტაძრის კურთხევასა და გახსნას ელოდებიან, რადგან დიდი სურვილი აქვთ ჯვრისწერა მათსავე სოფელში აღსრულდეს. თუ აქაურ ქრისტიან ქართველებს ერთი მოძღვარიც არ გვეყოლება, ნაკურთხ ტაძარში სანთლებს მაინც ავანთებთო, — გვითხრა ქ-მა მზიამ.

მზია მიქელაძისა და მიშა ნათენაძის ოჯახი მრავლისმეტყველი მაგალითია იმ ქართველებისათვის, რომელთაც საქვეყნო საქმეებისათვის ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ უნდათ ისე, თუ მათი სახელი არ წარმოჩნდება და იმ ქართველებისთვისაც, რომელთაც სამშობლოს სამსახური მხოლოდ დიდ-დიდთა საქმეთა აღსრულებით წარმოუდგენიათ და ავიწყდებათ, ან არ იციან, რას ბრძანებს უფალი: **კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ** (მთ. XXV, 23).

**აფნიაში** პირველად პატარა და-ძმა, მიხეილ და თამარ ხუციშვილები შემოგვხვდნენ, როცა ბავშვებს ვკითხეთ, სად შეიძლებოდა სკოლის დირექტორის ან რომელიმე მასწავლებლის ნახვა, მორიდებით იქვე მახლობლად ნაკვეთში მომუშავე ახალგაზრდა კაცზე მიგვითითეს, რომელიც მათი მამა, ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი ვეფხვია ხუციშვილი აღმოჩნდა. ვეფხვიამ, რომელსაც ახალციხის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, მაშინვე იცნო ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ამავე უნივერსიტე-

ტის პროფესორი, ისტორიკოსი ქ-ნი თინა ივելაშვილი და მასთან მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული სიხარული გულწრფელად გამოხატა. ვეფხვიასაგან შევიტყვეთ, რომ სოფელში 35 ოჯახი ცხოვრობს, რომელთაგან უმეტესობა ჩამოსახლებული აჭარლებია. ცხრაკლასიან სკოლაში, რომელიც უვარგისი ხის ფინურ შენობაშია მოთავსებული, 23 მოწავლე სწავლობს. ვაუჩერების დარიგებით ახალი მთავრობისაგან ზრუნვა აფნიაშიც იგრძნეს; ამ მხარის უკვე ჩამოთვლილ ქართულ სოფლებთა მსგავსად, უგზოობა, უგაზობა და უწყლობა აქაურთაც აწუხებთ.

სოფელში VIII საუკუნის ნატაძრალზე XV საუკუნეში აგებული წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესია დგას, რომელშიც წირვა შეიძლება ორ-სამ კვირაში ერთხელ ჩატარდეს, მაშინ, როცა მეზობელ გოგაშენში წმ. გიორგის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვის ჩასატარებლად მამა ცოტნე და მამა დავითი თბილისიდან ამოდიან.

**გოგაშენში** შესულებს თვალში გვეცა ერთად თავმოყრილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მართლაც კაპიტალური, ახლად გარემონტებული საშუალო სკოლის შენობა. ჯავახეთის ამ ერთ-ერთ უძველეს სოფელში 70-მდე კომლი ცხოვრობს, ძირითადად ადგილობრივები: გოხაძეები, ნათენაძეები, ხოსიტაშვილები, ბერიძეები, თაქთაქაძეები, ხუციშვილები. ჩამოსახლებული აჭარლებიდან მხოლოდ სამი ოჯახი დარჩა, დანარჩენები უკან დაბრუნდნენ. სოფელს შესანიშნავი მდებარეობა აქვს. ჯავახეთის ზეგნიდან ის მტკვრის ულამაზეს ხეობას და მდინარის მოპირდაპირე ნაპირას, მთის კალთაზე კლდეში ნაკვეთ დიდებულ ქალაქს — ვარძიას გადაჰყურებს. სკოლის კარგ შენობასთან ერთად გოგაშენელებს კარგი საბანკეტო დარბაზიც აქვთ, მაგრამ უგაზობასა და უწყლობას აქაც ისევე უჩივიან, როგორც ჯავახეთის თითქმის ყველა ქართულ სოფელში.

გოგაშენში ვერც ვეფხვია ხუციშვილის დის, ქ-ნი ლალი გოხაძის გულწრფელად შემოთავაზებული მასპინძლობა მივიღეთ და ვერც აფნიელი თემო მოსიძისა, რომელიც დარჩენას გულით გვევედრებოდა და გვპირდებოდა, რომ ბატკნით გამასპინძლებისთვის დიდხანს არ გვალოდინებდა (სხვათა შორის თემო მოსიძე რვა და-ძმიდან ყველაზე უმცროსია, რომელმაც უფროსებისაგან განსხვავებით, მამა-პაპათა სამკვიდრებელს ვერ უღალატა და სოფელი ვერ მიატოვა) რადგან ჯავახეთის ზეგანზე საღამოს ბინდი წვებოდა, უგზობას ტრაფარეტების არარსებობაც დაემატებოდა და შეიძლებოდა უკან დაბრუნებისას ღამის სიბნელეში გზა ვერ გაგვეგნო და ნინოწმინდისკენ მიმავალ ტრასაზე ვერ გავსულიყავით.

ასე რომ, ორი დღე ჯავახეთის ყველა ქართული სოფლის მოსანახულებლად საკმარისი არ გამოდგა და თბილისში იმ გადაწყვეტილებით დავბრუნდით, რომ დარჩენილ სოფლებს უახლოეს შაბათ-კვირას ვესტუმრებოდით.



კვირას 15 ივნისს ჯავახეთში ისევ გავემგზავრეთ. ამჯერად მხოლოდ ერთი დღით. **ფოკაში** წმ. ნინოს სახელობის მშვენიერი ძველი ტაძრისა და მისივე სახელობის დედათა მონასტრის მოსანახულებლად შევიარეთ. დედა შუშანიკმა ტაძრის კარები გაგვიღო და მისი მოლოცვის საშუალება მოგვცა. ტაძრის ინტერიერს აქაური დედების მიერ ტიხრული მინანქრით შექმნილი ხატები ამშვენებს. რაც შეეხება ფერწერულ ხატებს, მონასტერი მათ ათონის წმ. მთის ბერებს უკვეთავს და იქიდან იღებს.

როგორც დედა შუშანიკმა გვითხრა, თუმცა თავდაპირველად გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ სომხები თანდათანობით შეეჩვივნენ სოფლის შუაგულში ქართული მონასტრის არსებობას და ახლა მათთან საკმაოდ კარგი და მშვიდი ურთიერთობა აქვთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების მხრიდან ეროვნული ინტერესების ყოველგვარ გამოვლინებას მწვავე რეაქციით პასუხობენ და მშვიდობიანი ურთიერთობაც საფრთხის ქვეშ დგება.

ამ მხარისათვის დამახასიათებელი დიდთოვლიანობისა და მკაცრი ყინვების გამო, მონასტერი თითქმის რვა თვის განმავლობაში გარე სამყაროს მოწყვეტილია, მაგრამ დედებმა კარგად იციან მათი მონასტრის მნიშვნელობა არა მხოლოდ ჯავახეთის, არამედ მთელი საქართველოსათვის და ეს შეგნებაც ეხმარებათ, რომ ხანგრძლივი ზამთარი ლოცვასა და შრომაში უდრტვინველად გალიონ.

პირველად **სპასოვკას** ვესტუმრეთ. სოფელს დღემდე დუხობორების მიერ შერქმეული სახელი შერჩა, რომელნიც აქ XIX საუკუნეში რუსეთიდან გადმოასახლეს და XX საუკუნის ბოლოს წავიდნენ. სპასოვკაში 63 ოჯახი ცხოვრობს, მათგან 45 ქართულია, 17 სომხური, ხოლო ერთი დუხობორების. ქართულ ოჯახებს ძირითადად აჭარიდან ჩამოსახლებულები შეადგენენ. მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელი მხოლოდ ორი ოჯახია. სახლები აჭარლებისთვის სოფლიდან წასული დუხობორებისაგან ძირითადად მერაბ კოსტავას ფონდს შეუსყიდია 1989-90 წლებში, 2000 წელს 10-12 ოჯახისთვის სახლები ედუარდ შევარდნაძის ფონდის მიერაც იქნა შესყიდული.

სოფელს აქვს ქართული საშუალო სკოლა, რომელშიც 70-მდე მოწაფე სწავლობს. როგორც სოფლის ცენტრში თავშეყრილმა ქართველებმა გვითხრეს, ვაუჩერები აქ მხოლოდ მოსახლეობის 30%-მა მიიღო, რადგან ისინი, ვისაც ხუთ ჰექტარზე მეტი მიწა აღმოაჩნდა, ფერმერთა სიაში შეიტანეს. როგორც ჯავახეთის სხვა სოფლებში, აქაც გლეხი, რომელსაც მხოლოდ 2-2,5 ჰექტარი მიწა აქვს, ღარიბია და იძულებულია სხვა სოფლებში იმათ დაუდგეს მოჯამაგირედ, ვინც ასობით ჰექტარ მიწას ფლობს. სოფლელებმა არც ის დაგვიმალეს, რა პასუხი მოისმინეს სომეხი გამგებლისაგან, როცა ამ რამდენიმე წლის წინ მიწების იჯარით აღება ითხოვეს:

საიდანაც ჩამოგრეკეს, იქით გაერეკეთო (სტილი დაცულია). სამაგიეროდ, მიწა იჯარით სომეხს მისცეს და ახლა აჭარლებს, რომელთა ნაწილსაც აქაური პირობებისათვის მინიმალური 2,5 ჰექტარიც კი არ აქვს, მიწაზე თავისი უფლების დამადასტურებელ საბუთს უფრიალებს.

სპასოვკელმა ქართველებმა უსამართლობის სამხილებლად ახალციხის სასამართლოში საჩივარი შეიტანეს. საქმეს გამომძიებელი ემზარ ტატილაშვილი იძიებს და ისინი მის შედეგს მოთმინებითა და იმედით ელოდებიან.

ვეწვიეთ თამაზ მეკეიძისა და ნაზი გოგილაშვილის ქრისტიანულ ოჯახს. ქ-მა ნაზიმ სიამაყით გაიხსენა, რომ იგი თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ დალოცა, როცა აქ სტუმრად ბრძანდებოდა და შემოგვჩივლა, რომ კალენდრის უქონლობის გამო, ვერ აღნიშნავდა და ვერ დღესასწაულობდა ქრისტიანულ დღესასწაულებს. ბედად ჩვენი გამომცემლობის მიერ გამოცემული კალენდრის ერთი ეგზემპლარი აღმოგვაჩნდა, რომელიც ქ-ნ ნაზის სიამოვნებით ვაჩუქეთ და მისი დიდი მადლობაც დავიმსახურეთ.

**ორლოვკაში** 66 ოჯახიდან მხოლოდ ათია ქართული, 50 სომხურია, ხოლო ექვსი — დუხობორების. ქართველების სიმცირის მიუხედავად, სოფლის საშუალო სკოლაში სომხურთან ერთად ქართული სექტორიც არსებობს. ქართველები აჭარიდან აქ პირველად 1989 წელს მერაბ კოსტავას ფონდმა ჩამოასახლა, ხოლო 2002-ში შევარდნაძის ფონდმა. მათი ნაწილი, როგორც აქაურებმა გვითხრეს, სომხებმა გააქციეს და უკან დაბრუნება აიძულეს. მათ საუბარში ისიც გვითხრეს, რომ სოფელს ძირითადად მდიდარი სომხები, ძმები ელოიანები განაგებენ.

**გორელოვკაში** ყველაზე მეტი დუხობორი შემორჩა, — 30-მდე ოჯახი. სულ სოფელში 350 ოჯახია, აქიდან ქართული 98-ია, დანარჩენი 128 — სომხური. ქართულ სკოლას საკუთარი შენობა არ აქვს. რუსული, სომხური და ქართული სკოლები ერთ შენობაშია მოთავსებული. ამიტომ მოსწავლეები სამ ცვლაში სწავლობენ. საინტერესოა ეს ცვლები როგორაა განაწილებული: პირველ ცვლაში რუსულად სწავლობენ, მეორეში — სომხურად, ხოლო მესამეში — ქართულად. 98 ქართული ოჯახიდან 15 ქრისტიანულია. ჩამოსახლებული აჭარლები, ისევე როგორც სპასოვკელები და ორლოვკელები, ძირითადად მიწის სიმცირეს და სასმელი წყლის უქონლობას უჩივიან. მიუხედავად იმისა, რომ შარშან წყლის არხისათვის 27.000 ლარი გამოყვეს, წყლის ნაკადს მომატება არ დატყობია. სად წავიდა, რაში დაიხარჯა გამოყოფილი თანხა არავინ იცის. წელს წყლის მილიც გასკდა და არც მისი გამოცვლისათვის ზრუნავს ვინმე.

სოფელს სულ 7500 ჰექტარი მიწა აქვს. მის დიდ ნაწილს ზაფხულობით მარნეულელი თათრები ქირაობენ საძოვრებად, მაშინ როცა აქაურ ქართველებს არც სათიბი ყოფნით და არც საკარტოფილე მიწა. აქაურები



ფიქრობენ, რომ 7500 ჰექტრიდან 1000 ჰექტარი მაინც უნდა გადანაწილდეს ქართულ ოჯახებზე, რათა მათ ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა შეძლონ.

გორელოვკადან **სამებაში,** რომელიც ბოლო ქართული სოფელია და სომხეთის საზღვართან მდებარეობს, ნამდვილი ქართული სტუმართმოყვარეობით გამორჩეულმა გორელოვკის ქართული საშუალო სკოლის დირექტორის, მარინე ვაჭარაძის მეუღლემ, თამაზ ნიქაცაძემ საკუთარი ავტომანქანით გაგვაცილა.

სამებაში სულ ოცი ოჯახი ცხოვრობს, აქიდან 11 ქართულია, 7 სომხური და ორიც დუხობორების.

სოფელს აქვს ქართული საშუალო სკოლა, რომელშიც 17 მოსწავლე სწავლობს. სკოლის დირექტორი ნუკრი წყარუაშვილია, საქართველოსთვის ბრძოლაგარდახდილი ახალგაზრდა კაცი.

სამებელი ქართველების ძირითადი სატკივარიც იგივე აღმოჩნდა, რაც საერთოდ ამ მხარის ქართული მოსახლეობისა. სოფლის საძოვრები ძირითადად ადრინდელმა გამგებელმა, ეროვნებით სომეხმა დაისაკუთრა, რომელსაც გამგეობაში დღესაც თანამდებობა უკავია. მითვისებულ საძოვრებს იგი მუდანლოელ თათრებზე აქირავებს. ამასწინათ თათრებმა სოფლის მწყემსი სცემეს, რომელმაც საქონელი წყლის დასალევად მათ მიერ დაქირავებულ საძოვარზე შერეკა.

სამებაშიც ქართველები კოსტავას ფონდის მიერ დუხობორებისაგან ნაყიდ სახლებში ცხოვრობენ და თვეში ქირის სახით 15 ლარს იხდიან. მერაბ კოსტავას ფონდის პარალელურად დაშნაკთა პარტიამ კომიტეტი შექმნა სომხური ოჯახებისთვის სახლების შესყიდვის მიზნით.

სასმელი წყლის პრობლემა სამებაშიც გადაუჭრელია. როგორც ერთმა ქალბატონმა ბრძანა, აქედან თუ რამე წასვლას აიძულებს, ეს უწყლობა იქნება. წყალს აქ ჟდანოვიდან იღებენ; ყოველდღე რომ ჩართული ჰქონდეთ, თვეში 70 ლარი უნდა გადაიხადონ, რაც მათთვის საკმაოდ დიდი თანხაა. ამიტომ იძულებულნი არიან, ყოველ მესამე დღეს ჩართონ, რაც გადასახადს 7-8 ლარამდე ამცირებს.

ამ საზღვრისპირა სოფელში მცხოვრებმა ქართველებმა განსაკუთრებული სითბოთი და სიხარულით მიგვიღეს. ჩანდა, რომ ყურადღება გაუხარდათ. სოფლის ბოლოს გვაჩვენეს ადგილი, სადაც წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ტაძრის ასაგები ადგილი იკურთხა და ჯვარიც აღიმართა. ხის ჯვარი ახლაც დგას, მაგრამ ტაძრისთვის ჯერ საძირკველიც კი არაა გათხრილი. ბუნებრივია, ეს პატარა სოფელი, რომელსაც მრავალი საყოფაცხოვრებო პრობლემა აწუხებს, ტაძრის აგებას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს.

**კოთელია,** ეს ის სოფელია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ისტორიის

გაცნობის შემდეგ ჩემთვის არა მხოლოდ მესხების, არამედ საერთოდ ქართველობის გაუტეხელობის სიმბოლოდ იქცა. ამ სოფელმა მრავალგზის აწიოკება-დარბევის, აყრა-გადასახლების მიუხედავად არა მხოლოდ ეროვნება და სარწმუნოება შეინარჩუნა, არამედ დღემდე მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სოფლად დარჩა. თვითონ აქაურები მას ჯავახეთის დედოფალს უწოდებენ.

კოთელიაში უკვე საღამო წამოგვეწია და ვჩქარობდით, ამიტომ მხოლოდ ბიბლიოთეკის გამგესთან ქ-ნ ლამარა ხუციშვილთან გასაუბრება შევძელით. სოფელში დღეს 160 ქართული ოჯახი ცხოვრობს: ზედგენიძეები, ბერიძეები, ხუციშვილები, აჩელაშვილები, ბიბლურიძეები, ზარიძეები, ხმალაძეები, ფანჯაკიძეები.

სოფელში XVII ს-ის ტაძარი დგას წმ. ივლიტა და კვირიკეს სახელობისა, რომელშიც წირვა-ლოცვა თუმცა არა ყოველ კვირას, მაგრამ დღესასწაულებზე სრულდება და ისევ და ისევ მამა ალექსანდრეს მიერ.

სოფლის საშუალო სკოლაში 112 მოწაფე და 22 მასწავლებელია. ამ სოფლისათვის დამახასიათებელი ტრადიციების ერთგვარ გაგრძელებად გვეჩვენა ის ფაქტი, რომ წელს წმ. ნინოს გზით მსვლელობას ფარავნიდან მცხეთამდე ოთხი აქაური მოწაფეც შეუერთდა. როგორც ქ-ნმა ლამარამ გვითხრა, ახალგაზრდობა საერთოდ დიდ ინტერესს იჩენს საკუთარი სარწმუნოებისა და ისტორიისადმი.

ბიბლიოთეკა, რომელსაც სოფლის ბიბლიოთეკისათვის საკმაოდ დიდი, 10.000 წიგნადი ფონდი აქვს, მართალია, სრულიად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული, მაგრამ სამაგიეროდ გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს წესრიგითა და სისუფთავით, რომელიც ამგვარ შენობაში საკმაოდ ძნელი დასაცავია. წიგნები დალაგებულია თემატურადაც და ანბანურადაც, ხოლო სკოლის მოწაფეებისათვის — ასაკის მიხედვითაც.

ქ-ნი ლამარა პროფესიით ბიბლიოთეკარია და მისი ამ საქმის ცოდნა, გემოვნება და მზრუნველობა აქ ყველაფერს ატყვია, მათ შორის კედელზე გაკრულ, ჩარჩოში ჩასმულ ხელით ნაწერ გაზეთსაც კი.

წლევანდელ გაზაფხულზე მთავრობისაგან გამოჩენილი მზრუნველობით კმაყოფილება კოთელიელებმაც გამოხატეს. სოფელში არა მხოლოდ ვაუჩერები, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც შეიტანეს და კიდევ, რაც მთავარია, კაჭრეთში მექანიზაციის კურსების გავლით, ახალგაზრდობა დაასაქმეს.

**ბარალეთში** 280 კომლიდან ქართული მხოლოდ 50-მდე ოჯახია. სოფელში ხმალაძეები, მურჯიკნელები, გოგალაძეები, გვარამაძეები, მელიქიძეები ცხოვრობენ. ბარალეთში ქართული სკოლა ცალკე არსებობს და მასში 32 მოწაფე სწავლობს. სოფელში არსებობს დედათა მონასტერი, რომელშიც ორი მონაზონი ცხოვრობს. სამწუხაროდ, დედებთან შეხვედრა



ვერ მოვახერხეთ, რადგამ ისინი მაღლობელ მთაზე ტაძრის მოსალოცად იყვნენ წასულნი.

ჯავახეთის ბევრი სხვა ქართული სოფლისგან განსხვავებით, ბარალეთელები, მართალია, უგაზაობასა და უწყლობას არ უჩივიან, მაგრამ დანარჩენი საქართველოსგან გულისხმიერ დამოკიდებულებასა და მზრუნველობას საჭიროებენ, ისევე როგორც საერთოდ ჯავახეთის მთელი ქართველობა, რომელიც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, წინაპართა მსგავსი გამძლეობით, დაუჩივლელად ინარჩუნებს ქართველების სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, რათა ისიც ისე არ დავკარგოთ, როგორც ისტორიული მესხეთის ნაწილი — დიდებული ტაო-კლარჯეთი.

უკან სხვა, ახალქალაქი-ასპინძა-ახალციხის გზით დავბრუნდით. ეს გზა ციხე-ქალაქ ხერთვისამდე ჯავახეთის ზეგანის გასწვრივ მდ. ფარავნის ვიწროსა და შეკრულ ხეობას მიჰყვება, რომელსაც თითქოს თავის თავში აქვს აღბეჭდილი მესხეთის ტრაგიზმით აღსავსე, მაგრამ მაინც დიდებული ისტორია და რაღაც გამოუთქმელი ძალით შენც ამ ისტორიის ცოცხლად განცდას გაიძულებს.

დაბოლოს, ჯავახეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ: ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორი, საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილე, ექსპედიციის ხელმძღვანელი გრიგოლ რუხაძე, საპატრიარქოს გამომცემლობის თანამშრომლები: დეკანოზი თეიმურაზი (ბარაბაძე) და ქეთევან მეტრეველი, საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარე გვანცა კოპლატაძე, ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი თინა იველაშვილი, თეიმურაზ დვალი, ალექსანდრე უთურგაული და რუსუდან ჭანტურია, გიორგი და ეკა მაჭარაშვილები, და რაც მთავარია, ყმაწვილები: კასია, თათია, გიორგი და ბარბარე ბარაბაძეები და ცოტნე, მაკრინე და ანასტასია მაჭარაშვილები.

**გვანცა კოპლატაძე.**

ბორის დარჩია

## „ვეფხისტყაოსანი“ და ინტერტექსტობრივი მეთოდი

ამჟამად „დამოუკიდებელ“ საქართველოში ჩვენი ეროვნული მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, დიდ გასაჭირშია. მას ისე ღრღნის და ანადგურებს დასავლეთიდან, სახელდობრ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შემოსული სხვადასხვა ფორმალისტური მიმდინარეობა, როგორც სწორედ ამერიკის ამ ქვეყნიდან XIX საუკუნის ბოლოს შემოღწეული ჩვენი მარჩენალი ვაზის მოუშორებელი მწერი **ფილოქსერა** და ბოლო დროს გაჩენილი ტყეებისა და ხეხილ-მცენარეთა გამხვრელი ე. წ. **ამერიკული პეპელა**. ამაზე ჟურნალ „სამ საუნჯეში“ საგანგებო სტატია გამოვაქვეყნე — *„ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობები და კლასიკური ქართული ლიტერატურა“* (2012, № 4, გვ. 72-104). აქ ნაჩვენები მაქვს ჩვენი განათლებისა და მეცნიერების განადგურების მესაძირკვლის, ამ დარგების ყოფილი მინისტრის, **ალექსანდრე (კახა) ლომაიას**, მიერ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დასმული თავისი ცოლის დაქალის, **ირმა რატიანის** მიერ ილია ჭავჭავაძეზე დაწერილი წიგნის, *„ტექსტი და ქრონოტოპის“*, მეცნიერული არარაობა.

ეს „მწერი“ და „პეპელა“ უკვე რუსთველოლოგიასაც შემოესია და აქაც მებაირახტრე **ირმა რატიანია**. ამ წიგნის წარდგინებაზე ინსტიტუტში მის მოადგილე **მაკა ელბაქიძეს** განუცხადებია: *„ირმა რატიანის მიერ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ლიმინალობის თეორია მან წარმატებით გამოიყენა შუა საუკუნეთა ლიტერატურის, კერძოდ, «ვეფხისტყაოსნის» კვლევისას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თეორია მხოლოდ ერთი ტიპის ლიტერატურისათვის არაა განკუთვნილი და მომავალში მისი გამოყენების სპექტრი კიდევ უფრო გაფართოვდება“*[1].

მაკა ელბაქიძეს, რომელსაც თავი რუსთველოლოგად მოაქვს და მის ძირითად პრობლემებს ვერ ხედავს (ისინი გადაჭრილი ჰგონია), ამ დარგის მომავალი ასე ესახება: *„განსაკუთრებით აქტუალურია «ვეფხისტყაოსნის» სპეციფიკურ პრობლემათა განხილვა და კვლევა ინტერტექსტუალური (უნდა: „ინტერტექსტობრივი“ — **ბ. დ.**), ინტერკულტურული თუ კომპარატივისტული ასპექტით, რაც უკვე 21-ე საუკუნის რუსთველოლოგიის ამოცანაა“*[2].

[1] ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 24 თებერვალი, 2012, № 4, გვ. 42.



ქართული კლასიკური მწერლობისადმი ინტერტექსტობრივი მეთოდის მისადაგება ჭეშმარიტ მეცნიერ-მკვლევართა ხელშიაც კი სრულ გაუგებრობასა და სიმახინჯეს იწვევს. ამის ერთი ნიმუში ზემორე აღნიშნულ კრიტიკულ სტატიაში ვაჩვენე, როდესაც უდავოდ კარგი მკვლევარის, თეიმურაზ დოიაშვილის, მიერ გალაკტიონ ტაბიძის „მამულის“ ინტერპრეტაციაზე დაწერილი სტატია განვიხილე. იგივე უნდა ვთქვა ჭეშმარიტი მეცნიერის, მარიამ კარბელაშვილის, ბოლოდროინდელი რუსთველოლოგიური ნაშრომების შესახებაც. ვნახოთ, როგორ იყენებს ის სწორედ ინტერტექსტობრივ მეთოდს.

### კაცის კვლა „ვეფხისტყაოსანში“ და მისი ინტერპრეტაცია

ქალბატონი მარიამი, რომელთანაც ათეული წლების თანამშრომლობა-მეგობრობა მაკავშირებს და ქათინაურებს არ ვკადრებ, პირველხარისხოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომების ავტორია. ახლა კი აქვეყნებს ისეთ სტატიებს, რომლებსაც, აშკარაა, არათუ რაიმე სარგებელი, პირიქით, ზიანი მოაქვს. 2010 წელს კრებულში *„ლიტერატურული ძიებანი“* ბეჭდავს სტატიას: *„ვეფხისტყაოსნის უადრესი კომენტარი. რუსთაველი და ჟამთააღმწერელი“* (№ XXXI, გვ. 100-115.). იმავე წელს, ცოტა ადრე, საერთაშორისო კონფერენციაზე კითხულობს მოხსენებას *„რუსთველოლოგია საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“* და აქვეყნებს მას (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება, მასალები, თბ., 2010).

ცნობილია: „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ ცნობები, გარდა იმისა, რაც მის ხელნაწერებში, მათ შორის გაგრძელებებში, მოიპოვება, ე. წ. „აღორძინების ხანამდე“ (XVI-XVII სს.) არ შემონახულა. *„ლიტერატურულ ძიებანში“* მოთავსებული სტატიის სათაურიდანაც ჩანს, რომ ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ ეხმაურება XIV საუკუნის ისტორიოგრაფიული თხზულება „ჟამთააღმწერელი“, სახელდობრ, ისეთ უმნიშვნელოვანეს საკაცობრიო ზნეობრივ საკითხში, როგორიცაა „კაცთა კვლა“.

ისიც ცნობილია, რომ ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს მოკვლა, ზნეობრივი თვალსაზრისით, ჩვენში ყოველთვის იწვევდა ინტერესსა და აზრთა სხვადასხვაობას. ქალბატონ მარიამს ამაზე არაერთი გამოკვლევა

[2] მაკა ელბაქიძე, პერსპექტივები, კრებულში: მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თბ. 2009, გვ. 108.

აქვს გამოქვეყნებული. ამჯერად მას ახალი ლიტერატურულ-თეორიული მიმდინარეობის — **„ინტერტექსტობრიობის“** — მომარჯვებით უბრუნდება. დაბეჯითებით ამბობს, რომ *„ჟამთააღმწერლის მიმართება ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ეპიზოდისადმი ინტერტექსტის საუკეთესო ნიმუშია“* (გვ. 101).

თავად განმარტავს: *„ტერმინი ინტერტექსტობრიობა შემოიღო ი. კრისტევამ 1967 წელს. ეს ტერმინი შემდეგში პოსტმოდერნისტული კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა. ინტერტექსტობრიობა აღნიშნავს ტექსტთა ზოგად თვისებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ შორის არსებობს კავშირები, რომელთა მეშვეობით ტექსტებს (ან მათ ნაწილებს) მრავალი სხვადასხვაგვარი ხერხით ცხადად თუ ფარულად შეუძლიათ ერთმანეთზე მითითება“*[3].

მ. კარბელაშვილი საგანგებოდ ჩერდება საკითხის ისტორიაზე — სამეცნიერო ლიტერატურაში რა მოსაზრებანი არსებობს „ჟამთააღმწერლის“ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიმართების თაობაზე. იმოწმებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, რომ ამ საისტორიო თხზულებაში ნახსენები ჰერეთის ერისთავი შოთა არის პოემის ავტორი შოთა რუსთველი. მემატიანის ცნობით, ეს *„ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისი ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“* ყოფილა *„არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“*[4].

მ. კარბელაშვილი ბეჯითად აღიარებს, რომ ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრად და სამართლიანად უარყოფილია. მისი სიტყვებია: *„დიდი ხანია მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ შოთა რუსთველი და «ჰერეთის ერისთავი შოთა» ერთი და იგივე პირი არ არის“* (გვ. 105). ოღონდ, მისივე სიტყვით, *„მიუხედავად ამისა, პავლე ინგოროყვას საგულისხმო მიგნება ზოგადი აზრით მაინც ძალაში რჩება“* (იქვე). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბატონმა პავ-

[3] **ი. რატიანის თანაავტორობით, რედაქტორობითა და წინათქმით ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ *„ლიტერატურის თეორიის“* სახელმძღვანელოში, რომელსაც ერთვის ვენერა კავთიაშვილისა და რუსუდან ცანავას მიერ შედგენილი *„ტერმინოლოგიური სიტყვარი“*, „ინტერტექსტობრიობა“ ასეა ახსნილი: *„ეს ტერმინი პირველად პოსტსტრუქტურალისტმა იულია კრისტევამ გამოიყენა 1966 წ. თავდაპირველი მნიშვნელობით, იგი ალუზიის ანალოგიურია. შემდგომ ამ ტერმინის მნიშვნელობა მრავალჯერ შეიცვალა: 1. ტექსტის მნიშვნელობის ჩამოყალიბება სხვა ტექსტების დახმარებით. ინტერტექსტი შეიძლება იყოს ავტორის მიერ ნასესხები ან ტრანსფორმირებული სხვა ტექსტი. 2. მკითხველის მიერ ერთი ტექსტის კითხვისას სხვა ტექსტის მოხმობა“* (გვ. 102).**

[4] **ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 192; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 75. კიდევ გვ. (შესაბამისად): 215; 97. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ამ თხზულების ერთ ხელნაწერზე მარი ბროსეს მინაწერი, საიდანაც ირკვევა: მას, პირველს, დაუსვამს საკითხი ამ შოთასა და შოთა რუსთველის იგივეობის შესახებ.**



ლემ ეს ვერ დაამტკიცა, მაგრამ მტკიცდებაო. ამის დასასაბუთებლად იგი ერთმანეთს უდარებს „ვეფხისტყაოსანსა“ და „ჟამთააღმწერლის“ ტექსტებს, რომლებშიაც კაცის *„მიპარვით მოკვლის“* ამბებია მოთხრობილი.

„ჟამთააღმწერელი“ გადმოგვცემს: მონღოლებს, რომელთაც საქართველო დაპყრობილი ჰქონდათ და ჩვენს ხალხს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ, ალამუთს გალაშქრებისას ქართველებიც ახლდათ. ეს ომი შვიდ წელიწადს გაგრძელებულა. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ალმუთელნი *„არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“*. მათ ბრძოლის ეს ხერხი **ჩაღატა** ნოინის წინააღმდეგ გამოუყენებიათ. *„დღესა ერთსა,* — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — *წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი*[5] *ხელოვანი. მოვიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელ ვერავინ ცნა“*.

ეს მკვლელობა ქართველებს დაბრალდათ: *„და ამას ყოველნი უცილოდ დაამტკიცებდეს“*. ერთადერთი, ვინაც ეს ბრალდება არ გაიზიარა, **ჩარმაღან** ნოინი აღმოჩნდა, რომელმაც მტკიცედ განაცხადა, რომ ქართველები შთამომავლობითა და თავისი (ქრისტიანული) სარწმუნოებით მკვლელები არ არიან: *„დასწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკლველი, და არცა სჯული უც ესევითარისა საქმისა ქმნად“* (გვ. შესაბამისად: 208-211; 91-94).

მალე, მას შემდეგ, რაც ქართველებმა ღვთისმშობლისადმი ლოცვა აღავლინეს, გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელმაც ღვთისმშობლის შთაგონებით აღიარა, რომ მკვლელობა ქართველებმა კი არა, მან ჩაიდინა.

მარიამ კარბელაშვილი სავსებით სწორად განმარტავს, რომ ჟამთააღმწერელი დაბეჯითებით გმობს კაცის კვლას და იგი ქართველისა და ქრისტიანისათვის ყოვლად მიუღებელ თვისებად მიაჩნია.

საპირისპირო ვითარებაა „ვეფხისტყაოსანში“. ქალბატონი მარიამი ასახელებს მხოლოდ ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობას.

გავიხსენოთ ეს ეპიზოდი.

ეს მკვლელობა ნესტან-დარეჯანის თაოსნობით შემუშავდა და ტარიელმა განახორციელა. ნესტანის დავალებაა (ტექსტს ვიმოწმებთ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის 1966 წლის ვარიანტებიანი გამოცემის მიხედვით):

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქნები შუა კედლად;
რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად“(545. 2-3).

[5] **რ. კიკნაძე თავის გამოცემაში ი. პ. პეტრუშევსკიზე დაყრდნობით ამ სიტყვას ასე განმარტავს: *„ურწმუნო, ერეტიკოსი. ეს ტერმინი მეტწილად იხმარებოდა ისმაილიტთა სექტის წევრების მიმართ, რომელთაც ირანში შექმნილი ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო (1090-1256), ცენტრით ალამუთის ციხეში. მათი ბრძოლის მთავარი იარაღი იყო პოლიტიკური მკვლელობა“* (გვ. 241).**

„მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა, ვირთაო, —
დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო?“ (546. 2-4).

მკვლელობას ტარიელი ასე აღწერს:

„კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ... უსისხლოდ მოვკალ“ (560. 3-4).

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შეუტაკე...“ (561, 1-2).

მ. კარბელაშვილს აქაც უნდა დავემოწმოთ, რომ დიდი სხვაობაა „ჟამთააღმწერლის“ ზნეობრივ იდეალსა და ტარიელის საქციელს შორის.

**ამრიგად: სავსებით მართალია მარიამ კარბელაშვილი, როცა ერთმანეთს უპირისპირებს, თვისებრივ განსხვავებას ხედავს „ჟამთააღმწერლის“ მიერ და „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ სასიძოს მკვლელობას შორის.**

ოღონდ აქედან ავტორს ძალიან შორს მიმავალი დასკვნა გამოაქვს: მემატიანის „*თხზულებაში დიდი დრამატიზმით აღწერილია* ***ალმუთის ეპიზოდი, რომელიც მთლიანად ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის «მიპარვით» მოკვლის ალუზიას წარმოადგენს და მკვეთრად პოლემიკურია შოთა რუსთველის მიმართ ქრისტიანული (resp. ზოგადსაკაცობრიო) ზნეობის კონტექსტში***“ (გვ. 105. ხაზგასმა ავტორისაა, დაყოფა ჩემი — **ბ. დ.**).

ეს დებულება სტატიაში რამდენიმეჯერ მეორდება. ერთგან შეჯამებული სახით ნათქვამია: „*ამრიგად, როგორც ისტორია მოწმობს, ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მიპარვით მოკვლა ჯერ კიდევ ექვსი საუკუნის წინ ყოფილა მორალური თვალსაზრისით უარყოფითად შეფასებული*“ (გვ. 112).

მკვლევარის აზრით, ჟამთააღმწერელი ამ შემთხვევაში არა მარტო თავის თანამედროვეებზე ზრუნავს, არამედ მისი მიზანია, ამ ქვეტექსტური მინიშნებით ტარიელის მიერ ჩადენილი უზნეო საქციელი მომავალ თაობებსაც აცნობოს და გააგებინოს: „...*ჟამთააღმწერელი არა მხოლოდ მის თანამედროვე, არამედ იმ მომავალ მკითხველსაც გულისხმობს, რომელიც შეძლებს ამ ინტერტექსტობრივი მინიშნების ამოცნობას და ავტორის შესაბამისად აღქმას. – ეს მინიშნება ფაქტობრივად მიმართვაა, რათა მკითხველის ყურადღება მიიპყროს*“ (გვ. 111).

ნამდვილად არის კი ასე, — **ჟამთააღმწერელს, როცა აღნიშნულ ეპიზოდს წერდა, მხედველობაში მართლაც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა და მას ეკამათებოდა?**

* * *

ეს თვალსაზრისი იმდენად თვითნებურია და სინამდვილეში მისი რაიმე დამადასტურებელი არაფერი ჩანს, შეიძლებოდა მისთვის ყურადღება არც მიგვექცია. მაგრამ, რადგან იგი ერთ-ერთი ნიმუშია იმ დაუსაზღვრელი, უკიდურესად სუბიექტური მეთოდოლოგიისა, რომელიც ქართული კლასიკური მწერლობის კვლევა-ძიებას ყალბ გზაზე აყენებს, თანაც, ვიმეორებ, ისე კარგი მკვლევარისა და რუსთველოლოგის მხრივ, როგორიც მარიამ კარბელაშვილია, დუმილი გამართლებული და სასარგებლო ვერ იქნება. მეორეც, იგი უკავშირდება რუსთველოლოგიაში ახალფეხადგმულ ასევე ყალბ შეხედულებას „ვეფხისტყაოსნის“ რაობის შესახებ. საუბარია **პ. ბერკოვის** მიერ წამოჭრილ და ბოლო დროს ზოგიერთის მიერ ატაცებულ თვალსაზრისზე, თითქოს პოემა ძირითადად აგებული იყოს დანაშაულის, სასჯელისა და მონანიების თემაზე. ვითომც, ნესტანისა და ტარიელის მიერ „უდანაშაულო“ სასიძოს მოკვლა შოთა რუსთველს მიაჩნდეს დანაშაულად, ცოდვად, რაც ამ გმირებმა იმ ტანჯვით უნდა გამოისყიდონ, ნესტან-დარეჯანის დაკარგვის, პოვნისა და გამოხსნის გზაზე მათ თავს რომ გარდახდათ.



ადრე შევეხე, ეს მოსაზრება უკიდურესობამდე განავითარეს ვაირუსთველოლოგებმა **ნესტან სულავამ** და **რევაზ სირაძემ**[6]. ჩემდა გასაოცრად, ამასვე იზიარებს მათგან ნიჭითა და ცოდნით შეუდარებლად ამაღლებული რუსთველოლოგი მარიამ კარბელაშვილიც. საამისოდ მხოლოდ ერთ ამონაწერს დავიმოწმებ მისი ადრე გამოქვეყნებული სტატიიდან „«ვეფხისტყაოსანი» როგორც მეტაფორა“: „...*სიმბოლიკით ტყავის სამოსელი ადამიანის ბუნების გაორების ნიშანია: ერთის მხრივ, იგი ნიშანია ადამიანის ცოდვით დაცემისა, ხოლო, მეორე მხრივ კი - სულიერი აღდგომისა, დაკარგული სისავსის მოპოვების იმედისა. ჩემის აზრით, სწორედ ამ ბიბლიურ კონტექსტში ხდება შესაძლებელი რუსთაველის პოემის სათაურის ობიექტური ინტერპრეტაცია: ხვარაზმშას შვილის ვერაგული მკვლელობაის ცოდვაა, რომელიც აწამებს ტარიელს და ნესტან-დარეჯანს, რომელნიც სულიერი ტანჯვა-წამების გავლით, მონანიების გზით აღწევენ სულიერ აღორძინებას. ეს არა მარტო ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, არამედ მთელი კაცობრიობის გზაა ცოდვისა და მონანიებიდან – ღვთაებრივ ყოვლისმომცველ სიყვარულამდე, როგორც რუსთველის ჰუმანისტური იდეალი*“[7].

და ამას არა მარტო აღიარებს და იზიარებს, მის დამტკიცებას სხვადასხვა მხრივ ცდილობს. სარეცენზიო სტატიებიც ამავე მიზანს ემსახურება.

ამიტომ უპირველესად საჭიროა, რამდენადმე ფართოდ და ერთიანად განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მიერ ჩადენილი მკვლელობები.

---

**[6] უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში, თბ., 2008, გვ. 76-88, 231-234 და სხვა.**

**[7] გაზ. „მამული“, ოქტომბერი, 1996, გვ. 4.**

* * *

მარიამ კარბელაშვილმა **მარიამ ევდოშვილის** ფსევდონიმით ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს მკვლელობა ზნეობრივი თვალსაზრისით საგანგებოდ განიხილა საკმაოდ ვრცელ სტატიაში —„«არუთქმელობა არ ვარგა...»“ (ჟურ. „ლაშარი“, 1991, „ 2, გვ. 122-139). აქ გამოთქმული მოსაზრებანი განვითარებულია ზემორე დასახელებულ სარეცენზიო სტატიებში.

პოემაში კაცთა კვლასა და ხოცვას, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პოეტი არათუ ერიდება ან სადმე ცდილობს მინიშნებით ამ საშინელებათა ჩვენებას, არამედ, პირიქით, ფართოდ, გამეორებებითა და შთამბეჭდავად გვიხატავს ყველა მათგანს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ სასიძოს მოკვლის შესახებ ნესტან-დარეჯანის მიერ გადაწყვეტილების მიღება და ტარიელის მიერ შესრულება ცხელ გულზე არ მომხდარა. რაც ნესტანმა იგი მოიფიქრა და სატრფოს გაუზიარა და დაავალა, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა.

ტარიელი ერთხანს სატრფოსთან გაჩერდა (550.1: „*ხანი დავყავ...*“), მერე ფარსადან მეფეს შეხვდა და სასიძოს დასახვედრად მისი დავალება მოისმინა და შეასრულა:

„მიბრძანა: «ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია...
კაცნი გავგზავნნეთ, მოვიღოთ ყოვლგნით საჭურჭლე სრულია...»“
(552. 1, 3).

„მე გავგზავნენ ყოვლგან კაცნი საჭურჭლეთა წამომსხმელნი;
სასიძოცა მოგვივიდა, იყვნეს ხანსა არ-დამზმელნი;
შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი;
მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი“ (553).
„მეფემან ბრძანა:«მოკაზმეთ კარვითა მოედანია,
გამოისვენოს სიძემან, დაყოს ცოტაი ხანია»...“(554. 1-2).
„მოედანს დავდგით კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა... “ (555. 1-2).

აქედან დაღლილ-დაქანცული შინ წავიდა:

„მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა;
შინა წამოველ, მაშვრალსა ქმნა მომდომოდა ძილისა...“ (556. 1-2).

დასვენება ვერ მოასწრო, ნესტანი ისევ იბარებს და დავალებას ერთხელ კიდევ მკაცრად უმეორებს:

„შეველდით, ვნახეთ წარბ-შერჭმით ბალიშსა ზედა მჯდომარე,
წავდეგ, მიბრძანა: «რასა სდგა? დღე მიგიჩს წინ საომარე!
ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცთომარე?!»“ (558. 1, 3- 4).

აი, ამის შემდეგ მიდის ტარიელი სასიძოს მოსაკლავად და, გადაუჭარბებლად უნდა ვთქვათ, უსასტიკესად იქცევა.



ტარიელი ასევე იქცევა ისე მარტივ, არასაომარ და არასაბრძოლო ეპიზოდში, როგორიცაა წყლის პირას როსტევანსა და ავთანდილთან მისი შეხვედრა. ტარიელმა მაშინ მეფეს ბევრი თანმხლები პირი დაუხოცა.

ჯერ მწერალი გვიამბობს:

„მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად,
მან იგინი, გლახ, დახადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰ კ რ ნ ა ე რ თ მ ა ნ ე რ თ ს ა , დ ა ხ ო ც ნ ა
თავსა ხელ-აუპყრობელად,
ზოგსა გ ა დ ა ჰ კ რ ი ს მ ა თ რ ა ხ ი
ქ ვ ე მ კ რ დ ა მ დ ი ს გ ა ს ა პ ო ბ ე ლ ა დ “ (95).
„... რაზომნიცა მიეწივნეს, ყ ო ვ ლ ნ ი მ კ ვ დ ა რ თ ა დ ა ა ს ა ხ ნ ა,
კ ა ც ი კ ა ც ს ა შ ე მ ო ს ტ ყ ო რ ც ა,
როსტან ამად ივაგლახნა“ (96. 3-4).

განა ტარიელს არ შეეძლო, ისე გასცლოდა იქაურობას, ეს ცოდვა არ ჩაედინა?! აკი, როცა როსტევანი დაედევნა, ისე გაქრა, ვერავინ დაინახა:

„რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა,
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა,
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძვრომილსა ანუ ზეცას ანაფრენსა,
ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა“(98).

ამასვე აღნიშნავს შემდეგ როსტევანიც:

„მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა...
ვითა ეშმა დამეკარგა...“ (111, 1, 3).

ხალხის დახოცვა, როგორც ვაჟკაცობისა და გმირობის გამოხატულება, ასევე ესახებათ როსტევანსა და ავთანდილს, როცა ამ ინციდენტს იგონებენ. როსტევანი:

„შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დ ა მ ი ხ ო ც ნ ა“ (111. 2).
„მან დ ა მ ი ხ ო ც ა ლ ა შ ქ ა რ ი,
ა დ ი ნ ა ს ი ს ხ ლ ი ღ ვ ა რ უ ლ ი“ (112. 2).

ავთანდილი:

„გახსოვს, ოდეს დაჰხოცე მონები არ საპყრებია“ (288. 4).
„გიხმეთ, არ მოხვე, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით,
შენ ველნი წითლად შეჰღებენ სრულად სისხლისა კი დენით“ (389. 3-4).

ტარიელი ჟლეტს და ანადგურებს ხატაელებს, რამაზის ლაშქარს:

„ახლოს მივე, შემომხედნეს, «შმაგიაო», ესე თქვესა.
მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!
შიგან ასრე გავერივე, გლონის ჯოგთა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

კაცი, ჩემგან შენატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.
ერთობილნი მომეხვივნეს, მგრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგნის, სისხლსა მჩქეფრსა ამოვჰღვრიდი:
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი...“ (449-451).

სისხლის მღვრელია **ავთანდილი**, ასევე **ფრიდონი**. ავთანდილი წერილში ფრიდონს ასე მიმართავს:

„ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა
სისხლისა მჩქეფეო“ 1318. 2-3).

ამ მხრივ არაფრით განსხვავდება **ავთანდილის** ბრძოლა მეკობრეთა წინააღმდეგ. აი, როგორ გაუსწორდა მათ:

„... შეშინდა იგი ლაშქარი, გზა ძებნეს გარდსახვეწელი:
ვეღარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო მლეწელი:
არ დარჩა კაცი ცოცხალი
მუნ მისგან დაუფრეწელი.
მათ ლაშქართა გულ-უშიშრად
ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა;
დამალულნი მკვდართა შუა იმალვიან, მალვენ ხმასა“ (1043-1044).

ამას უნდა დავუმატოთ ავთანდილის მიერ ჩაშნიგირის მკვლელობა, რომელსაც ქვემორე შევეხებით.

* * *

ბუნებრივია, მკვლელობა და ხოცვა-ჟლეტა ქაჯეთის ციხის აღებისას კიდევ უფრო მეტია. სამივე გმირი ამაზე ერთხმად საუბრობს. ფრიდონი, რომელმაც პირველმა ილაპარაკა ციხის აღების გეგმაზე და სურს ციხეში პირველი შევიდეს, ამბობს:

„...თქვენ ჭირად გიყო შიგანთა
პოვნა კაცისა მრთელისა“ (1394. 4).
„ლაშქართა დავჰხოც, გავახვამ,
ჰნახოთ გაღება კარისა (1395. 3).

ავთანდილს ეშმაკურად, მალულად, არსებითად მიპარვით, სურს ციხეში შეღწევა:

„მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები,
ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო
შიგნით სისხლისა რუები“ (1399. 3-4).

სისხლის ღვრას გეგმავს ტარიელიც:



„მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა“ (1404. 3).

თვით ბრძოლის სურათი:

„...ველნი მკვდართა ვერ იტევდეს,
გადიადდა ჯარი მკვდრისა“ (1414. 4).
„სამგნითვე კართა შესჯარნეს,
ჭირი არ ნახეს კაფისა“ (1415. 3).
„ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს,
სისხლნი მათნი მოეღვარნეს“ (1416. 1-2).

ცალკე და განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩაშნიგირის მკვლელობა. ავთანდილმა, ტარიელის მსგავსად, მიპარვითა და არანაკლები სისასტიკით სიცოცხლეს გამოასალმა ლოგინში მწოლი უმწეო ადამიანი და მასთან ერთად მისი გუშაგები, თუმცა ამ მოხელის ამბავი წესიერად არც კი იცოდა:

„ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა;
ზღვის პირსა სახლი ნაგებნი დგას ქვითა წითელ-მწვანითა“ (1112. 1-2).
„მუნ მიჰყავს პირ-მზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა;
ხმა-მდაბლად ჰკადრებს: «მისია სრა მისი, ეძებ რომელსა»,
უჩვენებს, ეტყვის: «ჰხედაო ბანსა ზე და ქვე მდგომელსა?
იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა».
კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა.
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა,
თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
თავი თავსა შეუტკაკა, გაურია ტვინი თმასა.
იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა;
ვეღარ აესწრა, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა.
მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია.
ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მიწათა გარია,
ზღვითკე სარკმელთა გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა გარია,
მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია“(1113-1116).

ქალბატონი მარიამი ამ მკვლელობაზე რატომღაც არაფერს ამბობს. ნიშანდობლივია, რომ ის ავტორები, რომლებიც **ტარიელის** მიერ ჩადენილ მკვლელობას უზნეობად და ცოდვად მიიჩნევენ და ისე ესახებათ, თითქოს პოემაში მისი ტანჯვით მონანიება ხდებოდეს, **ავთანდილის** ამ საქციელზე თვალს ხუჭავენ. კარგად ჩანს, ამას გვერდს იმიტომ უვლიან, რომ პოემაში შემდეგ არაფერი ხდება ისეთი, ავთანდილის რაიმე დასჯად ან სინანულად მივიღოთ.

* * *

შოთა რუსთველი ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მიერ ჩადენილ ყ ვ ე ლ ა მკვლელობას აღტაცებით, აღფრთოვანებით აგვიწერს, მათი ფიზიკური სიძლიერის, მოხერხებულობისა და, საერთოდ, ვაჟკაცობის გამოხატულებად გვისახავს. არსაიდან ჩანს, რომელიმე მათგანს ოდნავადაც ამტყუნებდეს, მით უფრო, მათი ქმედებანი ცოდვად მიაჩნდეს ან კიდევ მსხვერპლს ამართლებდეს და მხარს უჭერდეს.

ძნელი დასანახავი არაა, მწერალი რა აღტაცებით გვიხატავს ტარიელის შემართებასა და ვაჟკაცობას, როდესაც მან როსტევანის ლაშქარი გაანადგურა. ამ საშინელი ამბის ჩადენის შემდეგ ავტორი მას ისევ ესიყვარულება და სილამაზის, მოწონების კუთხით წარმოგვიდგენს:

„იგი ლაღი და უკადრი მივა ტ ა ნ ი ს ა მ რ ხ ე ვ ე ლ ა დ,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მ ი ე ფ ი ნ ე ბ ი ს მ ზ ე ვ ე ლ ა დ“(97. 2-4).

პოეტი ჩაშნიგირის საკლავად მიმავალ ავთანდილს აქებს, მის მშვენიერებაზე ლაპარაკობს: არის **„პირ-მზე“**, **„უებრო ტანის“** მქონე. მკვლელობის შემდეგ „წამოვიდა **ვარდი ტკბილი**“ (1117.2), ხოლო ფატმანთან „შევიდა **ლომი**, **მზე**, **მოყმე წყლიანი**“ (1118. 1). თუ სასიძოს მკვლელობის დროს ტარიელი ამგვარი სიტყვებით არაა შემკობილი, იმიტომ რომ ამ ამბავს ტარიელი თავად გვიყვება და მწერალი არსად ერთვება.

მხოლოდ ეს არის, რუსთველი დაღუპულთა მიმართ სინანულსა და მწუხარებას ერთი, „გლახ“, შორისდებულით გამოხატავს. ასეა ზემორე დამოწმებულ ტექსტებში: 95.2; 551. 2; 1114. 1.

როსტევანის შეშინებულ ვაზირს, მეფე მომკლავსო, თავისი თავი შესაბრალისად ესახება:

„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, **გლახ**, მიწა მესამაროს“ 745. 1-2).

ამავე რემარკითაა შეფასებული არა მარტო სიცოცხლეწართმეული, მოკლული, არამედ ყველა, ასე თუ ისე, დაჩაგრული, შეჭირვებული ადამიანი. ტარიელის მიერ მაგრად გალახული თურქის შესახებ ავთანდილი ამბობს:

„მათრახითა ჩამოგეგდო, ერთი მკვდართა დაგესახა;
მათ მასწავლეს, ძმა რომელთა
სულ-მობრძავი სამე, **გლახ**, ა“ (293. 3-4).

იგივე შორისდებული მიემართება ნესტანისა და ტარიელის მოჭირნახულე ასმათს. ავთანდილი მის შესახებ ტარიელს ეუბნება:

„აღარად გინდა ასმათი — ნახე მართალი ბრჭობილი! —
პირველ, **გლახ**, მისი ნაჭვრეტი, თვით მერმე შენი დობილი“ (899. 3-4).
„თქვენს შუა მქნელი საქმისა, შენგან ნახმობი დობისა,
**გლახ**, დაგიგდია, არ ჰნახავ, შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“ (900. 1-2).



ავთანდილს ამავე შორისდებულით თავისი თავი რამდენიმეჯერ აქვს მოხსენიებული. მაშინაც, როცა ტარიელს დაეძებს:

„იტყვის: «ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ეზომნი სიარულნი კიდე, რად, **გლახ**, გამიცუდენ»?“ (190. 1-2).

და მაშინაც, როგორც ზემოთ დავიმოწმე, როცა გამარჯვებულია, მეკობრენი დაამარცხა:

„მე, გლახ, რა ვარ? — მიწა ცუდი....“ (1051. 3).

ასე რომ, რუსთველის მიერ „გლახ“ შორისდებული რაიმე უმაღლესი მწუხარების აღმნიშვნელად, მხვერპლს რომ ამართლებდეს, არ არის გამოყენებული.

* * *

ცნობილია: „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი ღვთის ნებაზეა დამოკიდებული. ავთანდილი თავის ანდერძში წერს:

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“ (795. 1).

ასევეა სიკვდილ-სიცოცხლის საქმეც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, რუსთველის გაგებით, სიკვდილი ადამიანის ნება როდია. ის მხოლოდ და მხოლოდ ზეცაში წყდება, ღვთის გადაწყვეტილებით ხდება:

„კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!..
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს,
შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი“ (1046).

ავთანდილი ტარიელს ეუბნება:

„არ თურ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების“ (904. 2).

ასევე ესახება ავთანდილს მეკობრეთა განადგურება. მექარავნეების გადასარჩენად იმ იმედით ებმება ბრძოლაში, რომ ღრმად სწამს:

„ყმამან უთხრა: «ნუ იშიშვით თქვენ იმათსა სიალფესა,
ანუ დავჰხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღეს-ა.
უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი»“
(1038.2-3 — 1039. 1).

როდესაც მექარავნეებმა გადარჩენისათვის ავთანდილს „ჰკადრეს ქება უსაზომო“ (1049. 2), მან „თავმდაბლურად“ აუხსნა:

„ყმამან უთხრა: «მ ა დ ლ ი ღ მ ე რ თ ს ა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი გ ა ა გ ე ბ ე ნ ა ქ ა ქ მ ნ ა დ ს ა,
ი გ ი ი ქ მ ა ნ ყ ვ ე ლ ა კ ა ს ა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა...
ღმერთმა სულსა ეგოდენსა თქვენ გათნია სისხლი თქვენი.
მ ე, გ ლ ა ხ, რ ა ვ ა რ? — მიწა ცუდი;
თ ა ვ ი თ ჩ ე მ ი თ რ ა მ ც ა ვ ქ მ ე ნ ი?
აწ დავხოცენ მტერნი თქვენნი, გავასრულენ, რაცა ვთქვენი..
ღ მ ე რ თ ს ა შ ე ე ს მ ა, ნაკადი რაცა თქვენ თვალთა გდენია,

მან დაგარჩინნა, მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომილხენია...»“
(1050-1051, 1055. 2-3).

როდესაც ნესტანს გულანშაროში დედოფლობას უპირებენ, იგი ღვთის იმედზეა, რომ მტერს მოერევა:

„ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან
მომარიოს ჩემსა მტერსა!“ (1191. 2).

უფრო ადრე, როდესაც ნესტანი ტარიელს სიყვარულის ფიცს აძლევს, ღრმად სწამს, რომ ფიცის გატეხისთვის მას ღმერთი სიკვდილს მიაგებს:

„ზედა წიგნსა საფიცარსა შევჰფიცე და შემომფიცა...
«უშენოსა მოშორება ვისიმცაო გულსა მიცა,
ღმერთიმც მომკლავს! ამას იქით
თავსა ვეტყვი, ამას ვსწვრთი-ცა»“ (420).

ქაჯეთის ციხეზე თავსდატეხილი რისხვა, იქ დაღვრილი სისხლი უფლის ნება იყო:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია
უსაზომო რისხვა ღმრთისა“ (1414. 1).

რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა: ტარიელსა და ამდენად შოთა რუსთველს ღრმად სჯერათ, რომ ხვარაზმშას ძის სიკვდილი ღვთის გადაწყვეტილებაა:

„მოვიდა კაცი: «სასიძო მოვაო», მოსლვა გვახარა,
მაგრა თუ ღმერთი რას უზამს,
არა იცოდა, გლახ, არა“ (551. 1-2).

დასმული საკითხის თვალსაზრისით, ტარიელი საოცარ ცხოვრებისეულ განმაზოგადებელ დასკვნას აკეთებს:

„ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!“ (308. 3).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ხოცავენ მათ, რომლებიც, მათი და მწერლის აზრით, მოსაშორებელი, დასახოცავია, ნებსით თუ უნებლიეთ მოწინააღმდეგენი, მტრები არიან.

როცა ასმათი ავთანდილს ტარიელის ვინაობას არ უმჟღავნებს, ეს ყოველმხრივ დიდებული რაინდი უმწეო ქალს, როგორც მტერს, ისე უყურებს და სიკვდილით ემუქრება:

„პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,
ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბჯინა“(239. 3-4).
„ეგრე უთხრა: «მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?
რაგვარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო?
გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,
თვარა, ღმერთმან მტერი ჩემი
მოკლას, ვითა მოგაკვდინო»!“ (240).

ავთანდილს მტკიცედ სწამს, რომ ღმერთი უსამართლობას არ დაუშვებს და არც სხვას შეარჩენს. შერმადინს ეუბნება:

„რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ვისმცა შეარჩინა?“ (777. 4).

ტარიელის აზრით, დავარს ნესტან-დარეჯანის გადაკარგვის გადაწყვეტილება ვიღაც ღვთის მგმობელმა, ღვთის მტერმა შთააგონა:

„დავარს, დასა მეფისასა,
უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:
«თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან...»“ (579. 1-2).

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი მკვლელობანი საერო საზოგადოების ცხოვრებისეული სიმართლის ამსახველია, როგორიც ეს იყო რუსთველის ეპოქაში, მანამდე და შემდეგაც ყოველთვის. ამის გამომხატველი წერილობითი მაგალითები აურაცხელია. მხოლოდ ერთს, ვაჟა-ფშაველას, დავიმოწმებთ. „სტუმარმასპინძელში“ ავტორი ქისტ პერსონაჟს ათქმევინებს:

„მაგრამ მტერს მტრულად მოექცე,
თვითონ უფალმან ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო“.

ხოლო „ბახტრიონში“ ქართველი (თუში) ზეზვა გაფრინდაული ამბობს:

„სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“.

ვფიქრობ, სურათი ნათელია. რა თქმა უნდა, თავისთავად ადამიანთა მკვლელობა დასაგმობზე დასაგმობია და ეს მხოლოდ ქრისტიანობის მახასიათებელი როდია. არა მგონია, რომელიმე ეპოქაში, რომელიმე ხალხში, რომელიმე რელიგიაში არსებითად ასევე არ ყოფილიყო. მაგრამ, ალბათ, არ მოიძებნება რომელიმე ეპოქა, ქვეყანა, რელიგია, სადაც მკვლელობები არ ხდებოდა და, რაც ამჯერად გვაინტერესებს, ბევრ შემთხვევაში ამა თუ იმ მომიზეზებით, იქვე გამართლება არ ჰქონოდა.

სამწუხაროა, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში სადავო გახდა ამ დარგის უპირველესი და უძირითადესი დანიშნულება — გამოიკვლიოს, ჩასწვდეს ამა თუ იმ მხატვრულ ქმნილებაში რატომ ხდება მკვლელობა, რა მიზანი აქვს მის წარმოჩენას და, რაც მთავარია, როგორ უყურებს მას და რას გვეუბნება ამით ავტორი. და არა ის, როცა ვითარება ნათელია, როგორ გვესახება იგი მკითხველებს. ესეისტიკას თავისი ადგილი აქვს, მაგრამ მის გავულგარულებას სიკეთე არ მოაქვს.

* * *

ახლა დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნისადმი“ „ჟამთააღმწერელის“ მიმართების საკითხს.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისინი სხვადასხვა ჟან-

რისა და დანიშნულების თხზულებებია. მეორე ქრონიკაა და სინამდვილის ასახვა ევალებოდა. როგორც მთელი ნაწარმოები გვიჩვენებს, იგი ქრისტიანული რელიგიური სულისკვეთებითაა გამსჭვალული და ამიტომაა ნავარაუდები, რომ მისი ავტორი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ქრისტიანული სარწმუნოების თავგადადებული აპოლოგეტია და, ბუნებრივია, მის ერთ-ერთ ძირითად მცნებას — „არა კაც-ჰკლა“ — იცავს და ადიდებს. თხზულებაში, როგორც მ. კარბელაშვილი თავად წერს, მშვენივრად ჩანს, *„...ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი ქართველი ერის მაღალი ქრისტიანული ზნეობის დემონსტრირება მულიდ-სპარსელთა, და, თუ კარგად ჩაუკვირდებით, ყველა «ცუდრჯულთან» და «ცრურჯულთან» შეპირისპირებაში“* (გვ. 107). ეს იმდენად თვალნათლივია, *„კარგად ჩაკვირვება“* არც კი სჭირდება.

სულ სხვაა „ვეფხისტყაოსანი“. იგი მხატვრული ნაწარმოებია და კოლიზია სჭირდება. ამავე დროს, ბევრჯერ მითქვამს და უნდა გავიმეორო, იგი ოდენ საერო ნაწარმოებია. კი, უეჭველია, რომ შოთა რუსთველი ქრისტიანი და ქრისტიანული კულტურისა და გარემოს მკვიდრია, მაგრამ ისიც ცხადია, იგი არ იმეორებს ამ სარწმუნოების ძირითად დოგმებს და ბევრ შემთხვევაში სინამდვილეს პირუთვნელად, რეალურად ასახავს. აღწერს საზოგადოების უმაღლესი ფენების, მეფეთა და ვაზირთა ცხოვრებასა და საქმიანობას. ისინი კი არც დაპყრობით ომებსა და არც კაცის კვლას ერიდებოდნენ.

როგორც თავშივე ვთქვით, მ. კარბელაშვილი ამ ორი თხზულების დაპირისპირებაზე ზოგადად საუბრობს და კონკრეტულ საბუთებს არ იძლევა. აი, მისი მოსაზრება და საბუთი: *„არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს, რომ «მოპარვით მოკვლა» ჯერ ვეფხისტყაოსნის ტექსტში გვხვდება, შემდეგ კი ჟამთააღმწერლის ქრონიკაში: ჟამთააღმწერელი აშკარად პოლემიკურია რუსთველის მიმართ“* (გვ. 111).

„ჟამთააღმწერელის“ მოპირისპირედ რატომ მაინცადამაინც „ვეფხისტყაოსანი“ უნდა მივიჩნიოთ და არა სხვა რჯულის ხალხი?! ჩვენი მემატიანე ხომ სწორედ ქართველთა რჯულზე, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ლაპარაკობს და მას წამოწევს წინ?!

ქალბატონი მარიამი ამის პასუხად ტარიელის ინდოელობას ასახელებს: ჟამთააღმწერლის განცხადება, *„რომ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“*, მისი აზრით, აქ *„ქვეტექსტურად იკითხება ჟამთააღმწერლისეული შეფასება ტარიელის ქმედებისა: «ტარიელი არ არის ქართველი», «ტარიელი არ არის ქრისტიანი»“* (გვ. 111).

გადაჭრით უნდა ვთქვათ: არავითარი საბაბი, მინიშნება არ არის



და არც შეიძლება იყოს, რომ ჟამთააღმწერელი აქ რაიმე ქვეტექსტით გველაპარაკებოდეს. რად სჭირდებოდა მას ქვეტექსტი, რა უშლიდა ხელს „ვეფხისტყაოსანი“ პირდაპირ დაესახელებინა?! გავიხსენოთ XVI საუკუნის სასულიერო მწერალი ბაგრატ ბატონიშვილი (მუხრანბატონი), როცა იდეოლოგიური თვალსაზრისით „ამირანდარეჯანიანი“ არ მოსწონდა, მან იგი პირდაპირ დაასახელა: *„ისმაეტელნი გამოვიდოდეს და იყვნეს ყოველნი ერთბამად მესისხლენი, მტაცებელნი, მეშფოთენი, მპარავნი და ყოვლადვე უპოვარნი. რამეთუ წიგნი იგი, რომელსა ყისა ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხორება არს და მის წიგნისა მცირედი რამე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯანიანად უწოდენ. და არა თუ ეგე ვითარითა სიმჴნითა აჴოვან იყვნეს, ვითარცა გჳთხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მათ მიერითა ზღაპრობითა განვრცელებით აღუწერიეს მოთხრობაჲ იგი“*[8].

განა მოერიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ კათალიკოსი ანტონ პირველი, ტიმოთე გაბაშვილი, იეროდიაკონი ნიკოლაოს ხელაშვილი ან პოემის დასაწყისში შეტანილი პასკვილის („*პირველ თავი, დასაწყისი...*“) ავტორი და არ „ამხილეს“ შოთა რუსთველი მკრეხელობაში?! რა სჯის ჟამთააღმწერელს, რომ შეფარვით, ქვეტექსტებით წეროს?!

მეორე: თუ მთავარი მსგავსება და განსხვავება **მიპარვით მოკვლაა**, რატომ არ შეიძლება XIV საუკუნის მწერალს „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე ესაუბრა „მიპარვით მოკვლის“ უზნეობაზე? განა შეიძლება დავუშვათ, რომ მან არ იცოდა, მიპარვით მოკვლა სხვაგანაც ხდებოდა?

სრული გაუგებრობაა სტატიაში დასკვნის სახით ნათქვამი: „ამრიგად, ძველი ქართული სისხლის სამართლის სპეციფიკური ტერმინი **მოპარვით//მიპარვით** მოკვლა, (...) რამდენადაც ვიცი, ქართული მწერლობის ძეგლებში მხოლოდ ორჯერ გვხვდება, პირველად ვეფხისტყაოსანშია დაფიქსირებული, მეორედ — ჟამთააღმწერლის ქრონიკაში“ (გვ. 102). მკვლელობას არა, მაგრამ მიპარვით მკვლელობის მცდელობის ერთ მაგალითს მ. კარბელაშვილი თავად ასახელებს: „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში“, „სადაც XVI საუკუნის მიწურულს მომხდარი ისტორიული ფაქტია მოთხრობილი — ქართლის მეფე სვიმონ პირველზე (1558-1600) ალექსანდრე მეორე კახთ ბატონის თავდასხმა ღამით, როდესაც მეფეს ეძინა“ (გვ. 112).

თუკი გულდასმით მოვძებნით, მიპარვით მკვლელობის „დაფიქსირებას“, რამდენიც გვინდა, იმდენს შევძლებთ. იგი მოგვეპოვება ძველ ქართულ მწერლობაშიაც. მაგალითად დავასახელებთ ორ თხზულებას. ისინი

**[8] ბორის დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), თბ., 2011, გვ. 146.**

ნიშანდობლივია იმითაც, რომ სპარსულიდანაა გადმოღებული.

„თიმსარიანში“, რომელიც წარმოშობით ინდურია და შუა საუკუნეებში მრავალ ენაზეა გადაღებული, თეიმურაზ მეორის მიერ სპარსულიდან თარგმანში ხელმწიფის შვილი მაცდურ ლამაზმანს, რომელიც მამის მოკვლას ურჩევს, ეუბნება: *„აწე მე დამემოყვრე, გულისა ჩემისა ნება აღასრულე და მე მამასა ჩემსა მალვით და მიპარვით თავსა მოვკვეთ და ანუ ძელსა ზედან ჩამოვარჩობ. მაშინ ბანოვანთა თავად და განმანათლებლად ტახტისა ჩემისა შენ დაგსვამო...“*[9]

საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ყარამანიანი“, რომელიც XVI საუკუნის 70-იან წლებშია ქართულად ნათარგმნი, მოთხრობილია: ყარამანის მეგობარი მძინარე დევის წინაშე დგას *„და იხილა მეტად საზარელი სანახავი რამ იყო და დიდადაც შეშინდა. ისევ გული შეიმაგრა, ხანჯალი ამოიღო და გულსა დაცემას უპირობდა. მერე თქვა: «ყარამანის სასაცილოდ ავდებას ვეღარ მოურჩები. ასე მეტყვის, მძინარეს როგორ მიეპარე და ისე მოჰკალ? იმისგან ამდენს ფალავნებში მოყივნებასა მისივე გამოღვიძება მირჩევნიანო». მივიდა, შემოუძახა და ერთი ძლიერად ყბაში შემოჰკრა. მასცა გამოეღვიძა“*[10]. როგორც ამ ნაწარმოების წინასიტყვაობაში გამომცემლები აღნიშნავენ: *„ამ ჟანრის ნაწარმოები დიდად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების, განსაკუთრებით კი XVI-XVII სს. აღმოსავლურ ლიტერატურაში, კერძოდ, იგი უშუალოდ უკავშირდება სპარსულ «ყაჰრამან-ნამესა» და მის თურქულ რედაქციებს“* (გვ. 3).

ტარიელმა და რუსთველმა იციან, რომ მიპარვით მოკვლა ვაჟკაცობას გარკვეულ ჩრდილს აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეპოქაში და, მეტადრე, ბრძოლისას ვაჟკაცობაზე ნაკლებ არ ფასობდა *„ხერხი სჯობია ღონესა“*?! აი, რა შეუთვალა ტარიელმა ხატაელებს:

„ჩვენნო ძმანნო და პატრონნო, თქვენგან არ გავიმწარებით;
ესე რა ჰნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით!
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ,
ზედა არ მოგეპარებით.
სჯობს, რომე გვნახნეთ, თავისა
სისხლთა ნუ ეზიარებით“ (391).

ასე მესახება: ტარიელმა ქაჯეთის აღებისას ფრიდონისა და ავთანდი-

[9] თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939, გვ. 155-156. თ. გორელიშვილის გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ასე წერია: „მიპარვასავით“(თიმსარიანი, თარგმნილი სპარსულიდან თეიმურაზ II მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თენგიზ გორელიშვილმა, თბ., 1965, გვ. 48).

[10] ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და სარგის ცაიშვილმა, თბ., 1965, გვ. 522.



ლის გეგმები იმიტომაც არ მიიღო, რომ ისინი გარკვეულ „ხერხებს“ ეფუძნებოდა. ფრიდონი:

„ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირისპირ ომი არ ძალგვიც,
არ ჟამი საკვეხარია...“ (1392. 2-3).

ამიტომ, როგორც *„სამუშაითოდ გაზრდილი“*, საბლის საშუალებით *„შიგან ჩავხლტებით კისკასადო“* (1395. 2).

ავთანდილის გეგმა:

„სამთავე შესვლა არ ვარგა, თუ გვიგრძნან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები“ (1399).

განა ეს „ილიადისეულ“ „დანაელთა ძღვენს“, ტროადის ცხენს, არა ჰგავს?

ტარიელმა ძმადნაფიცთა გეგმები სიტყვიერად სხვა მოტივით დაიწუნა — ნესტანი დამინახავს და ღირსეულად არ გამოვჩნდებიო:

„ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გადმოდგეს მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა“ (1402).

ქვეტექსტები არა გვჭირდება: აშკარაა, ქაჯეთის ციხის აღების ტარიელისეული გეგმა ყოველგვარ ეშმაკობასა და ხრიკებს გამორიცხავს და მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირ, ვაჟკაცურ შეტევას ეფუძნება:

„სამთავე სამგნით მივჰმართოთ,
ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები“ (1403. 3).
„ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა“ (1404. 1).

ასეც მოიქცნენ.

საკითხავია, ჟამთააღმწერელი ტარიელის იმ საქციელს თუ ხედავდა, ამას ვერ ხედავდა?!

* * *

მეორე ამბავი. „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად არის ნაჩვენები, თუ ნესტანმა და ტარიელმა რატომ აირჩიეს „მიპარვით მოკვლის“ ხერხი — **მოერიდნენ დიდი სისხლის ღვრას**. იძულებული ვარ, აქაც რამდენიმე სტრიქონი დავიმოწმო:

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ,
ვერ ვიქნები შუა კედლად,
რა მოვიდეს სიძე, მოკალ
მისთა სპათა აუწყვედლად“ (545. 2-3).
„მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ხროხათა ვითა, ვირთაო, —

დიადი სისხლი უბრალო
კაცმანცა ვით იტვირთაო?“ (546).

გამოკვეთილად არის აღნიშნული ისიც, რომ ნესტანისა და ტარიელისთვის სასიძოს მოკვლა, მარტო პირადი ინტერესებით, სიყვარულისა და მეფობის შენარჩუნებით არ იყო გაპირობებული. აქ იგულისხმებოდა სამშობლოს კეთილდღეობის, დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის შენარჩუნების აუცილებლობაც. გარდა იმისა, რომ ნესტანი ზრუნავს, რომ „*ინდოეთი არ გარდაქარდეს*“, პირდაპირ ამბობს:

„ესე ამბად არ ეგების,
რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ (543. 4).

„ჰკადრე, თუ: «სპარსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჭამასა»“ (547. 2).

ტარიელი გონივრულად შეხვდა სატრფოს ნააზრევს. იქვე შენიშნა:

„ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა“ (549. 1).

იქნებ, იმ სწავლულებმა, რომლებიც ტარიელს უკიჟინებენ, უსამართლო საქმე, ცოდვა ჩაიდინაო, გვითხრან: როგორ ჯობდა ის მოქცეულიყო? ისე, — როგორც პოემის დანართ ეპიზოდში — ხვარაზმელთა ამბავში — ხვარაზმშა ამბობს? —

„ჰმართებდა, თუცა ტარიელს ებრძანა ჩემთვის კაცითა,
ნუ მოსცემ შვილსა, თვარ დავხვდე რაზმითა ცემა-ტკაცითა“.

მარიამ კარბელაშვილი (ევდოშვილი) აშკარად იწონებს ამ რჩევას. ხვარაზმშას ნათქვამზე მითითებით წერს: „*ჩვენმა წინაპრებმა გამონახეს ეს გამოსავალი*“-ო („ლაშარი“, გვ. 128). არადა, ნესტანსაც უფიქრია ამაზე:

„თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს“.

ნესტანსა და რუსთველს ვასწავლოთ ჭკუა?!

ამრიგად: „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი მკვლელობების კონტექსტიდან ამოგლეჯილად, განყენებულად განხილვა გამართლებული არ არის. პოემაში მკვლელობა ყოველთვის მოტივირებულია და ავტორი მას, როგორც ასეთს, ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისით არ ეხება. საერო-რაინდულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგი ჩვეულებრივ ხდებოდა, ამ მიღებულ წესს მწერალი აღწერს და მოცემულ პირობებში მას არ გმობს.

* * *

მარიამ კარბელაშვილის აზრით, ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობაში ტარიელის გამართლება დაიწყო 1936-1938 წლების რეპრესიების დროს, რათა მთავრობის მიერ დატრიალებული მაშინდელი სისხლის კალო გაემართლებინათ: „*როგორც რუსთველოლოგიური მეცნიერების ისტორია მოწმობს,* — წერს იგი, — *დაწყებული ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართით როგორც ვეფხისტყაოსნის უადრესი კომენტარით — მრავალი საუკუნის მანძილზე პოემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა შორის XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრამდე არ არსებობს არც ერთი, რომელიც ტარიელის ამ ქმედებას გაამართლებდა. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა ეპოქაში მოხდა ამ ეპიზოდის ტრადიციული შეფასებიდან მკვეთრი გადახვევა და ტარიელის ქმედების გამართლების მიზნით დიამეტრულად საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის შექმნა, რომელიც რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში «ტარიელის რეაბილიტაციის თეორიის»* (მითითებულია ვლადიმერ ნორაკიძის წიგნი — **ბ. დ.**) *სახელით არის ცნობილი. ეს ანტიჰუმანისტური თეორია თავისი არსით საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიური წარმონაქმნია და ვულგარული სოციოლოგიის ნიადაგზე აღმოცენებული* (უთითებს თავის სტატიას — **ბ. დ.**). *«ტარიელის რეაბილიტაციის თეორიის»* შექმნა-ჩამოყალიბება სრულიად კონკრეტულ *ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება: ესაა 1936-1938 წლები*“ (გვ. 100).

ამ „თეორიის“ ჩამოყალიბებაზე ქალბატონი მარიამი საგანგებოდ მსჯელობს „*კონფერენციის მასალებში*“ წარმოდგენილ წერილში „*რუსთველოლოგია საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში*“.

სინამდვილეში რუსთველოლოგიური მეცნიერება ხვარაზმშაჰის ძის **მკვლელობის საქმეში** „*ტარიელის რეაბილიტაციის თეორიას*“ მ. კარბელაშვილის ნაშრომამდე **არ იცნობს, ასეთი რამ არ არსებობს**. ვლადიმერ ნორაკიძის წიგნში „*ადამიანის იდეა «ვეფხისტყაოსანში»*“ (თბ., 1966), სადაც თითქოს 149-ე გვერდზე ეს „თეორიაა“ აღნიშნული, არც **სასიძოს მკვლელობასა და არც ამ „თეორიაზეა“ რაიმე ნათქვამი**. იგი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ველად გაჭრილი ტარიელის უმოქმედობის შეფასებას. მაგალითად, ვ. ნორაკიძე წერს: „*მ. კელენჯერიძის აზრით, «ტარიელი ლაჩარზე ულაჩრესია, დამბლადაცემულია სულხორციანა, (...) მისი სატრფო ქაჯებს გაუტაცნია, თვითონ დამჯდარა ნაცარში და სტირის, წამხდარა კაკალი კაცი, მეტი წახდენაც აღარ შეიძლება»*“. კ. კეკელიძის შეფასებით, ტარიელმა სატრფო „*პირველად მართლა ეძია, მაგრამ ვერას გახდა, თავი მიანება, დაბინავდა გამოქვაბულში, ლომ-ვეფხვთა და სხვა მხეცთა საზოგადოებაში, უნუგეშოდ ცრემლსა ჰღვრიდა*“. ვ. ნორაკიძე განაგრძობს: „*ამასვე იმეორებს თითქმის ყველა ქართველი მკვლევარი, რომელიც კი შეხებია ტარიელის აღნიშნული ქცევის ანალიზს*“. მისივე დასკვნით, ეს უარყოფითი შეფასებანი დასაბუთებულად უარყო ალექსანდრე ბარამიძემ, „*რომელმაც სამართლიანად გადაწყვიტა ტარიელის რეაბილიტაცია და ტარიელის ქცევის ეთიკის თვალსაზრისით შეფასების მხრივ სხვებთან შედარებით მართებული აზრები გამოთქვა*“.

დიახ, ვ. ნორაკიძე ხმარობს შესიტყვებას „ტარიელის რეაბილიტაცია“, მაგრამ ნათლად და გარკვევით აღნიშნავს, რომ **იგი ეხება ველად გაჭრილი ტარიელის უმექმედობის გამართლებას, რეაბილიტაციას.** გამოკვეთილად ასკვნის: „*ასეთია ზოგადად მკვლევართა შეფასება ტარიელის «ველად გაჭრის» ქცევისა*“ (გვ. 148-149).

სრული გაუგებრობაა, ვითომცდა ვ. ნორაკიძის ამ წიგნში ტარიელის მიერ ჩადენილი მკვლელობის, მეტადრე მისი გამართლების, რეაბილიტაციის თეორიაზე იყოს საუბარი.

**ასე რომ, „ტარიელის რეაბილიტაციის თეორია“, რომელიც ირონიული შინაარსის შემცველია, მ. კარბელაშვილის მიერ შექმნილი გამოთქმა-ტერმინია და იგი თეორიად სხვას არავის არასდროს უხსენებია.**

„კონფერენციის მასალებში“ ტარიელის მიერ სასიძოს მკვლელობის გამართლების (რეაბილიტაციის) საწყისად მიჩნეულია **პოლ. ცინცაძის** წიგნი „*ვეფხის-ტყაოსანი. მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია. კრიტიკული ეტიუდი*“, რომელიც, მართლაც, 1936 წელს გამოვიდა. მ. კარბელაშვილი ბრძანებს: „... *სწორედ ამ ნაშრომმა დაუდო დასაბამი ე. წ. «ტარიელის რეაბილიტაციის» კონიუნქტურულ თეორიას, რაც გულისხმობს, რომ ვეფხისტყაოსნის ცენტრალურ გმირის ტარიელის მხატვრული სახის ძველ, ტრადიციულ ინტერპრეტაციაში შეცდომა იყო დაშვებული და ამიტომ ახლა აუცილებელი გახდა ამ შეცდომის გამოსწორება -– ტარიელის გამართლება ანუ რეაბილიტაცია. ეს ტრადიციული ინტერპრეტაცია ვეფხისტყაოსნის ცნობილ ეპიზოდში ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ზნეობრივ შეფასებას ეხება*“ (გვ. 277-278).

ქალბატონი მარიამი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს პ. ცინცაძის ამ წიგნს, ვითომცდა აღნიშნული მკვლელობის მასში „*წარმოდგენილმა ინტერპრეტაციამ საბჭოთა სინამდვილეში ზნეობრივ ღირებულებათა სისტემის შეცვლა, მათი ძირფესვიანი გადატრიალება-გაუკუღმართება ასახა და მისი გამოქვეყნებით რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ნამდვილი რეაქციული გადატრიალება მოხდა, რომელიც ვეფხისტყაოსნის საკვანძო ეპიზოდების ინტერპრეტაციაში დაუპირისპირდა როგორც საზოგადო-საკაცობრიო, ასევე ტრადიციულ ქართულ ეროვნულ ღირებულებებს, როგორც ქრისტიანული ერისა*“ (გვ. 278).

მსგავსიც არაფერი მომხდარა! ამ ჩვეულებრივ რიგით წიგნს, რომლის ძირითადი მიზანია შოთა რუსთველის სტოელობის დამტკიცება, ამის ძალა სადა აქვს?! გაკრიტიკებულ იქნა რა მისი დებულება რუსთველის სტოელობის შესახებ, მორჩა და გათავდა! ამის შემდეგ იგი აქამდე არავის



გახსენებია. ქალბატონი მარიამი თავად წერს: „*რუსთველოლოგიის ისტორიაში ნაკლებად ცნობილი პოლიხრონ ცინცაძე*“-ო (გვ. 277). იგი ნაკლებად ცნობილი იყო და არის არა მარტო რუსთველოლოგიაში, არამედ, საერთოდ, მეცნიერების ნებისმიერ დარგში.

მ. კარბელაშვილი პოლ. ცინცაძისაგან იცავს კორნელი კეკელიძეს: „*საგანგებოდ უნდა აღინიშნოს,* — წერს იგი, — *რომ პ. ცინცაძე იყო პირველი, ვინც დაუპირისპირდა კ. კეკელიძის მიერ ტარიელის მხატვრული სახის ტრადიციულ ეთიკურ-მორალურ შეფასებას*“ (იქვე, გვ. 278).

ამ წიგნში, მართლაც, განხილული და უარყოფილია კორნელი კეკელიძის მიერ ადრე, 1924 წელს, „*ქართული ლიტერატურის ისტორიის*“ მეორე ტომში ტარიელის მიმართ გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება. მაგრამ იგი სასიძოს მკვლელობის იმ მორალურ შეფასებას, რომელიც მ. კარბელაშვილს აინტერესებს, სრულებითაც არ ეხება.

იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი შოთა რუსთველს არ ეკუთვნის და იგი გვიანდელი შეთხზულია, კ. კეკელიძე მაშინ ცდილობდა, წარმოეჩინა შეუსაბამობანი, რომლებიც, მისი აზრით, პროლოგსა და მთლიან „ვეფხისტყაოსანში“ არის. ამ მიზნით ის ტარიელს ასე ახასიათებს:

„*იქნება ვისმეს პარადოქსად ეჩვენოს: ტარიელი და არა გმირი? გმირობა, რაინდობა მარტო იმაში ხომ არ გამოიხატება, რომ ხატაელები შემუსრო, კონკურენტი მიპარვით მოჰკლა, ლომები და ვეფხვები გასწყვიტო და ქაჯეთის ციხის კარები შელეწო! გმირობა და რაინდობა ტარიელის უფრო სხვა რამეში უნდა გამოჩენილიყო, სახელდობრ – დაკარგული სატრფოს ძებნაში და მოძებნაში: ეს კი ტარიელმა ვერ შესძლო: პირველად მართალია ეძია, მაგრამ, რომ ვერას გახდა, თავი მიანება, დაბინავდა გამოქვაბულში და, ლომ-ვეფხვთა და სხვა მხეცთა საზოგადოებაში, უნუგეშო ცრემლებსა ღვრიდა, ერთი სიტყვით, სრულ პასივობას და სასოწარკვეთილებას მიეცა. მას რომ ავთანდილი არ გამოჩენოდა, ვერასდროს ის თავის მიზანს ვერ მიახწევდა, ვერ მიახწევდა იმიტომ, რომ მას აღარც კი ეძებდა, თითქოს ცრემლების ღვრა მიჰგვრიდა მას დაკარგულ სატრფოს!*

*ტარიელს სხვა სამიჯნურო «ზნეობანიც» აკლია. აკლია მას* ***ენა****, რომლის მაგივრობას ცრემლები და ოხვრა-კვნესა სწევს; აკლია მას* ***დათმობა*** *და ჭირსა შინა გამაგრება, როდესაც სასოწარკვეთილებასა და სულმოკლეობას იჩენს, აკლია მას* ***სიბრძნე*** *და* ***გონება*** (ოთხივე ხაზგასმა ავტორისაა — **ბ. დ.**), *რომელიც გამოიხატება მიზანშეწონილს მოქმედებაში და საუმჯობესო საშუალებათა გამოძებნაში. მართლაც, ფარსადანთან და მის მეუღლესთან საოჯახო თათბირზე, როდესაც*

*გადაწყდა ნესტანის გათხოვების საკითხი, ტარიელს ვერ მოუხერხებია გაბედულად და რაინდულად გამოეთქვა თავისი აზრი და გრძნობა, და კარზე მომდგარი უბედურება ჰსურს უკუაქციოს უდანაშაულო ადამიანის ვერაგულად მოკვლით. ხოლო ასეთი ლაჩრული საქციელის გასამართლებლად ის მზადაა გაიმეოროს ნესტანის მიერ ნაკარნახევი სიტყვები, რადგან თვითონ ვერ მოიფიქრა რა; ლაჩრულად და ცბიერად უარჰყოფს თავისი წმიდათა-წმიდას – ნესტანის სიყვარულს. მეორე, ავთანდილს რომ არ მოეძებნა მისთვის დაკარგული სატრფო, თვითონ, როგორც ზევითაც ვთქვით, ვერავითარი გზა და საშუალება ვერ გამოძებნა მის აღმოსაჩენად. დასასრულ, მოვიგონოთ თათბირი სამი გმირის ქაჯეთის ციხის აღების წინ: ტარიელი აქ გონებით კი არ აზროვნობს, როგორც ავთანდილი და ფრიდონი, არამედ მკლავებით, რომელიც მისთვის ბუნებას მართლაც მიუცია...*“ (გვ. 90-91).

ვიდრე კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდეთ, ზოგადად რომ ვიკითხოთ, დღეს ეს შეხედულება მისაღებია?

აი, ამონაწერები პოლ. ცინცაძის წიგნიდან, რომელსაც მ. კარბელაშვილი იმოწმებს და მიუღებლად მიიჩნევს (გვ. 279):

1. „ნაწარმოების მთავარი გმირი კომპოზიციურად ტარიელია და ამიტომ მის ირგვლივ იშლება მთელი ნაწარმოები“ (გვ. 81).

2. „ვეფხისტყაოსნის კოლიზია იწყება არა ნესტან-დარეჯანის დაკარგვით, როგორც ეს პირველი შეხედულებით გვეჩვენება, არამედ სასიძოს მოკვლით, რადგან ყოველივეს მიზეზი, რაც ხდება, ეს არის“ (გვ. 106).

3. „ტარიელი დიდი ფეოდალური ფენის სულისკვეთების გამომხატველია. **თავადაზნაურულ რეაქციულ ფენას** შემდეგ პერიოდში მხოლოდ ტარიელი მიაჩნდა «ვეფხისტყაოსანში» თავის უშუალო გმირად“ (გვ. 81. ხაზგასმა მ. კარბელაშვილისაა **— ბ. დ.**).

4. „**მძინარე სასიძოს მიპარვით მოკვლა** – ერთბაშად **ეწინააღმდეგება მთელ ფეოდალურ გმირულ მორალსა და ტრადიციას**... გმირული რაინდული თვალსაზრისით, წარმოუდგენელია მძინარე, უდანაშაულო ყმის მიპარვით მოკვლა. **ეს უდიდესი შებღალვა და უგულისყოფობაა ფეოდალური რაინდული მორალისა**“ (გვ. 106. ხაზგასმა მ. კარბელაშვილისაა — **ბ. დ.**).

ამგვარად დალაგებულ ამ ამონაწერებს ქალბატონი მარიამი ასეთ კომენტარს ურთავს: *„«სიტყვები.... სიტყვები.... სიტყვები....» როგორც ამბობდა ერთი დანიელი პრინცი: რამდენ რამეს ფარავენ ისინი!“* (გვ. 279).

რა არის აქ, თუ მისაღები არა, დაფარული და ოდიოზური მაინც?!

თუ ერთხელ კიდევ გადავიკითხავთ ბატონი კორნელის 1924 წელს გამოთქმულ დამოწმებულ ტექსტს, რომელსაც პოლ. ცინცაძე იწუნებს, ვნახავთ, ტარიელისადმი მისი კრიტიკა ეხება იმ პერიოდს, როდესაც თა-



ვად ტარიელი თავის თავს „ხელს“ უწოდებს. პოლ. ცინცაძე კი სავსებით სწორად მიუთითებს: *„თუ გვსურს ტარიელის პიროვნების სწორად გაგება და შეფასება, უნდა ავიღოთ და განვიხილოთ იგი არა მარტო აფექტურ მოვლენებში, არამედ ნორმალურ მდგომარეობაშიც“* (გვ. 81).

სიმართლე არ არის მ. კარბელაშვილის არც ის ცნობა, ვითომც პოლ. ცინცაძე ტარიელის მიერ ჩადენილ მკვლელობას ამართლებდეს. პირიქით, მას „ამორალურს“ უწოდებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მკვლელობას პოლ. ცინცაძე საბჭოთა დროინდელი, მეტადრე, მისი იდეოლოგიის თვალთახედვით კი არა, რუსთველის ეპოქის, ფეოდალური საზოგადოების თვალსაზრისით განიხილავს. მისი სიტყვებია: *„მძინარე სასიძოს მიპარვით მოკვლა – ერთბაშად ეწინააღმდეგება მთელ ფეოდალურ გმირულ მორალსა და ტრადიციას. (...) გმირული რაინდული თვალსაზრისით, წარმოუდგენელია, მძინარე, უდანაშაულო ყმის მიპარვით მოკვლა. ეს უდიდესი შებღალვა, უგულისყოფაა ფეოდალური რაინდული მორალისა“* (106).

შემდეგ: *„უდანაშაულო სისხლის ღვრასა და ჯარის გაწყვეტას რუსთაველი რაინდული მორალის შებღალვასა და უარყოფას არჩევს. ამიტომ აკვლევინებს იგი სასიძოს თავის გმირს მიპარვით. სასიძოს მოკვლა განვითარებული პირობების მიხედვით აუცილებელია. სასიძოს მოკვლით ნესტან-დარეჯანი საბოლოოდ უსპობს მშობლებს ნაკლები სისხლის ღვრით იმ ვაჟზე გათხოვების საშუალებას, რომელსაც დაუკითხავად აძლევენ“* (გვ. 107).

ქალბატონი მარიამი პოლ. ცინცაძეს იმასაც საყვედურობს, რომ სასიძოს მკვლელობაზე ის მარტო *ფეოდალურ-რაინდული მორალის* მიხედვით საუბრობს, ამით იფარგლება. წერს: *„მივაქციოთ ყურადღება, ავტორის ამ მსჯელობაში როგორ სიტყვიერ ეკვილიბრისტიკასთან გვაქვს საქმე: «მძინარე, უდანაშაულო ყმის მიპარვით მოკვლა» თურმე მხოლოდ «ფეოდალური რაინდული მორალის შებღალვა და უგულისყოფობა» ყოფილა და არა უმძიმესი ზნეობრივი დანაშაული, ზოგადსაკაცობრიო მორალის, ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო მარადიული ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფა!“* (გვ. 279).

უცნაური მსჯელობაა! პოლ. ცინცაძე არსად ამბობს, რომ ეს მკვლელობა მხოლოდ ამ საზოგადოებისთვისაა ამორალურიო. იგი საკითხს სრულიად სამართლიანად კონკრეტულად, რუსთველისეული ეპოქის მიხედვით განიხილავს და რატომ ვთხოვთ იმაზე პასუხს, რაც მისი კვლევის მიზანი და საგანი არაა!

აი, კიდევ როგორ „ავითარებს“ ქალბატონი მარიამი პოლ. ცინცაძის მსჯელობას „ვეფხისტყაოსანში“ ფეოდალურ-რაინდული საზოგადოების

ასახვის თაობაზე: „*პ. ცინცაძის მიერ ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი – ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ანუ «უდანაშაულო მსხვერპლის» მოტივის — ინტერპრეტაცია, რომელიც «კლასობრივი თეორიის» კონტექსტშია განხილული, «ძველისა» და «ახლის» სწორედ ამგვარი დაპირისპირებით არის წარმოდგენილი*“ (გვ. 278).

ამგვარი რამ ამ წიგნში არაფერია! პოლ. ცინცაძე მკვლელობასთან დაკავშირებით ლაპარაკობს მხოლოდ იმაზე, რომ ტარიელმა დაარღვია ფეოდალურ-რაინდული ბრძოლის წესი და სასიძო მიპარვით მოკლა.

პოლ. ცინცაძეს კ. კეკელიძის მიმართ სქოლიოში აქვს ერთი ასეთი უზუსტო, ბუნდოვანი გამოთქმა. „*პროფ. კ. კეკელიძე კი ძველი ფეოდალური მორალის თვალსაზრისით სჯის და აფასებს «ვეფხის-ტყაოსნის» კოლიზიის ამორალურ მომენტს. იგი ამბობს: «კარზე მომდგარი უბედურება ჰსურს უკუაქციოს უდანაშაულო ადამიანის ვერაგულად მოკვლით. ხოლო ასეთი ლაჩრული საქციელის გასამართლებლად ის მზადაა გაიმეოროს ნესტანის მიერ ნაკარნახევი სიტყვები». პროფ. კეკელიძე, ამრიგად, აქ არა ლიტერატურული თვალსაზრისით აყენებს და სჭრის საკითხს «ვეფხის-ტყაოსნის» კოლიზიისა და ტარიელის მოქმედების შეფასებისა, არამედ ჩამორჩენილი ფეოდალურ-რაინდული მორალის თვალსაზრისით, რომელსაც არავითარი ფასი არა აქვს*“ (გვ. 108, შენიშვნა 2).

ქალბატონი მარიამი ისე „ავითარებს“ და განაზოგადებს კონკრეტულ საკითხზე ნათქვამ ამ მოსაზრებას, თითქოს პოლ. ცინცაძე სადმე ამბობდეს, რომ კ. კეკელიძე „*ჩამორჩენილი ფეოდალურ-რაინდული მორალის მქონე პიროვნებაა*“.მ. კარბელაშვილი წერს: „*ტარიელის ქცევის ამ უარყოფითი შეფასების გამო პ. ცინცაძის წიგნში კ. კეკელიძე «მხილებულია», როგორც «ჩამორჩენილი ფეოდალურ-რაინდული მორალის მქონე» პიროვნება*“ (გვ. 278).

სინამდვილეში, თუ პოლ. ცინცაძის მსჯელობას მთლიანად გავეცნობით, ვნახავთ, იგი ლაპარაკობს არა კ. კეკელიძეზე, როგორც „*ჩამორჩენილი მორალის მქონე პიროვნებაზე*“, არამედ საკითხის განხილვის მეთოდებზე. აქ ერთმანეთთან დაპირისპირებულია ლიტერატურულ და რეალურ სინამდვილეზე დამყარებული თვალსაზრისები.

ამგვარი მიდგომები კიდევ უფრო ადვილად დასანახავია მეორე შემთხვევაში. მ. კარბელაშვილი გადაჭრით წერს: „*საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში ეს «ახლებური ინტერპრეტაცია» ვეფხისტყაოსნის საკვანძო მომენტების შეფასებაში დომინანტური გახდა და დღემდე მოაღწია. მაგრამ მას ჰყავდა, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ კატეგორიულად მოწინააღმდეგეებიც: ერთ-ერთი მათგანი იყო კორნელი კეკელიძე, რომელიც არასოდეს შერიგებია «ამ რეაბილიტაციას» და რომელმაც დასვა სრულიად კონკრეტული კითხვა: «იზიარებდა თუ არა რუსთაველი პრინციპს:* ***მიზანი ამართლებს საშუალებას?»***“ (გვ. 281).



ვინც ამას წაიკითხავს, ეგონება, ბატონი კორნელი ამ აფორიზმს იყენებს სასიძოს მკვლელობის ამორალურობის დასამტკიცებლად. სინამდვილეში იგი ეხება ფატმანთან ავთანდილის სქესობრივ კავშირს. აი, რას ამბობს კ. კეკელიძე მ. კარბელაშვილის მიერ ციტირების გარეშე დატოვებულ მითითებულ სტატიაში: „*დამაფიქრებელია ინტერპრეტაცია ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობისა: ეს ურთიერთობა, მკვლევარის* (გიორგი ნადირაძის — **ბ. დ.**) *აზრით, დასაძრახისი იქნებოდა, ის რომ არ იყოს ობიექტური მიზნით გამოწვეული ამბავი და გარემოების აუცილებელი შედეგი. მეორე მხრით, – იგი რომ არ იწვევდეს თვითონ ავთანდილის ზიზღსა და გულისწყრომას. რასაკვირველია, იგი იყო ნაკარნახევი გარკვეული მიზნით, მაგრამ, უნდა ვიკითხოთ: იზიარებდა თუ არა რუსთაველი პრინციპს:* ***მიზანი ამართლებს საშუალებას****?*“ [11]

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ მეცნიერება ყველგან და ყველაფერში სიზუსტეს მოითხოვს. ისე კი ბატონი კორნელის ეს მიდგომა, შეიძლება სასიძოს მკვლელობის განსასჯელად მართლაც მიგვესადაგებინა, რადგან მომდევნო სტრიქონებში ის ხატაელების წინააღმდეგ ტარიელის პირველ ბრძოლას უსამართლობად მიიჩნევს: „*მე ვფიქრობ*, — წერს იგი, — *რომ ვერც თუ ინდო-ხატაელთა პირველი ომია ჯეროვნად გამართლებული. როდესაც ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს არა ჩვენი დროის «სამართლიანი» და «უსამართლო» ომები. (...) მართლაც, თუ ინდოელები, როდესაც საქმე მათ ეხება, უფლებას იტოვებენ ენერგიულად განაცხადონ ნესტანის პირით: «სპარსთა ვერა ვიქ ჭამასა, ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა» და «ესე ამბად არ ეგების, — რომე სპარსნი გაგვიხასდნენ», რატომ ხატაელებს არ ჰქონიათ უფლება მსგავსი სიტყვები წარმოეთქვათ? მათ უნდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვონ და მონობისაგან განთავისუფლდნენ. გამოდის, ასეთი სურვილი მათი მხრივ დანაშაულია, რისთვისაც ისინი სასტიკად ისჯებიან. ასეთი მიდგომა საკითხისადმი ხელს შეუწყობდა ქართველების თავდაცვის უნარს: ვისი «სახარაჯო» არ ყოფილა ძველად საქართველოში? მაშ, მათ ხელი უნდა აეღოთ პოლიტიკურ ძრძოლასა და თავდაცვაზე?*“

**აი, სწორედ ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების არა ლიტერატურული, არამედ განყენებულად, რეალურობაზე დამყარებული თვალსაზრისით განსჯა, რასაც პოლ. ცინცაძე ბა-**

11 კ. კეკელიძე, ეტიუდები..., X, თბ., 1968, გვ. 291; მისივე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1971, გვ. 280.

**ტონ კორნელის სამართლიანად უწუნებს და რასაც მ. კარბელაშვილი თავისი საკითხის გადასაჭრელად იყენებს**.

პოლ. ცინცაძეს ნამდვილად აქვს მოუხომავი, საჩოთირო და მიუღებელი სიტყვები, ფრაზები და აზრებიც: რუსთაველმა *„უარყო საგმირო მორალი“*. ან დასკვნის სახით ნათქვამი: *„ამრიგად, რუსთველი ტარიელს აქამოქმედებს არა ფეოდალური რაინდული თვალსაზრისით და მორალით,* არამედ, *სხვა უფრო მაღალი, გონივრული მოსაზრებით. ნესტან-დარეჯანი და ტარიელი რუსთველს ფეოდალურ-რაინდული მორალის მოღალატედ გამოჰყავს და ამაშია მთელი იდეური სიახლე და სიდიადე ამ მომენტ(ი)ს(ა)“* (გვ. 82).

მ. კარბელაშვილი სავსებით სწორად აღნიშნავს ამ ნაკლს, მაგრამ არასწორია აქედან გამოყვანილი მისი განზოგადებული დასკვნა: *„თუ ამ სოფისტურ მსჯელობაში სიტყვათა რეალურ შინაარსს დავაზუსტებთ, გამოვა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორმა უარყო ზოგადსაკაცობრიო მორალი, რომელიც მარადიული კატეგორიაა“* (გვ. 279).

მიუღებელია პოლ. ცინცაძის შეხედულება, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ კოლიზიას მორალისა და ამორალურობის დაპირისპირება ქმნიდეს. ამ მხრივ ის, გარდა სასიძოს მკვლელობისა, განიხილავს, აგრეთვე, ნესტან-დარეჯანის გათხოვების საკითხს. ვნახოთ ეს მსჯელობაც: *„«ვეფხისტყაოსნის» კოლიზიას ავტორის გარკვეული მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად. მან უარყო საგმირო მორალი და მოგვცა ქალის ძლიერი პროტესტი ტრადიციული გათხოვების წინააღმდეგ. საერთოდ ამორალიზმს და, მეტადრე, ამორალურ კოლიზიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოებისა და მწერლის შემოქმედებისათვის, რამდენადაც ის მით უპირისპირდება თავისი ხანის ტრაფარეტულ ან დახავსებულ მორალურ შეხედულებებსა და მოქმედებებს. ამდენად ის არა ჩვეულებრივ უბრალო შეუმჩნეველ სახეს ატარებს, არამედ მორალურისა და ამორალურის ან ძველისა და ახლის დაპირისპირების ხასიათს. ასეთი დაპირისპირება მორალურისა და ამორალურის, ძველისა და ახლის სახით, დიდ სიცხოველეს აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს და წარმტაცად ხდის მას, რამდენადაც ეს დაპირისპირება მორალურისა და ამორალურის, ძველისა და ახლის ან უძველესისა და ძველის მარადიულ სახეს ატარებს. ამორალურის ეს დიდად მნიშვნელოვანი მომენტი, როგორც აღვნიშნეთ, «ვეფხის ტყაოსნის» კოლიზიაშივეა ჩაქსოვილი დიდი ოსტატობით, როგორც ახალი ნოვატორული შეხედულება, რომელიც ძველ მორალს უპირისპირდება“* (გვ. 107-108).

ვიმეორებთ, ეს პოლ. ცინცაძის შთაბეჭდილება, ინტერპრეტაციაა, რაც, ჩვენი აზრით, გამართლებული არაა, თუნდაც იმიტომ, რომ ნესტანი არსად აპროტესტებს, ჩემს დაუკითხავად რატომ მათხოვებენო. „ვეფხ-



ისტყაოსანში“ ამაზე არვინ საუბრობს.

ახლა ვნახოთ, ამ არასწორი მოსაზრებიდან მ. კარბელაშვილს რა აზრი გამოაქვს და რა საითკენ მიჰყავს: „*პ. ცინცაძემ volens –nolens*[12] *პირდაპირ თქვა, რომ წიგნის დაწერის დროს – XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში ზნეობრივი კატეგორიების სრული გადაფასება – უფრო ზუსტად კი გაუფასურება – მოხდა: მორალური ქცევა «ძველია», მათი უარმყოფელი ამორალურობა კი — «ახალი,» ანუ ახალი საბჭოთა დროის კუთვნილებაა: ეს იმ ტრაგიკული დროის დამღაა, რომელიც თავისდაუნებლიედ გააცხადა წიგნის ავტორმა*“ (გვ. 280).

სინამდვილეში იქ არსად „საბჭოთა დრო“ არც ნახსენებია და არც ნაგულისხმევი. დავუშვათ, რომ მ. კარბელაშვილის ამ ინტერპრეტაციას რაღაც გამართლება აქვს, საკითხავია, ასე „გასაშიფრავმა“ წინადადებამ, წინადადებებმა თუ აზრებმა მთელი რუსთველოლოგია თავის ჭკუაზე როგორ წაიყვანა?!

* * *

მ. კარბელაშვილი საკმაოდ ფართოდ იმოწმებს პოლ. ცინცაძის წიგნზე **გაიოზ იმედაშვილის** მიერ გამოთქმულ უარყოფით შეფასებას, რომელსაც ეს ცნობილი და დამსახურებული რუსთველოლოგი 1941 წელს გამოცემულ თავის წიგნში *„რუსთველოლოგია“* იძლევა. მართლაც, ბატონი გაიოზი მკაცრად და სამართლიანადაც აკრიტიკებს ამ წიგნს, მაგრამ არა იმ საკითხის — ტარიელის მიერ სასიძოს მიპარვით მოკვლის შეფასების — გამო, როგორც მ. კარბელაშვილი წარმოგვიდგენს, არამედ სხვა, ფილოსოფიური საკითხების, კერძოდ, შოთა რუსთველის სტოელად გამოყვანის გამო.

მ. კარბელაშვილი წერს: პოლ. ცინცაძის წიგნს *„გაიოზ იმედაშვილის შეფასებით, «სიზიფური შრომის ხასიათი აქვს»“* (გვ. 277). ბატონი გაიოზი მითითებულ ადგილას კი აღნიშნავს: *„ავტორის მიერ წამოყენებულ დებულებას რუსთველის სტოელობის შესახებ და მთელ მის არგუმენტაციას რუსთველოლოგიაში სიზიფური შრომის ხასიათი აქვს“* (გვ. 173).

მ. კარბელაშვილს მოჰყავს გ. იმედაშვილის სიტყვები: *„ამ წიგნში აღძრულ რუსთველოლოგიის საკვანძო რთულ საკითხებს, სამწუხაროდ, არ შეეფერება ავტორის ნაჩქარევი მსჯელობანი, რომლებიც ეყრდნობიან ყოვლად გაუმართლებელ, დაუშვებელ ანალოგიებს, შემთხვევით დამთხვევებს, სპეციალური ლიტერატურის ტენდენციურ გამოყენებას ანდა უგულებელყოფას და, ბოლოს რუსთველის მსოფლმხედველობის*

[12] **ნება-უნებურად, გინდა, არ გინდა — ბ. დ. (ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით, შეადგინა აკაკი ურუშაძემ, თბ., 1987, გვ. 115)**

*მთლიანი სურათის მოცემას წინასწარ აღებული საკუთარი კონცეპციის შესაბამისად“* (გვ. 277).

ბატონი გაიოზის წიგნში ამ მსჯელობას უშუალოდ წინ უძღვის სიტყვები: „*ავტორი აყენებს რუსთაველის სტოელად მიჩნევის დებულებას*“ და შემდეგ მოდის დამოწმებული ციტატა: „*ამ წიგნში* ...“. ციტატა კი გრძელდება: „*ავტორის ძირითადი ცდა რუსთველის სტოელად გამოყვანისა ემყარება...*“ და აღნიშნავს, რასაც ემყარება (გვ. 170).

მ. კარბელაშვილი აგრძელებს გ. იმედაშვილის სიტყვებს: „*ასევე უძლურია ავტორი ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის დადგენაში და ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემათა გაგებაში. აქაც მას ახასიათებს ეკლექტიზმი და არა თანმიმდევრულობა*“ (გვ. 277).

ახლა ჩავხედოთ ბატონი გაიოზის წიგნს. ამ შეფასების დამადასტურებელ მაგალითად ის ასახელებს იმ შეუსაბამობას, როდესაც პოლ. ცინცაძე დ. ჩუბინაშვილისა და ნ. მარის შეხედულებებს შორის კავშირს ამყარებს და ერთმანეთის მორიგებას ცდილობს: „*მაგ., ვეფხისტყაოსნის ალეგორიული მნიშვნელობის გაგებაში ის ჩუბინაშვილის მოძველებული აზრებით იკვებება, მაშინ როდესაც ვეფხისტყაოსნის იდეის და რუსთველის პიროვნების გაგებაში მარს ეყრდნობა, თუმცა, ამავე დროს, პოემის კოლიზიის დასაწყისად მძინარე სასიძოს მოკვლის მიჩნევით, ან კიდევ მეგობრობასა და მიჯნურობას შორის წინააღმდეგობის არარსებობის მტკიცებით, უგულებელჰყოფს მარის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ძირითად იდეაზე (მარის უკანასკნელი დებულება, რომ ვეფხისტყაოსანი არის არა მიჯნურობის, არამედ მეგობრობის ამსახველი ნაწარმოები)*“ (გვ. 173).

დიახ, აქ „მძინარე სასიძოს მოკვლა“ კი არის ნახსენები, მაგრამ გ. იმედაშვილი მის ზნეობრივ შეფასებაზე კი არ მსჯელობს, არამედ პოლ. ცინცაძეს იმას საყვედურობს, რომ იგი სხვათა შეხედულებებს არასწორად აკავშირებს ერთმანეთთან და „*კოლიზიის დასაწყისად*“ ამ მკვლელობას ასახელებს.

აი, ასეთია დასმული კუთხით განხილული პოლ. ცინცაძის წიგნის რაობა და მისი კრიტიკა. იგი შორსაა ობიექტურობიდან და მას საფუძვლად უძევს თვითნებურად გაგებული და ერთმანეთთან ამგვარადვე დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის მქონე ფრაზები და წინადადებები.

* * *

კონფერენციის მასალებში წარმოდგენილ სტატიაში „*ტარიელის რეაბილიტაციის თეორიის*“ საფუძვლად მიჩნეული და „განხილულია“ მხოლოდ პოლ. ცინცაძის წიგნი, ხოლო „*ლიტერატურულ ძიებანში*“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც ზემოთ შევეხეთ, დამატებული



ლია **ალექსანდრე ბარამიძის** ნაშრომი „*ტარიელი*“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1938 წელს გამოსულ წიგნში „*რუსთაველის კრებული*“ (გვ. 85-106) და შემდეგ რამდენიმეჯერ გამეორდა (თუ სად და რა ენებზე, ბატონი ალექსანდრე ქვემორე დასახელებულ სტატიაში თავად აღნიშნავს). ქალბატონი მარიამის სტატიაში ეს ნარკვევი მხოლოდ დასახელებულია და არაა ნაჩვენები და გაანალიზებული, რაზე და როგორაა მასში მსჯელობა. ამიტომ ბატონი ალექსანდრეს ამ ნაშრომს არც მე განვიხილავ, ოღონდ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავ.

ალ. ბარამიძე ნამდვილად ეხება და გადაჭრით აკრიტიკებს კ. კეკელიძის „*ქართული ლიტერატურის ისტორიის*“ მეორე ტომის პირველი გამოცემის დამოწმებულ ამონაწერში წამოჭრილ შეხედულებებს. მასთან ერთად ასევე პრინციპულად უარყოფს სხვათა (ნ. გულაკის, იუსტ. აბულაძის, მ. კელენჯერიძის, ი. ჯაბადარის...) მიერ გამოთქმულ ტარიელის დამამცირებელ მოსაზრებებს და მისთვის დამახასიათებელი სიღრმითა და სიფართოვით ასაბუთებს მათ მიუღებლობას.

პოლ. ცინცაძის წიგნს არა, მაგრამ ალ. ბარამიძის ნაშრომს კი შეეძლო (და შეძლო კიდევაც) ზეგავლენა მოეხდინა ტარიელის სახის მეცნიერულ გაგებაში. ამიტომაა, ვლადიმერ ნორაკიძე ტარიელის სახის „რეაბილიტაციას“ უკავშირებს არა პოლ. ცინცაძეს, არამედ სწორედ ალ. ბარამიძეს.

ვინც ბატონი ალექსანდრეს ამ ნაშრომს წინასწარ შემუშავებული აზრით კი არა, მიუკერძოებლად წაიკითხავს, იქ ვერაფერს ნახავს ისეთს, მასში საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენის რაიმე ნასახი ჩანდეს.

კი, ბატონ ალექსანდრეზეც დამთრგუნველად მოქმედებდა საბჭოთა რეჟიმი. ამაზე თავის მოგონებებში თვითონაც წერს და მისგან და მისი დიდებული მეუღლე ნინო ელიაშვილისაგან პირადად მომისმენია, რომ იმ წლებში თავიანთ სახლთან ყოველი მანქანის გაჩერებაზე რა შიშსაც განიცდიდნენ, მაგრამ ტარიელის სახის იმნაირი გაგება, როგორსაც მ. კარბელაშვილი გვთავაზობს, არც საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა და ამის მოთხოვნას მისგან არც ალ. ბარამიძე გრძნობდა.

რადგან აქ გამბედაობაზე ჩამოვარდა საუბარი, უთუოდ ყურადღებას იპყრობს ბატონი ალექსანდრეს პრინციპულობა, რომ მან, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, გვერდი არ აუარა თავისი უდიდესი მოამაგისა და, თამამად შემიძლია ვთქვა, უსაყვარლესი მასწავლებლის, კ. კეკელიძის, მცდარ თვალსაზრისსა და პირუთვნელად შეაფასა იგი.

როცა ამ გამოგონილ საკითხებზე ღია კარებს ვამტვრევთ, საკითხავია, შემდეგ როგორ უყურებდნენ ყოველივე ამას ალექსანდრე ბარამიძე და კორნელი კეკელიძე?

ალ. ბარამიძე მოესწრო კომუნისტური რეჟიმის დამხობას. თავის მოგონებათა ორ წიგნში, რომელთაგან პირველი ორჯერ გამოიცა, ბევრი

რამ გვიამბო ისეთი, რასაც ადრე ვერ ბედავდა, მათ შორის სამეცნიერო საქმიანობის შესახებაც. მაგრამ ტარიელის სახის გაგებაში რაიმე არსად შეუცვლია ან დაუმატებია. პირიქით, მას ბოლომდე იცავდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე იგი აქვეყნებს წერილს, „მცირეოდენი განმარტება“, სადაც აკრიტიკებს გურამ შარაძეს, რომელმაც აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში მის მოცილედ თუ მოწილედ ისიდორე მანწკავა დაასახელა[13].

კიდევ უფრო მთავარია აღნიშნული კრიტიკისადმი თავად კ. კეკელიძის დამოკიდებულება!

სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს მ. კარბელაშვილის განცხადებას, რომ *„კორნელი კეკელიძე არასოდეს შერიგებია ამ (ტარიელის —* ***ბ. დ.****) «რეაბილიტაციას»“* (გვ. 281). **ნამდვილად კი მან მიიღო კრიტიკა და ტარიელის აღნიშნული უარყოფითი დახასიათება შემდეგ გამოცემული თავისი ნაშრომებიდან თითქმის მთლიანად ამოიღო და აღარსად გაუმეორებია იგი**.

* * *

დასასრულ განვიხილოთ კიდევ ერთი „ინტერტექსტობრივი“ გამოვლინება, რომელიც კონფერენციის მასალებში დაბეჭდილ სტატიაში ჟღერს (დიახ ჟღერს!). მ. კარბელაშვილი ამ წერილს ასე ამთავრებს: *„რუსთაველი ვეფხისტყაოსნის მკითხველს «საქმეს საჭოჭმანოს»“ უჩენს, მორალური არჩევანის წინაშე აყენებს, სცდის მას და მისი სულის ზუსტ ანაბეჭდს იღებს, რათა უთხრას: ადამიანო, შეიცან თავი შენი და სახელმწიფო შენი!“* მიუთითებს 1991 წელს მ. ევდოშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ თავის სტატიას და აგრძელებს: *„მაშინ ამაზე მეტს ვერ დავწერდი, ახლა ვაზუსტებ: შოთა რუსთაველმა თავის ყოველ მკითხველს მოგვმართა: თუ შენ ადამიანის სიცოცხლე არაფრად გიღირს, იცოდე, ტოტალიტარულ-ტირანული სახელმწიფოს მოქალაქე ხარ! შენც შენი სახელმწიფოს მსგავსად დაუნდობელი გამხდარხარ! დაფიქრდი!“* (გვ. 281).

უთუოდ მახვილად დაწერილია, მაგრამ სიმართლისაგან ძალიან შორსა დგას, იმდენად, რომ კომანტარები ზედმეტია. ოღონდ ერთი მაინც საკითხავია: 1991 წელს „ტოტალიტარულ-ტირანული სახელმწიფო“ აღარ იყო და ამის დაწერა მაშინ რატომ არ შეიძლებოდა?!

სულ ბოლოს ვიტყვი: ე. წ. ტარიელის რეაბილიტაცია საბჭოთა რეჟიმს არ უკავშირდება, მაგრამ, სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ, „ინტერტექსტობრივი“ მეთოდით ქართული კლასიკური ლიტერატურის კვლევ-ძიება კი წინა ხელისუფლების ადმინისტრაციული ძალისხმევის

**[13] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 18 მარტი, 1994, გვ. 2.**



გამოვლინება და შედეგებია!

* * *

ჩვენი დასკვნებია:

1. არ არის გამართლებული მარიამ კარბელაშვილისა და მავანთა მეთოდი, როდესაც „ვეფხისტყაოსნში“ ასახულ მკვლელობებს, სახელდობრ, ტარიელის მიერ ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობის ზნეობრიობას პოემისაგან განყენებულად, არა ლიტერატურული, არამედ, ქრისტიანული რელიგიისა და, საერთოდ, ზოგასაკაცობრიო თვალსაზრისით განიხილავენ.

2. „ვეფხისტყაოსანი“ საერო თხზულებაა. მასში აღწერილი მკვლელობები ასახავს რეალურ საერო ცხოვრებას. ისინი ყოველთვის მოტივირებულია და მთავარი გმირების, მათ შორის ტარიელის, მიერ ხვარაზმშაჰის „უდანაშაულო“ ძის მიპარვით მკვლელობა არც მისი მთავარი პერსონაჟებისა და არც მწერლის, შოთა რუსთველის, მიერ უსამართლობად, მეტადრე, ცოდვად დასახული და დაგმობილი არ არის, პირიქით, ღვთის ნების აღსრულებად არის მიჩნეული.

3. არასწორია და თვითნებობა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. *დანაშაულისა და სასჯელის* კუთხით შეფასება — სასიძოს მკვლელობის შემდეგ ნესტან-ტარიელის თავგადასავალი, წვალება და წამება მწერლის მიერ მონანიებად, განსაწმედელ საშუალებად მიჩნევა.

4. უაღრესად სუბიექტური და მაცდურია „ინტერტექსტობრივი“ მეთოდით ქართული კლასიკური მწერლობის განხილვა. სიმართლეს არ შეეფერება მოსაზრება, თითქოს ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულებაში აღწერილი მკვლელობა, მორალური თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანს“ ეხმაურებოდეს და მასთან რაიმე ორგანული კავშირი ჰქონდეს.

5. სიმართლესთან არავითარი შეხება არა აქვს შეხედულებას, თითქოსდა ტარიელის მხატვრული სახის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებაში რაიმე ზეგავლენა საბჭოთა წყობასა და მის იდეოლოგიას მოეხდინოს. ინტერტექსტობრივი და სხვა სტრუქტურალისტური ლიტერატურულ-თეორიული თვალსაზრისით, მეთოდებით ქართული კლასიკური ლიტერატურის განხილვა კი, რომელმაც ჩვენში ამ ბოლო ხანს აკადემიზმი შეცვალა და ლიტერატურათმცოდნეობას შავი ჭირივით მოედო, უშუალოდ სახელმწიფო-სამთავრობო ზეგავლენითა და შეუპოვარი ძალისხმევით მოხდა და ხდება.

ბონდო არველაძე

# მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე პერიოდულად ვითარდებოდა და მოიცავდა მრავალ სფეროს — ისტორიას, მწერლობას, რელიგიას და ა. შ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მრავალმხრივი ურთიერთობის ისტორიის მეცნიერულ კვლევას ეწეოდნენ გამოჩენილი მეცნიერები — ნ. მარი, აკ. შანიძე, ილ. აბულაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვ. ეს ტრადიცია გააგრძელა და დღეს ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, რომლის მრავალწლიანი შრომის შედეგია ახლახან გამოსული ვრცელი კრებული „ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები“. მასში გაანალიზებულია ამ ორ ერს შორის არსებული პრობლემები. ამთავითვე გვსურს აღვნიშნოთ, კრებულში შესული ნარკვევები, მართალია, პოლემიკური შემართებით არის დაწერილი, მაგრამ ეს ავტორს წონასწორობას ვერ აკარგვინებს და საკამათო თემას ობიექტურად განიხილავს. ნარკვევები გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს, მაგრამ ქრონოლოგიურად და თემატურადაც ისეა დალაგებული, რომ ფაქტობრივად ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობის ისტორიას წარმოადგენს. პირველი ნაწილი მოიცავს VI-XI სს. — დვინის საეკლესიო კრებიდან (506) ღრტილას საეკლესიო კრებამდე (დაახ. 1045). შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს პერიოდი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე რთული ხანაა. დავიწყოთ თუნდაც დვინის საეკლესიო კრებით (506). ამ წელს დვინში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ქვეყნების გაერთიანებული საეკლესიო კრება. მასში მონაწილეობა მიიღეს ქართლის კათოლიკოსმა და ქართველმა ეპისკოპოსებმა. ეს კრება საინტერესოა იმით, რომ მასში 24 ქართველი ეპისკოპოსი იღებდა მონაწილეობას, რაც იმაზე მოწმობს, რომ ქართლის ეკლესია ამ დროს ძლიერი ყოფილა. ეს კრება საყურადღებოა იმითაც, რომ მან ის სარწმუნოებრივი მიმართულება აღიარა, რომელიც ბიზანტიაში ოფიციალურ რელიგიად იყო მიღებული.



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომხური წყაროების მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ თითქოს დვინის კრებაზე მონოფიზიტური პოზიცია დაიკავა. მაშინ, როცა მონოფიზიტობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქართლის კათოლიკოსი კირიონ I. იგი სომეხთა კათალიკოსს აბრაამს სწერდა, რომ მის დრომდე და მის დროსაც ქართველებს ჰქონდათ სარწმუნოება, რომელსაც იერუსალიმის სარწმუნოება ეწოდება, რადგანაც ნათქვამია — „სჯული სიონიდან გამოვა“. ამასთან დაკავშირებით მეუფე ანანია მართებულად აღნიშნავს: „XI ს-შიც ბერძნებთან მოკამათე გიორგი მთაწმიდელიც ამტკიცებდა, რომ ქართველებს მტკიცედ უპყრიათ და ადრეც ეპყრათ ის სარწმუნოება, რომელიც მოციქულებიდან მიიღეს — „წმიდათა მოციქულთაგან განათლებულნი ვართ. და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გუცნობიეს, არღარა უარ-გუყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ“.[1] ამ საკითხთან დაკავშირებით მეუფე ანანია შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „სომხური ეკლესია თავიდანვე მიდრეკილი იყო მონოფიზიტობისკენ, ქართული კი პირიქით, ქალკედონის კრებას უჭერდა მხარს, ამიტომ იქცა ქალკედონიტობა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად“.[2] აქვე ხაზგასმულია ის ისტორიული ფაქტიც, რომ ირანი განსაკუთრებულად მხარს უჭერდა სომხურ ეკლესიას და მასზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა, რათა მიეღო ის სარწმუნოება, ბიზანტია ერესად რომ თვლიდა. ბიზანტია გამოკვეთილად უჭერდა მხარს ქალკედონიტობას. ერთი სიტყვით, სომხურ ეკლესიას ირანის ძალდატანებით უნდა ეღიარებინა მონოფიზიტობა და ასეც მოხდა. ეს არის ისტორიული რეალობა. მაგრამ სომხური ეკლესია მუდამ მონოფიზიტური არ იყო. VII-VIII სს-ში, მთელი 85 წლის განმავლობაში იგი დიოფიზიტური სარწმუნოების მიმდევარი იყო. ამ მოვლენას სომეხი ისტორიკოსებიც აღიარებენ. მოვუსმინოთ სამველ კარაპეტიანს: «В 451 году в Халкидоне было провозглашено вероучательное положение христианства, согласно Иисус Христос одновременно является и Совершенным Богом, Совершенным Человеком, одним Лицом и одним Существом, объединяющем две природы. Армянская же Апостольская Церковь несогласная с положениям собора. Армянская церковь, которая признает определение Ефесского Собора и превозглашает так называемую одну природу, как неразделимое единство двух природ, создала Армянский патриархат, но в 630 году по примеру Грузинской Церкви, Армянский Каталикос Езр I (630-641 гг.) и последующие пять каталикосов на 85 лет приняли халкидонство. Епископы Армении были

[1] გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისა / ძეგლები, II, გვ. 154.

[2] ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობანი, 2011, გვ. 9.

халкидонистами до католикоса Овнана Одзнеди (717 г.), когда Армения была разделена между Персией и Византией. Однако на собрании служителей Армянской Церкви в 726 году в Маназкерте, было принято решение, отстраниться от Халкидонского Собора»[3].

მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი ჰერეთში სომხური მოსახლეობის არსებობის შესახებ. მეუფე ანანია არ იზიარებს ამ ჰიპოთეზას და მეცნიერულად განხილვის შემდეგ ასეთ დასკვნას გვაწვდის: „ჰერეთი ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში, IV-V სს-ში, ქართული ეკლესიის ნაწილი იყო. VI-X სს-ში ჰერეთის დიდი ნაწილი მონოფიზიტურ-სომხურ ეკლესიაში შედიოდა. X ს-ში ჰერეთი დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას, შესაბამისად IV-V სს-ში ჰერეთის საეკლესიო ენა ქართულია, VI-IX სს-ში — სომხური, X ს-დან კვლავ ქართული“.[4]

ვფიქრობთ, კრებულის ერთი ყველაზე საინტერესო თავია ასურელი მამების ბრძოლა მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ისინი საქართველოში ჩამოდიან VI ს-ის შუა წლებში და აღესრულენ VII ს-ის დასაწყისში. „მაგრამ საზოგადოდ ქართველი ერის სიმტკიცისა და მდგრადობის გამო საქართველოში მწვალებლობას ვერ გაუმარჯვნია, რასაც სიამაყით აღნიშნავენ კიდეც ქართველი მოღვაწენი“,[5] — მართებულად წერს მეუფე ანანია.

ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი მხრივ აქვე გვსურს დავძინოთ: გარდა ქართველი ერის „სიმტკიცისა და მდგრადობისა“, მონოფიზიტობამ ფეხი ვერ მოიკიდა ქართლში იმიტომ, რომ ამ პერიოდში ქართლის კათოლიკოსი იყო კირიონ I (591-615), რომელიც კატეგორიულად წინ აღუდგა მონოფიზიტობას და შეუდრეკელი პრინციპულობით დაიცვა დიოფიზიტობა. ამის ურყევი საბუთია „ეპისტოლეთა წიგნი“. მასში შესულია კირიონ I მიერ სომეხ მღვდელთმთავრებისადმი გაგზავნილი საპასუხო ეპისტოლეები. ამ ეპისტოლეებში ნათლად ჩანს ქართველი მღვდელთმთავრის განსწავლულობა და დიოფიზიტური სარწმუნოების ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნებული ეროვნულ პოზიციაზე მტკიცედ მდგომი დიდი სასულიერო მოღვაწე. ამის შესახებ აკად. კ. კეკელიძე წერდა: „კირიონ I კათოლიკოსი დიდი პატრიოტია, რომელიც მედგრად იცავს სამშობლოს ინტერესებს სომხებთან კამათისა და ცილობის პირობებში“.

კათოლიკოსი კირიონ I მცხეთელი ფართო მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე და თავის ერის ღირსეული შვილი იყო. მისი ეროვნულობა იმდენად გამორჩეული იყო, რომ სომეხი ისტორიკოსი ლეოც (ბაბახანიანი,

---

[3] **С. Карапетян, На територии Армении Грузинских церквей нет, 2008.** იხ. აგრეთვე მისი „სომხეთში სომეხ-ქალკიდონიტების საკულტო ძეგლები და ქართველთა ახლადგამომცხვარი მოთხოვნები“ (პრეტენზიები). — კრებ. „სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე — ჯავახ, ლორი“, 2010, ერევანი, გვ. 417-423 (სომხ. ენაზე).

[4] ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები, 2011, გვ. 32.

[5] იქვე, გვ. 118.



1880-1936) ვერ ხუჭავს თვალს და იძულებულია მასზე თქვას: „კირიონ I დაწყებული საქმე (იგულისხმება კირიონ I მიერ ქალკედონის კრების გადაწყვეტილების განუხრელი გატარება და ერთგულება — ბ. ა.) ბრწყინვალედ დაასრულა და უფლება მოიპოვა, მას ეწოდოს ქართველი ხალხის ერთგული შვილი“.

კათოლიკოს კირიონ I მცხეთელის ნებისყოფით, ენერგიით და განსაკუთრებით მისი ეროვნული შემართებით აღტაცებულ ექ. თაყაიშვილს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „კირიონ I რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქმნა ეროვნული თვალსაზრისით, ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა, როგორც ჩანს, ჩვენ მას ძეგლი უნდა დაუდგათ“. იცოდა, რას ამბობდა დიდი ექვთიმე.

მართლაც დაამშვენებდა კათოლიკოს კირიონ I მცხეთელის ძეგლი თბილისს. ალბათ, ქველმოქმედიც გამოჩნდება. თუ მთავრობა გამოიღებს ხელს, ამას რა სჯობია. შეიძლება დაგვიანებულია, მაგრამ ნათქვამია — „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. წმინდა სინოდი კათოლიკოს კირიონ I თუ წმინდანად შერაცხავს, ეს იქნება მისი სახელისა და უდიდესი ღვაწლის უკვდავყოფა. კირიონ I უეჭველად დაამშვენებდა ქართველ წმინდანთა დასს!

უპრიანი იქნება თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს კათოლიკოს კირიონ I სახელი. შეიძლება აღინიშნოს კათოლიკოს კირიონ I დაბადებისა და სასულიერო მოღვაწეობის 1500 წლის იუბილე (თარიღის სიზუსტეზე პრეტენზია არ მაქვს). იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდეს სტატიები და წერილები მისი პიროვნების და სასულიერო მოღვაწეობის შესახებ. რადიოსა და ტელევიზიაში მას მიეძღვნას სპეციალური გადაცემები. ეს ღონისძიებანი საჭიროა და აუცილებელი, რათა კათოლიკოს კირიონ I მცხეთელის სახელი ყოველი ქართველი დიოფიზიტის გულში წმინდა სანთელივით გაბრწყინდეს. ყოველივე ამით პატივს მივაგებთ კათოლიკოს კირიონ I ნათელ ხსოვნას.

მოვიდეთ პირველსავე სიტყვას. განსაკუთრებით გვსურს, აღვნიშნოთ ღრტილას კრება (დაახ. 1046). ამ კრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა არის, მაგრამ ყველაზე ფართოდ და გამოწვლილვით ამ ნაშრომშია წარმოდგენილი. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან მეუფე ანანია ჯაფარიძეს ეკუთვნის ოთხტომიანი ნაშრომი საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ, მოყოლებული უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე.

ნარკვევში ნაჩვენებია ის ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ამ კრების მოწვევა. ბაგრატ მეფემ 1046 წელს ჯავახეთში, სოფელ ღრტილაში მოიწვია სამხედრო-სამოქალაქო კრება. ამ კრებას „ჩვეულებისამებრ“ დასწრებია ჯავახეთის მოსაზღვრე პროვინციიდან „მოძღვარი სომხეთისა“ სოსთენი. ამ დროს სოსთენი განაგებდა მარმაშენის სომხურ მონასტერს. იგი მონოფიზიტური სარწმუნოების ღრმა მცოდნე ყოფილა. ამ კრებაზე ქედმაღლურად

დაუწყია მონოფიზიტობის ქება და მტკიცება მისი უპირატესობისა დიოფიზიტობასთან შედარებით. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ღრტილაში მეფესთან მყოფ ქართველ ეპისკოპოსებს — მელქაძეს, გრიგოლ აბუსერიძეს და გაბრიელ უკისძეს სათანადოდ ვერ გაუციათ პასუხი. ამიტომ ანჩელი მთავარეპისკოპოსის კარზე სტუმრად მყოფი ეფთვიმე გრძელი მოუწვევიათ, რათა საკადრისი პასუხი გაეცა გათავხედებულ სოსთენისთვის. ეფთვიმე გრძელს დამაჯერებლად გაუცია პასუხი თავგასული სომეხი მოძღვრისათვის და მონოფიზიტური სარწმუნოება მკრეხელობაში, ერესში უმხილებია.

ამ პოლემიკაში ეფთვიმე გრძელი ეყრდნობოდა „ექვსი მსოფლიო კრების“ მიერ მიღებულ კანონებს. სომხური ეკლესია ცნობდა მხოლოდ პირველ სამ მსოფლიო საეკლესიო კრებას და არ აღიარებდა ქალკედონის IV კრების შემდეგ მოწვეულ კრებებს. მეუფე ანანიას სარწმუნო მტკიცებით: „ძველი ქართული საეკლესიო ტრადიციით, ქართლის პირველ კათოლიკოს პეტრემდე ქართულ ეკლესიაში იყო არა მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი, არამედ ეპისკოპოსთა სიმრავლე“. რაც მთავარია, „კათალიკოსი ქართული ეკლესიისა პეტრე არ იყო ნაკურთხი ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის (მკაწვრელი) მიერ“.[6] ეს კი ქართული ეკლესიის პრესტიჟისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

კრებულის მეორე ნაწილში წარმოდგენილ ნარკვევებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ანტონ I ურთიერთობის საფუძვლიანი ანალიზი სომხებთან და ლათინებთან. ვიდრე ამ ურთიერთობის შესახებ მეუფე ანანიას მეცნიერულ შეფასებას განვიხილავთ, ვფიქრობთ, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ის პერიოდი, როცა ანტონ I უხდებოდა მოღვაწეობა. ეს ის ხანაა (XVII-XVIII სს-ის პირველი ნახევარი), როცა ეჯმიაწინის საგარეო საეკლესიო პოლიტიკის წყალობით „სომხებს“ და „ლათინებს“ საკმაოდ მძლავრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული საქართველოში. მათ მომძლავრებას ინტენსიურად და მიზანმიმართულად ხელს უწყობდა სპარსეთი და ოსმალეთი. მათი მიზანი იყო ქართული დიოფიზიტური სარწმუნოების, რაც შეიძლება მეტად დასუსტება და დაჩიავება. ამ ანტიქართულ ქმედებაში სპარსეთ-ოსმალეთის და ეჯიმიაწინის პოლიტიკა ერთმანეთს ემთხვეოდა. ამ ვერაგული პოლიტიკის ზეწოლის შედეგად ქართველთა ერთმა ნაწილმა გრიგორიანობა მიიღო, რასაც მათი ქართული გვარ-სახელის და ცნობიერების შეცვლა მოჰყვა.

ამ დროს „სომხური ეკლესია, რომელიც XVIII ს-ში მხითარისტების შრომებით გამდიდრდა, სქოლასტიკური ლიტერატურით შეიარაღებული, კათალიკოს ლაზარის (ჭაკუელი) მეთაურობით აღდგა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ და დაიწყო ჩვენში სხვადასხვა ერეტიკური მოსაზრებების და

[6] ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები, 2011, გვ. 326.



მონოფიზიტობის ინტენსიური გავრცელება“.[7]

შეიძლება ითქვას, ამ შემოტევის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ეჯიმიაწინის უზომო სიმდიდრე. ეკონომიკურად წელგამართული ეჯიმიაწინის მიერ დაგეშილი სომეხი სასულიერო პირები ათასნაირი ბინძური ხრიკებით ეწეოდნენ გაჭირვებაში მყოფი ქართული მოსახლეობის გადმობირებას და მონოფიზიტობაზე მოქცევას. „მხითარისტების მიერ თარგმნილი ევროპელ ავტორთა სქოლასტიკური თხზულებები წარმოადგენდა რელიგიური კამათის იარაღს, ჩვენშიც და სომხურშიც უცნაურ სახელმძღვანელოს. სომხებმა ამ სქოლასტიკური იარაღის მეშვეობით (იგი უმთავრესად არისტოტელეს ლოგიკას ემყარებოდა), შესაბამისად, გაუსწრეს ქართველებს, რომლებიც პირველად წააწყდნენ ასეთ სქოლასტიკურ კამათს, რომელიც ადამიანურ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. სომხებმა და კათოლიკე პროპაგანდისტებმა ეს ერთდროულად მომართეს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ“.[8]

სომეხთა კათალიკოსი ლაზარე ჭაუკელი იმდენად გათავხედდა, რომ საქართველოს კათალიკოსის, ანტონ I კარზე დაიწყო ქადაგება: „ერეტიკოსები თვითონ ანტონ I კათალიკოსსაც კი ეკამათებოდნენ. ზემო ქართლის ერთმა სომეხმა მღვდელმა მას ხანგრძლივი კამათი გაუმართა. ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო სომეხთა კათალიკოსი ლაზარე (ჭაკუელი), ანტონ I-ის თანამედროვე, სქოლასტიკურ მოძღვრებაზე აღზრდილი, თავგამოდებული მონოფიზიტი. იგი დაუახლოვდა ანტონს და, როგორც ჩანს, ცდილობდა მის გადაბირებას.[9]

მოწინააღმდეგე პოლემიკაში რომ დაამარცხო, პირველ ყოვლისა უნდა შეისწავლო ის მოძღვრება, რომელსაც ეყრდნობა და შენს წინააღმდეგ იყენებს. კათალიკოსი ანტონ I ასე მოიქცა. მან დაიახლოვა სომეხი სასულიერო პირები და ლათინი პატრები, რათა მათი დახმარებით მეცნიერულად შეესწავლა და ღრმად დაუფლებოდა სქოლასტიკას. მან ლათინურ და სომხურ ენებზე შეისწავლა პირველწყაროები. ამგვარი საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილმა თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნა უზარმაზარი თხზულება „მზამეტყველება“ (1752). მასში განაქიქა ლათინთა და მონოფიზიტთა ერეტიკული მოძღვრება. ამ თხზულებაში იყო პასუხი მონოფიზიტთა და ლათინ სასულიერო პირებთან კამათის დროს წამოჭრილ ყოველ საკითხზე.

მეუფე ანანია ჯაფარიძეს სწორად აქვს ნაჩვენები ის მიზეზი და მიზანი, რის გამოც შექმნა ანტონ I-მა ეს ფასდაუდებელი ნაშრომები. მაგრამ, სამწუხაროდ, თავი იჩინა ქართულმა სენმა — „რატომ კარგი აგიგია“ რომ

[7] თ. ჟორდანია, ანტონ I, საღმრთისმეტყველო კრებული, №1, 1991, გვ. 36.

[8] იქვე, გვ. 76.

[9] იქვე.

ჰქვია. მის მტრებს შეშურდათ მისი და კათოლიკობა დააბრალეს. ამ ცილისწამებას დაერთო ისიც, რომ ანტონ I-მა მტკიცედ მოკიდა ხელი ორგანიზაციულ საქმეს და შეუდგა წესრიგის დამყარებას ქართულ ეკლესიაში, რომელიც საქართველოს ერთიანობის დაშლის გამო სეპარატიზმის სენს შეეპყრო. მაგ., XV ს-ის ბოლოს ალავერდელ ეპისკოპოსს მცხეთისგან დამოუკიდებლობა უცდია. მის შემდეგ, XVIII ს-ში კახეთის ეპისკოპოსები თითქმის დამოუკიდებელნი ყოფილან.[10]

მეუფე ანანია ჯაფარიძეს მეცნიერული ობიექტურობით აქვს წარმოდგენილი ანტონ I-ის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიის ერთიანობის აღდგენის და დაცვის საქმეში. კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე სხვა ნარკვევები, მათში განხილულია ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც აწუხებდა და აწუხებს ქართველ ხალხს. რა თქმა უნდა, მეუფე ანანია ჯაფარიძე აქაც და სხვა მის ნაშრომებში ქართული ეკლესიის დამცველად გვევლინება. მისი ეს კრებული ქართული და სომხური საეკლესიო ურთიერთობის ისტორიის შექმნის პირველი ცდაა, რაც შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს.

[10] იქვე, გვ. 24.

გიორგი პაიჭაძე

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960

### თეზისები

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში XVIII ს-ის 20-იანი წლები მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ პერიოდში საქართველომ გადაჭრით სცადა რუსეთთან კავშირის დამყარებით უცხო დამპყრობლებისაგან განთავისუფლება და რუსეთის მფარველობაში შესვლით შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა. 1722 წელს, კასპიისპირეთში პეტრე I-ის ლაშქრობის დროს, რუსეთი და საქართველო შეეცადნენ, ერთად გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ არახელსაყრელი პირობების გამო რუსეთ-საქართველოს საერთო გეგმა ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამ საკითხის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ისტორიოგრაფიაში იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშუქებულ-გადაწყვეტილი.

საერთოდ, 1722-23 წწ. ლაშქრობის შეფასების მხრივ სამი პოზიცია შეიძლება გამოვყოთ: I. სხვისი მიწების დაპყრობა ფეოდალური სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციას წარმოადგენდა. ამდენად იგი დამახასიათებელია აგრეთვე პეტრე I-ის საგარეო პოლიტიკისთვისაც, რომელიც XVIII ს-ის პირველი ნახევრის რუსეთის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარებით იყო განპირობებული. კასპიისპირეთში ლაშქრობა წარმოადგენდა სწორედ რუსეთის ცარიზმის იმ დაპყრობითი პოლიტიკის გამოხატულებას, რომელსაც კოლონიური მონობისაკენ მიყავდა არარუსი ხალხები. ცარიზმს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები აწუხებდა, საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. ამ პოლიტიკის წარმატების უზრუნველსაყოფად ცარიზმი მოხერხებულად იყენებდა ამიერკავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს.

II. თუ გავითვალისწინებთ იმ კონკრეტულ ვითარებას, რომელიც შეიქმნა XVIII ს-ის 20-იან წლებში ამიერკავკასიაში, სავსებით ნათელი

იქნება პროგრესული, განმათავისუფლებელი ხასიათი რუსეთის ჯარების ლაშქრობისა, რომლითაც თვით ამიერკავკასიის ხალხები იყვნენ დაინტერესებულნი. 1722-1723 წწ. კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობას განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა, რადგან რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებით ადგილობრივ ხალხებს საშუალება ეძლეოდათ თავიდან აეცილებინსთ თურქეთისა და ირანის აგრესია.

III. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობა წარმოადგენდა რუსეთის გაბატონებული კლასების ინტერესებით განპირობებული ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის გამოხატულებას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მხოლოდ რუსეთთან შეერთებით შეეძლოთ უზრუნველეყოთ თავიანთი შემდგომი პროგრესი, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. სწორედ ამიტომ რუსეთის ჯარების ლაშქრობა ამიერკავკასიაში უშუალოდ შეესაბამებოდა ადგილობრივი ხალხების ინტერესებს.

XVIII ს-ის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფოს წინაშე იდგა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა — მოეპოვებინა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი. არასოდეს არც ერთი ერი არ შერიგებია იმას, რომ მისი საზღვაო სანაპიროები და მდინარეების შესართავები ასე ყოფილიყო მისგან მოწყვეტილი. პეტრე I-ის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შეძლო თავისი დროის ამოცანების სიმაღლეზე მდგარიყო და ეთავა მათი გადაჭრა.

რუსეთის დიპლომატია, აქტიურად იბრძოდა რა ევროპაში ბალტიის ზღვის პრობლემის გადასაწყვეტად, ამავე დროს არ ასუსტებდა ყურადღებას აღმოსავლეთის მიმართ. აღმოსავლეთში XVIII ს-ის პირველ მეოთხედში რუსეთის ინტერესების დაცვისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა კასპიისპირეთში ლაშქრობა, რომელიც ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

რუსეთის მრეწველობის განვითარება, რისთვისაც დაუღალავად იღვწოდა პეტრე I-ის მთავრობა, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ნედლეულის ბაზისა და გასაღების ბაზრის გაფართოებას. მდიდარი კასპიისპირა პროვინციების შეერთება კი ხელს შეუწყობდა რუსეთის მრეწველობის სხვადასხვა ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს, ძირითადად აბრეშუმის ნედლეულით მომარაგებას.

კასპიისპირა პროვინციების შეერთება ასევე ხელსაყრელი იყო საფეიქრო, აგრეთვე, თოფის წამლის წარმოების ნედლეულით უზრუნველსაყოფადაც. აქ უხვად იყო სხვა ნედლეულიც (საშენი მასალა, სხვადასხვა ლითონი, ნავთობი). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ პეტრე I ასე დაჟინებით ცდილობდა კასპიისპირეთში გაბატონებას (კავკასია, ირანი, შუა აზია). კასპიისპირეთის ხელში ჩაგდებით რუსეთის მთავრობას სახელმწიფო შემოსავლის ახალი წყარო უჩნდებოდა. სწორედ ამით აიხსნება



პეტრე I-ის მთავრობის დიდი ინტერესი იმ შემოსავლისადმი, რომელიც შაჰის ხაზინას შემოსდიოდა კასპიისპირა პროვინციებიდან.

შავი, ბალტიისა და კასპიის ზღვები, როგორც სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის გზები, პეტრეს ყურადღებას იპყრობდა. იგი, პირველ ყოვლისა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ცდილობდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და ამ მიზნით დაჟინებით ეძებდა ბალტიის ზღვაში გასასვლელს. როცა ეს ამოცანა გადაჭრა, პეტრე I შეუდგა აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესების უზრუნველყოფისთვის ბრძოლას. ირანიდან აბრეშუმის ნედლეულის და ბამბის ქსოვილების გამოტანით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იყო დაინტერესებული. ამიტომაც XVI და XVII სს-ში ევროპელებმა დაჟინებით სცადეს მიეღოთ ტრანზიტის საშუალება რუსეთის ტერიტორიის გავლით.

მაგრამ ევროპელთა მიერ ვოლგის გზის ფართო გამოყენება რუს ვაჭართა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ მოსკოვის მთავრობა მკაცრად იცავდა ირანში სატრანზიტო გზას, რუსეთის მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეული აუცილებლობის შემთხვევაში აძლევდა ევროპელებს სატრანზიტო ვაჭრობის უფლებას და ამასთანავე არასოდეს ღალატობდა საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ივანე IV ითვალისწინებდა საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური გეგმების განხორციელების საქმეში ინგლისის მნიშვნელობას და აძლევდა მას ყველაფერს იმისთვის, რომ მიეღწია მასთან ურთიერთდახმარების შეთანხმებისთვის. მაგრამ ინგლისი გაურბოდა ამ შეთანხმებას, რადგანაც ინგლისის მთავრობის გეგმებს სრულებით არ შეესაბამებოდა რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერება. პირიქით, მოსკოვის სახელმწიფოს მიმართ ინგლისის გეგმებს აგრესიული ხასიათი ჰქონდა. მისი მმართველი წრეები მოსკოვის სახელმწიფოს ეკონომიკაში შეჭრას ლამობდნენ და ამით მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სადავეების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ამიტომ, როცა გამოირკვა, რომ სამხედრო კავშირის საკითხში ინგლისი ატყუებდა მოსკოვის სახელმწიფოს, ივანე IV-ემ წაართვა ინგლისელებს ადრე მიცემული პრივილეგიები. 1572 წ. ივანე IV-ემ ნაწილობრივ აღადგინა ინგლისელი ვაჭრების პრივილეგიები; მაგრამ უფრო გვიან, ივანე IV-ის სიკვდილის შემდეგ, ინგლისელებს ისევ შეუზღუდეს პრივილეგიები და აღმოსავლეთ ქვეყნებში რუსეთის გავლით ვაჭრობის უფლება საბოლოოდ წაართვეს.

XVII ს. პირველი ნახევრის განმავლობაში ინგლისელებმა არა ერთხელ წამოაყენეს მათთვის პრივილეგიების მინიჭებისა და ირანთან სატრანზიტო ვაჭრობის უფლების საკითხი, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო იყო. რუსეთის მთავრობა, ტრანზიტის უფლების მიცემით, ერთი მხრივ, რუსეთ-ირანის ვაჭრობის ინტენსიფიკაციას, კერძოდ, რუსეთის გადაქცე-

ვას ირანსა და ევროპას შორის ვაჭრობის შუამავლად, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთისათვის ეკონომიკური ზიანის მიყენებას ცდილობდა, რამდენადაც ირანის აბრეშუმის გატანის შეწყვეტა თურქეთში ამ უკანასკნელს დააკარგვინებდა მნიშვნელოვან შემოსავალს. პეტრე I დაინტერესებული იყო, ირანის მთელი აბრეშუმი ევროპაში პეტერბურგის გზით გაეტანა, რაც მერკანტილიზმის პოლიტიკას უწყობდა ხელს. მაგრამ მთავრობის ყველა ცდა, გაეხადა რუსეთი აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ვაჭრობაში შუამავალ ქვეყნად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

რუსეთის ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პეტრე I-ის წინაშე აყენებდა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების დაუფლების ამოცანას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდიდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სავაჭრო გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას.

პეტრე I-ის გეგმით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ირანთან, შუა აზიასა და ამიერკავკასიასთან, მათ შორის საქართველოსთან, ვაჭრობის გაძლიერება. რუსეთის დესპანი ირანში არტემ ვოლინსკი აცნობებდა პეტრე I-ს, რომ აზერბაიჯანში — ირანის ბეღელში — შვიდი წლის განმავლობაში მიწები დაუთესავი რჩებოდა, ქვეყნად შიმშილი სუფევდა, ხოლო თავრიზის ქუჩებში ადამიანთა გვამები ეყარა და მათხოვრების ბრბოები დაძრწოდნენ.

ირანში გამეფებული იყო კორუპცია, დიდ ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფებების ბრძოლა, სასახლის ინტრიგები, რამაც განუსაზღვრელ მასშტაბებს განსაკუთრებით უნიჭო შაჰის, ჰუსეინის (1694-1722 წწ.) მეფობის დროს მიაღწია. შაჰი ჰუსეინი სათამაშო თოჯინა იყო სასახლის კარისკაცთა ხელში. ისინი წარმართავდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თანამედროვეთა დახასიათებით, ჰუსეინს აბსოლუტურად არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უნარი. ქვეყნის რიგ რაიონებში სისტემატურად მძვინვარებდა აჯანყებანი. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დაპყრობილ ხალხთა აჯანყებებმა, რომლებიც ჩვეულებრივ შიიზმისაგან სუნიზმის დაცვის იდეოლოგიური დროშის ქვეშ მიმდინარეობდნენ.

1711 წ. დაიწყო აჯანყება დაღესტანში და აზერბაიჯანის ჩრდილო რაიონებში. 1717 წ. არაბებმა აიღეს სპარსეთის ყურის რიგი კუნძულები და მოაწყვეს თავდასხმები ირანის სანაპიროებზე. უზბეკებმა აიღეს ხორასანი, ხოლო ქურთები ჰამადანის რაიონს დაეუფლნენ. სამეფო დინასტიისთვის განსაკუთრებით დამღუპველი გამოდგა ავღანელთა აჯანყება.

1722 წ. 8 მარტს ავღანელთა ბელადმა მირ-მაჰმუდმა გულნაბადთან გაანადგურა ირანის ჯარი და დაიწყო ისპაჰანისთვის ალყის შემორტყმა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ 1722 წლის 12 ოქტომბერს შაჰი ჰუსეინი დანებდა მირ-მაჰმუდს.



თურქეთი, რომელიც უარს ეუბნებოდა დახმარებაზე ირანის შაჰს მირმაჰმუდთან ბრძოლაში, ცდილობდა ეს უკანასკნელი თავის ქვეშევრდომად გაეხადა.

პირველ ყოვლისა, თურქები კავკასიაში თავიანთი უფლებების გაფართოებისაკენ ისწრაფოდნენ. ამ მიზნით მათ დაიწყეს აქტიური მოქმედება ყაბარდოში, დაღესტანსა და აზერბაიჯანში. აქ თურქეთის აგენტებად გამოვიდნენ ოსმალთა მიერ მოსყიდული ცალკეული ადგილობრივი ფეოდალები.

1722 წლისათვის ლეკთა ანტიირანული მოძრაობის ხელმძღვანელთა თურქულმა ორიენტაციამ რეალური გახადა კასპიისპირეთში თურქეთის დამკვიდრების შესაძლებლობა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს. კასპიისპირა პროვინციების დაუფლების შემდეგ თურქეთი შეძლებდა ამ ტერიტორიაზე რუსეთის ვაჭრობისათვის ხელის შეშლას. ცნობილია, რომ იგი ირანული აბრეშუმის რუსეთში შეტანის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, რომელიც აბრეშუმის თურქეთის გზით ევროპაში გატანით იყო დაინტერესებული.

კასპიისპირეთში თურქეთის დამკვიდრება საფრთხეს უქმნიდა, აგრეთვე, რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს. ეს დაკავშირებული იყო საზღვრების მოხაზულობასა, ადგილმდებარეობის ხასიათსა, სიმაგრეთა უქონლობასა და ეთნიკურ თავისებურებებთან. ეს, ასევე, რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა; ამ ფაქტს კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონება საფრთხეს უქმნიდა რუსეთს: ა) აღმოსავლეთში ვაჭრობის ჩაშლით; ბ) კავკასიაში პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიციების დასუსტებით; გ) სამხრეთ-აღმოსავლეთის სუსტად დაცულ საზღვრებზე თავდასხმით. ამიტომ კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონებისთვის ხელის შეშლა რუსეთისთვის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი იყო. ამ საკითხის გადაჭრა კი შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის ჯარების მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით და მისი რუსეთის სრულ მფლობელობაში გადასვლით. ამ განზრახვის შესასრულებლად რიგი ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ჯერ ერთი, ირანში შექმნილი მდგომარეობის გამო პეტრე I-ს შეეძლო შეეერთებინა კასპიისპირა პროვინციები ისე, რომ ირანთან მშვიდობა არ დაერღვია. მეორე, საქართველოსა და სომხეთის სახით რუსეთს საიმედო მოკავშირეები ჰყავდა. დაბოლოს, 1721 წ. ჩრდილოეთის ომი გამარჯვებით დამთავრდა. ნიშტადტის ზავი პეტრე I-ს ხელფეხს უხსნიდა და კასპიისპირეთში საომარი მოქმედების დაწყების შესაძლებლობას იძლეოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, რუსეთს საომარი მოქმედების დასაწყებად ის დამაჯერებელი საბაბი ჰქონდა, რომ ლეკებმა 1721 წ. 7 აგვისტოს შა-

მახიაში რუსი ვაჭრები გაძარცვეს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ერთობლიობამ აიძულა პეტრე I 1722 წ. გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროების შესაერთებლად.

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა ფეოდალურ ქვეყანას, დაქუცმაცებულს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენდა XIII-XV სს-ში მტრის გამანადგურებელი შემოსევები, ხოლო XVI-XVIII სს-ში — თურქი და ირანელი აგრესორების ბატონობა, რომელნიც ფეოდალიზმის განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე საქართველო. „თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობლად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიკური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება". 1555 წ. ირან-თურქეთის შეთანხმების საფუძველზე ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ირანის ხელში გადავიდა, ხოლო იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები თურქეთს ხვდა წილად. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა დამპყრობელთა ბატონობას და მამაცურად იბრძოდა თავისუფლებისთვის.

1618 წ. და 1639 წ. დამპყრობლებმა ხელახლა გაიყვეს ამიერკავკასიის ტერიტორია ისე, რომ XVIII ს-თვის დასავლეთი საქართველო (იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები), სამხრეთი საქართველო და დასავლეთი სომხეთი თურქეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი, კახეთი), აღმოსავლეთი სომხეთის ნაწილი, აზერბაიჯანი და დაღესტანი — ირანს. მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, სამშობლოდან ხალხის მასობრივი გადასახლება, ქალაქებისა და სოფლების იავარქმნა, ბაღ-ვენახების გაჩეხვა, კულტურის ძეგლების განადგურება, უცხო წესების, ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიის ძალით თავს მოხვევა, რომ არაფერი ითქვას მძიმე ხარკზე, რომელსაც ადებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს, — აი ის საშუალებანი, რომლითაც აგრესორები ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხების რეალურ დამორჩილებას ლამობდნენ.

XVI-XVIII სს. საქართველოს ისტორია ფიზიკური არსებობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიაა. მტრის განუწყვეტელი, დამანგრეველი შემოსევები ფეოდალურ დაქსაქსულობას უწყობდა ხელს, რადგან დამპყრობლები ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად აღვივებდნენ ფეოდალთა შორის შუღლს და ამით ცდილობდნენ შიგნიდან გაეტეხათ საქართველოს ძალები. მათ მიერ წაქეზებული ფეოდალები



ქართველი მეფეებისათვის ხელშეუხებელნი ხდებოდნენ და ამით ემსახურებოდნენ სამშობლოში დამპყრობელთა ძალაუფლების განმტკიცებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ჩამორჩენილობის ნათელ მაგალითს იძლევა სათავადოების სისტემის გამარჯვება, რომელიც საბოლოოდ XV ს-ის დასასრულს ჩამოყალიბდა და იარსება საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

საქართველოს პროგრესული სახელმწიფო მოღვაწენი აწარმოებდნენ ბრძოლას ურჩი თავადებისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ, მოხერხებულად იყენებდნენ თვით ირანსა და თურქეთს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, აგრეთვე, შინაგან განხეთქილებებს ამ სახელმწიფოებში. იყენებდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა ბრძოლასაც დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ ყველაფერი ეს საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცებულობის გამო საკმარისი არ იყო მტერზე გადამწყვეტი და საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. აუცილებელი იყო საიმედო და ძლიერი მოკავშირე, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს მტრებთან ბრძოლით და შეძლებდა მის დახმარებას. საქართველოს მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ეს და ამიტომ განუწყვეტლივ ეძებდნენ მოკავშირეს.

საქართველოს სახელმწიფო არა ერთხელ ცდილა, მიეღო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარება. ამ მიზნით ქართველი პოლიტიკოსები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რომის პაპთან, ესპანეთთან, საფრანგეთთან, მაგრამ ეს სახელმწიფოები იმედებს არ ამართლებდნენ. ამ მოლაპარაკებათა მსვლელობაში გამოირკვა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებულნი ირანისა და თურქეთის კლანჭებისგან საქართველოს გამოხსნით. პირიქით, მათთვის ხელსაყრელი იყო ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. მათ სურდათ, გამოეყენებინათ საერთო ენა თურქეთისა და ირანის მთავრობასთან და ამით მიეღწიათ აღმოსავლეთში სავაჭრო შეღავათებისთვის. საქართველო მხოლოდ რუსეთში ხედავდა ნამდვილ მოკავშირეს, რადგანაც ეს უკანასკნელი მეტად დაინტერესებული იყო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლით და ეძებდა მოკავშირეებს კავკასიის ხალხთა შორის. თავის მხრივ საქართველოს პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეები ბეჯითად მიისწრაფოდნენ რუსეთ-საქართველოს კავშირისაკენ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ XI-XII სს-ში რუსეთისა და საქართველოს ფეოდალური საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა ერთმანეთს. ამაზე ნათლად მეტყველებს ისეთი ფაქტები, როგორიცაა საქართველოს მეფის დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) ასულის დაქორწინება კიევის დიდ მთავარ იზიასლავზე

(1154 წ.), ქართველთა მეფის თამარის მიერ (1184-1213) ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟის გიორგის საქმროდ არჩევა (1185 წ.). გარდა ამისა, ცნობილია მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის ფაქტებიც. მაგალითად, ქართველი ხუროთმოძღვრების და მხატვრების მონაწილეობა კიევ-პეჩორის მონასტრისა და ნოვგოროდის ტაძრის მოხატვასა და ვლადიმირში დიმიტრის ტაძრის აშენებაში მოწმობს ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლების ინტერესს რუსეთისადმი, რუსებთან შრომითს თანამეგობრობას.

XIII-XIV სს-ში რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული კავშირის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა საერთო უბედურება — თათარ-მონღოლთა უღელი, რომელმაც დიდი ხნით შეაფერხა ორივე სახელმწიფოს ნორმალური განვითარება. მაგრამ XV ს-ის ბოლოს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მტკიცდება და ამიერიდან ხასიათდება ურთიერთშორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირისაკენ მისწრაფებით.

XV ს-თვის რუსეთის მიწები გაერთიანებულ იქნა მოსკოვის გარშემო და შეიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო. ხოლო ყაზანისა და ასტრახანის დაუფლების შემდეგ მოსკოვის სახელმწიფომ ხელთ იგდო ვოლგის სანაოსნო გზა და დაიწყო კავკასიაში აქტიური მოქმედება.

საქართველოს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა იმთავითვე სათანადოდ შეაფასეს მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერების მნიშვნელობა და სწორად განსაზღვრეს მისი სახით რეალური მოკავშირე. თავის მხრივ, რუსეთი ყირიმთან და თურქეთთან ომის დროს ცდილობდა თავისი ინტერესებისთვის გამოეყენებინა რთული საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კავკასიაში; რუსეთი ეძებდა საიმედო მოკავშირეებს.

რუსეთის პოლიტიკური ინტერესების საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებებთან დამთხვევის გამოხატულებას წარმოადგენდა XVI ს. 80-იან წლებში (1585-1589 წწ.) დადებული ხელშეკრულება რუსეთის მეფე თევდორესა და კახეთის მეფე ალექსანდრეს შორის. საქართველოს მოწინავე მოღვაწეებმა რუსეთთან ერთად შეიმუშავეს მტრული გარემოცვის გარღვევის გეგმა, მაგრამ მაშინ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა.

ირანელი და თურქი დამპყრობლები, რომელნიც ამიერკავკასიის დამონებას ლამობდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ საქართველოს დაახლოება რუსეთთან, რადგან ამას მოყვებოდა მათი აგრესიული გეგმების ჩაფუშვა. XVII ს-ში მათ გააძლიერეს თავიანთი ექსპანსია საქართველოში. მტრის შემოსევათა მსხვერპლი გახდა მრავალი ათასი ქართველი.

მტრებთან ბრძოლის ინიციატორი და ბელადი ჩვეულებრივ ქართლი იყო, რომელიც მთელი საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენ-



და; მაგრამ დროდადრო, შექმნილი ვითარების მიხედვით, ქვეყნის პროგრესისათვის და მტრული გარემოცვის გარღვევისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ინიციატივა სხვა ქართულ სამეფოთა ხელშიც გადადიოდა, რომელნიც იმ დროისათვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო მოწინავენი იყვნენ. ასე მაგალითად, XVI ს-ის ბოლოს და XVII ს-ის პირველ ნახევარში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს იმ დროისათვის ყველაზე ძლიერი კახეთის სამეფო, რომელიც ცდილობს რუსეთთან კავშირის დამყარებას.

კახეთის თავისუფლებისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ გაამძვინვარა ირანის შაჰი, რომელმაც სცადა საქართველოს საბოლოო განადგურება. შაჰ-აბას I-ის ბარბაროსული გეგმა მიზნად ისახავდა ქართველთა განადგურებას და ქართლ-კახეთის დასახლებას მომთაბარე თურქმანული ტომებით. მართალია, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად მტერმა ვერ შეძლო თავისი განზრახვის განხორციელება, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა საქართველოს. საქართველომ დიდი ზარალი ნახა. ეს ხანა უმაგალითო ავბედობის ხანა იყო ქართველი ერის ისტორიაში. ბარბაროსული შემოსევების შედეგად განსაკუთრებით კახეთი დაზარალდა. გაჩანაგდა აყვავებული მხარე.

XVIII ს-ის 20-იან წლებში საქართველომ გაითვალისწინა რა შუა აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, მტრული გარემოცვის თავიდან აცილების მიზნით გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი რუსეთთან კავშირის დასამყარებლად. ამჯერად ბრძოლის ინიციატორად და წინამძღვრად გვევლინება ქართლი, რომელიც იმ დროს გაცილებით წინ იდგა სხვა სამეფო-სამთავროებზე, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების დონით.

ქართლის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართლში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება. შესამჩნევად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი, აღდგა დანგრეული დაბა-ქალაქები, განადგურებული ბაღვენახები. მეორე მხრივ, ქართლის ეკონომიკური გაძლიერების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებებმა გლეხობის საკითხსა და, აგრეთვე, სამეურნეო მშენებლობის, კანონმდებლობისა და ურჩი თავადების ალაგმვის საქმეში.

ქართველი გლეხის მდგომარეობა, რომელიც განიცდიდა მძიმე ფეოდალურ ჩაგვრას, აუტანელი იყო, ხოლო გაუთავებელი შინაფეოდალური ომები გლეხურ მეურნეობებს ნაკლებ ზიანს როდი აყენებდნენ, ვიდრე გარეშე მტრების შემოსევა. ხალხისათვის დიდი სოციალური უბედურება იყო „ტყვის-სყიდვა“ — საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა

ყველაზე მახინჯი ფორმა. ფეოდალების სიხარბე იქამდე მიდიოდა, რომ გლეხისაგან გაცილებით მეტს თხოულობდნენ, ვიდრე მას შეეძლო გადაეხადა და როცა ვერ იღებდნენ, მაშინ თვით მას ყიდდნენ მონად. ყოველივე ეს გლეხს უსპობდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმულს და მის დაქვეითებას იწვევდა.

თავის მძიმე მდგომარეობას გლეხები ბრძოლით პასუხობდნენ. საქართველოში გლეხთა კლასობრივი ბრძოლა სხვადასხვა ფორმას ღებულობდა: მებატონეებისაგან გახიზნვა, გადასახადზე უარის თქმა, საძულველ ფეოდალთა მკვლელობა, ტყეში გავარდნა, ადგილობრივი გლეხური გამოსვლები, აჯანყებანი და სხვ. რაც შეეხება ფეოდალური ეპოქის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას — გლეხთა ომებს, მას ჩვენ საქართველოში ვერ ვხვდებით.

ვახტანგ VI-ს, როგორც თავისი დროის მოწინავე მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ფეოდალთა კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად დამოკიდებულია გლეხური მეურნეობის მდგომარეობაზე. ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არჩილმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნის ძალა გლეხობაშია: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ვახტანგს ესმოდა, რომ ფეოდალთა ზომას გადასული თვითნებობა, კერძოდ, „ტყვის-სყიდვა“ შიდა ბრძოლას ამძაფრებდა, აიძულებდა გლეხობას აყრიყილო, რასაც მთელი რაიონების გაპარტახება მოსდევდა. ვახტანგმა სცადა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის. ამისთვის მან აკრძალა „ტყვის-სყიდვა“, შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და კანონით განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე. ვახტანგმა ენერგიული ზომები მიიღო, აგრეთვე, იმისთვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ის ყმა გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ კახეთში ერეკლე I-ის მეფობის დროს („მყრელობა“).

ამ ღონისძიებათა წყალობით, ვახტანგმა შეძლო ჩაესახლებინა გლეხები დიდი ხნით მიტოვებულ სოფლებში და აეღორძინებინა მთელი რაიონები (თრიალეთი, გუჯარეთი, ბაიდარი, ტაშირი, ქვიშხეთი). ვახტანგმა იზრუნა, აგრეთვე, მივიწყებული სარწყავი არხების აღდგენასა და ახლის გაყვანაზე. დიდი სამუშაო ჩატარდა გზების, ხიდების, ქარვასლების, სასახლეთა და ეკლესია-მონასტერთა აშენებისათვის.

გარდა ამისა, ვახტანგ VI აწარმოებდა ბრძოლას რეაქციონერ თავადებთან. ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს მცველთა ჯარის შექმნა, რომელიც შედგებოდა ვახტანგის ერთგული თავადიშვილების, აზნაურებისა და მსახურებისაგან. ურჩ თავადებთან ბრძოლაში ქართლის მეფე გადამწყვეტ ზომებს მიმართავდა. ასე მაგალითად, პაპუნა დიასამიძე და სხვები ჩამოახრჩეს, მუხრანის მფლობელი ერეკლე დააბრმავეს, ხოლო



ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ხერხეულიძე და სხვანი ქართლიდან გააძევეს.

ვახუშტის ცნობით, ბაქარმა „შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე და აღმოხადნა თვალნი და მისცა მუხრანი ლევანს ძესა პაპუასასა, კვალად მოაშთო პაპუნა დიასამიძე, რომელი იყო მაშფოთებელი ძმათა და სხვანი რომელნიმე ექსორია-ჰყვეს და ეს ყოველი ჰყო ბრძანებითა მამისათა“. ვახტანგმა კი „შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფითა, კვალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდის შვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზის-შვილი პაპუნა ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზ-მან სიკუდილისაგან და გაყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებანი არ იყო საკმარისი თავადთა ძალაუფლების ასალაგმავად, მაგრამ მაინც ხელს უწყობდნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასა და რეაქციული ძალების დასუსტებას. ყოველივე ამის შედეგად ქართლი როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ქვეყნის სამეურნეო აღმავლობა, ბუნებრივია, კულტურის მნიშვნელოვან აღორძინებასაც იწვევდა.

იმ პერიოდში ქართლში გატარდა ისეთი სერიოზული ღონისძიებანი, როგორიც იყო 1709 წ. თბილისში პირველი სტამბის დაარსება, „სწავლულ კაცთა“ მეოხებით საქართველოს ისტორიის შედგენა XIV ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-მდე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და სხვ. იმ დროს მოღვაწეობდა ნიჭიერ მოაზროვნეთა, პოეტთა და მეცნიერთა მთელი პლეადა (არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, დავით გურამიშვილი).

ფეოდალური საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა პატრიოტიზმი, ბრძოლა ირანელ და თურქ დამპყრობლებთან, ეროვნული ერთობის იდეების პროპაგანდა, ეროვნული კულტურის განვითარება, რაც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეოლოგიური ქვაკუთხედი იყო.

ასეთი იყო ქართლის საშინაო მდგომარეობა XVIII ს-ის 20-იან წლებში, იმ დროისათვის, როცა ქართლის სამეფომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა რუსეთთან კავშირზე დაყრდნობით ირანის ბატონობისაგან თავდასახსნელად. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო მდგომარეობას, მას საკუთარი თავისებურებანი ჰქონდა. 1632 წლიდან 1744 წლამდე ქართლი იძულებული გახდა ეცნო თავისი დამოკიდებულება ირანზე.

ქართლისათვის ირანის პოლიტიკური ბატონობა აუტანელი ტვირთი იყო, რომელიც უმთავრესად მშრომელ მოსახლეობას აწვა, რამდენადაც ირანისათვის ხარკის გადახდა მთლიანად მის კისერზე იყო. ხოლო შაჰისათვის ქართლიდან ჭაბუკებისა და ქალიშვილების გაგზავნა, როგორც წყაროები გვიმოწმებენ, — ნამდვილი სახალხო უბედურება. ამიტომაც

სავსებით გასაგებია, რომ ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება ქართლის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის, 1632 წლიდან მან ახალი ფორმები მიიღო. კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობის გამო XVII ს-ის მეორე ნახევარში აშკარა და პირდაპირი ბრძოლის დაწყება ქართველი პოლიტიკოსებისათვის შეუძლებელი იყო და ამიტომ ბრძოლა შენიღბულ ხასიათს ატარებდა. ქართლის მეფეები იძულებული იყვნენ ემოქმედათ ფარულად და მოხერხებულად, მტრისათვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად შეერჩიათ შესაფერი მომენტი.

გიორგი XI-ის აჯანყება ირანის წინააღმდეგ XVII ს-ის დასასრულს ერთხელ კიდევ ადასტურებდა, რომ საკუთარი ძალებით, ძლიერი მოკავშირის დაუხმარებლად, ქართლს არ შეეძლო გაემარჯვა. ამის გამო ქართლის მეფეები ტახტის შესანარჩუნებლად და ირანისაგან დამოკიდებულების შესამსუბუქებლად იძულებულნი იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ ირანის სახელმწიფო საქმეებში, ხმალი ექნიათ ირანის სამსახურში.

შაჰის ტახტისათვის მოქიშპეთა შორის ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა სწორედ ის, ვის მხარეზეც ქართლის მეფე იდგა. ირანის შაჰებს კარგად ესმოდათ ქართლის, როგორც მტრებთან ბრძოლაში მოკავშირის, მნიშვნელობა, რის გამოც ცდილობდნენ ყოველმხრივ გამოეყენებინათ იგი საკუთარი ინტერესებისათვის. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ შაჰთან სადღესასწაულო მიღების დროს ქართლის მეფისათვის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი იყო განკუთვნილი.

ვახტანგ VI-მ, რომელიც ითვალისწინებდა კრიზისს ირანში და ქართველთა ლაშქრის მხარდაჭერით შაჰის დაინტერესებას, გადაწყვიტა ბოლო მოეღო ირანის მიერ თავსმოხვეული კიდევ ერთი პირობისთვის — ქართლის მეფის მიერ მაჰმადიანობის მიღების აუცილებლობისთვის. 1712 წელს, როდესაც ვახტანგ VI გაემგზავრა ირანში მეფობის მისაღებად, მან კატეგორიული უარი თქვა ისლამის მიღებაზე. მაგრამ შაჰმა ნაცად ხერხს მიმართა. მან ისარგებლა საქართველოში არსებული შინაფეოდალური შუღლით და ვახტანგ VI-ს დაუპირისპირა მეორე კანდიდატი ბაგრატიონთა გვარიდან.

1714 წ. შაჰმა ვახტანგი ქირმანში გაგზავნა, სადაც იგი იმყოფებოდა როგორც ტყვე, ხოლო ქართლის მეფედ დაამტკიცა მისი ძმა — გამაჰმადიანებული იესე. ეს მოასწავებდა ქართველ ფეოდალთა მოწინავე ნაწილის დამარცხებას, რომელსაც სათავეში ედგა თავისი ეპოქის პროგრესული მოღვაწე ვახტანგ VI.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ტყვეობაში ვახტანგ VI-მ მოახერხა კავშირის დამყარება ქართლის პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მოწინავე



ნაწილი, პირველ ყოვლისა, ვახტანგის განთავისუფლებას და ქართლში მის გამეფებას ცდილობდა. ამ მიზნის მისაღწევად მათ სცადეს დახმარება მიეღოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან. 1713 წ. რომსა და პარიზში გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი. იგი რამდენჯერმე წარუდგა საფრანგეთის მეფეს და რომის პაპს საქართველოს საქმეებზე ინფორმაციით, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო გამოდგა. იმედგაცრუებული სულხან-საბა 1716 წ. სამშობლოში დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის დახმარების იმედი ამოიწურა, ქართველი პატრიოტები დათანხმდნენ, რომ ვახტანგ VI-ს მიეღო მაჰმადიანობა და 1716 წელს ამ თხოვნით მიმართეს თავიანთ მომავალ მეფეს. ვახტანგმა მიიღო ისლამი და შაჰმა დაამტკიცა იგი ქართლის მეფედ, უბოძა აგრეთვე სპასალარის წოდება და ირანის არმიის მხედართმთავრობა. ამის გამო 1719 წლამდე ვახტან VI იძულებული იყო ირანში, შაჰის სამსახურში დარჩენილიყო, ხოლო ქართლის მმართველად დაინიშნა მისი ძე ბაქარი.

ირანში ყოფნისას ვახტანგ VI საბოლოოდ დარწმუნდა ამ სახელმწიფოს დაქვეითებაში, გაითვალისწინა ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესები და სწორად განსჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა, რომელიც ირანის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებას ხელს უწყობდა. სწორედ ამიტომ იგი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ერთობლივი მოქმედებისათვის მზადებას რუსეთის ჯართან ერთად.

ვახტანგ VI 1719 წლიდან უკვე საქართველოში იმყოფებოდა.

ქართლის მოწინავე პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სწორად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო განეხორციელებინათ დიდი ხნის ოცნება — რუსეთის დახმარებით გაეთავისუფლებინათ საქართველო ირანის ბატონობისაგან და დაებრუნებინათ თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწები. მაგრამ როცა ამ საკითხს იხილავდნენ ვახტანგ VI-ის კარზე, დარბაზის წევრთა ერთი ნაწილი ამ გეგმას ქართლისათვის სახიფათოდ თვლიდა იმ მიზეზით, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან მტრებს შეეძლოთ ესარგებლათ ამ შემთხვევით და რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემოსვლამდე დაექციათ ქვეყანა. მაგრამ, როცა დაინახეს ვახტანგისა და მისი მომხრეების ურყეობა, დათანხმდნენ და ურჩიეს ვახტანგს, ფრთხილად ემოქმედა, წასულიყო მცირე რაზმით და ფარულად დახმარებოდა პეტრე I-ს. საქართველოს მოწინავე პოლიტიკური მოღვაწენი კი, და მათ რიცხვში ვახტანგ VI, ხსნას მხოლოდ გადამწყვეტ მოქმედებაში ხედავდნენ, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრივ.

1720 წლისათვის პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ირანის წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ.

ვახტანგს, კარგად იცოდა რა სომხების განწყობილება აჯანყებისად-მი, ნათლად ესმოდა, რომ სომხებისა და ქართველების განცალკევებული მოქმედება წინასწარ განწირული იყო. ამიტომაც მან დაიწყო მოლაპარა-კება სომეხ მელიქებთან. მან სომხური ჯარის ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ქართველმა მეფემ ვახტანგ VI-მ, რადგან დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის შეიარაღებული ბრძო-ლის სამზადისის პერიოდში მას მხედართმთავრებს უგზავნიდა. ვახტანგ VI ხელმძღვანელობდა ქართულ-სომხურ გაერთიანებულ ჯარებს, რომ-ლებიც განჯასთან შეიკრიბნენ. მის დროს მოხდა ქართული და სომხური ძალების გაერთიანება სეფევიდებისა და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ.

პეტრე I ითვალისწინებდა საქართველოსა და სომხეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას — ამ ქვეყნების ტერიტორიაზე გადიოდა უმოკლესი გზა თურქეთიდან კასპიის ზღვის სანაპიროებისკენ. რუსეთის ჯარი, რომელსაც მოელოდა ახალ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა, მისთვის ახალ პირო-ბებში, უცნობ ადგილებში, აუცილებლად საჭიროებდა ადგილობრივი კავკასიელი ხალხების დახმარებას. რუსეთის ჯარისათვის კი რეალური დახმარების გაწევა მხოლოდ ქართველებსა და სომხებს შეეძლოთ.

ამრიგად, XVIII ს-ის 20-იანი წლების რუსეთ-საქართველოს სამხ-ედრო-პოლიტიკური კავშირი წარმოადგენდა რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა ერთიანობის კონკრეტულ გამოხატულებას.

XVIII ს-ის დასაწყისში დაღესტანსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში იფეთქა ანტიფეოდალურმა და ანტიირანულმა აჯანყებამ.

აჯანყებას ბიძგი მისცა შირვანის რაიონებში ჭარელების შემოსევამ 1711 წელს. მაგრამ მალე ლეკების სათავეში აღმოჩნდნენ თურქეთის აგენ-ტები — დაუდ-ბეგი და სურხაი-ხანი. მათ შეაგროვეს დიდი ლაშქარი და 1721 წლის 7 აგვისტოს დაესხნენ შამახიას, ხელში ჩაიგდეს და უმოწყა-ლოდ ააწიოკეს. დაზარალებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსი ვაჭრებიც, რომელთაც 500 000 მანეთის ზარალი ნახეს.

7 აგვისტოს ამბები გამოყენებულ იქნა კასპიისპირეთში სამხედრო მო-ქმედების გაჩაღების საბაბად. პეტრე I-ის მიერ გამოცემულ მანიფესტში აღნიშნულია, რომ ეს იყო საომარი მოქმედების დაწყების მიზეზი.

პეტრე I-მა, რომელმაც შეაგროვა ცნობები ირანის საშინაო მდგო-მარეობის შესახებ, შეისწავლა კასპიისპირეთის გეოგრაფიული პირობე-ბი, გაიჩინა მოკავშირენი საქართველოსა და სომხეთის სახით, შეარჩია ხელსაყრელი მომენტი საომარი მოქმედების დასაწყებად და 1722 წლის ივლისში თავი მოუყარა ჯარებს ასტრახანში. პეტრე I-მა ასტრახანში აღ-მოსავლურ ენებზე გამოაქვეყნა მანიფესტი ლაშქრობის დაწყების შესახებ, რომლითაც განაცხადა, რომ რუსეთის ლაშქარი მიემართება ლეკი მეამ-ბოხეების წინააღმდეგ, ხოლო კასპიისპირა პროვინციების მოსახლეობას



უსაფრთხოების გარანტია ეძლევა.

1722 წლის 18 ივლისს რუსეთის ქვეითი ჯარი 274 ხომალდით გამო-ემგზავრა ასტრახანიდან. ამ ფლოტის ხელმძღვანელობა დაევალა გენერ-ალ-ადმირალ აპრაქსინს. ცხენოსანი ჯარი ხმელეთით წავიდა.

1722 წლის 2 ივლისს ვახტანგ VI-სთან გაგზავნილ იქნა ბორის თურქ-ისტანიშვილი წერილით, რომელშიც იუწყებოდნენ კასპიისპირეთში რუ-სეთის ჯარის მალე ჩამოსვლას. ამასთან ერთად თურქისტანიშვილს მიეცა სპეციალური ბარათი პეტრე I-ის ხელმოწერით, რომლის შინაარსი მას ზეპირად უნდა გადაეცა ვახტანგისათვის.

საპასუხო წერილში ვახტანგ VI სიხარულს გამოთქვამდა ესოდენ სა-ნუკვარი ცნობისათვის და სრულ მზადყოფნას და მხარდაჭერას აღუთქ-ვამდა პეტრე I-ს, პირდებოდა 20 აგვისტოს, განჯაში ყოფნას თავისი ლაშქრით. ამასთან ერთად ვახტანგ VI წერდა, რომ შაჰმა მას ანდო აზერბაიჯანში იმ ჯარების წინამძღოლობა, რომელთაც უნდა დაესაჯათ აჯანყებული ლეკი მმართველები. ეს გარემოება კი, როგორც ვახტანგ VI-ს, ისე პეტრე I-ს უწყობდა ხელს.

დაახლოებით იმავე დროს არზრუმის ფაშამ თურქეთის სულთანის სახელით აცნობა ვახტანგ VI-ს, რომ თურქეთს განზრახული ჰქონდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლა და წინადადება მისცა, თურქეთის მხარეზე გამოსულიყო, ამისათვის სულთანი ქართლის მეფეს მთელი საქართველოს სამეფოს ჩაბარებას პირდებოდა. მაგრამ ვახტანგი პეტრე I-ის ერთგული მოკავშირე დარჩა და ეს წინადადება არ მიიღო.

მან პეტრე I-ის წინადადების მიღება არჩია დარუბანდსა და ბაქოს შორის რუსი და ქართველი ჯარების შეერთების შესახებ და გაემგზავრა განჯისაკენ, სადაც მას სომეხ მელიქთა რაზმები შეუერთდნენ.

23 აგვისტოს რუსეთის ჯარი შევიდა დარუბანდში. დარუბანდის ნაი-ბი პეტრე I-ს ქალაქგარეთ შეხვდა და ქალაქის გასაღები მიართვა. და-რუბანდში პეტრემ მიიღო ცნობები ბაქოს მცხოვრებთაგან, რომელთაც გამოთქვეს მზადყოფნა რუსეთის ქვეშევრდომად ყოფნისა, რადგანაც ლე-კთა თარეშისაგან დიდად იყვნენ შეწუხებულნი.

პეტრე I-მა თავისი ჯარი დარუბანდის მიდამოებში განალაგა. ცხენოს-ნები საძოვრებით უზრუნველყოფის მიზნით მდინარე მილიკენტის ნაპირას დააბანაკა, ხოლო მის შესართავთან 12 გემი გააჩერა, ფქვილის გადმო-სატვირთად, პურის გამოსაცხობად და ორცხობილების დასამზადებლად; მაგრამ წინა ღამით ამოვარდა ძლიერი ქარი და გემებში წყალი შეიპარა. მართალია, ხომალდების გადარჩენა მოხერხდა იმის წყალობით, რომ ისი-ნი მეჩეჩზე დააყენეს, მაგრამ ფქვილის მარაგის დიდი ნაწილი დასველდა და გაფუჭდა. ახლა მთელი იმედი დამყარებული იყო იმ 30 გემის მოსვ-ლაზე, რომელიც ასტრახანიდან მოემგზავრებოდნენ სურსათით დატვირ-

თულნი ვილბოის წინამძღოლობით.

სურსათის უქონლობა, ჯარში ავადმყოფობის გავრცელება და ცხენების დაღუპვა ლაშქრობის გაგრძელებას სახიფათოდ ხდიდა. შექმნილი მდგომარეობის გამო პეტრემ გადაწყვიტა სამხედრო საბჭოს მოწვევა, რომლის სხდომაც შედგა 29 აგვისტოს. ყველა იმ აზრს ადგა, რომ სურსათის ნაკლებობის გამო ლაშქრობის გაგრძელება საშიშია. ამიტომ წინადადებას იძლეოდნენ, დაეცადათ ვილბოისთვის არა უმეტეს ერთი კვირისა და მისი ჩამოსვლის შემთხვევაში გაეგზავნათ გარნიზონი ბაქოში, ხოლო ლაშქრის ძირითადი ნაწილი დაბრუნებულიყო ასტრახანში.

მალე პეტრე I-მა მიიღო ცნობა, რომ ვილბოი ასტრახანის ყურეშია გაჩერებული და შემდგომი მგზავრობის შიში აქვს, რადგან ხომალდები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ პეტრე I-მა ჯარს უბრძანა, დაუყოვნებლივ მომზადებულიყო უკან დასახევად. 4 ოქტომბერს პეტრე ჯარის ნაწილითურთ დაბრუნდა ასტრახანში. მას მალე მიყვა არმიის დანარჩენი ნაწილიც. 16 ოქტომბერს პეტრემ სენატს აუწყა დარუბანდიდან უკან წამოსვლის ამბები და თავისი განზრახვა, რომ ზამთრისათვის მოსკოვში იქნებოდა.

ამრიგად, პეტრე I-მა დასახული მიზნის განხორციელება 1722 წელს ვერ შესძლო. ამ წლის სამხედრო კამპანიის შედეგად რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული იყო მხოლოდ კასპიის ზღვის დაღესტნის სანაპირო. ცხადია, რომ პეტრე I-ის ჯარის დაბრუნება ასტრახანში მხოლოდ რუსეთის მტრებს ახარებდა და გულს წყვეტდა მოკავშირეებს, კერძოდ, ქართველებს.

როგორც ცნობილია, პეტრე I-თან შეთანხმების თანახმად ვახტანგ VI 1722 წლის აგვისტოს ბოლოს ქართველთა ჯარით განჯისაკენ გაემგზავრა, სადაც მას უნდა შეერთებოდა სომეხთა ლაშქარი. ამიტომაც, როცა ჯერ კიდევ განჯისაკენ მიმავალ გზაზე იმყოფებოდა, ვახტანგმა სომხეთის კათალიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანი გააგზავნა ყარაბახში. ქართული ჯარის ჩასვლამ განჯაში დაღესტნელი ფეოდალების გაქცევა გამოიწვია. ამასთან ერთად ქართველთა და სომეხთა შეერთებულმა ჯარებმა დაიწყეს ბრძოლა ირანის შაჰის ერთგული ფეოდალების წინააღმდეგ, კერძოდ, განჯის ხანის წინააღმდეგ.

განჯაში ვახტანგ VI უცდიდა პეტრე I-ის შემდგომ მითითებებს შირვანში რუსეთის ჯარის შემოსვლის და ჯარების შეერთების შესახებ.

1722 წლის 28 სექტემბერს პეტრე I-მა საქართველოში თურქისტანიშვილის თანხლებით გაგზავნა გვარდიის პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი შემდეგი დავალებით: 1) ყოფილიყო მუდამ ვახტანგთან და არ წამოსულიყო საქართველოდან პეტრე I-ის სპეციალური ნებართვის გარეშე. 2) მიეღწია იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ს ეკისრა შუამავლობა რუსეთსა და



ირანს შორის მოლაპარაკების დროს და გაეგზავნა შაჰთან თავისი კაცი, რომელსაც უნდა აეხსნა, რომ პეტრე აწყობს კასპიისპირეთში ლაშქრობას მხოლოდ იმისათვის, რომ გადაარჩინოს ირანი დაღუპვისაგან, ვინაიდან ცნობილია, რომ დაუდ-ბეგმა და სურხაიმ დახმარების თხოვნით მიმართეს თურქეთს, რომელიც მთელი ირანის ხელში ჩაგდებას ცდილობს, რასაც რუსეთი ვერ დაუშვებს. 3) ტოლსტოის ევალებოდა ეცნობებინა ვახტანგ VI-თვის 1722 წლის ლაშქრობის მიმდინარეობისა და პეტრეს დარუბანდიდან დაბრუნების მიზეზი. ამ მიზნით ი. ტოლსტოის მიეცა სპეციალური ტექსტი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ წინასწარი გეგმით ლაშქრობის დაწყება ნავარაუდევი იყო 1723 წელს, მაგრამ თურქეთის მიერ კასპიისპირეთის ხელში ჩაგდების შიშით, გადაწყდა, ლაშქრობა ერთი წლით ადრე დაეწყოთ, რის გამოც არ იყო შესაძლებლობა ყოველმხრივ და გულდასმით მოემზადებინათ ჯარი და ფლოტი.

ტოლსტოის, აგრეთვე, ევალებოდა, ეცნობებინა ვახტანგისთვის პეტრეს განზრახვა მომავალ წელს შამახიის დაკავების თაობაზე, პირველ ყოვლისა, კასპიის ზღვისპირეთში ფეხის მტკიცედ მოკიდებისა და სურსათის საწყობების დაარსების შესახებ, რათა უზრუნველეყო ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის წარმატება.

პეტრე I ინსტრუქციის განსაკუთრებულ პუნქტში ტოლსტოის მიუთითებდა, რომ თურქეთს განზრახული ჰქონდა დიპლომატიური ხრიკების გზით ერევნის აღება. ტოლსტოის უნდა ეცნობებინა ვახტანგისთვის, რათა მას არ დაეშვა ერევნის გადასვლა თურქეთის ხელში. ვიდრე რუსეთის ჯარი არ აიღებდა შამახიას და კასპიისპირეთის სხვა ქალაქებს, ვახტანგს უნდა ემოქმედა ირანის შაჰის სახელით, და როგორც მის მომხრეს, ებრძოლა აჯანყებული ლეკების და სხვათა წინააღმდეგ რუსეთის ჯარის მოსვლამდე. ხოლო რაც შეეხება ერევანს, პეტრეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს ქალაქი ვახტანგის მფლობელობაში გადაეცა.

1722 წლის 27 ოქტომბერს ტოლსტოი თბილისში ჩამოვიდა. მას შეხვდა ვახტანგის შვილი ვახუშტი, რადგან ქართლის მეფე ამ დროს კვლავ განჯაში იმყოფებოდა. ვახუშტიმ დაუყოვნებლივ აცნობა მეფეს ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლა და მისი თბილისში დაბრუნების აუცილებლობა. რუსეთის ჯარის ასტრახანში დაბრუნების ამბავმა ვახუშტის თავზარი დასცა. მას აწუხებდა, რომ თურქეთი არ შემოჭრილიყო საქართველოში რუსეთის ჯარის ჩამოსვლამდე და შიშობდა, ამბავი პეტრეს უკან დაბრუნების შესახებ საქართველოში ფართოდ არ გავრცელებულიყო და უიმედობა არ გამოეწვია.

22 ნოემბერს ვახტანგი თბილისში დაბრუნდა და 24-ში მიიღო ტოლსტოი. ამ მოლაპარაკების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ტოლსტოი პეტრესადმი მიწერილ 1722 წ. 1 დეკემბრის წერილში. ვახ-

ტანგს მიუღია ტოლსტოისაგან სიგელები, გაცნობია მათ და დათანხმებია პეტრე I-ის წინადადებას. მაგრამ ტოლსტოის შეკითხვაზე: მოელის თუ არა ვახტანგი დადებით შედეგს ამ მოლაპარაკებისაგან, ქართლის მეფემ უარყოფითად უპასუხა; მისი აზრით, მხოლოდ რუსეთის ჯარის ჩამოსვლას შეეძლო აეძულებინა ირანის შაჰი წასულიყო დათმობაზე. ვახტანგმა პირდაპირ განუცხადა ტოლსტოის, რომ უკეთუ პეტრეს რაიმე ვითარების გამო პირადად ჩამოსვლა არ შეეძლო, დაუყოვნებლივ უნდა გამოეგზავნა ჯარები. ტოლსტოი, როდესაც პეტრე I-ს აცნობებდა ქართლის მეფის ამ წინადადებას, გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებასაც ამ საკითხზე, რომელიც ვახტანგის აზრს სავსებით ემთხვევა.

1722 წლის დეკემბრის დასაწყისში ვახტანგთან ჩავიდა შაჰ-თამაზის ყულარ-აღასი, რომელმაც ოფიციალურად აცნობა ავღანელების მიერ ისპაჰანის აღება, ჰუსეინის დატყვევება და მოითხოვა, რომ ქართლის ჯარი გამოსულიყო შაჰის დასახმარებლად. ვახტანგი მოეთათბირა ი. ტოლსტოის, აწონ-დაწონა საქმის ვითარება და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება — არ გაეგზავნა ირანში ლაშქარი და რუსეთის ჯარის მოსვლისთვის დაეცადა.

როდესაც პეტრე I-მა 1723 წლის 5 აპრილს მიიღო ტოლსტოის მიერ 1722 წლის 30 დეკემბრის თარიღით გამოგზავნილი წერილი საქართველოს მდგომარეობის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ არზრუმის ფაშა ჯარებს თავს უყრიდა ყარსში, რათა გაზაფხულზე ჯერ ერევანზე გაელაშქრა, ხოლო შემდეგ ქართლზე, აგრეთვე, პირადად ელჩის და თავად ზურაბ ხერხეულიძის ხელით ვახტანგის მიერ გამოგზავნილი ცნობები, საქართველოში ორიათასიანი ჯარის გაგზავნა გადაწყვიტა ბასკაკოვის წინამძღოლობით. 1723 წლის 19 აპრილს ბასკაკოვს მიეცა ბრძანება ლაშქრობის შესახებ, მაგრამ რაზმის გაგზავნა მაინც არ მოხერხდა. საქართველოში მომხდარმა ამბებმა წინ უსწრეს ბასკაკოვს — იგი პეტერბურგიდან აპრილში გამოემგზავრა და მხოლოდ მაისის შუა რიცხვებში ჩავიდა ასტრახანში, აქედან გამოემართა საქართველოსაკენ და გზაში შეხვდა რუსეთში მიმავალ ი. ტოლსტოის. ამის შემდეგ ბასკაკოვს ისღა დარჩენოდა, რომ ტოლსტოის მაგალითისთვის მიებაძა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1722 წლის ბოლოსათვის ქართლში მდგომარეობა მეტად გამწვავდა. ირანის შაჰი თამაზი განრისხებული იყო ვახტანგის ურჩობით და შურისძიება სწყუროდა. თურქეთი თავს უყრიდა ჯარებს საქართველოს საზღვრებთან და გაზაფხულზე შემოჭრას ეპირებოდა. შექმნილ მდგომარეობას ართულებდა შინაფეოდალური ბრძოლები და ქართლ-კახეთის მეფეთა გამწვავებული ურთიერთობა.

XVIII ს-ის 20-იან წლებში კახეთში მეფობდა ერეკლე პირველის ძე კონსტანტინე (მამად-ყული-ხანი), რომელმაც გადაწყვიტა ესარგებლა



ვახტანგ VI-ის შევიწროებული მდგომარეობით და ქართლის ტახტი ხელთ ეგდო. პეტრესადმი მიწერილ წერილში ვახტანგი არაერთხელ უსვამდა ხაზს კონსტანტინეს მტრულ დამოკიდებულებას მისდამი.

1723 წლის იანვარში შაჰმა კონსტანტინე ქართლის მეფედ დაამტკიცა. ირანის გარნიზონმა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, მიიღო თამაზის ბრძანება ქალაქისათვის სროლის ატეხის შესახებ, იქიდან ვახტანგის გაძევების მიზნით. მალე ქალაქს მიადგა თავისი ჯარით კონსტანტინეც, რომელსაც თან ჰყავდა დაქირავებულ ლეკთა რაზმებიც. კონსტანტინეს მხარს უჭერდნენ, აგრეთვე, განჯისა და ერევნის ხანები. ვახტანგის დასახმარებლად ჩამოვიდნენ იმერლები და რაჭველები. ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა.

კონსტანტინემ მარცხი განიცადა, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. 1723 წელს ლეკთა დიდი რაზმებით მან კვლავ შემოუტია ვახტანგს. მხოლოდ ვახტანგ VI-ის ბანაკში არსებული ღალატის შედეგად შეძლო კონსტანტინემ თბილისის აღება. ლეკებმა ქალაქი დაანგრიეს ისე, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ შეძლო ძველი დიდების დაბრუნება.

თურქეთმა არ დააყოვნა ესარგებლა ქვეყნის მძიმე მდგომარეობით. ჯერ კიდევ კონსტანტინეს მიერ თბილისის აღებამდე, არზრუმის ფაშამ წინადადება მისცა ვახტანგს, მიეღო თურქეთის პროტექტორატი, მაგრამ ვახტანგმა უარყო ეს წინადადება, რადგანაც იმედი ჰქონდა რუსეთის ჯარის ჩამოსვლისა და დახმარებისა.

თბილისში გაჩაღებული ბრძოლების დროს არზრუმის ფაშამ ხელმეორედ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ვახტანგ VI-ს ეცნო სულთანის უფლება. ფაშა პირობას იძლეოდა, რომ ვახტანგს დატოვებდნენ ქართლის მეფედ. ამ საკითხის გასასაწყვეტად მოწვეულ დარბაზზე ქართლის თავადებმა მოითხოვეს თურქეთის წინადადების მიღება, რათა ამით შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და გადაერჩინათ ქვეყანა გამანადგურებელი ომისაგან. ი. ტოლსტოი და თურქისტანიშვილი საწინააღმდეგო აზრს ადგნენ იმ იმედით, რომ რუსეთის ჯარი მალე ჩამოვიდოდა.

მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო, რადგანაც თურქებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაეწყოთ საომარი მოქმედება. ვახტანგმა გადაწყვიტა, მიეღო ფაშის წინადადება და თავისი პირობები წამოეყენებინა.

ვახტანგის ვარაუდი დროის მოგებაზე იყო დამყარებული. ფაშა, რომელიც მის პირობებს მიიღებდა, უნდა დაკავშირებოდა კონსტანტინეპოლს, ამას კი საკმაო დრო მოუნდებოდა. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ ამით თურქეთის ჩარევას დროებით შეაჩერებდა, რადგანაც იმედოვნებდა რუსეთის ჯარის მალე ჩამოსვლას. შექმნილ მდგომარეობაში ვახტანგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო, რამ-

დენადაც მას არ შეეძლო ერთდროულად ეწარმოებინა ომი კონსტანტინესთან და სათანადო წინააღმდეგობა გაეწია თურქეთისთვის.

ვახტანგის იმედები არ გამართლდა. 4 მაისს კონსტანტინემ თბილისი აიღო და ვახტანგი იძულებული გახდა ცხინვალში გახიზნულიყო. თურქებმა ისარგებლეს ამით და შემოიჭრნენ ქართლში. 1723 წლის ივნისში ისინი თბილისს მიადგნენ. კონსტანტინემ ვერ გაბედა ქალაქის დაცვა და უბრძოლველად დათმო იგი.

თურქებმა გადაწყვიტეს ქართლის ტახტის გაუქმება. ვახტანგ VI-ს აღარ შეეძლო საქართველოში დარჩენა და ამიტომ გადაწყვიტა რუსეთში წასულიყო. ი. ტოლსტოის დაბრუნების შემდეგ ასტრახანში ამ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი. თათბირზე გადაწყდა მიეღოთ ყოველგვარი ზომები ვახტანგის გასახიზნავად პეტერბურგიდან საამისო ნებართვის მიღებამდე, რადგან ამას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო შექმნილი ვითარება სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა.

რიგი მიზეზების გამო ვახტანგ VI შეყოვნდა საქართველოში და მხოლოდ 1724 წლის 15 ივლისს გემგზავრა რუსეთში.

როცა პეტრე I-მა მიიღო 1723 წ. 14 მარტის წერილი ივანე ტოლსტოისაგან, განკარგულება გასცა, დაეწყოთ ლაშქრობა ბაქოზე. 28 ივლისს რუსეთის ჯარი მაღლა აღმართული დროშებით შევიდა ქალაქში.

1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში ირანის ელჩმა ისმაილ-ბეგმა დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო კასპიისპირეთის რიგი ოლქები ქალაქების — დარუბანდის, ბაქოს და სხვ. ჩათვლით.

კასპიისპირეთში პეტრე I-ის ძალაუფლების განმტკიცებისათვის ერთ-ერთი ღონისძიება იყო ციხე-სიმაგრეთა აგება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ „წმინდა ჯვრის“ სიმაგრის აშენებას, რომელსაც ეკავა ხელსაყრელი მდებარეობა. ამ სიმაგრის წყალობით რუსეთს შეეძლო მორჩილებაში ჰყოლოდა ადგილობრივი ლეკი მმართველები. რიგი თავდაცვითი ნაგებობა გაკეთდა, აგრეთვე, დარუბანდსა და ბაქოში.

1722-1723 წწ. სამხედრო კამპანიის შედეგად რუსეთის ჯარმა დაიკავა კასპიის ზღვის მთელი დასავლეთი და სამხრეთი სანაპირო. ამასთან ერთად ბაქოს ასაღებად მოწყობილი ოპერაცია დაგეგმილ იქნა და გატარდა თურქეთის ჯართან შესაძლო შეტაკების ვარაუდით. იმის გამო, რომ კასპიისპირეთის შეერთებას და ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას თურქეთი დიდ წინააღმდეგობას უწევდა, პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის საერთო გეგმები ვერ განხორციელდა.

რუსეთისადმი კასპიისპირა პროვინციების შეერთების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოითხოვდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მოგვარებას, რაც მიღწეულ იქნა 1724 წ. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით.



პეტრე I ლაშქრობის მომზადებისას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა იმას, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის მოქმედება გაამწვავებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა წინასწარ მიეღწია თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გარანტიისათვის. „სამარადისო მშვიდობის“ შეთანხმება, რომელიც კონსტანტინოპოლში 1720 წელს რუსეთის ელჩმა ა. დაშკოვმა დასდო, ამ ამოცანას ემსახურებოდა.

პეტრე I-მა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა წინასწარ შეემზადებინა ნიადაგი კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების მიერ საომარი მოქმედების დაწყების ოფიციალურად გამოცხადებისთვის. ამ მიზნით რუსეთის რეზიდენტს ი. ნეპლუევს პირადად ევალებოდა, თურქეთის მთავრობისთვის ეცნობებინა 1721 წლის 7 აგვისტოს შამახიაში მომხდარი ამბების შესახებ.

ამასთან ერთად ნეპლუევს თურქეთისთვის უნდა მოეთხოვა, რომ მას მფარველობა არ გაეწია ლეკებისთვის, რასაც მან მიაღწია კიდეც 1722 წ. 21 აპრილს ვეზირთან აუდიენციის დროს, მაგრამ ფაქტობრივად თურქები ლეკთა მთავრებს მფარველობას კვლავაც უწევდნენ.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებაში გარკვეული როლი შეასრულეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველმა წრეებმა, რომელნიც განგებ აქეზებდნენ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისის, ვენეციისა და ავსტრიის ელჩები ყოველნაირად ცდილობდნენ თურქეთის მთავრობა დაეშინებინათ იმით, რომ საქართველოსა და სომხეთში ფეხის მოკიდების შემდეგ პეტრე თავს დაესხმოდა თურქეთს. ევროპის გაზეთებმა დიდი აურზაური ატეხეს და განგებ გააზვიადეს ცნობები სალაშქროდ გამზადებული რუსეთის ჯარის რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიაში რუსეთის წარმატებანი და მისი დამკვიდრება კასპიის ზღვის სანაპიროებზე განსაკუთრებით აშინებდა ინგლისის მთავრობას, რადგანაც ამას უნდა მოყოლოდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ინგლისი კი იმისკენ მიისწრაფვოდა, რომ მთელი ვაჭრობის მონოპოლია მის ხელთ ყოფილიყო და რუსეთის საგარეო ვაჭრობა მთლიანად ინგლისზე ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ ამ ბრძოლაში უფრო მეტი ოსტატობა გამოიჩინა. რუსეთის დიპლომატები ევროპაში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობდნენ და ინგლისის დიპლომატიასთან ბრძოლაში იყენებდნენ ინგლისსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის (საფრანგეთი, ჰოლანდია და ესპანეთი) არსებულ წინააღმდეგობას.

თურქეთის მთავრობას განსაკუთრებით აშინებდა ის, რომ ქართლი რუსეთის მფარველობის ქვეშ არ შესულიყო და არ გაერთიანებულიყო რუსეთ-საქართველოს ჯარები, რადგანაც ეს იმის მომასწავებელი იქნე-

ბოდა, რომ თურქეთი საბოლოოდ დაკარგავდა ამიერკავკასიას. ამიტომაც იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეყოლებინა ვახტანგ VI, მიეღო თურქეთის პრიტექტორატი. მაგრამ ქართლის მეფე ყოველთვის უარყოფდა თურქეთის წინადადებას.

დასავლეთ ევროპის დიპლომატებმა იცოდნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს დაახლოება თურქეთს შიშს გვრიდა და ყოველნაირად ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-თურქეთის ომისათვის.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დიპლომატიური გზით მიეღწია იმისათვის, რომ თურქეთის ჯარი არ შემოსულიყო ქართლში და ამიტომაც უმალავდა თურქეთს ვახტანგთან კავშირს, ხოლო განჯაში ქართლის მეფის წასვლას მხოლოდ შაჰის დავალების შესრულებით ხსნიდა.

1722 წ. 20 დეკემბერს ნეპლუევმა ოფიციალურად აცნობა თურქეთს ასტრახანში პეტრე I-ის დაბრუნება. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა თურქეთის მთავრობაზე. ვეზირმა განაცხადა, რომ პეტრეს ამ დაბრუნებით თურქეთში ყოველგვარი ეჭვები გაიფანტა. ასე ჩანდა, რომ თითქოს ყველაფერი იყო გაკეთებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მოსაგვარებლად და ამ ურთიერთობამ კეთილი მიმართულება მიიღო. მაგრამ სინამდვილეში მოხდა პირუკუ. თურქეთმა გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთის ჯარის დაბრუნებით და რაც შეიძლებოდა ხელსაყრელად მოეწყო თავისი საქმეები ამიერკავკასიაში.

ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, ფრთებს ასხამდა თურქეთის ძალებს, აღაფრთოვანებდა მათ. ინგლისის ელჩი მიუთითებდა, რომ თურქეთს არ უნდა ეშინოდეს რუსეთთან ომისა, რადგანაც ევროპის ყველა ქვეყანა მტრულადაა განწყობილი მასთან და ამის გამო პეტრეს არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ომშიო. ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ აშკარად მოითხოვა კასპიისპირეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებდნენ პეტრეს, დაეტოვებინა ამიერკავკასია. მაგრამ პეტრეს დაშინება ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ იგი კასპიის სანაპიროს დაუფლებას ბალტიის ზღვის სანაპიროს შეერთების აუცილებელ დამატებად თვლიდა.

1723 წლის აპრილში პეტრემ მართლაც დაიწყო საჭირო სამზადისი თურქეთთან ომისთვის. მაგრამ ამასთანავე იგი ამ ომის აცილებასა და შეთანხმების მიღწევასაც ცდილობდა. როგორც რუსეთის, ასევე თურქეთისთვისაც ქართლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის.

პეტრე I-ს უდავოდ ესმოდა ქართლის ესოდენ დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც გადაწყვიტა, გაეგზავნა იქ ორიათასიანი რაზმი ა. ბასკაკოვის მეთაურობით. მას იმედი ჰქონდა, რომ ამით გააძლიერებდა ვახტანგ VI-



ის ძალებს, გაამხნევებდა მას და თავიდან აიცილებდა ქართლში არზრუმის ფაშის შემოსევას. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთობ დაგვიანებით. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით თურქეთმა შეძლო დაესწრო პეტრესთვის. არზრუმის ფაშამ ისარგებლა საქართველოში გაჩაღებული შინაფეოდალური ომებით, შეესია ქართლს და აიღო თბილისი.

1724 წლის 12 ივნისს მრავალრიცხოვანი კონფერენციების შემდეგ კონსტანტინეპოლში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქეთი აღიარებდა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების შეერთებას, რაც ასახული იყო რუსეთ-ირანის 1723 წლის ხელშეკრულებაში. მაგრამ, თავის მხრივ, რუსეთიც იძულებული იყო, ეღიარებინა თურქეთის უფლებები დაპყრობილ მიწა-წყალზე.

ამრიგად, 1724 წლის ხელშეკრულება გარკვეული მხრით პეტრე I-ის დიპლომატიური გამარჯვება იყო, რადგანაც მან შეძლო მიეღწია თავისი ძირითადი მიზნისათვის — თურქეთმა აღიარა რუსეთის უფლებები კასპიისპირა პროვინციებზე.

ვახტანგ VI, რომელმაც თურქების შემოსევის შემდეგ თავი შეაფარა ქართლის მთიანეთს, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ხელი შეეწყო უცხო დამპყრობლებთან ბრძოლაში არა მარტო ქართველების, არამედ სომხებისთვისაც. მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ვახტანგთან, აგრეთვე, ყარაბაღელი სგნახების მეთაურებსაც. ვახტანგმა, რომელიც თურქ-ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი და რუსეთთან კავშირის შეურყეველი მომხრე იყო, სამართლიანად დაიმსახურა ქართველ და სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა აღიარება, როგორც მათმა საერთო ხელმძღვანელმა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში ინახება წერილები, რომლებიც გაუგზავნეს ვახტანგს სომხეთიდან. ამ წერილებში მას თხოვენ, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან სომხეთის განთავისუფლებისა და დახმარების საკითხზე. ყველა ეს ფაქტი ცხადად მოწმობს ამიერკავკასიის ხალხების ინტერესთა ერთიანობას, მათს საუკუნეობრივ მეგობრობასა და დაუცხრომელ სწრაფვას რუსეთისადმი, რომელიც მტრებით გარემოცულ ქართველებსა და სომხებს ერთადერთ რეალურ განმათავისუფლებელ ძალად ესახებოდათ.

როგორც ზემომოყვანილი მასალებით მტკიცდება, კონკრეტულ პირობებში შექმნილი ვითარების გამო პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის საერთო გეგმები ვერ განხორციელდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასია თურქმა აგრესორებმა დაიპყრეს და მხოლოდ კასპიისპირა პროვინციები, რომელნიც რუსეთის ჯარებს ეკავათ, გადაურჩნენ თურქეთის ბატონობას.

ქართველთა ოცნება — უცხო დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლება — შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ საქართველოში

რუსეთის ჯარის შემოსვლით, რომელიც ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლებდა საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ XVIII ს-ის 20-იან წლებში ეს ვერ მოხერხდა.

თურქი დამპყრობლების შემოსევის შემდეგ ვახტანგ VI-ს საქართველოში აღარ ედგომებოდა და მან გადაწყვიტა რუსეთში გახიზნულიყო. იგი ამალითურთ ასტრახანში ჩავიდა. აქედან კი, 84 კაცის თანხლებით, პეტერბურგს გაემგზავრა და 1725 წლის მარტში მოსკოვს ჩავიდა.

რუსეთში გამგზავრებისას ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში მალე დაბრუნდებოდა რუსეთის ჯართან ერთად და გაათავისუფლებდა ქვეყანას თურქი დამპყრობლებისაგან. მაგრამ პეტრე I-ის მემკვიდრეების დროს რუსეთის საგარეო და საშინაო ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ მის მიზანს განხორციელება არ ეწერა. 1737 წლის 27 მარტს იგი ასტრახანში გარდაიცვალა.

მასთან ერთად რუსეთში გახიზნულმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს და მოსკოვში დასახლდნენ, რის შედეგადაც XVII ს-ში არჩილის მიერ დაფუძნებული ქართველთა კოლონია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსკოვში ქართული კოლონიის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომი კულტურული და პოლიტიკური დაახლოების საქმეში.

რუსეთში ქართველებმა განაგრძეს სამშობლოში დაწყებული დიდი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა, ხელი მოჰკიდეს, აგრეთვე, მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. აქ დაამთავრეს თავიანთი სამეცნიერო შრომები სულხან-საბა ორბელიანმა (ქართული განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“), ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტიმ (საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია). ვახუშტიმ თარგმნა აგრეთვე ქართულად რუსი და ევროპელი ავტორების რიგი თხზულებანი, მუშაობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე.

1703 წ. მოსკოვში არჩილმა დააარსა პირველი ქართული სტამბა, რომელშიც 1705 წელს დაიწყეს ქართული წიგნების ბეჭდვა. არჩილს ეკუთვნის რამდენიმე თარგმანი, მანვე დაწერა ოდა პოლტავის ბრძოლაზე. მისმა შვილმა ალექსანდრემ, რომელიც რუსეთის ისტორიაში ცნობილია როგორც პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი, რუსულიდან ქართულად თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულებანი.

სასულიერო და მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ქართულად ითარგმნებოდა აგრეთვე ისტორიული, გეოგრაფიული, მათემატიკური და სხვა შრომები.

ქართველი პატრიოტები, რომლებმაც თავშესაფარი რუსეთში პოვეს, ეცნობოდნენ ამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობას, კულტურას, ხელს უწყობდნენ რუსეთთან საქართველოს დაახლოებას. ამავე დროს ისინი რუსეთის საზოგადოებრიობას აცნობდნენ ქართულ კულტურას. მაგალითად, ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა ვ. ნ. ტატიშჩევმა თავისი „ისტორიის“ პირველ ტომში რუსეთში მცხოვრებ ქართველთა შემწეობით ფართოდ გამოიყენა ქართული მატიანის „ქართლის ცხოვრების“ ცნობები.



XVIII ს-ის განმავლობაში რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ფართოდ იყენებდნენ ვახუშტის კარტოგრაფიულ შრომებს. 1736 წელს რუსეთის აკადემიამ მისი ყველა რუკა გადათარგმნა რუსულად. ამ რუკების საფუძველზე ფრანგმა მეცნიერმა დელილამ შეადგინა საქართველოს რუკა, რომელიც პარიზში გამოიცა 1766 წელს.

რუსეთში დასახლებულმა ქართველმა ემიგრანტებმა არა მარტო დიდი მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, არამედ სამეურნეო საქმიანობაც გააჩაღეს. ამასთან, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა სამხედრო სარბიელზე, მონაწილეობა მიიღო რიგ ბრძოლებში.

მე-18 ს-ის 30-იან წლებში რუსეთში შეიქმნა ქართველ ჰუსართა ასეული, ხოლო ამის შემდეგ ჰუსართა ქართული პოლკი. პოლკში ჩარიცხულ პირებს მამულები მიეცათ პოლტავის მხარეში. მათ რიცხვში იყო დავით გურამიშვილი, რომელიც სამი მოძმე ხალხის — რუსების, ქართველებისა და უკრაინელების მეგობრობის ერთ-ერთი პირველი მომღერალი იყო. ქართველ ჰუსართა პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის გმირულ ბრძოლებში. ქართველთა მამაცობა და გულადობა არაერთხელ აღუნიშნავს უმაღლეს სარდლობას.

ქართველი ხალხის მრავალმა შვილმა მიიღო მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში, სახელდობრ, ცნობილ ბოროდინოს ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ: ი. ჯავახიშვილი, ს. ჯავახიშვილი, რ. ბაგრატიონი, ძმები ფანჩულიძენი, ბიბილური (ლაშქაროვი), ა. ჭავჭავაძე, ლ. იაშვილი და სხვა როგორც მაღალი, ისე დაბალი ჩინის ბევრი მეომარი. ეს სახელოვანი პლეადა უკვდავყო გენერალ პეტრე ბაგრატიონის სახელმა. ა. ს. პუშკინი შემთხვევით როდი წერდა: «Грузины — народ воинсвтенный, они доказали свою храбрость под нашими знаменами».

რუსეთი იყო თავშესაფარი არა მარტო ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე სახელმწიფო და კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, არამედ ხალხის ფართო მასების — ქართველი გლეხობისაც. უცხო დამპყრობთა ბატონობა საქართველოში და მთიელთა მძარცველური თარეში ქართველი ხალხისათვის აუტანელი იყო. ქართველ გლეხებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თურქები, ლეკები, მათ არ ჩამორჩებოდა ზოგიერთი ფეოდალიც. ტყვედ ჩავარდნილი ქართველები პირველი შესაძლებლობისთანავე გათავისუფლებას ცდილობდნენ და წარმატების ერთ-ერთ საიმედო პირობად რუსეთში გაქცევას თვლიდნენ.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა ტყვეობიდან გამოქცეულ ქართველებს, რომელნიც ცენტრალურ რუსეთში მოხვედრის შემთხვევაში ჩაჰყავდათ მოსკოვში ვახტანგ VI-თან. ვახტანგი არჩევდა მათ საქმეებს და მათი სურვილის მიხედვით შუამდგომლობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე, მათი რუსეთში დატოვებისა ან საქართველოში დაბრუნების შესახებ.

ამრიგად, XVIII ს-ის 20-იან წლებში საქართველომ ვერ განახორციელა მისწრაფება — განთავისუფლებულიყო უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან. დაუძლურებული ირანის ხელიდან საქართველო ძლიერი თურქეთის ხელში გადავიდა. მაგრამ ქართველობა მარცხს არ ურიგდებოდა და არ წყვეტდა ბრძოლას, მას მტკიცედ სწამდა, რომ თავისუფლების მოპოვება შეეძლო დიდი ჩრდილოელი მეგობრის დახმარებით.

მოამზადა *გრიგოლ რუხაძემ.*

თინა იველაშვილი

## კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009. თეზისები

### აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო

კათოლიკე მისიონერები საგანგებოდ მომზადებულნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში, მოხერხებულად სარგებლობდნენ მოსახლეობის მატერიალური თუ ეკონომიკური გაჭირვებით და ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებით თანდათანობით კათოლიკური სარწმუნოების დანერგვას ცდილობდნენ.

ქართველთა გაკათოლიკების პროცესი ინტენსივობით მას შემდეგ წარიმართა, როცა, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის სამხრეთით მაჰმადიანური სახელმწიფო — ოსმალეთი წარმოიშვა.

XIII ს-ის I ნახევარში მონღოლთა უღელქვეშ მოქცეული საქართველოს მესვეურები, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომის სახით შესაძლებელ პოლიტიკურ და სამხედრო მოკავშირეს ხედავდნენ. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდისათვის საქართველოში გამოჩენილ დასავლეთ ევროპის მისიონერებს კეთილგანწყობით ხვდებოდნენ, რადგან მათში შუამავლებს მოიაზრებდნენ.

ქართული ეკლესია რომისაგან დამოუკიდებელი იყო. ვატიკანმა ისარგებლა რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით და ყოველნაირად ცდილობდა ქართული ძლიერი ავტოკეფალური ეკლესია თავის დაქვემდებარებაში მოექცია.

არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით საქართველოში კათოლიკე მისიონერები პირველად XIII-ის 30-იან წლებში გამოჩნდნენ, როდესაც საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს წინაშე, მიუხედავად შექმნილი საშიშროებისა, სამეფო კარი და მხედრობა მზად იყო ევროპის ქვეყნებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. რა თქმა უნდა, რომის პაპი მეტად ნასიამოვნები დარჩა მის მიერ წამოწყებულ ჯვაროსნულ ავანტურაში

საქართველოს მხედრიონის მონაწილეობის მზადყოფნით.

პაპი ჰონორიუს III რუსუდან დედოფალს 1224 წ. წერდა: ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილენი „მიიღებენ მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით, რასაც ისინი ჭეშმარიტად მოინანიებენ აღსარების თქმის დროს... დიდ ინდულგენციას, რომელიც დამტკიცებულია წმინდა და მსოფლიო ეკლესიის კრების მიერ, ჩვენ ვუბოძებთ ყველა ქრისტიანს, ხოლო განსაკუთრებით შენ და შენი სამეფოსა და მმართველობის ქვეშ მყოფ ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს“.[1] პაპმა მსგავსი წერილი გაუგზავნა მხედართმთავარ ივანე მხარგრძელსაც.

მ. თამარაშვილის მიხედვით: „ბერძნებმა პაპების სახელები გამოსვლისთანავე (ეკლესიათა განყოფისთანავე — რედ.) ამოშალეს თავიანთი დიპტიხიდან, მაშინ როცა ქართველებმა XII ს-ის დასასრულამდე გააგრძელეს პაპების დასახელება ხუთი პატრიარქის ჩამოთვლისას თუ მოხმობისას, რაც გვიმტკიცებს, რომ არ მიაჩნდათ მათ თავიანთი თავი პაპისაგან გამოყოფილად, პირიქით, ცნობდნენ მათ ისევე, როგორც დანარჩენ ოთხ აღმოსავლელ პატრიარქს“.[2]

მეფე რუსუდანს პაპმა სამხედრო დახმარების ნაცვლად 1240 წელს შემოერთებისა და მორჩილების მოწოდებით წერილი მოსწერა და თან რვა მისიონერი გამოუგზავნა კათოლიკობის გასავრცელებლად. ამ დროს საქართველოს დასავლეთიდან სამხედრო დახმარება სჭირდებოდა და არა კათოლიკური სარწმუნოების მისიონერ-მქადაგებლები. 1240 წელს რუსუდან დედოფალსა და მის შვილს დავით პაპი გრიგოლ IX მიმართავდა, რომ ვატიკანს არა მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, არამედ წინა აზიის ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოთა ეკლესიის თავის დაქვემდებარებაში მოქცევის სურვილი ჰქონდა. ეს რომ ასე იყო, იქიდანაც ჩანს, რომ 1245 წელს რომის პაპმა ინოჩენციო IV-მ აღმოსავლეთის ყველა პატრიარქს წერილობით მოუწოდა რათა რომის ეკლესიას შეერთებოდნენ.[3] მიუხედავად იმისა, რომ XV ს-ში საქართველოს მთლიანობა დაირღვა და პოლიტიკური დაკნინება დაიწყო, მაინც ჩვენს ქვეყანას იმდენი გავლენა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში, რომ „ქართველები იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს სხვებივით სულთანს გადასახადს არ აძლევდნენ... ცხენზე მჯდომარენი გაშლილ-გაფრიალებული ეროვნული დროშითურთ სრულებით თავისუფლად შედიოდნენ... ამ პერიოდში ქართველ მლოცველთა დასაცავად, მამლუქების ბრძანებით, იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მუდამ იყო საგანგებო არაბი მოხელე, რომელიც ქართველ მლოცველებს ალეპოდან იერუსალიმამდე მიაცილებდა და უკან

[1] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, II, თბ., 1986. გვ. 181.

[2] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1995, გვ. 483.

[3] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 18.



გამოაცილებდა“.[4]

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ XV ს-ში საქართველოს მეფე-მთავრები პალესტინაში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს ეხმარებოდნენ და პატრონობდნენ, მით უმეტეს საქართველოში არსებულს უყურადღებოდ არ დატოვებდნენ და ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების შევიწროების ხარჯზე ვატიკანის მისსიონერ-ემისრებს კათოლიკობის თავისუფალი გავრცელების საშუალებას არ მისცემდნენ.

საქართველოს სამეფო კარი და ეკლესია ყოველთვის წინააღმდეგი რომ იყო ვატიკანისადმი არა თუ დაქვემდებარების, არამედ თანაბარი უფლებებით კავშირზეც (თუნდაც პაპის პირველობის აღიარებით), ნათლად გამოჩნდა ფერარას საეკლესიო კრებაზე, რომელიც 1439 წელს თებერვალში შედგა და რამდენიმე თვის შემდეგ ფლორენციაში დამთავრდა. უნიის მიღების შემდეგ ლათინები შეესივნენ ათონის მთას და მონასტრის ის ბერები, რომლებმაც უნია და შესაბამისად კათოლიკობა არ აღიარეს, ერთიანად ამოხოცეს.

ვატიკანისა და მისი მესვეურების ამგვარი მზაკვრული ქმედების გამო ეს კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ მალე, 1443 წელს ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის პატრიარქებმა უნიატები განდევნეს თავიანთი სამწყსოდან და ამით საბოლოოდ წერტილი დაუსვეს პაპის პრიმატის აღიარებით ბერძნულ-რომაული ეკლესიების გაერთიანების საკითხს.

XV ს-ში ქართველ პოლიტიკოსებს სწამდათ, რომ თურქულ-ოსმალური გარემოცვის გარღვევა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ძლიერ ქვეყნებთან სამხედრო კავშირის დამყარებით იყო შესაძლებელი. სწორედ ამის გამო, ამგვარი კოალიციის შექმნის ინიციატორებად ხშირად საქართველოს სამეფო-სამთავროების მესვეურნი გამოდიოდნენ.

საქართველოს მეფე-მთავრების მიერ პაპისა და ბურგუნდიის მთავრისადმი გაგზავნილი წერილები წმიდა პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისა იყო. მათში წინ წამოწეული იყო ის თვალსაზრისი, რომ დასავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს გაერთიანებული სამხედრო ძალებით შეძლებდნენ თურქ-სელჯუკების ალაგმვასა და კონსტანტინოპოლის გათავისუფლებას. „სწორედ ამიტომ ქართველი პოლიტიკოსები მარტო ქრისტიან მეზობელთა თანამშრომლობით ვერ დაკმაყოფილებულან და თავიანთი გეგმა სარწმუნოებრივი ზღუდეებით კი არ შემოუფარგლავთ, არამედ ამ საქმის განხორციელების დროს საფუძვლად პოლიტიკური თვალსაზრისით უხელმძღვანელიათ“.

მართალია, XVI ს-ის I ნახევრიდან ოსმალებმა ევროპელ მისიონერებს საქართველოსკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს, მაგრამ ვატიკანი ქართველი ხალხის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანას კვლავ ცდილობდა და

[4] ივ. ჯავახიშვილი, თხ. ტ. III, თბ., 1982, გვ. 411.

ძალ-ღონეს არ იშურებდა. 1546 წელს რომმა აღმოსავლეთის ქვეყნების კათოლიკეთა მწყემსმთავრად ნახიჩევანის, ეროვნებით სომეხი, უნიატი არქიეპისკოპოსი სტეფანე დანიშნა. სწორედ პაპის წყალობით 1546 წლიდან ნახჭევან-კილიკიიდან 102 უნიატი სომეხი ბერი შემოვიდა. ისინი ქართლს, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთს მოედვნენ საქადაგებლად.

სომხურ-კათოლიკური ეკლესია, რომელსაც კონგრეგაციისაგან დამტკიცებული ჰქონდა სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი), ღმრთისმსახურებას მშობლიურ ენაზე ასრულებდა, რაც უნიატ ბერებს საქმიანობაში დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა. ამასთან დაკავშირებით შ. ლომსაძე, აღნიშნავს: „მიუხედავად დიდი მცდელობისა, სომხურმა უნიატმა ბერებმა ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს მართლმადიდებელი ეკლესიისა და თავის მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობის შედეგად ამ რეგიონებში; თუ არ ჩავთვლით თბილისის, ქუთაისის და გორის მცირერიცხოვან კათოლიკე მრევლს, გაკათოლიკებულთა დიდი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაბრუნებია“. სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ ისტორიულ პროვინციებში ქართულმა მოსახლეობამ, რომელმაც ისლამი არ მიიღო და ვატიკანის ძალისხმევით კათოლიკურ სარწმუნოებას სომხური ტიპიკონით ეზიარა, დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, მშობლიური ენა, ტრადიციული მართლმადიდებლური სარწმუნოება და გასომხდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მათი გარკვეული ნაწილი 1828 წლიდან პასკევიჩისა და მეფის ხელისუფლების ნებართვით ახალციხის რაიონის ზოგიერთ სოფელში შემოსახლდა.

ორი საუკუნის წინ თურქეთის მიერ დაპყრობილ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა კათოლიკური სარწმუნოების მიღებისა და ღმრთისმსახურების სომხურ ტიპიკონზე გადაყვანის გამო, ენით, თვითშეგნებით, კულტურით, ტრადიციებით, ყოფითა და რწმენით სომხური ეთნოსის წარმომადგენელ-დამცველებად მოგვევლინენ. ეს ფაქტი შესანიშნავად გამოიყენეს სომეხმა შოვინისტებმა და XIX ს-ის II ნახევრიდან გააჩაღეს კამპანია, თითქოს კათოლიკური სარწმუნოების ქართველები არ არსებობდნენ, ისინი სომხები იყვნენ და ქართულ გარემოში „გაქართველდნენ“. 1624 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ვატიკანმა გამოგზავნა დომინიკელი ორდენის მისიონერები.

მ. თამარაშვილის აზრით, პატრებისა და პიეტრო დელლა ვალეს ცნობებმა ისე იმოქმედა რომის პაპსა და კარდინალებზე, რომ სულ მალე საქართველოს მიაქციეს ყურადღება და „პროპაგანდამ ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ ნასწავლი და ბეჯითი თეატინელი ბერები შეარჩია და გადაწყვიტა, საქართველოში სამი მისიონერი გაეგზავნა პატრი პიეტრო ავიტაბილეს ხელმძღვანელობით“.[5]



როგორც აღვნიშნეთ, XVII ს-ის 20-იანი წლებიდან საქართველოს მეფეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან გარკვეული კავშირის დამყარებას ცდილობდნენ არა იმიტომ, რომ კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად ვატიკანს თავისი მისიონერ-ემისრები გამოეგზავნა, არამედ იმიტომ, რომ ამ ქვეყნების სამხედრო თუ მატერიალური დახმარებით შეძლებოდათ მოძლიერებული მუსლიმური ქვეყნების აგრესიისაგან თავის დაცვა. ამჯერადაც, რომმა ერთხელ კიდევ სცადა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების ინტენსიური გავრცელება და ამ გზით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როგორმე დაქვემდებარება.

სწორედ ამ მიზნით, 1626 წელს პაპი ურბანო VIII წერილს სწერს კახეთის მეფე თეიმურაზს, ასევე ზაქარია მიტროპოლიტს და სთხოვს, დახმარება აღმოუჩინონ იქ ჩასულ მისიონერებს. მაგრამ ქართველ მეფეებსა თუ მთავრებს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ. ვიდრე ეს მისიონერები საქართველოში ჩამოვიდოდნენ, 1626 წელს თეიმურაზმა რომის პაპის კარზე ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი) შესაბამისი წერილებით მიავლინა. მეფე პაპს სთხოვდა: „თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ესპანეთის მეფესთან, ამის შესახებ მას მივწერეთ, ამიტომ გევედრებით და გთხოვთ თქვენც ეცადეთ, რათა იგი დამთანხმდეს“,[6] თურქეთ-ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მატერიალური თუ ცოცხალი ძალით დახმარებაზე.

მართალია, საქართველოდან ჩასული ელჩი რომში კარგად მიიღეს, მაგრამ მისი (უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით: მისი პირით მეფის) თხოვნის მოსმენა არ ისურვეს იმ მოტივით, რომ ჩოლოყაშვილს ჯერ სარწმუნოება უნდა შეეცვალა (მართლმადიდებლობა უნდა დაეტოვებინა და კათოლიკობა მიეღო).

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ირბახმა სარწმუნოება შეიცვალა, „პაპის წმინდა საყდარმა არ მოისურვა მოვლენის დაჩქარება“ და გადაწყვიტა ქართველი მეფე და მისი წარგზავნილი ელჩი კარგად შეესწავლა. „ინფორმაციის“ მიღების შემდეგ, როგორც იქნა ნიკიფორე ირბახს აღირსეს სარეკომენდაციო წერილები,[7] მაგრამ მისი ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ვატიკანს სულ არ აინტერესებდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მას ჩვენს ქვეყანაში თავისი ინტერესები გააჩნდა. ფაქტობრივი მასალებით ირკვევა, რომ თავისი წარუმატებელი ელჩობის შემდეგ, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი კვლავ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაუბრუნდა. ეს იქიდან ჩანს, რომ

[5] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ. 553.

[6] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ. 558; მისივე, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 24.

[7] თუ რა შედეგი მოჰყვა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოგზაურობას დასალეთში, დაწვრილებითი დოკუმენტები იხილეთ ი. ტაბაღუას ნაშრომში „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში“, II, თბ., 1986.

ათეული წლების მანძილზე იგი იერუსალიმში ქართული ჯვრის მონასტრის იღუმენი იყო — ევროპაში წასვლამდე და ევროპიდან დაბრუნების შემდეგაც.[8]

XVII ს-ის 30-იანი წლებიდან კათოლიკე მისიონერების საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ გააქტიურდა. 1628 წელს გორში მოსულ პატრებს, რომლებმაც ირანიდან წამებული ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჩამოიტანეს, თეიმურაზ მეფემ პატივისცემის ნიშნად რამდენიმე სოფელი და ყმები აჩუქა. მეფემ ისინი კეთილგანწყობით მიიღო და პატივისცემით გაისტუმრა გორში. ქალაქში დაბინავებისთანავე მისიონერებმა ქართული ენის შესწავლა და ხალხის მკურნალობა დაიწყეს. ვინაიდან ქვეყანაში მკურნალი-ექიმის ნაკლებობა იყო, მათ დიდძალი ხალხი აკითხავდა. თეიმურაზ მეფემ რომ გაიგო „მისიონერები ასეთი სახელგანთქმული მკურნალები არიანო, მოუწოდა თავისთან, რათა განეკურნათ მისი მეუღლე დარეჯან დედოფალი, რომლის მორჩენაზე სპარსეთის განთქმულ ექიმებს ხელი აეღოთ... მათ დედოფალს მისცეს მსუბუქი წამლები, რომლებიც არც მავნებელი და არც მარგებელი იყო. დედოფალი მალე მთლად განიკურნა“.[9] ამ ფაქტმა მისიონერებს, როგორც საუკეთესო მკურნალებს, სახელი გაუთქვა და მათ კარზე ავადმყოფთა ნაკადი არ წყდებოდა. პატრებმა შექმნილი სიტუაციით კარგად ისარგებლეს, სამკურნალოდ მისულ ხალხს წამლობასთან ერთად სულიერი დამოძღვრაც დაუწყეს და პაპის პრიმატის აღიარებისაკენ მოუწოდებდნენ.

1628 წელს პაპმა ურბან VIII თეიმურაზ პირველს თეატინელი მისიონერები გამოუგზავნა სათანადო წერილით, როგორც ამ წერილიდან ჩანს, დახმარების ნაცვლად პაპი თეიმურაზ ურჩევს, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიას შეუერთდეს, თვითონ თეიმურაზმა მიიღოს კათოლიკობა და თავის ქვეყანაში კათოლიკური სარწმუნოება გაავრცელოს. თეიმურაზ მეფემ რომის პაპს 1629 წელს შეატყობინა: „ჩვენი მაგალითი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რამ ცხადყოფს, რომ რჯულის განდგომის გზას ჩვენ არ დავადექით და რწმენისაგან განდგომას ჩვენ არ დავუშვებთ, ვინაიდან ღმერთის დახმარებით ეს ჩვენი სიმტკიცე და ურყეობა ქრისტეს რჯულისადმი გაგრძელდება საშინელი სამსჯავროს დღემდე“.

ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან აშკარად ჩანს, მეფე თეიმურაზი და ზაქარია მიტროპოლიტი რომიდან არა სულიერ წინამძღვრებს, არამედ მკურნალ-დოსტაქრებისა და ხელოვანი-მხატვრების გაგზავნას ითხოვდნენ. ვატიკანი კი მხოლოდ სასულიერო მისიონერებს უგზავნის და დაჟინებით ითხოვს, რათა მათ კათოლიკური სარწმუნოება მიიღონ და პაპის პრიმატი აღიარონ.

[8] ა. ტუღუში, გაბრიელ გეგენავა — უცნობი ჯვრის მამა//„საქართველო“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი, IV, თბ., 1998, გვ. 34-35.

[9] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 103-104.



მ. თამარაშვილის აზრით, კაპუცინების დამსახურებაა, რომ მეფე გიორგი XI თითქოს 1684 წლიდან კათოლიკურ სარწმუნოებაზე იყო გადასული. ამის საფუძვლად პაპისადმი მეფის გაგზავნილი წერილი მიაჩნია. მაგრამ გიორგი მეფის წერილში სულ სხვა აზრია ჩადებული, პატრი კი სულ სხვაგვარად გადასცემს ვატიკანს. წერილიდან არ ჩანს, რომ გიორგი XI-ს კათოლიკური სარწმუნოება მიეღოს. პირიქით, ის მუდამ ხაზს უსვამს თავის მართლმადიდებლობას: „წარვსდგები თქვენს წინაშე მართლმადიდებელი ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარებით...“ „ხსენებულ მართლმადიდებელ მეფეთ მიანიჭოს მტერზე გამარჯვება“... „ჩვენი სარწმუნოების (მართლმადიდებლობის) აღიარება ვჰყავით პატრი ჯუსტინის წინაშე“ და ა. შ.

1698 წლიდან საქართველოში დაიწყო სომეხთა მიერ კათოლიკეთა სასტიკი დევნა, რომლის მსგავსი საქართველოს მისიონს აქამდე არ ახსოვდა. ქართლის მეფე ერეკლე I იმის შიშით, რომ შაჰის წინაშე არ დაესმინათ სომხებს კათოლიკეთა მფარველობის გამო, პატრებისაგან ითხოვდა ირანის ხელმწიფის რაყიმს (ბრძანებულებას). ამის შესახებ პატრებმა სათანადო წერილით 1698 წელს შეატყობინეს ვატიკანს. პასუხმაც არ დააყოვნა.

1699 წელს პაპმა ინოკენტი XII-მ წერილით მიმართა ირანის შაჰს, რომ „მის სამეფოში კაპუცინებისა და მისიონისათვის თავისუფლება მიეცა და მფარველობა აღმოეჩინა სომეხთა მიერ დევნის წინააღმდეგ“.[10] ირანის შაჰმა ჰუსეინმა გაითვალისწინა რა იმდროინდელი საომარი მდგომარეობა ოსმალეთთან, და რომ მას სჭირდებოდა დიპლომატიური სვლები ევროპასთან, ამ წერილის გაცნობის შემდეგ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის მიხედვით მის სამეფოში კათოლიკეებს გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა.

ფაქტია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მიმართ სომხების წინააღმდეგობის გაძლიერება ირანის მესვეურთა დასტურის გარეშე ვერ მოხდებოდა, რადგან იმ დროისათვის შაჰის კარზე კათოლიკე თუ გრიგორიანი სომხები საკმაოდ დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ (თავისუფლად მოქმედებდა მათი რამდენიმე ეკლესია საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლით). ირანის შაჰმა ამ ნაბიჯით დასავლეთ ევროპასა და ვატიკანს თავისი სიძლიერე დაანახა, გარკვევით აგრძნობინა, რომ მისიონერების საქმიანობა ქართლში მთლიანად მის სურვილზე იყო დამოკიდებული და მისთვის ანგარიში უნდა გაეწია.

ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, 1722 წელს ვახტანგ VI წერილით მიმართავს პაპს, რათა, მისი ჩარევით, ევროპის მეფე-მთავრებს დახმარება გაეწიათ მისთვის ოსმალთა წინააღმდეგ, ხოლო ამ დახმარების სანაცვლოდ უცხადებდა: „გპირდებით

[10] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 296.

ვცხოვრობდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმინდა კათოლიკე სარწმუნოების აღმსარებელი“, თუმცა აქვე დასძენს — „როგორც ჩემი წინაპარნი“.[11] მისი წინაპრები კი მართლმადიდებლობის დამცველნი იყვნენ და ვახტანგ მეფეც რუსეთში კათოლიკედ კი არ მიიცვალა, არამედ ბოლომდე მართლმადიდებლად დარჩა და მართლმადიდებლად გარდაიცვალა.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კლიმატიდან გამომდინარე, 1775 წელს ერეკლე II პატრი მავროსის მეშვეობით პაპს, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლის მეფეებსა და ვენეციის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას წერილობით ატყობინებდა და სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. პაპი თუ ამ საქმეს მოაგვარებდა, ერეკლე II მას ჰპირდებოდა, რომ მისიონერებს გადასცემდა ეკლესიებსა და სახლებს, ხოლო პატრებსა და კათოლიკეებს მფარველობას აღმოუჩენდა და თბილისში თავისი ხარჯით ექვს პატრს შეინახავდა.[12]

ქართლ-კახეთის მეფის ეს მოთხოვნა რომის პაპმაც და ევროპის სახელმწიფოს მესვეურებმაც უყურადღებოდ დატოვეს, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოში კათოლიკეთა მდგომარეობა შეირყა. 1782 წელს ოსმალეთთან საომარი მდგომარეობის გამო, მეფე ერეკლე მეორემ კიდევ ერთხელ მიმართა ვატიკანს, რათა ევროპის ქვეყნებს მისთვის დახმარება გაეწიათ. რა თქმა უნდა, ვატიკანმა ეს მოთხოვნაც ყურად არ იღო. საქართველოში მოღვაწე მისიონერების თავნებობა იქამდე იყო მისული, რომ პროცენტით ფულის გასესხებასაც (მევახშეობას) არ ერიდებოდნენ.

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სომხურ და ლათინურ ტიპიკონიანი კათოლიკური ეკლესიების დაპირისპირებას საფუძვლად, არა მხოლოდ სარწმუნოებრივი (როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი წარმოაჩენს), არამედ, პირველ ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ინტერესები ედო. სომხური ეკლესია (სომხურ-კათოლიკური თუ სომხურ გრიგორიანული, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა) ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებაში თავის კომერციულ მოწინააღმდეგეს და კონკურენტს ხედავდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რელიგიურ საფარველს ამოფარებული სომხური ეკლესია არა მხოლოდ თავისი კომერციული ინტერესების, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის გაძლიერებისთვისაც ზრუნავდა.

მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც კათოლიკურ მღვდელმსახურთა შორის ადგილობრივმა სასულიერო პირებმა თვალნათლივ დაინახეს ქართველ კათოლიკეთა ეროვნული გადაგვარების საფრთხე, თავიანთ მოღვაწეობაში სარწმუნოებაგამოცვლილი (გაკათოლიკებული) ქართველების ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის

[11] იქვე, გვ. 340.
[12] იქვე, გვ. 401.



შენარჩუნების დაცვა წამოსწიეს წინ.

XIX ს-ის დასაწყისში უცხოელი პატრების ნაკლებობის გამო საქართველოში ორი მოქმედი მისიონიღა იყო, მაგრამ იმათაც სრულად აღარ ენდობოდა პროპაგანდა.[13] 1813 წელს საქართველოში სულ სამი პატრი იყო: ფილიპე ფორანელი, მარინიო კოლონიელი და ონოფრიო დომინიკანი, რომლებიც ძლივს ავსებდნენ „სამ სამრევლო ადგილს ტფილისს, გორსა და ქუთაისში“; ხოლო ახალციხის მონასტერში მხოლოდ მორჩილი ძმა ივანა კარლო ვიკარიელი იმყოფებოდა.[14]

1814 წელს თბილისში იმყოფებოდა ორი პატრი (40 მოსახლე კათოლიკეთი), გორშიც — ორი (30-37 მოსახლე კათოლიკე), ქუთაისში — ერთი ახალციხელი მღვდელი (7 ოჯახიანი სოფლით), ხოლო ახალციხეში ორი სომხის ტიპიკონის მღვდელი (450 მოსახლე კათოლიკით).[15] 1823 წელს საქართველოში (კერძოდ, თბილისში, გორსა და ქუთაისში) სულ სამი კათოლიკე სასულიერო პირი მოღვაწეობდა.

1844 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც 1845 წელს ყველა კაპუცინი, რომლებიც ამ პერიოდში თბილისში, ქუთაისსა და გორში იმყოფებოდნენ, გააძევეს. 1886 წელს მეფე ალექსანდრე III-მ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც: „კავკასიაში მორწმუნე კათოლიკეებს, სულ ერთია, სომხურ წესს ეკუთვიან თუ ლათინურს, აღარ აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღმრთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა სომეხ და ქართველ კათოლიკეებად“.[16]

აღნიშნულმა ბრძანებამ საქართველოში წინ წამოსწია ქართველ კათოლიკეთა ეროვნული თვითშეგნების საკითხი, რადგან იგი საშიშროებას უქმნიდა კათოლიკურ სარწმუნოებამიღებულ პირთა ეროვნულ კუთვნილებას. ყველასთვის ცნობილია, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება და მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა ეროვნულობის დონეზე იყო გააზრებული ქართველ ხალხში. მეფის რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული ეს ბრძანება, ეროვნულობის თვალსაზრისით, რეალურ საშიშროებას უქმნიდა კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულ ქართულ მოსახლეობას, ვინაიდან ლათინურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკე ეროვნებით „ფრანგად“, ხოლო სომხურ ტიპიკონზე მყოფი „სომეხ კათოლიკედ“ იყო მოაზრებული.

**დასავლეთ საქართველოში** კათოლიკე მისიონერები XIII ს-ის ბოლოს გამოჩნდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობების

[13] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ. 707.
[14] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 499.
[15] იქვე, გვ. 503.
[16] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ. 726.

შედეგად დასავლეთ ევროპამ ხელში ჩაიგდო აზიის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები. ბიზანტიის იმპერიის დაუძლურების შედეგად იტალიის სავაჭრო ქალაქებმა გზიდან ჩამოიცილეს ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკური მეტოქე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ შავი ზღვის აუზის ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ქალაქ-სახელმწიფოებმა გენუამ და ვენეციამ დაიკავეს.

1318 წლიდან სოხუმში კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, მაგრამ ეს მოხდა უცხოელ ვაჭართა სიმრავლისა და არა ადგილობრივი კათოლიკური მოსახლეობის გამო. ამიტომ იყო, რომ უცხოელთა გასვლასთან ერთად საეპისკოპოსოც გაუქმდა.

XIV-XVII სს-ში დასავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერები აღარ ჩანან. მხოლოდ XVII ს-ის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საელჩოს მეშვეობით დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთთან დამოუკიდებელ პოლიტიკურ თუ სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, აღნიშნულ რეგიონში კათოლიკე მისიონერების ხელახლა შემოსვლის მცდელობა კვლავ დღის წესრიგში დადგა.

„უანგარო“ და „გულმოწყალე“ პატრები მკურნალობის გასამრჯელოდ უმეტესწილად არა ფულად თუ ნივთიერ ანაზღაურებას, არამედ მართლმადიდებლური ეკლესიების გადაცემას ითხოვდნენ. მათი ამგვარი ქმედება საკმაოდ შორს გამიზნული და მრავალმხრივი იყო. ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ის, რომ მართლმადიდებლური ეკლესიების „ნებაყოფლობითა და სიამოვნებით გადაცემით“ მოსახლეობაში შექმნილიყო საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ქართული ეკლესია რომისაგან გამოყოფილი არ იყო და მუდამ რომის პაპის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების დაპატრონების შედეგად დროთა განმავლობაში ისინი ლათინურად გამოცხადდებოდა, ხოლო შემდეგში მართლმადიდებლობას მისი დაბრუნება გაუჭირდებოდა (ამის არაერთი მაგალითი დღეს სახეზე გვაქვს). წირვა-ლოცვის ლათინური ტიპიკონით დაყენება კი მოსახლეობაში თანდათანობით მოამზადებდა ნიადაგს მართლმადიდებლობის უარსაყოფად.

1700 წელს „დასრულდა თეატინელი მისიონერების თითქმის სამოცდაათ წლიანი მოღვაწეობა სამეგრელოში, უმთავრესად მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში... მიუხედავად სამეგრელოს მთავრების კეთილი დამოკიდებულებისა და ყოველგვარი დახმარებისა (არა სარწმუნოებრივი, არამედ დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოების პრაგმატული პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივებით), მათ ვერ შეძლეს მართლმადიდებლობის საფუძვლების შერყევა და კათოლიკობის გავრცელება“.[17]

[17] ჯ. გამახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.



გურიაში კათოლიკეთა მისიონი 1634 წლიდან დაიწყო. მაგრამ შემონახული წერილებით დასტურდება, რომ გურიის მთავრები და საერთოდ არისტოკრატია პაპის მისიონერებს იწვევდნენ არა ხალხის სულიერ წინამძღვრებად, არამედ ექიმებად და მკურნალებად.

მ. თამარაშვილის მითითებით: „იმერეთში კათოლიკობის გავრცელებისა ძლიერ ცოტა გვაქვს საბუთები“.

1644 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ თხოვნით მიმართა დადიანს, რომ მასთან გაეგზავნა მხატვარი და მკურნალი ქრისტეფორე კასტელი და შეჰპირდა, რომ „როცა საქმეს გამიკეთებს, უკან გამოგიგზავნი“-ო.[18] დადიანმა მეფე ალექსანდრეს სურვილი შეუსრულა და კასტელი მასთან გაგზავნა. როგორც წერილიდან ჩანს, მეფე ალექსანდრემ ქრისტეფორე კასტელი არა რელიგიურ თუ სულიერ წინამძღვრად, არამედ როგორც კარგი არქიტექტორი და მკურნალი, ისე მიიწვია. ამ მისიონერმა კი მეფის კეთილგანწყობა კარგად გამოიყენა და უფლება მიიღო მართლმადიდებლურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის ლათინურ ენაზე ჩატარებისა; მას საშუალება მიეცა კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებაც დაეწყო. ქრისტეფორე კასტელის საქმიანი „მოღვაწეობა“ იმერეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1646 წელს დადიანის მოთხოვნით მეფე ალექსანდრემ იგი სამეგრელოში დააბრუნა.

1690 წლამდე პაპის მისიონერები იმერეთში აღარ ჩანან. ამ წლიდან კი ამ რეგიონში მოღვაწეობდა მხოლოდ ერთი პოლონელი პატრი ივანე გოსტოვსკი, რომელიც 1738 წელს გარდაიცვალა. იმერეთში სოლომონ მეფეც მისიონერებს მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

არსებული დოკუმენტური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ვატიკანის მესვეურთა ხანგრძლივი და გულმოდგინე მცდელობისა, კათოლიკურმა სარწმუნოებამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ფესვი ვერ მოიმაგრა. იგი დასავლეთ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არაერთ მისიონერს აგზავნიდა. მათ წერილებსა და ანგარიშებში მითითებულია, რომ თითქოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკურად გადანათლეს მეფე-მთავრებთან ერთად; რომ მათ წირვა-ლოცვას მრევლი არ აკლია; რომ მათ ააგეს არაერთი ეკლესია და მრავალი სხვა. ფაქტები კი ჯიუტად გვიჩვენებს, რომ უცხოელი მისიონერი პატრების წასვლის შემდეგ აღარც „მრავალრიცხოვანი“ კათოლიკური მრევლი ჩანს, აღარც მათ მიერ აგებული „კათოლიკური ეკლესიები“ და აღარც კათოლიკურად „გადანათლული“ მოსახლეობა.

ევროპელ მისიონერებს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები კარგად იღებდნენ და პატივს სცემდნენ არა კათოლიკური სარწმუნოე-

[18] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 214.

ბის გავრცელებისათვის, არამედ როგორც მკურნალ ექიმებს, რომლებსაც ამავე დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით მათ შუამავლებადაც იყენებდნენ.

დასავლეთ საქართველოში შემოსული პატრები თავიანთ ნამდვილ მიზნებს მოხერხებულად ფარავდნენ და მკურნალ-დასტაქარის ნიღბებს იყვნენ ამოფარებულნი. ეს კარგად ჩანს მათი წერილებიდან. მისიონერები ძირითადად მომაკვდავ ბავშვებს ნათლავდნენ და მათ ისინი ცოცხალთა სიაში შეჰყავდათ, როცა რომში პატაკს აგზავნიდნენ.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მართალია, კათოლიკე მისიონერები დასავლეთ საქართველოში XIII ს-ის მეორე ნახევრიდან შემოდიან, მაგრამ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების მცდელობას დიდი წარმატება არ ჰქონია. რომელიმე ოჯახი თუ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი (რომელსაც სამეფო კარი თუ მთავარი რომელიმე მისიონერს, როგორც მკურნალს და აქიმს და არა სულიერ მოძღვარს, აჩუქებდა) კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდოდა, ეს სულაც არ ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ახალ სარწმუნოებაზე გადასვლას. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ პატრების წასვლის შემდეგ კათოლიკობის კვალი აღარ ჩანს ამ რეგიონში. ევროპელი მისიონერები დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს სჭირდებოდათ არა კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად და მკურნალ-ექიმებად.

მოამზადა *გრიგოლ რუხაძემ.*

## მამულიშვილთა მოსახსენებელი

**არჩილ II — 300** (1647 — 16.04. 1713, მოსკოვი). ქართველი მეფე, პოეტი, მთარგმნელი, დიპლომატი. ვახტანგ V-ის ძე. მეფობდა იმერეთში 1661-1663 წწ., კახეთში — 1664-1675 წწ., კვლავ იმერეთში — 1678-1679 წწ., 1690-1691 წწ., 1695-1696 წწ., 1698 წწ. ვახტანგ V, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, 14 წლის არჩილი იმერეთში გაამეფა, ოსმალეთის (რომლის ვასალიც იმერეთი იყო) პროტესტისა და ირანის მთავრობის მოთხოვნის გამო ვახტანგმა არჩილი ირანში გაგზავნა (1663 წ.), სადაც მას მუსულმანობა მიაღებინეს, შაჰნაზარ-ხანი უწოდეს და კახეთის მეფედ გამოგზავნეს (1664 წ.). ამ აქტით ქართლისა და კახეთის სამეფოები ფაქტობრივად გაერთიანდა. არჩილ II, კახეთის ტახტის განმტკიცების მიზნით, 1667 წ. ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ქეთევანი. მან კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკების თარეში. კახეთის ასეთი მოღონიერებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა მეფის ტახტი თეიმურაზ I-ის შვილიშვილს ერეკლე ბატონიშვილს (ნაზარალი - ხანს) აღუთქვა. არჩილ II 1675 წ. დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. იგი ოთხჯერ ავიდა ტახტზე იმერეთში, მაგრამ ოსმალეთის მხარდაჭერით იმერეთის თავადაზნაურობამ ოთხჯერვე გააძევა. 1680 წ. არჩილ II ელჩი გაგზავნა რუსეთში და დახმარება ითხოვა, 1682-88 წწ. თვითონ იყო რუსეთში, მაგრამ ვერც ამ გზით მიაღწია მიზანს. 1699 წ. საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში. პეტრე I-მა გულთბილად მიიღო არჩილ II და მისი ოჯახი. სამეფო კარზე განსაკუთრებით დაწინაურდა არჩილ II ძე ალექსანდრე ბატონიშვილი. არჩილ II დასახლდა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში. იგი ფაქტობრივად ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მიჰყო ხელი. იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში.

არჩილ II პოეტური მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. მის

უმთავრეს ნაწარმოებში, ვრცელ ისტორიულ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ („თეიმურაზიანი“) თამარის ეპოქისა და თეიმურაზ I დროის ფართო ისტორიული პანორამაა წარმოდგენილი. დიდაქტიკური-მორალისტური ხასიათის ნაწარმოებებში („საქართველოს ზნეობანი“, „ლექსნი ასნი ორმუხლნი“, „ლექსნი ოსდაათნი“ და „ლექსნი ასეულნი“) არჩილ II დაკნინებული საქართველოს აღორძინების საფუძვლად სწავლა-განათლებისა და აღზრდის საკითხების მოგვარების მიიჩნევდა. ე. წ. აღორძინების ხანის (XVI-XVII სს.) ქართულ მწერლობაში არჩილ II ეროვნული მიმდინარეობის მეთაურთაგანია. იგი არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში ანტისპარსული ტენდეციის გამტარებელი იყო, არამედ ასევე შეუპოვრად ებრძოდა იდეოლოგიურ სფეროში ყოველგვარ სპარსულ გავლენას, რაც მისი აზრით, წალეკვით ემუქრებოდა ქართულ კულტურულ თვითმყოფადობას. არჩილ II მწერლობაში ეროვნული თემატიკის გაბატონებას მოითხოვდა. ენის საკითხებში პურიზმის პოზიციას იცავდა.

თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ არჩილ II ორი პოეტის პაექრობაში ავლენს საკუთარ პოზიციას, თუმცა ორივეს უსაყვედურებს უცხო სიუჟეტებით გატაცებას („ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი უცხო სახელმწიფოთა ამბები მას პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა და ამ მხრივ გენიალურ პოემას ვერ ასხვავებდა თეიმურაზის ნათარგმნ თხზულებათაგან), მაგრამ მაინც რუსთველის მხარეზეა და მისი აშკარა გავლენით პოეზიას სიბრძნის დარგად მიიჩნევს. „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ გარკვეული თვალსაზრისით რეალისტური ნაწარმოებია, რომელშიც გაშიშვლებულია თეიმურაზ I დროინდელი საქართველოს ცხოვრების მხარეები, ფეოდალების თავგასულობა, ამასთან, ხაზგასმულია ერის ცხოვრებაში გლეხობის დიდი მნიშვნელობა. პოეტი გვიხატავს ეროვნულ გმირებსაც (გიორგი სააკაძე და სხვ.). არჩილ II ამ თხზულებით ქართულ მწერლობაში ისტორიულ პოემას ამკვიდრებს.

არჩილ II-ს ეკუთვნის აგრეთვე „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, მცირე ზომის სატრფიალო ლექსთა კრებული „სამიჯნურონი“, „ანბანთქება“, „ ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რელიგიური ხასიათის რამდენიმე ლექსი და სხვ. რუსეთში ყოფნისას არჩილ II გალექსა ქართულად „ვისრამიანი“, რუსულიდან თარგმნა სერბულ ენაზე დამუშავებული „ალექსანდრიანი“, მსოფლიოს ისტორია („ქრონოგრაფი“) და რამდენიმე სასულიერო შინაარსის თხზულება. რუსეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა დახმარებით არჩილ II დააარსა ქართული სტამბა, სადაც 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“; აქვე შეუდგა სრული ქართული ბიბლიის გამოცემის სამზადისს (არჩილ II მიერ მომზადებული ქართული ბიბლია დაიბეჭდა 1743 წ.).



**ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილი — 250** (Иван Семёнович Жевахов; 1763-1837). რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1813). პირველი საბრძოლო წრთობა 1787-1791 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომში მიიღო. 1800 წ. მიენიჭა პოლკოვნიკობა. მონაწილეობდა რუსეთ-ავსტრია-საფრანგეთის 1805 წლისა და რუსეთ-პრუსია-საფრანგე-თის 1806-1807 წლების ომებში. 1812 წელს სამამულო ომის დროს მეთაურობდა მე-3 არმიაში შემავალ სერპუხოვის დრაგუნთა პოლკს. პოლკმა და მისმა მეთაურმა თავი ისახელეს 15 ივლისს კობრინისა და 31 ივლისს გოროდეჩნის ბრძოლებში, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მტრის აქტიური მოძრაობა კიევის მიმართულებით. 1812 წლის სექტემბრიდან ომის დამთავრებამდე ივ. ჯავახიშვილი მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში, რომელსაც დუნაის არმიასთან გაერთიანებული მე-3 არმია აწარმოებდა ჩრდილოეთ უკრაინასა და ბელორუსიის ტერიტორიაზე. 1813-1814 წლებში, რუსეთიდან ნაპოლეონის არმიის განდევნის შემდეგ, მონაწილეობდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობაში. 1817 წ. ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გადადგა და განგრძო კონსულტანტობა რუსეთის გენშტაბის ადმინისტრაციის თხოვნით.

**ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი — 145** (23.04.1868, თბილისი-28.06.1941, სოხუმი). გამოჩენილი ქართველი სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 10 წლის ანდრია მამამ თბილისის კადეტთა კორპუსში მიაბარა, სადაც იგი შვიდი წლის განმავლობაში სწავლობდა. მისი დამთავრების შემდეგ ა. ბენაშვილი შედის მოსკოვის ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 18 წლის ასაკში. წარჩინებულ კურსდამთარებულს უფლება ჰქონდა, აერჩია მომავალი სამუშაო ვაკანსია და 1887 წელს იგი თბილისშია, სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში. იგი სამხედრო სამსახურით არ იზღუდება და მშობლიური ხალხის კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე ხდება. ამ პერიოდს ეკუთვნის ა. ბენაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობაც. იგი აქვეყნებს რამდენიმე მოთხრობას, ხოლო „ივერიაში“ იბეჭდება მისი პიესები — „დაუსრულებელი ამბავი, ანუ თელაველი ოტელო“, „დროთა ბრუნვა“ და სხვ.

1896 წელს იგი ჩაირიცხა გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზისტურ განყოფილებაზე. 1899 წ. იგი ორი წლით იგზავნება პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში, სადაც წერს დისერტაციას, რომელიც გენშტაბის აკადემიის კონფერენციის მიერ აღიარებულ იქნა თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევად. მას დაუყონებლივ ნიშნავენ ტრიანგულაციის (გეოდეზიის მიმართულება) დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსად. 1902 წლიდან მას იწვევენ პეტერბურგის ტე-

ქნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ და ა. ბენაშვილი იწყებს უმაღლეს სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას, რაც თითქმის 40 წელი გაგრძელდა.

1905 წელს პარალელურად ასრულებს გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგის მოვალეობებს სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გენერალური შტაბის ოფიცერთა დიდი ნაკლებობის გამო იგი მოქმედ არმიაში მიდის და აღწევს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს. 1918 წლიდან იგზავნება კავკასიის ფრონტზე არმიის უფროსის თანამდებობაზე.

ანდრია ბენაშვილის ჩამოსვლა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს ემთხვევა. იგი ღირსეულად ჩადგა ივ. ჯავახიშვილისა და მისი მეგობრების რიგებში და სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლად. პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი პირველი პროფესორები იყვნენ ბუნებისმეტყველების დარგში. მათ შემდგომში ანდრია რაზმაძეც შეუერთდა. 1919 წელს პროფ. ა. ბენაშვილს დაევალა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა. ა. ბენაშვილი თავმჯდომარეობდა პროფესორთა საბჭოს იმ სხდომას, სადაც ივ.ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

პროფ. ა. ბენაშვილი არის გეოდეზიის სწავლების დამწყები საქართველოში. იგი ყველა იმ წინასწარ მოსამზადებელი საორგანიზაციო ღონისძიების აქტიური მონაწილეა, რომელმაც შესაძლებელი გახადა 1922 წლის იანვრიდან თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა. უმაღლესი ტექნიკური განათლების სარბიელზე იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა კადრების აღზრდაში.

გენერალ-ლეიტენანტი ა. ბენაშვილი თბილისის სამხედრო სასაწავლებლის უფროსი იყო, რომელიც მალე დაიხურა. მისი მეცადინეობით, სასწავლებლის ძვირადღირებული ქონება უნივერსიტეტს გადაეცა. ასევე მისი წყალობით, ყოფილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ბიბლიოთეკიდან წიგნების მნიშვნელოვანი ფონდი გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს. იგი იყო, აგრეთვე, ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნისა. პროფ. ა. ბენაშვილი გარდაიცვალა სოხუმში. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**მიხეილ (მიხაკო) წერეთელი — 135** (ფსევდონიმები - „Baton“, „მ. სანგალა“, „ალაროდიელი“, „ვრაცი“; 23.12. 1878, სოფ. ცხრუკვეთი, ჭიათურის რ-ნი — 02.03. 1965, მიუნხენი, გერმანია). ქართველი მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ცნობილი ექიმის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის (1862-1937 წწ.) უმცროსი ძმა. მიხეილ წერეთელმა 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსი-ტეტში, საიდანაც გარიცხეს 1899 წელს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. შემდეგ სწავლობდა სორბონის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით. 1900-1907 წლებში მ. წერეთელი ცხოვ-რობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. აქტიურად იყო ჩაბმული ანარქისტულ საქმიანობაში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან, პ. კროპოტკინთან და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის სხვა ლიდერებთან. ფსევდონიმებით წერილებს აქვეყნებდა როგორც ქართულ, ისე უცხოეთის პერიოდულ პრესაში. 1904 წელს, პარიზში შეუერთდა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფს გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით. აქ გამოდიოდა მათი გაზეთები „საქართველო“ და „La Georgie“. იმავე წელს წერეთელმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის რევოლუციური ჯგუფების ინტერპარტიულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა პარიზში.



1907 წელს მ. წერეთელი საქართველოში დაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ, იმავე წლის 30 აგვისტოს, საქართველოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა — წიწამურთან ვერაგულად მოკლეს დიდი ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.). გაზეთის „ისარი“ 1907 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მ. წერეთლის ცნობილი წერილი „კაცია ადამიანი?!“ ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ილიას დაკრძალვაზე. როგორც სტატია, ისე სიტყვა იმავე წლის დამლევს გამოქვეყნდა მემორიალურ კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“.

1909 წელს თბილისში გამოიცა მ. წერეთლის სოციოლოგიური გამოკვლევა „ერი და კაცობრიობა“. 1910 წელს იგი სიტყვით გამოვიდა ლონდონის ჩაგრულ ერთა ყრილობაზე. 1914 წელს მიხეილ წერეთელმა მოიპოვა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი ასირიოლოგიაში. სადისერტაციო ნაშრომი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა ხსენებული უნივერსიტეტის მიერ. 1912 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი გამოკვლევა „შუმერული და ქართული“, რომელიც მოგვიანებით ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. 1916 წელს იგი მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ ჩაგრულ ერთა ყრილობაში. იმავე წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი კავკასიის ეთნიკური და კულტურული განვითარების

საკვანძო საკითხების შესახებ. 1913-1916 წლებში დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების შრომების რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა მ. წერეთლის ნაშრომი „შუმერელები და ქართველები“. არჩეული იყო აღნიშნული საზოგადოების ნამდვილ წევრად. 1914-1918 წლებში მიხეილ წერეთელი იყო საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაციის, „საქართველოს დამოუკი-დებლობის კომიტეტი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1918-1919 წლებში იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპ-ლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში. 1919-1920 წლებში მიხეილ წერეთელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასირიოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის სპეციალობების პროფესორად. 1922-1945 წლებში იგი იყო ჯერ ბრიუსელის უნივერსიტეტის (1922-1933), შემდეგ კი ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის (1933-1945) პროფესორი. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში სტამბოლის (კონსტანტინოპოლი) ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულმა გამომცემლობამ გამოსცა მ. წერეთლის მიერ ნათარგმნი „გილგამეშიანი“ და მისი მონოგრაფიული გამოკვლევა „ხეთის ქვეყანა“.

1926 წლიდან 1940-იანი წლების დამლევამდე იგი იყო ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთი ლიდერი.1929 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტმა გერმანულ ენაზე გამოსცა წერეთლის მონოგრაფია „ახლადაღმოჩენილი ქალდეური წარწერები“. 1933-1953 წლებში საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „რევიუ დ’ასირიოლოჟი“ (ბელგია) ნომრებში გამოქვეყნდა მისი სტატიების სერია ურარტუს ისტორიის საკითხებზე. მ. წერეთელი იყო ამ ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. 1933 წელს ბერლინში გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი თხზულების „სიბრძნე სიცრუისა“ მიხეილ წერეთლისეული გერმანული თარგმანი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მ. წერეთელი იყო გერმანიაში მოქმედი „ქართული სამოკავშირეო კომიტეტი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ კომიტეტის ძალისხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლდა ასობით ქართველი სამხედრო ტყვე. გარდა ამისა, 1942 წელს იგი იყო ერთ-ერთი მოთავე პოლიტიკური ორგანიზაციის „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“-ს დაფუძნებისა.

მ. წერეთელი აქტიურად მოღვაწეობდა რუსთველოლოგიის დარგშიც. 1963 წელს პარიზში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ დადგენილი ტექსტი, ხოლო 1975 წელს პოემის წერეთლისეული გერმანული პროზაული თარგმანი.

1945 წლიდან იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიუნხენში. მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“, გარდა ამისა, მისი სტატიები ქვეყნდებოდა ინგლისურენოვანი სამეცნიერო



ჟურნალის „Georgica“ (ლონდონი) ფურცლებზე. იგი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე.

**ვარლამ ადამის ძე ხუროძე - 130** (ფსევდონიმი მალაქიაშვილი; 1.10. 1883, სოფ. მათხოჯი, ხონის რ-ნი — 10.06. 1939, თბილისი). ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი. 1913 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1903, პირველი მოთხრობა „დედის მსხვერპლი“ — 1904 წელს. ხუროძის მოთხრობები, პიესები, რომანები, ლექსები, პედაგოგიური და კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები 10-იანი წლებიდან სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. იყო ე. წ. დემოკრატიული მწერლობის მიმდევარი. მის რომანებში „შოთა ბროლიძე“ (1911), „სამნი“ (1926), „დათოვლილი გვირგვინი“, მოთხრობებში „ორი საფლავი“ (1905), „კეკელოს თავგადასავალი“, „ობლები“ (ორივე 1912) და სხვ. წარმოსახულია რევოლუციამდელი გლეხობის გაჭირვებული ცხოვრება, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, დახატულია თავდადებულ რევოლუციონერთა სახეები.

**ვასილ სოფრომის ძე ვარაზი - 125** (ვარაზაშვილი; 01.01. 1888, თბილისი — 09. 09. 1969, იქვე). გამოჩენილი ქართველი ბიოქიმიკოსი და პათოფიზიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925 წ.), პროფესორი (1930 წ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944 წ.). 1918 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1924-1952 წწ. განაგებდა საქართველოს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის განყოფილებას, 1931-1969 წწ. — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრას. იკვლევდა ნახშირწყლებისა და აზოტის ცვლის ბიოქიმიის ძირითად საკითხებს, მეტაბოლიტების როლს ნივთიერებათა ცვლაში, მიკროელემენტების მნიშვნელობას ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიაში, ასაკობრივი და კვების ბიოქიმიის საკითხებს; დაამუშავა ფსიქონევროზისა და ეპილეფსიის ბიოქიმიის და მალარიის პათოფიზიოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები, დაადგინა, რომ ქოლერით დაავადებისას სიკვდილს იწვევს ორგანიზმში ელექტროლიტებისა და წყლის ურთიერთშეფარდების დარღვევა. 1936 წელს იყო მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ოფიციალური ნომინანტი, რაზეც თავადვე განაცხადა უარი.

**კონსტანტინე სპირიდონის ძე ბაქრაძე - 115** (24.11. 1898, თბილისი — 28.04. 1970, იქვე). ქართველი ფილოსოფოსი, საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943).

1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1923-1925 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში. მუშაობდა ედმუნდ ჰუსერლთან (1859 – 1938 წწ. გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, ტრანსცენდენტული ფენომენოლოგიის ფუძემდებელი), მ. ჰაიდეგერთან (გერმანელი ფილოსოფისი, XX საუკუნის ეგზისტენციალიზმის ფუძემდებელი). 1930 წლიდან თსუ პროფესორია. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრებს. მისი კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენდა — ფილოსოფიის ისტორია, ლოგიკა, შემეცნების თეორია. დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანული დიალექტიკის ისტორიის საკითხების დამუშავებაში. ფილოსოფიური სკოლების — ნეოკანტიანელობის, ფენომენოლოგიის, პრაგმატიზმის, ეგზისტენციალიზმის მკვლევარი; კ. ბაქრაძემ სიცხადე შეიტანა ფილოსოფიის ბევრი ძირითადი ცნებისა და თეორიის გაგებაში, სსრ კავშირში ერთ-ერთმა პირველმა დასვა და თავისებურად გადაწყვიტა ფორმალურ და დიალექტურ ლოგიკას შორის დამოკიდებულების პრობლემა, დაუპირისპირდა გაბატონებულ შეხედულებას, რომელიც უარყოფდა ფორმალურ ლოგიკას. ასევე პირველმა გამოაქვეყნა ლოგიკის სახელმძღვანელო (1946 წ., რუსულ ენაზე — 1955 წ.). ჟურნ. „Вопросы философии“ (1950, № 2) ფურცლებზე დაბეჭდილი მისი სტატიით — „ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულების საკითხისათვის“ — დაიწყო საკავშირო დისკუსია ლოგიკის ძირეულ პრობლემებზე.

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲘᲝᲜᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ - 110** (11.04. 1903, სოფ. ქორეთი, საჩხერე — 14.02. 1961, თბილისი). ცნობილი ქართველი მწერალი, კინოდრამატურგი, პუბლიცისტი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. 1921 წლიდან სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გიმნაზიაში სწავლის დროს ბელიაშვილი ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა პატარა მოთხრობებს, მინიატურებსა და პიესებს. 20-იან წლებში „ფუტურისტ-ლეფელების“ ლიტერატურული დაჯგუფების აქტიური წევრი იყო. 30-იანი წლებიდან ხელი აიღო ფორმალისტურ ძიებებზე. თავის ნაწარმოებებში (მოთხრობათა კრებულები: 1933, 1935, 1937 წწ.) ა. ბელიაშვილი ქართველი ხალხის ყოფასა და შრომას წარმოსახავს; სატირულ-იუმორისტულ მოთხრობებში „მეზობლები“ (1935 წ.), „უცნობი“ (1936 წ.), „ქსენოფონტეს გასაჭირი“ (1936 წ.), „იუსტინეს ხაფანგი“ (1938 წ.), „მამონას ცდუნება“ (1940 წ.) და სხვ., მწერალი ამხელს წარსულის გადმონაშთებს, დასცინის მავნე ჩვევებს, მომხვეჭელობასა და მეშჩანობას. ა. ბელიაშვილის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია სამტომიანი ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ (1945-1948 წწ.), რომელშიც გამოჩენილი პოეტის მხატვრულ ბიოგრაფიასთან ერთად წარმოდგენილია XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. რომანში „ოქროს ჩარდახი“ (წ. I, 1952 წ.) კვლავ ბესიკის თავგადასავალია გადმოცემული, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ მოვლენათა ფონზე. დიდ სამამულო ომს ეძღვნება რომანი „უღელტეხილი“ (1956 წ.). რომანში „ვეფხია ხალიბაური“ (ნაწ. 1-2, 1959-1960 წწ.) ა. ბელიაშვილი ასახავს ქართველი მეტალურგების შრომასა და ყოფას. ახალგაზრდობის შრომის ასახვა დაედო საფუძვლად დაუმთავრებელ რომანს „შვიდკაცა“ (1960). ა. ბელიაშვილის სცენარებით შეიქმნა ფილმები: „ცანის ხეობის საუნჯე“ (1941 წ.), „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (1954 წ.) და სხვ. მას ეკუთვნის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიც.



**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ — 85** (22.04. 1928, თბილისი — 10.03. 2002). გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965), საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1981–1996 წწ.). 1955 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იყო ნ. კანდელაკის მოწაფე. ე. ამაშუკელი, რომლის შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია, ძირითადად მონუმენტალისტია. მის ნამუშევრებს ახასიათებს შინაგანი დინამიზმი, ზოგ შემთხვევაში მკვეთრი ექსპრესია. ხშირად მიმართავს სიმბოლოებსა და ალეგორიებს. მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „ქართლის დედა“ (ხე, 1958 წ. ალუმინი, 1963 წ. თბილისი. დაიმსახურა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, 1966 წ.), ვახტანგ გორგასლის ძეგლი (1959 წ., დაიდგა 1967 წ. ბრინჯაო, თბილისი), დიდების მონუმენტი (1965 წ., დაიდგა 1967 წ. ბრინჯაო, ფოთი), თბილისის მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველის“ პორტალის რელიეფი (1965 წ.), რელიეფები თბილისის შემოსასვლელებთან (1957-1958 წწ.), ბარელიეფი „თბილისის 1500 წელი“ (1958 წ.), ქანდაკება „რევოლუცია“ (1966 წ. ბრინჯაო), რ. ერისთავის (1974 წ. ბრინჯაო, თბილისი), ნ. ფიროსმანაშვილის (1975 წ. ბრინჯაო, თბილისი) ძეგლები, დედა ენა და სხვ. მრ. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**ᲒᲘᲕᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ — 80** (24.01.1933, თბილისი — 1999, თბილისი). მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1956 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურულ მუშაკად, პოეზიისა და პროზის განყოფილების

გამგედ, მწერალთა კავშირის მთავარ ლიტერატორ-კონსულტანტად. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად (1963), მინიჭებული ჰქონდა აკაკი წერეთლისა (1995) და შოთა რუსთაველის (1998) სახელობის სახელმწიფო პრემიები. ავტორია ლექსებისა და პოემების ათზე მეტი კრებულისა (1963-1998), წერილების კრებულის „სიკეთის ტოტი“ (1985), საბავშვო წიგნისა „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება“ (1997), „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიისა“ (1990). შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ ენას და ქართულ ენაზე პროზისა და პოეზიის შედევრებს თარგმნიდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

*ალ. ბარამიძე,* ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1940, გვ. 112.

*მიხეილ წერეთელი,* ერი და კაცობრიობა, მიუნხენი, გერმანია, 1942, გვ. 14 (ქართული წინასიტყვაობით).

XX საუკუნის ქართული მწერლობა, ავტ. კოლექტივი, თბ., 1979, გვ. 201,.

ქართული ხელოვნება, თბ.,1997, გვ. 39.

ქართველი ფილოსოფოსები, რედ. ე. კოდუა, თბ., 1977, გვ. 87.

მოამზადეს *მამუკა ცუხიშვილმა* და *გიორგი შავერდაშვილმა.*



## წუთისოფელზე ამაღლებულნი





თითზე ჩამოსათვლელ ღირსეულ კაცთაგან, ვინც ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენს სინამდვილეს, სულ რაღაც თვენახევრის განმავლობაში კიდევ ორმა მამულიშვილმა მიაშურა საუკუნო სამკვიდროს და ამქვეყნად წუთისოფელზე გამარჯვებულ შემოქმედთა სახელი დატოვა. ამიერიდან **გიგა ლორთქიფანიძისა** და **ოთარ მეღვინეთუხუცესის** ხსენებით ჩვენ წარმოგვიდგება ქართველ ხელოვანთა და მამულიშვილთა განწმენდილი ხატები, რომელნიც თავიანთი შინაარსით ვაჟკაცობის, პატიოსნებისა და ჭეშმარიტი მოქალაქეობის ამსახველნი იქნებიან.

ამ თვისებათა დაცვა და საზოგადოებაში ავტორიტეტის შენარჩუნება განსაკუთრებით ძნელი გახდა დღეს, რადგან გლობალიზაციის ტლანქი ბუნება ერის რჩეულებს ვერ ეგუება და ყველაფერს უსახური ერთფეროვნებისკენ მიაქანებს. მისთვის ზედმეტია ჩვენი საუკუნო ტრადიციები, ეროვნული ღირსებანი და მარადიული იდეალები, რადგან მისთვის მისაღები ადამიანის ტიპი მხოლოდ მიწიერი და ბიწიერი მისწრაფებებისადმი დამონებით იქმნება.

დიდი რეჟისორისა თუ მსახიობის ღვაწლი იმით ფასდება, რომ მათ მიერ შექმნილი კინოსა და სცენის გმირები რაღაც იდუმალი გზებით ყოველდღიურ ყოფაში შემოდიან და ადამიანებს ზნეობრივი კანონებით სარგებლობისკენ მოუწოდებენ. მართალია, ყველაზე მეტ ზეგავლენას ცოცხალი მაგალითი ახდენს, მაგრამ შემოქმედებითი სახე შესაძლოა იმდენად შთამბეჭდავი იყოს, რომ განსაცდელში მყოფი მაყურებელი სწორ გზაზე დააყენოს და ხსნის იმედი მიანიჭოს. 2000 წელს გაზეთ „მადლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბატონი გიგა ბრძანებდა: «როდესაც საკავშირო ტელევიზიით გადიოდა ფილმი „დათა თუთაშხია“, მოსკოვიდან, შინაგან

საქმეთა მინისტრისაგან მივიღე წერილი, რომელიც მატყობინებდა, რომ მოსკოვის მოსახლეობა დიდი ინტერესითა და სიყვარულით ადევნებდა თვალყურს ფილმის ჩვენებას და რომ 80%-ით შემცირდა დანაშაულობანი, 90%-ით კი გამოსაფხიზლებელში მოთავსებულთა რაოდენობა. „იმდენად დიდი იყო ფილმის ზემოქმედება და სურვილი ენახათ იგი, ცუდ თვისებებს თრგუნავდნენ და ფხიზელი გონებით უყურებდნენ ფილმს. ეს ნამდვილი საოცრებაა, კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ამ შესანიშნავი ფილმის გადაღებისათვის“»; «როდესაც ფილმი გადიოდა საკავშირო ეკრანზე, ოთარ მეღვინეთუხუცესმა რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან, კერძოდ, კემეროვოდან, მიიღო 11 წლის გოგონას ასეთი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ძია დათა, ხუთი და-ძმანი ვართ, მამა ადრე გარდაგვეცვალა, დედა გათხოვდა, ჩვენ კი უპატრონო ბავშვთა სახლში მიგვაბარეს. ძია დათა, თქვენ რომ ასეთი ჭკვიანი და ძლიერი ხართ, ძალიან გთხოვთ, მომიძებნოთ დედა და უთხრათ, რომ შვილების მიტოვება დიდი ცოდვაა და დაგვიბრუნოთ“. მე ვუთხარი ოთარს, რომ ამ წერილზე უფრო დიდი ჯილდო შენ არ მიგიღია-მეთქი». ამავე ფილმის თაობაზე აი, რას იგონებდა ბატონი ოთარი: «მართლაც საოცარი გამოხმაურება მოჰყვა ამ ფილმს. კინოსტუდიაში დათა თუთაშხიას სახელზე უამრავი წერილი მოდიოდა. ეს წერილები შინ ჩანთებით მიგვქონდა და მათ კითხვაში მე, ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, ქ-ნი ქეთინო კიკნაძე და გურანდა ღამეებს ვათენებდით. ბევრი წერილი ისეთი იყო, ცრემლის გარეშე ვერ წაიკითხავდით. კარგა ხანს მქონდა მიმოწერა რუსეთში შუშენსკოეს უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელ გოგონასთან, რომელიც დედამ მიატოვა, ხოლო მამა ლოთი ჰყავდა. ის რჩევა-დარიგებასა და სულიერ შემწეობას ითხოვდა, მე კი მის კითხვებს დათა თუთაშხიას სახელით ვპასუხობდი. თვითონაც ასე იწყებდა წერილებს: Дядя Дата... ერთმა ქალმა კი მომწერა: შვილო დათა, მწოლიარე ავადმყოფი ვიყავი, ამ ფილმის ნახვის შემდეგ კი ფეხზე დადგომა და გავლა შევძელიო» („მადლი“, 2006).

ჩვენი აზრით, ამ ორი შემოქმედის შეხედულებანი მორალსა და ხელოვნებაზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ნახსენები ინტერვიუებიდან მათი გამონათქვამების გახსენება არც დღეს იქნება ზედმეტი.

ჯერ ბატონ გიგას მოვუსმინოთ:

«ქართულ თეატრს ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების განვითარებაში, მაგრამ დღეს გამიჭირდება ამის თქმა. სამწუხაროდ, იგი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. მიზეზი ბევრია, ერთ-ერთი კი გახლავთ ტელევიზია, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოზარდის ფსიქიკაზე, მის სულიერებაზე. თეატრიც ამ გზისკენ მიდის, იგი თითქოსდა ხარკს უხდის დღევანდელ მოთხოვნილებებს. ჩემთვის ეს შემზარავია».



«ზნეობრივი აუცილებლად ესთეტიკურიც არის. მე მიმაჩნია, რომ მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იქ მხვდა წილად გამარჯვება, სადაც ჩემმა ფილმმა ან სპექტაკლმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ადამიანებზე, როცა ისინი გახდნენ უფრო უკეთესები, ვიდრე გუშინ იყვნენ. არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც თითქოსდა მაღალი რანგის ხელოვნება მხოლოდ ელიტურ საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ იგი შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის იყოს გასაგები. ჩემთვის ხელოვნების ამგვარი გაგება მიუღებელია. ხელოვნებას აუცილებლად ესთეტიკური, მორალური, აზრობრივი დანიშნულება უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს ქართულ თეატრსა და კინოს, რომელიც მუდამ იდგა ზნეობის სამსახურში».

«ჩვენ (ეკლესიაცა და თეატრიც) ერთსა და იმავე საქმეს – ზნეობის ამაღლებას ვემსახურებით, ოღონდ მეტ-ნაკლებად და სხვადასხვა გზით. არ არის შემთხვევითი, რომ თეატრს ტაძარს უწოდებენ. ეს არის ის დაწესებულება, რომელიც მაღალ ზნეობას, სიწმინდეს, სიყვარულს ქადაგებს. ვფიქრობ, ჭეშმარიტი თეატრი ეკლესიას უნდა ედგას გვერდით ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში».

ახლა ბატონი ოთარის საუბარი გავიხსენოთ:

«თეატრს, იმ გაგებით, რომ იქ მისული კაცი ზნეობრივად უნდა განწმინდოს და აღამაღლოს, პატარა ეკლესიას ვუწოდებ. თეატრმა და კინომ ადამიანი ცხოვრებასა და თავის დანიშნულებაზე უნდა დააფიქროს, ყოველდღიური ყოფის წვრილმან საზრუნავებზე აამაღლოს, სამშობლოს სიყვარული განუმტკიცოს, კაცს რაინდული სულისკვეთების, ხოლო ქალს სათნოებისა და ზნეობრივი სიფაქიზის სილამაზე აგრძნობინოს და მისაბაძად დაუსახოს. სპექტაკლმა და ფილმმა ადამიანი, კარგი გაგებით, უნდა ააღელვოს, ანუ იმგვარი ემოციური ზემოქმედება მოახდინოს, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებად გაჰყვება; შემდეგში ეს შთაბეჭდილება დაიწმინდება და აზრად იქცევა... ზოგიერთ სპექტაკლს ჩემზე ისე უმოქმედია, რომ გულსა და გონებაში სამუდამოდ ჩამრჩენია. ჭეშმარიტად მაღალ დონეზე დადგმული სპექტაკლი თუ გადაღებული ფილმი, როგორც წესი, მაყურებელს არასოდეს ავიწყდება».

«სცენიდან და ეკრანიდან მოსმენილი ბილწსიტყვაობა ჩემთვის სრულიად მიუღებელია და, ვფიქრობ, ამას არავითარი გამამართლებელი მიზეზი არ მოეძებნება, მით უმეტეს, როცა თეატრალურსა და კინოხელოვნებას მრავალი საშუალება აქვს სათქმელის არა პირდაპირ, არამედ მინიშნებებით გადმოცემისა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ნამდვილად მეკოცნოს სცენაზე ვინმესთვის. ყველაფერს ზომიერება სჭირდება».

ბევრი საქებარი სიტყვა თქმულა, აწ უკვე განსვენებულ, ამ ორ ღირსეულ ადამიანზე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მათ სამშობლო არა

მარტო როგორც ჭეშმარიტმა ხელოვანებმა, არამედ როგორც პატიოსანმა და ვაჟკაცმა ქართველმა კაცებმა ასახელეს. მათ იცოდნენ, რა იყო თეატრი, მაგრამ ცხოვრება სცენად არასოდეს გამოუყენებიათ. მართალია, ისინი ზნეობრივ იდეალებს თეატრის სცენიდან სხვათა პირით იცავდნენ, მაგრამ არც რეალურ ყოფაში იხევდნენ უკან, როცა ამის აუცილებლობა იდგა. ამ თვალსაზრისით, ისინი ჩვენს საზოგადოებას მაღალი იდეალების მსახურებისათვის არა მხოლოდ ხელოვნების ენით, არამედ პირადი მაგალითებითაც მოუწოდებდნენ.

„აქაც კარგნი კაცნი იყვნენ, იქ ნათელი დაადგეთა“. ამინ.



# ჩვენი ავტორები

## გიორგი ბიძინას ძე გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმნის უღვლილების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმნა (2010), იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

## ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია მონოგრაფიებისა: წიგნი და საჭრეთელი (პროფესიული განათლების პედაგოგიკური ასპექტები, 1985), განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები (1991), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (I ნაწ., აღზრდის თეორია, 1997), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (II ნაწ., განათლებისა და სწავლების თეორია, 1999), ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში (2001), განათლების თანამედროვე თეორიები (2005), განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო კონცეფციების შედარებითი ანალიზი (2009); 500-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

## გულბაად შალვას ძე ამირანაშვილი

ისტორიის მეცნიერების კანდიდატი, აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი, სასანიანთა ირანის (III—VII სს.) ისტორიის მკვლევარი. 1960—2006 წლებში მუშაობდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, აკადემიკოს ვალერიან გაბაშვილის ხელმძღვანელობით. გამოქვეყნებული ნაშრომები: „საშუალო-სპარსული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია“, „სასანური ირანის საზოგადოებრივი წყობილების საკითხები“, „III—IV სს. ირანის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც საისტორიო წყარო“, „ქრონოლოგიური ძიებანი „შუშანიკის წამების“ შესახებ“, „მირიანის საფლავის ლოკალიზაციის საკითხი“, „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დაზუსტებისათვის“ და სხვ. აგრეთვე: რეცენზიები, ლიტერატურული ჟანრის საჟურნალო სტატიები, სხვადასხვა პუბლიცისტური წერილები.

### თინათინ ვლადიმერის ასული იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

### გრანი ემელიანეს ძე ქავთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: ძმები გრაკჰუსები(1990), ჰანიბალი(1979), სამყაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### ნოდარ იულონის ძე ლომოური

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში (მეორე გამოცემა, 2009), К истории грузинского Петрицонского Монастыря (Бачковский монастыр в Болгарии), некоторие вопросы истории Грузии в Армианской историографии (2009), ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა — „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ (2010), საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, IV-IX სს. (2011); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### მამუკა ავთანდილის ძე ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელობა და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.



### შოთა ვაჟას ძე აფხაიძე

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, ევრაზიის ინსტიტუტის პროექტების მენეჯერი, სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი (2010—2013). ბოლო პუბლიკაციები: «В Грузии на военных базах западные инструкторы готовят террористов», (2010); «Лингвистическая оккупация Грузии» (2010); «По обе стороны кавказского хребта: обзор грузино-кавказских отношений» (2013); «От Великой отечественной войны до августовской войны – политика Запада не меняется» (2013); «Влияние религиозных сект на внутри- и внешнеполитические векторы Грузии» (2013).

### გრიგოლ ნიკოლოზის ძე რუხაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

### გვანცა ვახტანგის ასული კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეხუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

### ბორის შაქროს ძე დარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2006 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); ვახტანგ მეექვსის პოეტური

მემკვიდრეობა (1986); ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო (1988); იაკობ შემოქმედელი (2009); რუსთველოლოგიური გამოკვლევები, (2010); 7. ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) (2011); სალაღობო და ნაღვლიანი ამბები (2012) და სხვა.

**ᲑᲝᲜᲓᲝ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ ღაღადებენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔ (1928—2006)**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1972), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982). 1962 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: ვახტანგ მეექვსე (1975; 1981 — გამოიცა ორჯერ); ისტორიოგრაფიული ეტიუდები (1979); გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი მნიშვნელობა (1980); ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში (1974); რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, XVIII ს. I მეოთხედი (1960).



Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2 (8), 2013
(на грузинском языке)

## Р Е З Ю М Е

ГИОРГИ ГОГОЛАШВИЛИ

### УНИВЕРСИТЕТ ДОЛЖЕН БЫТЬ СПАСЕН!

За 95 лет своего существования, Тбилисский Государственный Университет имени Ив. Джавахишвили пережил много невзгод. То, что в 2004-2012 годах, по содействию тогдашнего правительства, творилось в университете, по своим масштабам превзошло все ожидания; Это является примером небывалой беззаконности и несправедливости. После октябрьских выборов появилась надежда восстановления справедливости, хотя, пока-что, этот процесс в университете еще не начинался. Автор выражает надежду, что справедливость и законность наконец восторжествуют и в университете.

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ

### СТРАТЕГИЧЕСКИЕ ЗАДАЧИ ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ РЕФОРМЫ В ГРУЗИИ

Плохо обстоят дела в сфере образования в Грузии. В течении двух десяток лет проводиться уже пятая реформа, но прогресса не видно. Ясно одно, разрушается система. Причина кроется в том, что каждая наша реформа являлась попыткой осуществления ложного стратегического направления. По мнению автора, наипервейшей стратегической задачей является установление содержания образования. Задачей реформы должно быть установление содержания обучения на основе принципа общности. В тоже время содержание обучения должно иметь мировоззренческий характер. Одним из кардинальных задач реформы школьного образования должно стать формирование воспитательной системы и ее органическое включение в общеобразовательное содержание. Важное место в стратегических направлениях реформы должно уделяться под-

готовке педагогических кадров, на что сегодня, к сожалению, не обращается внимание. В стратегии будущей реформы организация и управление школой должно быть основанно на научных принципах. Обязательно должно быть учтено воспитательное значение традиций и принцип наследственности, его непроходящее значение.

ГУЛБАД АМИРАНАШВИЛИ

## ИСТОРИЧЕСКАЯ СОКРОВИЩНИЦА ГРУЗИНСКОГО НАРОДА

Вместе с эвакуацией Грузинского Демократического правительства, в 1921 году из Батуми, по инициативе Эквтиме Такаишвили, была вывезена во Францию историческая сокровищница грузинского народа. Сокровищницу разместили в государственный банк Марселя и за сохранение клада заплатили только за один год. В 1935 году Французское правительство, за тринадцатилетнюю неуплату, объявило бесхозным историческую сокровищницу грузинского народа и, в полном соответствии с французским законодательством, осуществила ее конфискацию. Эквтиме Такаишвили обратился за помошью к Советскому правительству Грузии, однако, с началом Второй Мировой Войны, правительству Грузии было не до выкупа сокровищницы.

В октябре 1944 года в советской прессе опубликовали сообщение: в начале декабря к Верховному Главнокомандующему Советского Союза Иосифу Сталину приезжал с визитом Председатель Французского правительства Шарль де Голль. Шалва Амиранашвили, будучи в Москве на сессии Академии Наук, на основе этого сообщения, немедленно составил на имя Сталина обращение, с просьбой начать переговоры с Шарлем де Голлем о возващении грузинского музейного клада, вывезенного из Грузии во Францию в 1921 году. 22 октября 1944 года обращение было сдано в комендатуру Кремля.

23 ноября 1944 года, хранитель грузинского клада во Франции Эквтиме Такаишвили, со своей стороны, обратился к Председателю Французского правительства, генералу Шарлю де Голлю с просьбой о выкупе у банка и возвращении Грузии конфискованного грузинского клада. Независимо друг от друга, попытки учителя – Эквтиме Такаишвили и его ученика – Шалва Амиранашвили имели желанный результат. 10 декабря 1944 года между Советским государством и Французской Республикой был заключен договор о «Связи и взаимопомощи», полный текст которого был опубликован в газете «Известия», N293, за 19 декабря 1944 года. Как выяснилось во время встречи Ш.Амиранашвили и П.Шария с министром иностранных дел Советского Союза В.М. Молотовым, И.Сталин, в присуствии В.М.Молотова, лично говорил с Шарлем де Голлем и получил от него уверения насчет возвращения грузинского клада.



Сразу по приезду во Францию, в дни второй декады 1944 года, Шарль де Голль специальным распоряжением возвратил грузинскому народу грузинскую сокровищницу.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

## ИСТОРИЯ СОСЛАННЫХ ИЗ МЕСХЕТИ МУСУЛЬМАН

### I. Ахалкалакский уезд

Проблемы репатриации или отказа от возврата на историческую родину мусульманского населения, т.н. «тюрок месхетинцев», сосланных в 1944 году из Самцхе-Джавахети и выяснения их национальной принадлежности, долгое время тревожит грузинский народ. Об этих проблемах в обществе существуют взаимоисключающие мнения. Взаимосличение и анализ существующих в настоящее время письменных источников, специальной или общей литературы, документов, архивных материалов и обнаруженных и зафиксированных в течении многих лет этнографических материалов, дают возможность, раз и навсегда, определить кто такие «тюрки-месхетинцы» и кто, с какой целью использует этот искусственно созданный термин. Омусульманенное население (таракамы, курды, тюрки, позднее грузинские мусульманы) до выселения, в основном, жили в Ахалкалакском и Ахалцихском уездах.

До 40-ых годов XX века Ахалкалакский уезд (сегодняшние районы Ниноцминда, Ахалкалаки и отчасти Аспиндза), по религиозной принадлежности и этническому составу населения, был весьма пестрым. Здесь жили древние, местные христианы и частично омусульманенные грузины, а позднее, нашедшие приют

курды, тюрки, армяне и карапапахи. Из письменных документов и этнографического материала становится очевидным, что в этом районе, в основном с конца XVII века и особенно, с начала XIX века, преобладали представители различных мусульманских племен, а не омусульманенных грузин. К 1944 году их численность достигла 3000 дворов. По официальным данным, в ноябре этого года из бывшего уезда выселили 4220 семей, большинство представителей которых (приблизительно 70-75%) были переселенные в первой половине XIX века из Турции и нашедшие здесь приют последователи мусульманской религии негрузинской национальности. Что касается изменивших вероисповедание грузинского населения, то по убеждениям, самосознанием и верой они были тюрками и по доброй воле избрали долю переселенцев.

ГРАНИ КАВТАРИЯ

## «ВЗДРОГНУТО-ИСПУГАННАЯ» И «ПОСТЫДНАЯ ЖИЗНЬ»

В статье обличено временничество вздрогнуто-испуганного большинства профессоро-преподавательского состава Тбилисского Государственного Университета имени Ив. Джавахишвили. К сожалению, из-за боязни потерять положение и статус в университете, они проявили рабскую покорность псевдо-реформаторам высшего образования и тем самым способствовали разрушению родного университета. А в настоящее время, в соответствии с измененной политической обстановкой, предстали критиками ими-же одобренной или смиренно принятой реформы.

НОДАР ЛОМОУРИ

## НЕ СЛЕДУЕТ ТЕРЯТЬ НАЦИОНАЛЬНОЕ ДОСТОЙНСТВО И МНОГОВЕКОВЫЕ ТРАДИЦИИ

Автор письма выражает свое отношение к происшедшим в последнее время в общественной жизни Грузии к некоторым событиям, в частности, к попытке проведения представителями



ЛГБТ парада и передаче телевизии Патриархии, посвященной Дж. Дудаеву. Оба события оценены автором с позиции нравственно-национальных принципов.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

## САЧХЕРСИЕ СОБОРЫ ИМЕНИ БОГОРОДИЦЫ И СПАСИТЕЛЯ

Изучение исторических памятников Сачхерского района началось еще в середине XIX века. «Богородица» Эхвеви и «верхняя церковь Спасителя» Спети являются шедеврами грузинского христианского зодчества. Они отличаются древностью надписей, изысканным стилем, особенностями резьбы и орнаментов, что дает возможность ученым предположить, что соборы относятся к IX-XI векам. Особый интерес вызывает иконостас собора Спети, который ныне представлен в Государственном музее искусств.

## ГЕОРГИЕВСКИЙ ТРАКТАТ

Георгиевский трактат, по которому царство Картли-Кахети (Восточная Грузия) добровольно приняло покровительство России, был первым двухсторонним международным договором во всей многовековой истории русско-грузинских отношений. Этим актом царь Ираклий «именем своим» и «наследников и преемников своих» офоциально объявил, что Восточная Грузия навсегда отказывается признавать верховрую власть и покровительство Персии или иной другой державы, кроме России. Россия же обязывалась защищать Восточную Грузию от внешних врагов и заботиться о возвращении ей захваченных врагами земель, которые впредь будут оставаться во владении грузинских царей.

Георгиевский трактат наметил резкий поворот не только в русско-грузинских, но и грузино-персидских и грузино-турецких отношениях.

Георгиевский трактат как международный договор положил начало новому этапу в русско-турецких отношениях по грузинскому вопросу,

который резко отличался от многовековых традиционных отношений. Более того, этот акт по-новому ставил кавказскую проблему.

ШОТА АПХАИДЗЕ

## БОМБИ С НАДПИСЬЮ « С ВОСКРЕСЕНИЕМ»

В своей статье Ш.Апхаидзе описывает основные направления политики западных держав с целью использования НАТО для осуществления своих стратегических задач. А стратегия, как показывает автор, состоит в дальнейшем ослаблении позиций России и нелегитимном расширении западного влияния в глобальном масштабе. В рамках этой стратегии НАТО совершил множество военных преступлений, масштаб которых умаляется либо вообще замалчивается западной пропагандистской машиной. Автор статьи подробно излагает факты военных преступлений, совершенных Североатлантическим альянсом в бывшей Югославии, Афганистане, Ливии. Затронуты попытки Запада, использовать НАТО и в «разрешении» конфликта в Сирии, одну из воюющих сторон которого, а именно, исламистских террористов, он поддерживает.

Автор статьи не видит выгоды для Грузии в случае ее гипотетического членства в Альянсе. С его точки зрения, от этого обороноспособность страны не усилится, так как вмешательство НАТО вызовет острую реакцию России и Ирана, из-за чего Грузия может стать ареной большого противостояния. Кроме того, пример Косово, бомбежка Югославии в 1999 году и уничтожение многих православных храмов в Косово и Метохии показывают антиправославную направленность Североатлантического альянса.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ, ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

## ДЖАВАХЕТИ — РАЙОНЫ АХАЛКАЛАКИ И НИНОЦМИНДА

В статье дан отчет первой этнографической экспедиции, проведенной под эгидой журнала «САМИ САУНДЖЕ» («Три святыни»). Название проекта «Край мой родной». Проект предусматривал изучение в отдельных регионах Грузии культурно-



социального положения и отношения местного населения к проблемам, существующих в указанных сферах. На этот раз в статье представлены результаты этнографического исследования, проведенного в верхней Картли, в частности, в двух районах Джавахети.

БОРИС ДАРЧИЯ

## «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ» И ИНТЕРТЕКСТОВЫЙ МЕТОД

Автор рассматривает опубликованные за последний период руствелологические статьи Мариам Карбелашвили об убиении людей и отвергает, полученные интертекстовым методом, ее положения о том, как будто, первые справки о Шота Руставели и его поэме дает историк летописец XIV века, который, якобы, дискутирует с Шота Руставели по вопросу об убиении людей.

Scientific and social journal
"SAMI SAUNJE" (three treasures) №2 (8), 2013
(in georgian)

SUMMARY

GIORGI GOGOLASHVILI

## THE UNIVERSITY MUST BE SAVED!

Over the 95 years of its existence, Ivane Javakhishvili Tbilisi State University has endured many tribulations. However, the actions carried out by 2004-2012 government have surpassed all expectations. It was an example of unprecedented lawlessness and injustice. After October 2012 elections, hope for justice emerged, although the process has yet to be started at the university. The author expresses optimism that justice and law will finally prevail at the university.

ZURAB TSUTSKIRIDZE

## STRATEGIC TASKS OF EDUCATIONAL REFORM IN GEORGIA

The educational system is in poor state in Georgia. In the last twenty years, five various types of reforms has taken place, but there is no progress in sight. One thing is clear our education system is collapsing. The cause lies in the fact that each reform was an attempt to implement a false strategic direction. According to the author, the prime strategic objective is to establish the concepts of education. The objective of the reform should be based on the principles of common academic content. Concurrently, the content of education should have an ideological element. One of the fundamental objectives of the education reform should be developing behavioral strategies as a seamless part of the general system. Teacher training should also become part of our strategic vision, but unfortunately, this is not the case. The strategy for the future reform of school organization and management should be based on the scientific principles. Our Georgian culture, traditions and heritage should also be included in the educational development of future generations.



GULBAD AMIRANASHVILI

## HISTORICAL TREASURE OF THE GEORGIAN PEOPLE

In 1921, the Georgian Democratic government evacuated. Concurrently, the historical treasure of the Georgian people was relocated from Batumi to France by the initiative of Professor Ekvtime Takaishvili. The treasure was stored at the State Bank of Marseilles for preservation and only one-year storage fee was paid. In 1935, after 13 years of nonpayment of the fee, the French government declared the Georgian historical treasure abandoned and seized it in full accordance with the French law. Ekvtime Takaishvili sought the help of the Soviet government of Georgia; however, with the outbreak of the Second World War, the Georgian government was not up to saving the treasure.

In October 1944, the Soviet press published an article announcing French President General Charles de Gaulle's planned visit to the Supreme Commander of the Soviet Union, Joseph Stalin in early December. Concurrently, Shalva Amiranashviliwas attending a session of the Academy of Sciences in Moscow. He immediately decided to use the opportunity and wrote Stalin a letter. He asked Stalin to hold a negotiation with Charles de Gaulle on the return of the Georgian museum treasure exported from Georgia to France in 1921. On October 22nd, the letter was turned into the commandant's office of the Kremlin.

On November 23, 1944, in France, the patron of the Georgian treasure Ekvtime Takaishvili appealed to the President of the French government, General Charles de Gaulle, to return the confiscated Georgian treasure. The two independent attempts of the teacher Ekvtime Takaishvili and his student Shalva Amiranashvili had the desired, positive result.On December 10th, the Soviet Union and the French Republic signed a Treaty of Alliance and Mutual Assistance. The complete text of the treaty was published in the newspaper "Izvestia" #293 on December 19, 1944. Later, during the meeting of S. Amiranashvili and P. Sharia with V. Molotov, the Minister of Foreign Affairs of the USSR,it became known that Stalin had discussed the issue with Charles de Gaulle and received de Gaulle's assurances on returning the Georgian treasure to

Georgia. Charles de Gaulle, immediately upon his arrival in France issued a special order and returned the Georgian treasury to the Georgian People.

TINA IVELASHVILI

## HISTORY OF EXILED MUSLIMS FROM MESKHETI AKHALKALAKI PROVINCE

The problem of repatriation of the Muslim population of so-called "Meskhetian Turks" exiled in 1944 from Samtskhe-Javakheti and acceptation of their national identity has long worried the Georgian people. The opinions on this issue vary drastically. Comparison and analysis of currently available written sources, special and general literature, documents, recently studied ethnographic materials finally provide an opportunity to determine who the "Meskhetian Turks" are. In addition, it reveals who is benefiting from using this artificially created term and for what purpose.

Muslimized population (Tarakams, Kurds, Turks, and later Georgian Muslims) mostly lived in Akhalkalaki and Akhaltsikhe provinces before the exile. Prior to 1940, religion and ethnic composition of the population of the Akhalkalaki province (today's Ninotsminda, Akhalkalaki and part of Aspindza districts), was rather diverse. This area was inhabited by indigenous Christians and partly Islamized Georgians. They were later joined by sheltered Kurds, Turks, Armenians and Karapapaks. From the written documents and ethnographic materials, it becomes evident that from the end of the 17th century and, especially the beginning of the 19th century, the area was dominated, not by muslimized Georgians but by the various Muslim tribes. By 1944, their number reached 3000 households. According toofficial sources, in November of 1944, 4220 families of the province were exiled. The majority of them (approximately 70% -75%) were non-Georgian Islam nationals resettled from Turkey in the first half of the 19th century. As for the Georgian population who changed their religion, faith, belief and became Turks, they willingly shared the fate of the exiles.



GRANI KAVTARIA

## QUAILED, FRIGHTENED AND DISGRACED LIFE

The article exposes the majority of selfish, quailed and frightened Ivane Javakhishvili University professors and teachers. Unfortunately, because of fear of losing their position and status at university, they showed slavish obedience to pseudo-reformers of higher education. By this, they assisted in the destruction of their native university. Today, as the political situation has changed, they have become the biggest critics of the same reform they were favoring before.

NODAR LOMOURI

## LET US NOT LOSE THE NATIONAL DIGNITY AND CENTURIES-OLD TRADITIONS

The author expresses his attitude towards certain events that have recently taken place in the public life of Georgia. One is the attempt by LGBT (lesbian, gay, bisexual and transgender community) representatives to hold a parade and the other is a presentation by Patriarchate TV dedicated to J. Dudayev. The author assesses both of these events from the viewpoint of moral and national principles.

MAMUKA TSUKHISHVILI

## SACHKHERE CATHEDRALS OF MOTHER OF GOD AND THE SAVIOR

The study of the historical monuments of the Sachkhere region began in the middle of the 19th century. Mother of God of Ekhvevi and "the upper Savior" (as referred by people) of Speti are masterpieces of the Georgian Christian architecture. They differ by antiquity inscriptions, exquisite style, original carvings and ornaments suggesting the cathedrals belong to the 9th - 11th centuries. Special interest is drawn by the iconostasis of the Cathedral of Speti, which is currently in the TbilisiState Museum of Art.

## TREATY OF GEORGIEVSK

The Treaty of Georgievsk was the first international, bilateral treaty concluded between the Russian Empire and the east Georgian kingdom of Kartli-Kakheti. The Kingdom of Kartli-Kakheti voluntarily accepted the patronage of Russia. With this act king Erekle II "in his name and the name of his heirs and successors of theirs" forever renounced recognition of any supreme power and patronage of Persia or any other country except Russia by the eastern Georgia. Russia pledged to protect eastern Georgia from foreign enemies, to assist in reclaiming lost lands, and the lands would continue to remain in the possession of the Georgian kings.

The Treaty of Georgievsk was a drastic change, not only in the RussianGeorgian relationship but also GeorgianPersian and GeorgianTurkish relationships.

The Treaty of Georgievsk marked a new beginning for the TurkishRussian and PersianRussian relationship related to Georgia as well as Transcaucasia as an international treaty. It would dramatically differ from the traditional relationships that took place for centuries. Furthermore, this act presented the issue of the Caucasus from an entirely different viewpoint.

SHOTA APKHAIDZE

## BOMBS WITH THE INSCRIPTION "HAPPY EASTER"

In the article, the author describes the principal policies of the Western powers whose purpose is to use NATO to carry out their strategic objectives. Specifically, the strategy is to further weaken the Russian positions and illegitimately extend Western influence globally. As part of this strategy, NATO has committed many war crimes, which have been downplayed or even overlooked altogether by Western propaganda. The author provides a detailed account of war crimes committed by NATO in the former Yugoslavia, Afghanistan, and Libya. The author also reviews Western attempts to use NATO in Syrian conflict "resolution" knowing that it supports one of Syria's warring parties, namely, Islamist terrorists.

The author does not see any benefits for Georgia even it became a



member of the Alliance. In the author's opinion, the country's defense-capabilities will not increase, because NATO intervention will cause a sharp reaction fromRussia and Iran. This may result in Georgia becoming a large confrontation arena.Besides, the example of Kosovo, 1999 bombardment of Yugoslavia and the destruction of many orthodox temples in Kosovo and Metohija demonstrate an anti-orthodoxposition of the Northern Alliance Treaty Organization.

GRIGOL RUKHADZE AND GVANTSA KOPLATADZE

## JAVAKHETI – AKHALKALAKI AND NINOTSMINDA DISTRICTS

The article provides a report of the first ethnographic expedition performed under the auspices of the journal "Saunje" (Three Treasures). The name of the project is "My Homeland". The intent of the project is to study cultural and social conditions of individual Georgian regions and the opinionsof local residentsof the issues existing in these areas. At this time, the article presents the results of an ethnographic study in upper Kartli, in particular thetwo districts of Javakheti.

BORIS DARCHIA

## "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" AND INTERTEXTUAL METHOD

The author examines Mariam Karbelashvili's recently published Rustavelogical (science that studies Shota Rustaveli's work) articles about killing of men. He rejects the notions achieved by the intertextual method. According to them a 14th century chronicler and historian provides the first information about Shota Rustaveli and his poem by allegedly debating the issues of killing of men with Shota Rustaveli.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №2(8), 2013

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23

❖

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2(8), 2013
(на грузинском языке)

❖

Scientific and social journal
“SAMI SAUNJE” (Three treasures) №2(8), 2013
( in georgian)

❖

პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.06.2013. ტირაჟი 200.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის 47.

ფასი 7 ლარი

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge